# კვირის პალიტრა

№ 50 (459) ◆ 15 – 21 დეკემბერი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## „თუ მე და ჩემი ახლობლები ვართ დამნაშავე, დაგვსაჯეთ“



**„ვინც რა იცით, თქვით — ვისზე რა მასალებიც გაქვთ მოიტანეთ!..“**

...ბატონ ასლანს არ უგრძნობინებია ჩემთვის — არალეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელს ვესაუბრებიო ...არ ვიქნები გულწრფელი, რომ არ ვთქვა — მიშას განცხადებებმა, რა თქმა უნდა, დაძაბა ბატონ ასლან აბაშიძესთან დიალოგი. ჩვენი საუბრისას შემოიტანეს მიშას გამოსვლის ვიდეოფირი...

...დღეს პროკურატურა აკეთებს იმას, რაც ბევრად ადრე უნდა გაეკეთებინა.

...კონტროლის პალატის თავმჯდომარემ თავისი ნათქვამით თვითონვე დაადასტურა, რომ პრეტენზია სამართლიანად წაუყენეს.

...ზურაბ ცქიტიშვილის ვაჟის დანიშვნის შესახებ მეც არაფერი ვიცოდი.

...ამ გარემოში მუშაობა შეუძლებელია. დილიდან ღამემდე ამ ოთახში ყოფნა წარმოუდგენელია და გულწრფელად თანავუგრძნობ ამის გამო პრეზიდენტს. ძვირფასი ავეჯის დადგმას არ ვგულისხმობ, მაგრამ ამ ოთახში რომელიმე ქვეყნის დელეგაციის ან ელჩის მიღება სამარცხვინოა. გვ.7

## პროკურატურის გამომძიებელს ქარმა მოწმეთა ახსნა-განმარტებები მოსტაცა(?!)

„ზოგიერთი მოწმის ახსნა-განმარტება მაშინ დავკარგე, როდესაც ერთხელ, შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად გავედი. ამიტომ მე თვითონ დავწერე და ჩავდე საქმეში. მოწმეებს ხელმეორედ იმიტომ არ ჩამოვართვი ახსნა-განმარტება, რომ დრო არ მყოფნიდა გამოძიების დასამთავრებლად(?!).“ გვ.5,27

## მოპარული მანქანების მარშრუტი კავკასიურ „ბერმუდის გვ.11 სამკუთხედში“

**ბადრი პატარკაციშვილი თაღლითებმა მოატყუეს**



## „ყველა გზა მამალაძისკენ მიდის“ გვ.5



**ოქროს გატანასთან დაკავშირებით დღის წესრიგში ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის შესწავლაც დგება**

გამოძიებას აქვს სერიოზული მტკიცებულებები, რომ ოქროს საქმის უკან მამალაძის ფიგურა დგას.

ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე ოქროს ზოდები ვერ გაივლის საქართველოს საბაჟოს.



## „ტრაპზე ასვლის არ მეშინია“

მე ვერ ამიყვანენ, იმიტომ, რომ ვერაფერზე მომედავებიან...

...საპრეზიდენტო არჩევნები აჭარაში საგანგებო მდგომარეობის გამო გადაიდება. გვ.6

## რას წერენ ჩვენზე:

„ეს საქართველოს საჯაროდ დამცირებას ნიშნავს... 4 იანვრის შემდეგ საქართველო ყველას საკადრის პასუხს გასცემს და ველარავინ გაბედავს ასე მოექცეს საქართველოს.“

***მიხეილ სააკაშვილი***

## ერთის ნაცვლად — რამდენიმე საქართველო(?!)

გასულ კვირას აბაშიძემ სეფე განცხადება გააკეთა — საქართველო ისტორიულად ცალკეული ქართული სახელმწიფოებისაგან შედგებოდა და ურიგო არ იქნებოდა, თუ ამ ფორმულას დავუბრუნდებითო... გვ.14

## 2.100-ლარიანი ნაძვის ხე და 1.073-იანი სანტა კლაუსი



თეთრი ნაძვის ხეების ფასი მწვანეს არ ჩამორჩება — 2 მეტრი და 30 სმ სიმაღლის თეთრი ნაძვის ხე 550 ლარად შეგიძლიათ შეიძინოთ, შედარებით დაბალი (1,8 მ) — 392 ლარად და ა.შ. ყველაზე პატარა, მაგიდაზე დასადგმელი ნაძვის ხის ფასი კი 75 ლარია. ხოლო იმავე სიმაღლის მოცეკვავე ნაძვის ხეში 145 ლარის გადახდა მოგიწევთ.

**საახალწლო აქსესუარებს „ცეცხლი უკიდია“** გვ.4

## თუ გსურთ საჩუქრად მიიღოთ:

„კვირის პალიტრის“ 2004 წლის კედლის მოსახევი კალენდარი, ქართული და უცხოური ზღაპრების აუდიოკასეტა და ვაჟა გავაშელის რჩეულ მოთხრობათა კრებული — „ვერსია“... გვ.29

## სადამი დაიჭირეს!




ამერიკელმა სამხედროებმა თიქრიტში რეიდის დროს ერაყის ყოფილი დიქტატორი, სადამ ჰუსეინი დააკავეს. გავრცელებულ ინფორმაციას ადასტურებს არაბული მედიაც.

სი-ენ-ენის ცნობით, ყოფილი დიქტატორის ადგილსამყოფელი ჰუსეინების ოჯახთან დაახლოებულმა პირმა გასცა. იგი ამ ინფორმაციის სანაცვლოდ 30 მლნ დოლარს მიიღებს, რომელიც კოალიციის სარდლობამ დააწესა. გვ.2

**მამაკაცებო! 50 წელს ზევით**

**პროსტატის დაავადებების მკურნალობა შესაძლებელია** გვ.24

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## ახალი „ელჩები“ აჭარაში

აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი ბათუმში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს, ასლან აბაშიძეს შეხვდება და მასთან ცენტრსა და რეგიონს შორის შექმნილ პრობლემებსა და 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს.

აშშ-ის ელჩთან ერთად, შესაძლოა, ბათუმში გარდამავალი მთავრობის სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანიაც ჩავიდეს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ლევან ბერძენიშვილი სახელმწიფო მინისტრის, ზურაბ ჟვანიას ბათუმური ვიზიტისაგან „მნიშვნელოვანს არაფერს ელის“ და მიაჩნია, რომ „ყველა ადამიანი სამშობლოსთან მიმართებაში კარგად უპირობოდ უნდა იქცეოდეს, აბაშიძე კი სამშობლოს კარგად მოქცევისათვის პირობებს უყენებს. ეტყობა, აჭარის ლიდერი ვერ აცნობიერებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებისადმი ამგვარი პოზიცია თავად მას აყენებს უხერხულ მდგომარეობაში“.

რიჩარდ მაილსისა და ჟვანიას ბათუმური ვოიაჟის დასრულების შემდეგ, შესაძლოა აჭარას კვლავ ესტუმროს ნინო ბურჯანაძე, რასაც სავარაუდოდ ჟვანიას განმეორებითი ვიზიტიც შეიძლება მოჰყვეს.

## გიორგაძე კვლავ თამაშგარე მდგომარეობაშია

საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის, იგორ გიორგაძის მხარდამჭერები ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ზურაბ ჭიაბერაშვილის განკარგულებას აპროტესტებენ, რომლის თანახმად, იმის გამო, რომ ბოლო წლებში საქართველოში არ ცხოვრობდა, გიორგაძეს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარი ეთქვა.

როგორც იგორ გიორგაძის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა, ნოდარ გურგენიძემ განაცხადა, „იგორ გიორგაძის რეგისტრაციაზე უარის თქმასთან დაკავშირებით ცესკოს არგუმენტაცია არასაკმარისია და პოლიტიკურს უფრო ჰგავს, ვიდრე სამართლებრივს“.

მისივე მტკიცებით, უშიშროების ყოფილი მინისტრი ბოლო წლებში საქართველოში ცხოვრობდა და ამჟამადაც სამშობლოში იმყოფება(?!). თუმცა გიორგაძის ამჟამინდელი ადგილსამყოფლის დაკონკრეტებისგან მან უსაფრთხოების მოტივით თავი შეიკავა. გიორგაძის ამჟამად საქართველოში ყოფნის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს საქართველოს უშიშროების სამინისტრო. გიორგაძის მხარდამჭერები ჭიაბერაშვილის განკარგულებას სასამართლოში გაასაჩივრებენ. მათ სასამართლოს ობიექტურობის იმედი აქვთ და სჯერათ, რომ „სასამართლო ხელისუფლების ზეწოლისგან თავისუფალია“.

## საარჩევნოდ ორმაგად მოგვიწევს გარჯა

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ ჭიაბერაშვილმა ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესის პრეზენტაცია მოაწყო.

აღნიშნული წესი, რომლის ავტორი თავად ჭიაბერაშვილია და რომელიც ამომრჩეველთა წინასწარ რეგისტრაციას ითვალისწინებს, ცესკომ რამდენიმე დღის წინ დაამტკიცა. ამ წესის თანახმად, ამომრჩეველთა რეგისტრაცია 15-დან 21 დეკემბრის ჩათვლით განხორციელდება, ხოლო 21-დან 27 დეკემბრის ჩათვლით ამომრჩეველთა ერთიანი სია დაზუსტდება.

ამასთან, საოლქო საარჩევნო კომისიებს ამომრჩეველთა შესახებ მონაცემები 15 დეკემბრის ჩათვლით უნდა გადაეცეთ. საარჩევნო უბანზე მისული ამომრჩეველი შეავსებს მოქალაქეთა საარჩევნო რეგისტრაციის განაცხადის ფორმას, რომელსაც საუბნო საარჩევნო კომისიის რომელიმე წევრი ხელმოწერით დაამოწმებს. ფორმის შევსებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირადობისა და საქართველოს მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობა.

ამომრჩეველთა რეგისტრაციის ახალი წესის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება სატელევიზიო სარეკლამო რგოლების მეშვეობით განხორციელდება.

## წინასაპრეზიდენტო შეხვედრები

უკრაინის ოპოზიციური პარტიის, „ჩვენი უკრაინის“ ლიდერმა ვიქტორ იუშჩენკომ და საქართველოს ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა კიევში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამ პოლიტიკურ ძალებს შორის თანამშრომლობის შესახებ.

როგორც შეთანხმებაშია ნათქვამი, „ჩვენს უკრაინას“ და ნაციონალურ მოძრაობას უკრაინასა და საქართველოში სამართლის უზენაესობის, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი კონტროლის, სიტყვისა და კრებების თავისუფლების, ასევე საკუთრების უფლების დაცვისა და ეფექტური ადგილობრივი თვითმმართველობის აუცილებლობის რწმენა აერთიანებთ“. მხარეები სახელმწიფოს მართვის კლანურ-ოლიგარქიული მოდელების, სახელმწიფო შოვინიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ გამოდიან, ასევე აღნიშნავენ ორივე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და შინაურ საქმეებში სხვა ქვეყნების ჩაურევლობის მნიშვნელობას.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ „საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ აშშ-სთან, ევროპასა და რუსეთთან ერთად, უკრაინა საქართველოსთვის მეოთხე მნიშვნელოვანი ვექტორი უნდა გახდეს“.

უკრაინაში მიმდინარე ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლების შესახებ სააკაშვილმა განაცხადა, რომ არ თვლის საჭიროდ, უკრაინაში პროცესები ქართული სცენარით განვითარდეს. „დარწმუნებული ვარ, უკრაინელი ხალხი თავის გზას იპოვის, რომელიც მას საშუალებას მისცემს, კანონებისა და კონსტიტუციის ფარგლებში თავისი არჩევანი გააკეთოს“, — თქვა მან.

## თავდაცვის მინისტრი სამოქალაქო პირი იქნება

„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მზადაა, ნებისმიერი სტრუქტურული ცვლილებისთვის, მათ შორის, სამოქალაქო მინისტრის მისაღებად“, განაცხადა თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა დავით თევზაძემ.

მისი თქმით, ამჟამად სამინისტროში სტრუქტურული რეორგანიზაციის მიზნით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს და 2004 წლის 1-ელი იანვრისთვის ყველაფერი მზად იქნება, რათა უწყება სამოქალაქო მინისტრმა ჩაიბაროს. თევზაძის განცხადებით, ვინ გახდება საქართველოს თავდაცვის პირველი სამოქალაქო მინისტრი და გენერალური შტაბის ახალი უფროსი, ეს ქვეყნის ახალ პრეზიდენტზე იქნება დამოკიდებული. კულუარული ინფორმაციით, ამ პოსტზე შს მინისტრის, გია ბარამიძის კანდიდატურა მოიაზრება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო სტრუქტურად გარდაქმნა მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს რეკომენდაციას წარმოადგენს.

## „რაო ეესი“ „ეი-ი-ესივით“ იწყებს?

კომპანია „თელასში“ შესვლიდან მეოთხე თვეს ახალმა მმართველებმა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მისამართით პირველი საყვედური გამოთქვეს. როგორც კომპანიის კომერციულმა დირექტორმა, ილია ქუტიძემ განაცხადა, „საქართველოს ელექტროსისტემაში“ არსებული მძიმე მდგომარეობის გამო „თელასი“ და მისი მომხმარებლები ზარალდებიან, სამინისტრო კი ამ მიმართულებით არაფერს აკეთებს. უმჯობესი იქნება, სამინისტრო უფრო აქტიურად ჩაერთოს ამ პროცესში და გაარკვიოს, რატომ არ მოგვეწოდება ჩვენ მიერ ნაყიდი ელექტროენერგია, — აღნიშნა ქუტიძემ, — სახელმწიფო ელექტროსისტემა ელექტროენერგიას ურჩ გადამხდელ მომხმარებელს, მათ შორის, გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასაც აწვდის, რის გამოც თბილისს სიმძლავრე აკლდება.

ჩვენ განვაცხადეთ, რომ გრაფიკი თბილისში აღარ იქნებოდა, მაგრამ ამჟამად სიტუაციას თავადაც ვერ ვაკონტროლებთ. საბითუმო ბაზარმა კომპანიისთვის საკმაოდ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და „თელასი“ 10%-ით შეზღუდა“.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიდან და სომხეთიდან „თელასი“ ელექტროენერგიის იმპორტს ახორციელებს, რასაც მე-9 ენერგობლოკის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიაც ემატება, თბილისს ამჟამად 60 მეგავატი აკლია. გამორთულია თბილისის 12 ქვესადგური. ელექტროენერგიის გარეშე, ძირითადად, გარეუბნების მოსახლეობაა დარჩენილი.

## მირცხულავას თავზე შავი ღრუბლები გროვდება

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში „აშოტსკი-ნინოწმინდის“ 110-კილოვატიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით, ენერგეტიკისა და მშენებლობის სამინისტროების თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა. წინასწარი ინფორმაციით, არსებობენ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირებიც. პროკურატურის წარმომადგენლების განცხადებით, გადამცემი ხაზის მშენებლობის დროს არსებულ კანონდარღვევებს ხელი შეუწყო სათბობ-ენერგეტიკის ექსმინისტრმა დავით მირცხულავამ. შესაძლოა, მირცხულავას არა მარტო უფლებამოსილების გადამეტებაში, დიდი ოდენობით თანხების მიტაცებაშიც დასდონ ბრალი. საქმეში დევს მირცხულავას ხელმოწერილი ერთ-ერთი აქტი, რომლის მიხედვით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ 2.343.000 დოლარის ოდენობით ჯარიმა აღიარა, რასაც არ ითვალისწინებდა სომხეთთან არსებული ხელშეკრულება. პროკურატურის პირველადი მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ ენერგეტიკის სისტემიდან გატაცებულია 82 მლნ დოლარზე მეტი. გენპროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის მიერ სომხეთიდან ჩამოტანილი და საქართველოში არსებული მასალების შედარებისას კი ირკვევა, რომ მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობა ხელოვნურად გაზრდილია, შესაბამისად, ამ ვალის დასაფარად დახარჯულია მეტი თანხა.

## სუპატაშვილი დააკავეს

სადახლოს საბაჟოს უფროსი თამაზ სუპატაშვილი პოლიციამ იარაღის უკანონო ტარებისთვის დააკავა. სუპატაშვილს ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღი ავტომანქანაში აღმოუჩინეს. გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა დაკავებულს იარაღის უკანონოდ ტარების გარდა, ეკონომიკური დანაშაულის ბრალდებაც წაუყენონ.

სუპატაშვილის ადვოკატის, ალექსანდრე ალადაშვილის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის დაკავება მის მიმართ ანგარიშსწორების საფუძველზე მოხდა დროებითი ხელისუფლების მხრიდან, რადგან სუპატაშვილი „მოქალაქეთა კავშირის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია. მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში თამაზ სუპატაშვილისათვის აღმკვეთი ღონისძიების განხილვის პროცესის მიმდინარეობისას გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავებულს გულის შეტევა მოუვიდა და წინასწარი დაკავების იზოლატორთან დროულად მისულ სასწრაფო დახმარების ექიმებს შსს-ს თანამშრომლები კარგა ხანს არ უშვებდნენ პაციენტთან, რომელიც მოგვიანებით კარდიოლოგიურ ცენტრში, ე. წ. გულიკო ჩაფიძის კლინიკაში გადაიყვანეს.

## შაშიაშვილი „მიხვდა“...

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი თემურ შაშიაშვილი მასა და აჭარის ლიდერს, ასლან აბაშიძეს შორის არსებულ დაპირისპირებაში „მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერებს ადანაშაულებს. აბაშიძესთან თითქმის ხუთსაათიანი შეხვედრის შემდეგ, შაშიაშვილი დარწმუნდა, რომ აჭარის ლიდერი საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯებს არ გადადგამს. „აბაშიძესთან ხანგრძლივი, სერიოზული და უაღრესად საინტერესო“ შეხვედრის დროს ის მიხვდა, რომ ბევრ საკითხზე სხვადასხვა პოზიციის მიუხედავად, ცენტრი მასა და აბაშიძეს რეგიონების იოლად სამართავად სპეციალურად აპირისპირებდა. „ორივემ ვალიარეთ, რომ დაპირისპირებაში ავყევით ინტრიგებს, რომელთაც საქართველოში ერთი გამორჩეული მეფე ჰყავს“, — აღნიშნა ყოფილმა რწმუნებულმა. „ინტრიგების მეფეში“ შაშიაშვილი ექსპრეზიდენტ შევარდნაძეს გულისხმობდა.

## აფეთქება უმსხვერპლოდ დასრულდა

დიდი დიღმის დასახლების ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად აფეთქება მოხდა. როგორც „თბილგაზში“ განაცხადეს, მომხმარებელს გაზქურა ღამით ჩართული დარჩა. ღამით „თბილგაზმა“ სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით ბუნებრივი აირის მიწოდება შეწყვიტა, დილით კი მომხმარებელმა სიგარეტს მოუკიდა, რამაც აფეთქება გამოიწვია. თბილისის რამდენიმე უბანს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა. ამის მიზეზად ს/ს „თბილგაზში“ აირის წნევის დარეგულირების მიზნით ჩასატარებელ ტექნიკურ სამუშაოებს ასახელებენ. „აცივებასთან დაკავშირებით ქალაქში მკვეთრად გაიზარდა ბუნებრივი აირის მოხმარება, რის გამოც აირის წნევა დავარდა. გაზგამანაწილებელი სისტემა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ აირის წნევა გამორთვის გარეშე დავარეგულიროთ. ამიტომ მოსახლეობისთვის გაზმომარაგების დროებით შეწყვეტა აუცილებელი გახდა“, — განაცხადეს „თბილგაზში“.

## ამირჩიეთ და შვებით ამოისუნთქავთ

სასტუმრო „მეტეხი პალასში“ ქართველი ბიზნესმენების ერთ ნაწილს პრეზიდენტობის კანდიდატმა, მიხეილ სააკაშვილმა წინასაარჩევნო პროგრამა წარუდგინა. მისი თქმით, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, იგი აუცილებლად გაამარტივებს საგადასახადო სისტემას. პირველივე სამი კვირის განმავლობაში განისაზღვრება საკადრო პოლიტიკა, შეიქმნება კანონი მონოპოლიზაციის წინააღმდეგ და რაც მთავარია, სასტიკი ბრძოლა გამოეცხადება დამნაშავეობას. სააკაშვილი აპირებს უცხოეთში მცხოვრებ ქართული წარმომავლობის ბიზნესმენებს ორმაგი მოქალაქეობა მისცეს, რათა მათ შეძლონ სამშობლოში საქმიანობა. სააკაშვილმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დასრულების აუცილებლობაზეც ისაუბრა და დასძინა, რომ მსგავსი პროექტები არა თითო-ოროლა კლანის, არამედ ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს.

ბიზნესმენებმა სააკაშვილს 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მხარდაჭერა აღუთქვეს და აღნიშნეს, რომ ხელისუფლებამ ყველა დაპირება უნდა შეასრულოს.

## „მაგთი“ ისევ ააფეთქეს

დაუდგენელმა პირებმა 14 დეკემბერს, გამთენიისას, ვაკეში მდებარე „მაგთის“ ოფისი ააფეთქეს. აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა ირგვლივ მდებარე შენობების მინები მთლიანად ჩაიმსხვრა. ეს უკვე მესამე ინციდენტია, რომელიც „მაგთის“ დამფუძნებლის, გიორგი ჯოხთაბერიძის სახელს უკავშირდება. ბოროტმოქმედებმა რამდენიმე დღის წინ იმავე დროს და იმავე ხელწერით კოსტავას ქუჩაზე მდებარე ოფისი ააფეთქეს. უფრო ადრე კი ჯოხთაბერიძისა და მისი მეუღლის, მანანა შევარდნაძის საცხოვრებელ კორპუსში ხელყუმბარა აღმოაჩინეს. სამართალდამცველების ვარაუდით, დამნაშავეებმა აფეთქებისას ტროტილი გამოიყენეს.

## სადამ შეიპყრეს




ამერიკელმა სამხედროებმა თიქრიტში რეიდის დროს ერაყის ყოფილი დიქტატორი, სადამ ჰუსეინი დააკავეს. ბაღდადში ამერიკული სარდლობისა და სამოქალაქო ადმინისტრაციის ერთობლივ ბრიფინგზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პოლ ბრემერმა ოფიციალურად დაადასტურა ყოფილი დიქტატორის დაკავების ფაქტი. ამერიკული სარდლობის პრესმდივანმა კი ჟურნალისტებს სპეცოპერაციის დეტალები გააცნო. სი-ენ-ენის ცნობით, ყოფილი დიქტატორის ადგილსამყოფელი ჰუსეინის ოჯახთან დაახლოებულმა პირმა გასცა. იგი ამ ინფორმაციის სანაცვლოდ 30 მლნ დოლარს მიიღებს, რომელიც კოალიციის სარდლობამ დააწესა. ერაყის ყოფილი დიქტატორი სასამართლოს წინაშე წარდგება სამხედრო დანაშაულების, ქურთების გენოციდისა და ბირთვული იარაღის პროექტის განხორციელების მცდელობის ბრალდებით. ჰუსეინის დაპატიმრებას ერაყში სახალხო ზეიმით შეხვდნენ.

შაბათს, ღამით, სადამ ჰუსეინი 600-კაციანი ჯგუფის მიერ განხორციელებული სპეცოპერაციის შემდეგ დააკავეს.

„სადამ ჰუსეინი ყოველ კვირა დღეს ესაუბრება მეუღლეს“ — დიქტატორის შეპყრობამდე რამდენიმე დღით ადრე ბრიტანულ გაზეთ „სანდი თაიმსში“ ამ სათაურით გამოქვეყნდა ინტერვიუ ჰუსეინის მეუღლე ზამირა შაჰ-პანდართან, რომელიც შვილთან, 21 წლის ალისთან ერთად მილანში იმყოფება. იგი თურმე ხშირად იღებდა წერილებს მეუღლისგან და ტელეფონითაც ესაუბრებოდა. ზამირას განცხადებით, რეჟიმის დამხობის დღეს სადამმა მას 5 მლნ დოლარი და 10 კგ ოქრო მისცა, რის შემდეგაც ისინი სირიის საზღვართან დასცილდნენ ერთმანეთს. „მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეს სისტემატურად ვესაუბრები, მისი ადგილსამყოფლის შესახებ არაფერი ვიცი. სადამი ბოლოს 9 აპრილს ვნახე, იგი ჩემთან მოვიდა და ატირდა“, — თქვა ყოფილი დიქტატორის მეუღლემ.

## ბუშს პუტინი აღარ მოსწონს

„ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, აშშ-ის პრეზიდენტი რუს კოლეგაზე აზრს იცვლის. ბუში რფ პრეზიდენტს სასტიკად აკრიტიკებს და ნავთობკომპანია „იუკოსის“ ხელმძღვანელის დაკავებისა და საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პუტინის მიერ ქვეყანაში წარმოებულ პოლიტიკას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ბუში 7 დეკემბრის რუსეთის საპარლამენტო არჩევნებს დემოკრატიის რეგრესს უწოდებს. პუტინის წინააღმდეგ გამოდის სენატორი ჯონ მაკ-კეინიც და თეთრს სახლს კრემლის მიმართ მკაცრი ზომების გატარებას სთხოვს. მისი აზრით, რუსეთის ახალი ავტორიტარიზმი მსოფლიოს უსაფრთხოებისთვის საშიშია და აშშ-ის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

**მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია**

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.** ***რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.***

**წინა ნომრის „მკითხველის პრემიის“ შედეგები ასეთია:**

1. **ლელა ჯიყაშვილი** — „თენგიზ არჩვაძე: — მზე უნდა გედგას სულში და მზესავით ანათებდე შიგნიდან...“ — 72 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „შურისძიება თუ ბოროტი სულის ამბოხი“ — 70
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „თაღლითმა ჭირისუფალს 6.000 დოლარი დასცინცლა(?!)“ — 61
4. **ინგა ჯაყელი** — რუბრიკა „სიტუაციები“ — 38

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 392-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# ზამთართან დაკავშირებით რუსეთს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი რჩება

უკვე მერამდენედ, თანდათან იკვეთება კონტურები იმ სინამდვილისა, რომელიც ქართველებს აგერ უკვე მესამე საუკუნეა, მეტ-ნაკლები მტკივნეულობით გვახსენებს თავს. ქართველ მეფეთა გულუბრყვილობისა თუ ქვეყნის გამოუვალი მდგომარეობის გამო „მოყვრად“ მოსული რუსეთი საქართველოს თავის საკუთრებად მიიჩნევს და, როგორც ჩანს, ქვეყნის დამოუკიდებლობას კვლავაც „დროებით“ მოვლენად თვლის. სხვაგვარად ძნელია, ახსნა კრემლის მიერ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის შემდეგ აჭარის რეგიონისთვის განსაკუთრებული სავიზო რეჟიმის დაწესება. ესეც არაფერი — რუსეთის მაღალჩინოსნები დღეს უკვე ურცხვად აცხადებენ, რომ თურმე, მოსკოვს სტამბოლის შეთანხმება რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ პირნათლად შეუსრულებია... როგორც ჩანს, ბათუმისა და ახალქალაქის სახით, საჭიროების (უფრო სწორად კი, ურჩობის) შემთხვევაში საქართველოს სტაბილიზაციისკენ მიმავალ გზაზე ახალი ნაღმები აუფეთქდება. სიტუაციის სერიოზულობას ისიც ადასტურებს, რომ საქმეში უკვე შეერთებული შტატებიც ერევა. თეთრი სახლის პოლიტიკის გამო, ამერიკის ელჩი, არათუ აბაშიძესთან შეხვედრას, ბათუმზე კომენტარის გაკეთებასაც კი ყოველთვის თავს არიდებდა, ამჯერად კი რიჩარდ მაილსი აქტიურად ერთვება მოლაპარაკებებში...

კვირამ მძიმედ ჩაიარა დედაქალაქშიც — სამი-ოთხი დღის მანძილზე ქალაქის სხვადასხვა რაიონსა და დაწესებულებაში 90-მდე(!) ცრუზარი გაისმა ვითომდა იქ ჩადებული ბომბის თაობაზე. ხოლო სატელეფონო ზარი რომ ზარად არ დარჩენილიყო და შესაბამისი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონოდა, ამაზე მანამდე მომხდარმა რამდენიმე აფეთქებამ „იზრუნა“. საბედნიეროდ, მწირი დაფინანსებისა და ტექნიკური ბაზის მიუხედავად, ხელისუფლებამ და უპირველესად, ხალხმა (ხალხის განწყობის გარეშე ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის უშიშროება ანალოგიურ სიტუაციაში უძლური იქნება) სიმშვიდის შენარჩუნება მოახერხა და სატელეფონო-ნაღმური ტერორი საყოველთაო პანიკასა და ქაოსში არ გადაზრდილა. თუმცა, 4 იანვრის არჩევნებამდე დიდი დროა და არავინ იცის, რას ჩაიდენს „უხილავი“ ძალა, რომელსაც ხან რუსულ სპეცსამსახურად ნათლავენ და ხან ძველი ხელისუფლების წარმომადგენელთა რევანშისტულ-კონტრრევოლუციად... თუმცა, პოლიტიკური ცენტრის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ თავის გადასარჩენად შეკოწიწებულმა ტივმა რევოლუციურ ტალღას ვერ გაუძლო და მარტივ მამრავლებად დაიშალა — ვის სწავლის სურვილი გაეღვიძა, ვის მოგზაურობის, დანარჩენებმა კი ან დუმილი არჩიეს, ან პოლიტიკური გადასხვაფერება...

მიუხედავად მკაცრი განცხადებებისა, მიხეილ სააკაშვილი ქართველ მსხვილ ბიზნესმენებს ხვდება და ყველანაირ დახმარებასაც აღუთქვამს — არადა თუ თავად ნაციონალებისა და დემოკრატების წინასაარჩევნო კამპანიებს გავიხსენებთ, მათივე თქმით, საქართველოში პატიოსნად ფულის შოვნა და ბიზნესის კეთება არ შეიძლებოდა (ხავერდოვანი რეოლუციაც ხომ, გარკვეულწილად, სწორედ ამან განაპირობა). გამოდის, რომ მომავალი პრეზიდენტი გარანტიებს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულისთვის გასცემდა... თუმცა, მედალს ორი მხარე აქვს: თუ კაცს სახლის დანგრევისთვის დაიჭერ, სახლს ამით არაფერი ეშველება... ხომ არ სჯობს,ააშენებინო?

**ერთადერთი, რასაც დღეს აბაშიძისგან მოითხოვენ, გაჩერებაა. იგი არ უნდა შეეწინააღმდეგოს საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს — სასწრაფოდ უნდა აღდგეს კონსტიტუციური წესრიგი და ვითარება აჭარაში. ამისთვის მას თბილისი ყველანაირ საშუალებას აძლევს, ყველანაირ პირობას უქმნიან, რომ განაცხადოს — შევარდნაძის დროს იძულებული ვიყავი, მის კორუფციულ და უწესო რეჟიმს არ დავმორჩილებოდი, გამეყალბებინა არჩევნები, არ გადამეხადა ფული, რომელსაც სრულიად უწესრიგოდ და უყაირათოდ განკარგავდნენო და ა.შ. მაგრამ ხვალ ასეთი თავის მართლების შესაძლებლობა უკვე აღარ ექნება — როდესაც გაიმართება საპრეზიდენტო არჩევნები და ხელისუფლების ლეგიტიმაცია მისი მონაწილეობის გარეშე მოხდება.**

„ვარდების რევოლუციას“ სეპარატისტულად განწყობილი მხარეები საეჭვო დუმილით შეხვდნენ. დროებითი ხელისუფლების მიმართ არც ცხინვალს და არც სოხუმს ჯერჯერობით არანაირი რეაქცია არ გამოუმჟღავნებიათ — როგორც ჩანს, მოვლენათა განვითარება ამ მხრივაც ახალი მთავრობის გონივრულ პოლიტიკაზე იქნება დამოკიდებული...

„რევოლუციური საქართველოს“ აწმყოსა და მომავლის პერსპექტივებზე ვესაუბრებით პოლიტოლოგ **პაატა ზაქარეიშვილს**:

**— ალბათ დღესდღეობით საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი — ბათუმთან დაკავშირებული მოვლენებია. ხომ არ იმეორებს ახალი მთავრობა ძველის მიერ ნებსით თუ უნებლიეთ დაშვებულ შეცდომებს, როდესაც ასლან აბაშიძეს მოლაპარაკებებზე კვლავაც ბათუმში ეახლება? მით უმეტეს, რომ გასულ კვირას, აბაშიძის მიერ განხორციელებული სახელისუფლებო გადაადგილების შედეგად, აჭარაში სწორედ ის გარემოცვა დაწინაურდა, რომლის დეზინფორმაციასაც, რბილად რომ ვთქვათ, ჰბრალდებოდა აბაშიძის არაკონსტრუქციული ქმედება...**

— სწორედ იმის გამო, რომ ბათუმთან მოლაპარაკებაში ახალი ხელისუფლება მთელი ძალისხმევით ჩაერთო, ვერანაირად ვერ ვიტყვი, რომ ის შევარდნაძის რეჟიმის შეცდომებს იმეორებს. ბათუმში ჩავიდა ბურჯანაძე, უახლოეს მომავალში იქ ჩასვლას აპირებს ჟვანიაც, მოლაპარაკებებში ერთვება ამერიკის ელჩი... ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ თბილისი ბათუმის ხელისუფლების მიმართ არააგრესიულ პოზიციას იკავებს. ეს პოზიცია კი უფრო სახელმწიფოს კრიზისიდან გამოყვანის მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე დათმობად. ისიც უნდა ითქვას, რომ თუ აღორძინება არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, ამით არც ეროვნული ტრაგედია დატრიალდება და არც სახელმწიფოებრიობას დაემუქრება მომაკვდინებელი საფრთხე (ისევე, როგორც თავად არჩევნების ჩატარებას). თუ ვინმე იზარალებს, ისევ და ისევ ასლან აბაშიძე, რომელიც ასეთი საბედისწერო შეცდომის დაშვების შემთხვევაში, საბოლოოდ ამოვარდება საქართველოს საერთო სახელმწიფოებრივი კონტექსტიდან. ამოვარდება პირადად ასლან აბაშიძე და არა აჭარის მოსახლეობა, რომელიც ასეთ ნაბიჯს თავის მმართველს უკვე ნამდვილად არ აპატიებს. დღეს აბაშიძეს უკანასკნელი და უნიკალური შანსი ეძლევა, დათმოს თუნდაც ნახევარი, რათა მეორე ნახევარი შეინარჩუნოს. თუკი ის რუსეთის ნებას დაჰყვება და ეცდება, საქართველოს კონსტრუქციულ განვითარებას ხელი შეუშალოს, შევარდნაძის ბედს გაიზიარებს და ყველაფერს დაკარგავს... დღეს მას შეიძლება ყველაფერი ეპატიოს და, ელემენტარულად, მზეზე გამოვიდეს — რეალურად და ფაქტობრივად ლეგიტიმური გახდეს. მისგან ხომ არ მოითხოვენ იმავეს, რასაც შევარდნაძისგან მოითხოვდნენ — აღიაროს საკუთარი დანაშაულებრივი ქმედება, კორუფციისთვის ხელშეწყობა და საბოლოოდ, გადადგეს. ერთადერთი, რასაც დღეს აბაშიძისგან მოითხოვენ, გაჩერებაა. იგი არ უნდა შეეწინააღმდეგოს საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს — სასწრაფოდ უნდა აღდგეს კონსტიტუციური წესრიგი და ვითარება აჭარაში. ამისთვის მას თბილისი ყველანაირ საშუალებას აძლევს, ყველანაირ პირობას უქმნიან, რომ განაცხადოს — შევარდნაძის დროს იძულებული ვიყავი, მის კორუფციულ და უწესო რეჟიმს არ დავმორჩილებოდი, გამეყალბებინა არჩევნები, არ გადამეხადა ფული, რომელსაც სრულიად უწესრიგოდ და უყაირათოდ განკარგავდნენო და ა.შ. მაგრამ ხვალ ასეთი თავის მართლების შესაძლებლობა უკვე აღარ ექნება — როდესაც გაიმართება საპრეზიდენტო არჩევნები და ხელისუფლების ლეგიტიმაცია მისი მონაწილეობის გარეშე მოხდება.

სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ ესპანეთში ერთ-ერთ რეგიონს დღესაც ფრანკოს გენერალი მართავს. დემოკრატიული წრეები მას ვერ იტანენ, დასცინიან, აკრიტიკებენ... მაგრამ ოფიციალურად არ და ვერ ეხებიან, რადგან როდესაც ფრანკოს დიქტატურა დაემხო, მან ჭკუა იხმარა და კონსტიტუციურ ჩარჩოებს მოერგო. მოერგო არა თავისი, ან მადრიდის, არამედ პირველ რიგში მთელი ესპანეთის სასარგებლოდ. აბაშიძემაც დღეს გადაწყვეტილება სწორედ საქართველოს და არა — ნაციონალური მოძრაობის, სააკაშვილის, ჟვანიას ან ბურჯანაძის სასარგებლოდ უნდა მიიღოს. ეს ის შემთხვევა იქნება, როდესაც მისი პირადი და სახელმწიფო ინტერესები ერთმანეთს დაემთხვევა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით აბაშიძე რუსეთის სცენარის მიხედვით მოქმედებს — დღეს კი კრემლი ცდილობს, მსოფლიოს აჩვენოს, რომ ცენტრი, თბილისის ახალი ხელისუფლება, რეგიონებს ვერ მართავს, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გვერდით აჭარაც მოიაზრებოდეს... დარწმუნებული ვარ, ახალი ხელისუფლება, რეალობიდან გამომდინარე, იმაზეც დახუჭავს თვალს, თუ აბაშიძე საპარლამენტო არჩევნებში აჭარის ხმების 50%-ს მიიღებს. არა 99 და 120%-ს, როგორც ეს ადრე ხდებოდა, არამედ ნახევარს, რაც სრულიად საკმარისი იქნება იმისთვის, რომ მან ხელისუფლება შეინარჩუნოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელისუფლებო ცვლილებებთან ერთად აჭარის მოსახლეობის უკმაყოფილებაც აქტიურ ხასიათს იძენს, საბოლოოდ დავრწმუნდებით — რუსული პოლიტიკის განხორციელებით აბაშიძე საკუთარ თავს უფრო მეტად ვნებს, ვიდრე ახალ ხელისუფლებას.



**— ის, რაც გასულ კვირაში თბილისში ხდებოდა, ელემენტარული ლოგიკის მიხედვითაც კი, არ შეიძლება ყოფილი ხელისუფლების მოწყობილი იყოს. მომხდარი აფეთქებებიც, გასროლებიც, და რაიონების მიხედვით განხორციელებული სატელეფონო ტერორიც პროფესიონალების მიერ ზედმიწევნით კარგად დაგეგმილ და განხორციელებულ სადაზვერვო-სადივერსიო ოპერაციას უფრო ჰგავს, ვიდრე „რევანშს“. მოვლენათა განვითარების ჯაჭვი სწორედ იმის მიმანიშნებელია, რომ პროცესები უცხო ქვეყნის, კერძოდ კი, რუსეთის სპეცსამსახურებიდან იმართება.**

თუ ხელისუფლება და ხალხი საკითხებს გონივრულად, სახელმწიფოებრივად და ერთობლივად მიუდგებიან, საქართველოსთვის გადაუჭრელი პრობლემა, უბრალოდ, არ იარსებებს...

**— როდესაც რუსეთის ქმედებაზე და რეგიონების ცენტრთან დაპირისპირებაზე ვსაუბრობთ, ალბათ მომდევნო ეტაპი კრემლის ქმედებაში სამხრეთ საქართველო უნდა იყოს...**

— რეალური დასაყრდენი ძალა პოლიტიკური ლიდერების სახით მოსკოვს არც სამხრეთ საქართველოს არაქართულ მოსახლეობაში ჰყავს. აქ უკვე ყველაფერი ჩვენს გონივრულ ქმედებაზეა დამოკიდებული. მთავარია, ხალხს არ დავუპირისპირდეთ და ახალ საქართველოში სრულფასოვანი ცხოვრების გარანტიები მივცეთ. ნურავინ იფიქრებს, რომ კომპაქტურად დასახლებული სომხები პირად კეთილდღეობას შორეული კრემლის ინტერესებს ანაცვალებენ. გარდა ამისა, თბილისს საკმაოდ მოხერხებულად შეუძლია სამხრეთ რეგიონში ვითარების დასარეგულირებლად თავად სომხეთის ფაქტორიც გამოიყენოს, რომლის გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი გზაც საქართველოზე გადის... ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაშიც, ყველაფერი ისევ და ისევ საზოგადოებისა და ხელისუფლების კეთილგონივრულ, გათვლილ ქმედებაზეა დამოკიდებული. რუსეთმა უკვე ამოწურა თავისი რესურსები ამიერკავკასიაში და დროა, ამას მიხვდეს...

**— მაგრამ შემოდგომის ბუზი მწარედ იკბინებაო, ნათქვამია. არა მხოლოდ რეგიონებში, უკანასკნელ ხანს საკმაოდ გამწვავდა კრიმინოგენული ვითარება დედაქალაქშიც — ზოგნი ამას „რევანშისტებს“ უკავშირებენ, ზოგნი კი რუსეთის სპეცსამსახურებს...**

— ის, რაც გასულ კვირაში თბილისში ხდებოდა, ელემენტარული ლოგიკის მიხედვითაც კი, არ შეიძლება ყოფილი ხელისუფლების მოწყობილი იყოს. მომხდარი აფეთქებებიც, გასროლებიც, და რაიონების მიხედვით განხორციელებული სატელეფონო ტერორიც პროფესიონალების მიერ ზედმიწევნით კარგად დაგეგმილ და განხორციელებულ სადაზვერვო-სადივერსიო ოპერაციას უფრო ჰგავს, ვიდრე „რევანშს“. მოვლენათა განვითარების ჯაჭვი სწორედ იმის მიმანიშნებელია, რომ პროცესები უცხო ქვეყნის, კერძოდ კი, რუსეთის სპეცსამსახურებიდან იმართება. სროლები და აფეთქებები ხდება იმ პირების სიახლოვეს, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ შევარდნაძის რეჟიმთან — რათა პანიკასთან ერთად უნდობლობა გაჩნდეს ახალი ხელისუფლების მიმართაც. აფეთქებები უმსხვერპლოდ სრულდება, რადგან ახალ ხელისუფლებას არ მიეცეს დრო და შანსი, რუსეთის მტრის ხატის გამოცხადებისა, რაც გაცილებით უფრო იოლს გახდიდა მძიმე ზამთრისა და სოციალური გაჭირვების გადატანას მოსახლეობის მხრიდან. ზამთართან დაკავშირებით კი რუსეთს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი რჩება — ენერგეტიკული ბერკეტები. ასეთ შემთხვევაში კი, ვფიქრობ, ხელისუფლებამ ბიზნესი და პოლიტიკა მკაცრად უნდა გამიჯნოს. თუ ელექტროენერგია მართლაც გადაუხდელობის გამო გაითიშება, ამას პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არ ექნება. თუ ამას პოლიტიკური მიზანი ექნება, არც ეს დაიმალება, რადგან ახალ ხელისუფლებას აქვს შესაძლებლობა, ენერგეტიკასთან დაკავშირებული მაფიოზური კლანები აღკვეთოს. შესაბამისად, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა — ბიზნესსაც, თაღლითობასაც და პოლიტიკურ მიზნებსაც...

**— დროებით მთავრობაში მოსვლამდე რევოლუციის ლიდერები ხშირად ლაპარაკობდნენ კორუფციის მასშტაბებზე და ხალხს მის ალაგმვასაც აღუთქვამდნენ. დღეს კი ვიღაცას იჭერენ, ვიღაცას დახმარებას ჰპირდებიან... „თუ პირველ მილიონზე პასუხს მართლაც არ აგებენ?“**

— აქაც მკვეთრ გამიჯვნასთან გვაქვს საქმე, რომელსაც, ვფიქრობ, დროებითი მთავრობა უკვე აკეთებს კიდეც. თუ პიროვნების მიერ ნაშოვნი უზარმაზარი ქონება პირდაპირ კავშირშია მის თანამდებობასთან, ბუნებრივია, რისიმე პატიებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ჯერჯერობით ასეც ხდება. რაც შეეხება ბიზნესმენებს, რომელთაც მიხეილ სააკაშვილი შეხვდა — ასეთი გამოთქმა მართლაც არსებობს — პირველ მილიონზე პასუხს არ აგებენ. რადგან შეუძლებელია სოლიდური ფული ბიზნესში, ნებისმიერ ქვეყანაში აბსოლუტურად სუფთა და კრისტალურად პატიოსანი გზით იშოვო. მაგრამ, რა თქმა უნდა, სრულ ამნისტიაზე ლაპარაკი აქაც არ უნდა იყოს — როგორ გგონიათ, თუ ბიზნესმენს, რომელმაც ძველ ხელისუფლებასთან გარიგებით ბიზნესიააწყო, დღეს დაიჭერენ, ყველაფერი ავტომატურად, სარკისებურ რეჟიმში დაუბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას? ყველაფერი ხომ გაცილებით უფრო რთულად არის. ბევრად იოლი იქნება, თუ ამ ხალხისთვის ერთგვარ „პირობით სასჯელს“ შემოვიღებთ — ჩრდილოვან ბიზნესში ნაშოვნი ფული ისევ საქართველოში დააბრუნონ და საწარმოების ამუშავებას, ხალხის დასაქმებას მოახმარონ...

**— „ვარდების რევოლუციას“ აფხაზები საეჭვო დუმილით შეხვდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ მათ დანარჩენ საქართველოში მიმდინარე მოვლენები, უბრალოდ, აღარ აინტერესებთ, თუ მოვლენათა განვითარებას ელიან?**

— უკვე 22 ნოემბერს აფხაზეთიდან შვიდმა კაცმა მაინც დამირეკა — სხვათა შორის, საკმაოდ მაღალჩინოსანმა აფხაზებმა. ისინი შეშფოთებული იყვნენ თბილისში განვითარებული პროცესებით და აინტერესებდათ, თუ როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები — როგორც ჩანს, მათთვის ჩემი კომენტარი მისაღები და დამაჯერებელია. ჩვენი კავშირი ამ თემაზე შემდეგაც გაგრძელდა და უნდა გითხრათ, რომ ამ ხალხში შეშფოთებას თანდათან იმედი ჩაენაცვლა — მათ ნათლად დაინახეს, თუ როგორ აიტაცა მსოფლიომ თბილისის მშვიდობიანი რევოლუცია. ცნობილია, რომ არსებობს მიზანი და არსებობს მისი მიღწევის რესურსები. აფხაზებთან საკმაოდ დიდი ხნის და სერიოზული ურთიერთობა მაქვს, იქ არსებულ ვითარებასაც კარგად ვიცნობ. სრული დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ არასოდეს, მსოფლიოს არც ერთ კონფლიქტში არ არსებულა იმხელა რესურსი შესარიგებლად, რაც ამჟამად ჩვენსა და აფხაზებს შორისაა. რაც მთავარია, ჩვენს ხელისუფლებას აქვს 3-4 თვე დრო საიმისოდ, რომ სოხუმის მიმართ კარგად გათვლილი და გაანალიზებული პოზიცია შეიმუშაოს. მთავარია, ამ ურთიერთობაში ბოღმისა და შურისძიების ელემენტები აღარ იყოს — აღარ გაკეთდეს ისეთი განცხადებები, როგორიც წინა ხელისუფლების დროს კეთდებოდა — აფხაზეთის ომით დაბრუნებისა და სისხლის ღვრის შესახებ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ გერმანიისა და ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროების, ასევე დიდი ბრიტანეთის „შერიგების რესურსების“ ფონდის ორგანიზებით ხვალ ავსტრიაში, რევოლუციის შემდგომ, ქართველი და აფხაზი პოლიტიკოსების პირველი, არაოფიციალური შეხვედრა გაიმართება, რომელშიც მეც მივიღებ მონაწილეობას. ამ შეხვედრისთვის თავად აფხაზებმა გამოიჩინეს დაინტერესება — რათა „პირველი ხელიდან“ მიიღონ ინფორმაცია, თუ რა მოხდა სინამდვილეში საქართველოში. ამის შემდეგ კი მოსკოვში გადავინაცვლებ, სადაც ასევე აფხაზურ, ოღონდ უკვე არასამთავრობო ორგანიზაციას შევხვდები — მათი ინტერესიც ანალოგიურია — გაიგონ ახალი საქართველოს სურვილებისა და მისწრაფებების შესახებ. სწორედ ამიტომ ვამბობ, თუ ხელისუფლება და ხალხი საკითხებს გონივრულად, სახელმწიფოებრივად და ერთობლივად მიუდგებიან, საქართველოსთვის გადაუჭრელი პრობლემა, უბრალოდ, არ იარსებებს...

***დაჩი გრძელიშვილი***

CMYK

# 2.100-ლარიანი ნაძვის ხე და 1.073-იანი სანტა კლაუსი

ფეხაკრეფით მოიპარება ახალი წელი ჩვენს ქალაქში, თუმცა რაღა ფეხაკრეფით, საახალწლო „ასაფეთქებლების“ გამაყრუებელი ხმები უკვე გვჭრის ყურებს. თოვლს ჯერ არ გაუფითქინებია ნარევოლუციევი თბილისი, თუმცა იმედს არ ვკარგავთ, რომ ციდან ფანტელები მაინც ჩამოცვივა და თბილი ნაბადივით გადაეხურება ქალაქს. ჯერჯერობით კი საახალწლო განწყობას ქუჩაში გამოდგმული ულამაზესი ნაძვის ხეები გვიქმნიან. მათი დეფიციტი წელს თბილისის მაღაზიებში ნამდვილად არ იგრძნობა, მაგრამ თუ გსურთ, თქვენი ბავშვები ახალ წელს განსაკუთრებულად გაახაროთ,



550-ლარიანი ნაძვის ხე

საკმაოდ სოლიდური თანხის დახარჯვა მოგიწევთ. ზუსტი ფასების დასადგენად თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ სუპერმარკეტს ვეწვიეთ. არჩევანი დიდია, ფასები ძირითადად ზომების მიხედვით მერყეობს. ყურადღებას პირველ რიგში 3 მეტრი და 70 სანტიმეტრი სიმაღლის მწვანე ნაძვის ხე მიიპყრობს. იგი 2.100 ლარი ღირს, თუმცა მისი შეძენა სახლისთვის, ალბათ არც ღირს. თეთრი ნაძვის ხეების ფასი მწვანეს არ ჩამორჩება — 2 მეტრი და 30 სმ სიმაღლის თეთრი ნაძვის ხე 550 ლარად შეგიძლიათ შეიძინოთ, შედარებით დაბალი (1,8 მ) — 392 ლარად და ა.შ. ყველაზე პატარა, მაგიდაზე დასადგმელი ნაძვის ხის ფასი კი 75 ლარია. ხოლო იმავე სიმაღლის მოცეკვავე ნაძვის ხეში 145 ლარის გადახდა მოგიწევთ. ნაძვის ხეთა ამ შესანიშნავი „პლეადის“ გვერდით, შორეული ქვეყნიდან სტუმრად მოსული სანტა კლაუსებიც იწონებენ თავს. ახალ წელს სუპერმარკეტიდან წამოყვანილი სანტა კლაუსი 1.073(?!) ლარისა და 32 თეთრის გადახდის შემდეგ „მოგილოცავთ“. ეს სანტა კლაუსი 2-მეტრიანია. ამავე ზომის სანტა კლაუსს მეზობელ მარკეტში 850 ლარად შეიძენთ, საშუალო სიმაღლისა 450 ლარი და 95 თეთრი ღირს, ყველაზე „პატარა“ კი 161 ლარი. ქართულ თოვლის პაპას შედარებით იაფად — 147 ლარად შეიძენთ, თანაც მომღერალს. მოსართავი წვიმების ფასები 15-დან 2 ლარამდე მერყეობს. სათამაშოების ფასები კი 15 ლარიდან 60 თეთრამდე.

გაგიკვირდებათ, მაგრამ თუ ამდენი ფული არ გაქვთ და სუპერმარკეტის კომფორტულ მომსახურებასაც შეგიძლიათ შეელიოთ, მაშინ ვაგზლის მოედანზე ზუსტად იმავე ხარისხის ნაძვის ხეებს ორჯერ ნაკლებ ფასად შეიძენთ, თუმცა აქეთ-იქით სიარულში შესაძლოა სიცივისგან ცხვირი და კიდურები გაგეთოშოთ, ანუ კომფორტზე — უკაცრავად!..

ყველაზე ძვირიანი ნაძვის ხე იქ 260 ლარი ღირს (2,5 მ), ყველაზე პატარა, მაგიდაზე დასადგმელი კი — 10-დან 25 ლარამდე. შედარებით დაბალი ხარისხის 2,1 მ სიმაღლის — 50 ლარი ღირს, თუმცა მის შეძენას სჯობს უფრო პატარა, 35-ლარიანი ნაძვის ხე უყიდოთ თქვენს პატარებს. უფრო კოხტაც არის და შედარებით მყარი სადგარიც აქვს.

სათამაშოების არჩევანი ბაზრობაზე ჯერჯერობით მწირია, თუ ამან შეგაშინათ და სუპერმარკეტში 5,5 ლარად ნაყიდ ბურთულებს 1 ლარად წააწყდით, აღარ იწუწუნოთ.

რაც შეეხება, ბუნებრივ ნაძვის ხეებს, როგორც სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბატონმა მერაბ დვალმა გვითხრა, ორგანიზაციული საკითხების მოგვარება ვერ მოხერხდა და ამიტომ წელს ბუნებრივ ნაძვის ხეებს ოფიციალურად არ გამოიტანენ გასაყიდად. სატყეო დეპარტამენტს წარმომადგენლები უკვე გაგზავნილი ჰყავს რაჭა-ლეჩხუმში, სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელოში, რომ უკანონოდ არ მოიჭრას ნაძვის ხეები. ხოლო თუ ვინმე შეეცდება და მაინც გაჩეხს ამ მიზნით ფიჭვნარს, ამოღებული ნაძვის ხეები უსასყიდლოდ დაურიგდება სკოლებსა და საბავშვო ბაღებს.

**ნათია ცხოვრებაძე**




# — არა, არა, ჩემს შვილს ქუჩაში არ გავუშვებ... მე თვითონ ვიმათხოვრებ...



ქალმა ბევრი რამ უნდა იცოდეს...

სად არ შეხვდებით ქუჩის ბავშვებს — მდიდრული რესტორნების შესასვლელებთან, მეტროში, ვაგზლის მოედანზე, ბაზრობებთან... ისინი ობლები არ არიან... ზოგს ორივე მშობელი ჰყავს და სწორედ მათი დაძალებით გამოდის სამათხოვროდ. თუ გავითვალისწინებთ, რომ თითოეული ბავშვი დღეში 25-დან 35 ლარამდე თანხას აგროვებს, ცუდი მარჩენლები სულაც არ არიან...

ცოტა ხნის წინათ „კვირის პალიტრა“ ქუჩის ბავშვთა თავშესაფარს — „მომავლის სახლს“ — ეწვია. აქ პატარები ქუჩიდან მოჰყავთ. ისინი მშობლების გულგრილობის, უფრო სწორად, დანაშაულებრივი აზროვნების გამო აღმოჩნდნენ ქუჩაში... მეტსაც გეტყვით, ამ სახლში ცხოვრობს 9 წლის გოგონა, შორენა, რომელიც დედამ პურის საცხობში პროდუქტის ნაცვლად დატოვა „ზალოგში“ (ამას თვითონ ბავშვი იხსენებს)... ეს ქალი დღემდე ვერ იპოვეს. ვინ იცის, კიდევ რამდენი დამსხვრეული ბავშვობის თავშესაფრად იქცა „მომავლის სახლი“. ამ სახლის დირექტორი, ქალბატონი **ცირა ლანჩავა**, კარგად იცნობს ქუჩის ბავშვების პრობლემებს და მათი „მოქცევის“ სირთულეებს.

— ჩვენთან ურთულესი კონტინგენტი მოდის, — გვითხრა ქალბატონმა ცირამ, — სხვადასხვა ოჯახში აღზრდილი (თუ შეიძლება, ოჯახი ეწოდოს), სხვადასხვა ხასიათის, მერე კიდევ ქუჩისგან გაფუჭებული ბავშვების წესიერი ცხოვრებისკენ შემობრუნება იოლი საქმე არ არის. თავიდან უნდა დაიწყო მათი დანგრეული ფსიქიკის ჩამოყალიბება. ისე კი, ბევრი მათგანი ნიჭიერიცაა. არასოდეს არ ვაძლევ ბავშვს ქუჩაში ფულს, არც მივცემ... იმიტომ, რომ ვიცი, რას აკეთებენ იმ თანხით. ერთმა მითხრა — დღეში 25 ლარს ვშოულობდი, 15 შინ მიმქონდა, 10 კი მე მყოფნიდაო... ასეთები ტოქსიკომანები არიან, ფსიქოლოგიური და სექსუალური გადახრებიც აქვთ...

ბავშვებს ხშირად ვაწერინებთ თემებს. ერთმა ასეთი რამ დაწერა: „მე კარგი დედა ვიქნები. თუ ქმარი მომიკვდება, ისეთ კაცს გავყვები, რომელიც ჩემს შვილს არ სცემს. თუ გამიჭირდება და მათხოვრობით უნდა ვიცხოვრო, არა, არა, ჩემს შვილს ქუჩაში სამათხოვროდ არ გავუშვებ... მე ვიმათხოვრებ...“ სხვათა შორის, თხზულების ბოლოს ესეც ეწერა: „მიუხედავად იმისა, რომ დედამ ქუჩაში გამიშვა და ძალიან მწყდება გული... მე მაინც დედა ყველაზე მეტად მიყვარს. სამწუხაროდ, ეს ჩემი ცხოვრებაა“. ბიჭების ჩანაწერებში კი ვკითხულობთ: „თუ გავლოთდები, საერთოდ წავალ სახლიდან, შვილს ცხოვრებას არ დავუნგრევ“... ან „თუ გამიჭირდება, შვილს გარეთ არ გავუშვებ...“ მოკლედ, ეს პატარები მამების ლოთობამ, დედების უზნეობამ და გაჭირვებამ გამოდევნა ქუჩაში.

**— ასეთი მშობლები, ალბათ, წინააღმდეგობასაც გიწევენ...**

— ახლაც წაგვართვა შვილი ერთმა დედამ. სამჯერ დავიბრუნეთ ეს ბავშვი. გუშინწინ დაურეკავს, შენი ნათლია მოკვდა და წამოდიო... ამ ბავშვის დაც ჩვენთან იყო. შინიდან იმიტომ გამოიქცა, რომ მამინაცვალი შეურაცხყოფდა, დედა კი არ იცავდა. ერთ ბავშვს თითები ჰქონდა გაუცალკევებელი ხელზე (კანით გადაბმული). გავუკეთეთ ოპერაცია ერთ თითზე. დედამისი მოგვივარდა, გვეჩხუბა: რას შვრებით, ამ ხელით გვარჩენდაო. ბავშვიც ამბობდა, რომ ვეტყოდი მდიდარ კაცს, — ბიძია, ოპერაცია მაქვს გასაკეთებელიო, ზოგი 100 დოლარსაც კი მჩუქნიდაო... ეს ბავშვი დედამ მაინც წაგვართვა (მერე იგი შრომა-გასწორების კოლონიაში მოხვდა).

**— ალბათ ძნელია თავიდან მათთან საერთო ენის გამონახვა...**

— ერთხელ, როცა გაგვიჭირდა ბავშვთან კონტაქტის დამყარება (ის დოლს უკრავდა ქუჩაში) გამახსენდა, რომ ჩვენს დარაჯს ჰქონდა აკორდეონი. მოვატანინე. დავუჯექი გვერდით და ერთად დავუკარით... ყველაზე კარგი რეაბილიტაცია ხელოვნებაა. სკოლაში ვასწავლით სამეჯლისო ცეკვებს, ლექსებს. ჩვენთან ახალგაზრდა სპეციალისტები მოდიან საკუთარი სურვილით, ერთი მხატვრულ კითხვას ასწავლის, მეორე (სხვათა შორის, მწერალ რეზო ინანიშვილის შვილიშვილი) — ძერწვას. ვასწავლით სამოდელო ხელოვნებას, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კერვას, ორ აღსაზრდელს მზარეულობის კურსებზე ვატარებთ, სხვები საცირკო სასწავლებელში დაგვყავს, იურიდიულ კოლეჯშიც სწავლობენ... ერთი ბიჭი გვყავს — ნეფედოვი. რომ მოვიყვანეთ, რა არ გაგვიფუჭა: ტელევიზორი, რადიო, უთო... თუ სადმე რკინის ნივთს იპოვიდა, მოჰქონდა. თავიდან ვეწინააღმდეგებოდით, მერე ნებაზე მივუშვით... კარგი ელექტროხელოსანი დადგა. კომპიუტერსაც დაეუფლა და ახლა ვერცხლზე მომინანქრების ტექნიკას სწავლობს.

**— თქვენმა რამდენიმე აღსაზრდელმა უკვე ოჯახი შექმნა, მოდიან თქვენს სანახავად?**

— 4 გოგონა გათხოვდა. ამას წინათ ორი მათგანი გვეწვია, ხელში პატარა ბავშვებით. გაგვიხარდა „შვილიშვილების“ ნახვა... პატარებს ტანსაცმელი ვაჩუქეთ... ერთი წყვილიც აქვე დაქორწინდა. გადავწყვიტეთ, პაატა ბურჭულაძის ფონდიდან ბინა გვეყიდა მათთვის (უკვე შვილიც ჰყავთ). განათლების სამინისტრო დაგვპირდა, თუ ბინას უყიდით, ავეჯს ჩვენ ვაჩუქებთო... ერთი გოგონა რომ გათხოვდა, გავამზითვეთ. ეს ხომ მათი ოჯახია. ბავშვებს კეთილი მეგობრებიც გამოუჩნდნენ. ორი აღსაზრდელის სწავლის ხარჯებს ვანო ზოდელავა უზრუნველყოფს, ერთისას კი რეჟისორი ნანა ჯანელიძე.



„ჩვენი მზარეული“

„მომავლის სახლის“ მკვიდრნი დღეს სწავლობენ პატიოსნად ცხოვრების ანაბანას. ზოგი მათგანი 3-4 წლით უმცროსებთან ზის კლასში და დაკარგულ წლებს ინაზღაურებს. სამწუხაროა, რომ სახელმძღვანელოები თითქმის არა აქვთ და გაკვეთილების ხელით გადაწერა უხდებათ. მათი ცხოვრების ყოველი დღე დაუნდობელ წარსულთან ბრძოლაა. მთავარია, მცირე ყურადღება მაინც ვუწილადოთ, შევუწყოთ ხელი მათ ადამიანებად დაბრუნებას...

# პატარა „ამფეთქებლები“

თბილისში ბოლო დროს მომხდარმა ამბებმა საბოლოოდ აავსო საზოგადოების მოთმინების ფიალა. ნათქვამია, სიკვდილის მოლოდინი სიკვდილზე უარესიაო. არც აფეთქების მოლოდინია ნაკლებად საშინელი. რამდენიმე დღეში ასამდე შეტყობინება მივიდა უშიშროების სამსახურის ცხელ ხაზზე — რეკავდნენ ბინებიდან, ოფისებიდან. ყველა მათგანს ინკოგნიტო „კეთილისმყოფელმა“ აცნობა, — აფეთქება გელითო. ბოროტი ხუმრობა კია, მაგრამ ნერვიულობის საბაბი მაინც არსებობს და როცა ასეთ სიტუაციაში თუნდაც მცირე აფეთქების ხმა მოაღწევს ყურამდე, ცხადია, სერიოზულად შეშფოთდებით. მერე რა, რომ პატარა „ამფეთქებლები“ საახალწლო მაშხალებს აფეთქებენ! ვიდრე ამაში დარწმუნდებით, შეშინებას ნამდვილად მოასწრებთ. უფრო ემოციურები — გაკაპასებულნი ქოქოლას აყრიან ანცებს. ზოგს გული უხდება ცუდად.

ანცობაცაა და ანცობაც. ახალი წლის მოახლოებასთან ერთად ჩვენი გაზეთი ყოველთვის გახსენებთ, რა საშიშროებას შეიძლება ელოდოთ ამ ასაფეთქებლებისგან.

ამჯერად პატარა „ამფეთქებლებსა“ და მათ „რაინდობაზე“ გიამბობთ...

სკოლიდან შინ მიმავალი V კლასის მოსწავლეები სწორედ ბათქაბუთქით ერთობოდნენ. მოულოდნელად ერთმა ბიჭმა მეორეს კისერში ასაფეთქებელი ჩაუგდო. ბავშვმა კისრისა და ზურგის ნაწილის დამწვრობა მიიღო. იოლად გადარჩა, თუკი გავითვალისწინებთ, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, ასაფეთქებელი სახესთან ან თვალებთან ახლოს რომ აჰფეთქებოდა.



როგორც მოგვიანებით ამავე სკოლაში მითხრეს, ასეთი გართობა დღეს თბილისში „მოდაშია“. მაშხალებს მეგობრებსა და უცხოებს ფეხებთან უფეთქებენ, ერთმანეთს ჩანთაში ან ჯიბეში უგდებენ და ასე „მხიარულად“ ატარებენ დროს.

ცოტა ხნის წინ, ვარკეთილის მასივში ასეთი რამ მოხდა — 9 წლის ბიჭს თანატოლები „ეხუმრნენ“ და ყურთან ახლოს აუფეთქეს მაშხალა. ბავშვმა სერიოზული დაზიანება მიიღო და სმენა საგრძნობლად დაუქვეითდა ცალ ყურში. მოკლედ, საქმე არც ისე სახუმაროდაა.

— მარტო პედაგოგები რას გავხდებით, — გვითხრა ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა, — ვერც ასაფეთქებლების გაყიდვას ავკრძალავთ და ვერც მშობლებს ავუკრძალავთ, შვილებს ფული არ მისცენ. არადა ბავშვები, საუზმის ნაცვლად, ასაფეთქებლებს ყიდულობენ. ყოველდღე ვამოწმებთ ბიჭებს, ყურადღებას ვაქცევთ, მაგრამ სკოლის გარეთ რა მოხდება ვერავინ გიპასუხებთ...

პრობლემა მართლაც საყურადღებოა. ახალ წლამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა. მშობლებმა, პედაგოგებმა ერთად უნდა ვიპოვოთ გამოსავალი პატარა „ამფეთქებლების“ ჯანმრთელობის დასაცავად. იქნებ ღირს კიდეც ამ ასაფეთქებლების სავაჭრო ქსელიდან ამოღება?!

**ლელა ჯიყაშვილი**

# „ყველა გზა მამალაძისკენ მიდის“

## ოქროს გატანასთან დაკავშირებით დღის წესრიგში ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის შესწავლაც დგება

პოსტშევარდნაძისეულ საქართველოში ხმაურიანი საქმეების ჯერი დგება. იმის მიუხედავად, რომ მსხვილი ჩინოვნიკების მიზანში ამოღებით პროკურატურას პოლიტიკური შეკვეთების გატარებაში ადანაშაულებენ, ნუგზარ გაბრიჩიძის უწყებამ გასულ კვირას ერთდროულად სამი სკანდალური საქმე დადო მაგიდაზე: პროკურატურა ენერგეტიკის სფეროში არსებულ კორუფციაზე, ქართული ოქროს წარმოებაში გაფლანგულ მილიონებსა და კონტროლის პალატის დარღვევებზე ერთდროულად ალაპარაკდა.

რას ედავებიან სამართალდამცველები ამ უწყებებს? თბილისის პროკურატურის ინფორმაციით, დასრულებულია „ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური მენეჯერის, ნიკა ლომინაძის მკვლელობის გამოძიება. ეს საქმე ფულის ე. წ. გათეთრებას უკავშირდება, რასაც თანამდებობის პირები რამდენიმე ფირმის საშუალებით აკეთებდნენ. ამ გზით გათეთრებულია მიტაცებული 9 მილიონზე მეტი ლარი. არსებობს ვერსია, რომ ნიკა ლომინაძე პირველი იყო, ვინც ენერგეტიკის სფეროში არსებულ განუკითხაობას წინ აღუდგა, რაც მისთვის საბედისწეროდ დასრულდა.

ენერგეტიკის სფეროს მაღალჩინოსანთა განკითხვის ჟამი ამით არ დამთავრებულა. პროკურატურა ამ სფეროსთან კონტროლის პალატის ურთიერთობებსაც გადასწვდა. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის, ვალერი გრიგალაშვილის ინფორმაციით, პროკურატურამ შეამოწმა საბითუმო ბაზარი და სხვა უწყებები, რომლებიც ენერგეტიკის სფეროში მუშაობენ. აღმოჩნდა, რომ კონტროლის პალატის აქტებიდან ამოვარდნილია ასიათასობით ლარი. კონტროლის პალატა, როგორც ძირითადი მაკონტროლებელი ორგანო, ზოგ სახელმწიფო უწყებაში არსებულ დარღვევებს შეგნებულად ჩქმალავდა და პროკურატურისათვის გადაცემულ მასალათა უმრავლესობა უხარისხოა, რისთვისაც კონტროლის პალატის მაღალჩინოსნების პასუხისგებაში მიცემის საკითხი დღის წესრიგში დგება, — აცხადებს გრიგალაშვილი. განხორციელებულ იერიშს კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი წმინდა წყლის პოლიტიკურ აქტად აღიქვამს და მის მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე ლაპარაკობს... „ნინო ბურჯანაძის დავალებით, საქართველოს პარლამენტმა შეამოწმა კონტროლის პალატის მუშაობა, რის შემდეგაც გაკეთდა დასკვნა, რომ კონტროლის პალატის საქმიანობა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ამაზე ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციისა და ექსპერტის ჩვენ მიმართ დამოკიდებულებაც მეტყველებს. ასე რომ, ყოველგვარ დარღვევებზე ლაპარაკი ზედმეტია“, — ამბობს კონტროლის პალატის ხელმძღვანელი, თუმცა არაორაზროვნად იმასაც აცხადებს, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ არ უთქვამს და თუ მის წინააღმდეგ პოლიტიკური დევნა ისევ გაგრძელდება, უახლოეს დღეებში უფრო სერიოზულ კომპრომატებს ააფრიალებს(?!).

ახლა რაც შეეხება ქართული ოქროს გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს, ამ სფეროში არსებული კორუფციის მხილებით დღევანდელი პროკურატურის მამები პირველობას ვერ დაიკვეხნიან. ოქროს ბიზნესში არსებულ კორუფციაზე შტურმი ჯერ კიდევ ჯამლეთ ბაბილაშვილის დროინდელმა გენპროკურატურამ მიიტანა.

ცოტა რამ უახლესი ისტორიიდან: ჯამლეთ ბაბილაშვილის (მთავრობის სხდომაზე) განცხადებით, „დაიწყო კორუფციასთან ბრძოლა სრული დატვირთვით...

1999 წელს „კვარციტმა“ „მადნეულისგან“ მიიღო 1,4 მილიონი ტონა მადანი. ლაბორატორიული ანალიზით ერთ ტონა მადანში ოქროს შემადგენლობამ შეადგინა 2,26 გრამი. აქედან გამომდინარე, მიღებული მადნიდან უნდა ამოკრებილიყო 3.164 კგ ოქრო. ფაქტობრივად, ამოკრებილია 1.587 კგ(?!) ოქრო“... ერთი სიტყვით, ტონა-ნახევარი ოქრო მხოლოდ ერთი ოპერაციის დროს ქრება. თუმცა, ბაბილაშვილის ინფორმაციით, ოქროს წარმოებაში მხოლოდ ოქრო არ იკარგება. არასწორად იხარჯება ფინანსებიც: „მოკვლეული მასალებიდან ჩანს, რომ 1999 წელს ოთხჯერ, „კვარციტიდან“ ბოლნისის რაიონის გამგებლის მისამართით



ფიქტიურად გაცემულია 27,3 ათასი ლარი. „კვარციტის“ სალაროდან „მადნეულის“ წერილის საფუძველზე კომპანია „ბექ ვინდისთვის“ 1999 წლის ოქტომბერში, 4 ეტაპად გაცემულია 95,4 ათასი ლარი, როგორც დიზელის საწვავის ღირებულება. არადა, საწვავი საერთოდ არ მიუღიათ...“ ბევრს აღარ გავაგრძელებთ, მაშინდელი კონტროლის პალატის მიერ აღმოჩენილმა დარღვევებმა 20 ტომი შეადგინა და... კორუფციასთან ბრძოლაც დამთავრდა(?!). ამასთან, სრულიად მოულოდნელი გაგრძელებით, თანამდებობა იმ უწყების ხელმძღვანელმა დატოვა, რომელმაც 20-ტომიანი საქმე მოიძია — კონტროლის პალატის მაშინდელმა თავმჯდომარემ, რევაზ შავიშვილმა №1 მაკონტროლებლის სავარძელი 2000 წლის მაისში დატოვა. „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას რევაზ შავიშვილი კონტროლის პალატის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის კომენტირებისგან თავს იკავებს. იგი ამბობს, რომ პროკურატურა მისდროინდელი პალატის საქმიანობით არ არის დაკავებული და ამ თემაზე მას არავინ აწუხებს.

**— გამოძიებას აქვს არა მხოლოდ ინფორმაცია, არამედ სერიოზული მტკიცებულებები, რომ ოქროს საქმის უკან მამალაძის ფიგურა დგას. ლობჟანიძე დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე კი არის, მაგრამ იგი მხოლოდ და მხოლოდ მამალაძის ერთ-ერთი წარმომადგენელია. სინამდვილეში, ოქროს მაქინაციები უფრო დიდი „კრიშების“ ხელშეწყობით კეთდებოდა. ყველა გზა მამალაძისკენ მიდის...**

ასე დამთავრდა მაშინდელი სკანდალი. არც ხელისუფლება და არც პროკურატურა ოქროს ციებ-ცხელებით ატეხილ აჟიოტაჟს ბოლომდე არ მიჰყვა და დუმილი ამჯობინა. დუმილიც ოქროა, მაგრამ გაჩუმებას ოქროს ბიზნესში კიდევ უფრო მეტი განუკითხაობა მოჰყვა. სამწლიანი დუმილის შემდეგ დღეს პროკურატურა ისევ ალაპარაკდა, რომ თურმე ტონობით ოქრო საქართველოსთვის სამუდამოდ არის დაკარგული.

აღუდგენს თუ არა პროკურატურა საკუთარ თავს მრავალგზის შებღალულ იმიჯს და შეძლებს თუ არა საქმის ბოლომდე მიყვანას (რისი გაკეთება ადრეც შეეძლო)?

„კვირის პალიტრამ“ ამ კითხვით თბილისის პროკურატურას მიმართა.

**ვალერი გრიგალაშვილი,** თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი:

— 8 თვეა, რაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე. ამ 8 თვის განმავლობაში ყველა მაგ კითხვას მისვამს, მაგრამ ყველაფერს დრო სჭირდება. ამ ხნის განმავლობაში დავაკავეთ თაღლითების ჯგუფი, რომელსაც 10 მილიონი ლარი ჰქონდა გატაცებული ენერგეტიკიდან. დამთავრდა გამოძიება, საქმე სასამართლოს გადავეცით. შემდეგ შევამოწმეთ საბითუმო ბაზარი. გამოვლინდა, რომ მილიონობით თანხაა დატაცებული. ამაზე ცალკე წარმოებით არის გამოყოფილი საქმე. ყველაფერი ეს დაიწყო არა დღეს, არამედ აპრილის თვიდან. იმ პერიოდშივე ამოტივტივდა ოქროს საქმე. გაირკვა, რომ ოქრო შენახული ყოფილა თი-ბი-სი ბანკში.

**— რა ოდენობის ოქროზეა ლაპარაკი?**

— 600 კილოგრამზე. როცა ბანკში მოსამართლის ბრძანებით შევედით, არ გაგვიმხილეს ოქროს პატრონის ვინაობა, კომერციული საიდუმლოება დაიცვეს. 9 დეკემბერს გვითხრეს, დააკონკრეტეთ, რომელს ითხოვთო და ამასობაში ეს ოქრო გაატანინეს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, ლობჟანიძის წარმომადგენელს.

**— ვინ არის ეს კაცი და სად წაიღო ოქრო?**

— ახლა ვეძებთ იმ პირს და მის ვინაობას ამ ეტაპზე არ დავასახელებთ. ვიცით ოქროს ადგილმდებარეობაც, ერთ-ერთი კომერციული ბანკის საცავშია, საიდანაც წამოვიღებთ და ეროვნულ ბანკში შევინახავთ. შემდეგ ჩატარდება რევიზიები, ექსპერტიზა, გაირკვევა ამ ოქროს წარმომავლობა. სად მიდიოდა და როგორ მიდიოდა. რომ ამბობენ, კომერციული სტრუქტურა ვართ და სადაც გვინდა, იქ წავიღებთო, ასე არ არის. იქ მნიშვნელოვანი წილი სახელმწიფოს კუთვნილი ქონებაა. ამათ კი ბიუჯეტში არაფერი შეაქვთ. ახლა გაირკვევა, რამდენი ეკუთვნოდა ბიუჯეტს. ადრეც ხომ აქვთ გატანილი...

**— რამდენია გატანილი?**

— საქმე გამოძიების პროცესშია და ზუსტ რაოდენობას ვერ გეტყვით, მაგრამ ტონობით ოქროა გატანილი.

**— სად გადის ეს ოქრო?**

— ინგლისში, სადაც მისი მეორადი დამუშავება ხდება („კვირის პალიტრა“ ამ ოპერაციებზე თავის დროზე დაწვრილებით საუბრობდა. იხ. №31, №32, №33 — დ.დ.).

**— პროკურატურამ ახსენა ზურაბ ლობჟანიძე. ლევან მამალაძის გვარი თუ ფიგურირებს ამ საქმეში?**

— გამოძიებას აქვს არა მხოლოდ ინფორმაცია, არამედ სერიოზული მტკიცებულებები, რომ ოქროს საქმის უკან მამალაძის ფიგურა დგას. ლობჟანიძე დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე კი არის, მაგრამ იგი მხოლოდ და მხოლოდ მამალაძის ერთ-ერთი წარმომადგენელია. სინამდვილეში, ოქროს მაქინაციები უფრო დიდი „კრიშების“ ხელშეწყობით კეთდებოდა. ყველა გზა მამალაძისკენ მიდის...

კულუარული ინფორმაციით, კონტროლის პალატის საკითხთან ერთად პროკურატურამ შეიძლება ფინანსთა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელების საქმის შესწავლაც დაიწყოს. საქმე ის არის, რომ ფინანსთა სამინისტროს სპეციალური ნებართვის გარეშე ოქროს გატანა საქართველოს საზღვრებს გარეთ შეუძლებელია. „კვირის პალიტრა“ ბოლნისიდან წამოსული ოქროს მარშრუტით დაინტერესდა და აი, რა ირკვევა: ჩამოსხმული ოქრო ვერ დატოვებს საქართველოს საზღვარს მანამ, სანამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სპეციალური სამსახური არ აიღებს სინჯებს ზოდში ოქროს შემცველობისა და ოქროს საერთო რაოდენობის დასადგენად. ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე ოქროს ზოდები ვერ გადალახავს საქართველოს საბაჟოს. ოქრო იგზავნება დიდ ბრიტანეთში, ფირმა „ჯონსონს მეთიუში“, რომელიც ოქროს მიღებისთანავე იღებს ახალ სინჯებს და ახდენს ოქროს აფინაჟს (აფინაჟის დროს ხდება დორე ოქროს გაწმენდა და ზოდში ოქროს შემცველობის აყვანა 99.999%-მდე). კონტრაქტის თანახმად, აფინაჟის შედეგად გამოყოფილი ვერცხლი გაწეული სამსახურის საფასურად ინგლისურ მხარეს რჩება. ყველა ამ ოპერაციის ჩატარების შემდეგ ოქროს შეისყიდის „მაქვორი ბანკი“, ლონდონის ძვირფასი ლითონების ბირჟაზე დაფიქსირებულ კურსზე 12,5 დოლარით ნაკლებ ფასად. ეს პირობები განსაზღვრულია „მაქვორი ბანკთან“ გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებით, რომელსაც „ბოლნისი მაინინგთან“ ერთად ხელს აწერენ „მადნეულის“ წარმომადგენლები.

ამ ხელშეკრულებით, საქართველოში უნდა გადმორიცხულიყო ოქროს მოპოვებაში სახელმწიფო წილის რაოდენობა, ანუ მთლიანი ოქროს ღირებულების 50 პროცენტი. ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ოქროს კომერციას არნახული მოგება უნდა მოეტანა, მაგრამ ტონობით ძვირფასი ლითონი ისე გავიდა საქართველოდან, ქვეყნის ბიუჯეტს ეს არც კი უგრძნია.

P. S. ენერგეტიკის სფეროსა და ოქროს ბიზნესში არსებულ კორუფციაზე საუბრისას მხოლოდ დამნაშავე პირების დასჯა ვინმეს თვითმიზანს არ უნდა წარმოადგენდეს. იმედია, ამიერიდან სახელმწიფო თვითონვე მოიხმარს საკუთარ სიმდიდრეს და საქართველო ულატაკესი ქვეყნების სიას თავს დააღწევს.

***დავით დევიძე***

# მერაბ ჟორდანიას გაათავისუფლებენ?!

## „ჩვენ მზად ვართ, ეს თანხა ჩავრიცხოთ ბიუჯეტში“



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია პირველი მაღალჩინოსანია, რომელიც მე-5 იზოლატორის გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. მოგეხსენებათ, გენპროკურატურა ჟორდანიას ძველ „ცოდვებს“ უხსენებს და „დინამოს დროინდელი“ მოღვაწეობისას გადასახადების გადაუხდელობას ედავება. ქართული ფეხბურთის თავკაცს 741 ათასი ლარის დამალვა ედება ბრალად. ჟორდანია ხუთშაბათს აეროპორტში პირდაპირ თვითმფრინავის ტრაპიდან აიყვანეს.

მაკა ასათიანი აცხადებს, რომ ჟორდანია არსად არ აპირებდა წასვლას და აეროპორტში მისი დისშვილისა და დედის გასაცილებლად იყო მისული. თუმცა, სულ სხვა ინფორმაციას ავრცელებს შსს-ს ახალი მინისტრი, რომლის განცხადებით, ჟორდანიას ბილეთი აღებული ჰქონდა და საქართველოდან წასვლას აპირებდა.

ასეა თუ ისე, ჟორდანიას უკან ყოფილი თუ მოქმედ ფეხბურთელთა მთელი ელიტა დგას, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტის დაკავების ფაქტს აშკარად უარყოფითად შეხვდა.

ცნობილი სპორტსმენების პროტესტის მიუხედავად, სასამართლომ ჟორდანიას 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა.

„კვირის პალიტრასთან“ საუბრისას გენპროკურორის პირველი მოადგილე **გია ჯიჯიძე** აცხადებს, მის წინააღმდეგ საქმე ჯერ კიდევ 2000 წელს აღიძრა, მაგრამ, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ამ მასალებს მტვერი ედებოდა.

*(გაგრძელება იხ. გვ. 34)*

# „ღობე-ყორეს ედება, რომ სიმართლე არ თქვას“

## პროკურატურის გამომძიებელს ქარმა მოწმეთა ახსნა-განმარტებები მოსტაცა(?!)

გადადგომიდან რამდენიმე საათის შემდეგ საქართველოს გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ, ბადრი ბიწაძემ, ერთი შეხედვით, სენსაციური განცხადება გააკეთა. მან განაცხადა: „პროკურატურაში დანერგილია პრაქტიკა, როცა ზემდგომის დავალებით პროკურატურის გამომძიებლებმა იციან, რომელი საქმე უნდა გამოიძიონ და რომელ ჩინოვნიკს ამოუყარონ კორუფციაში მამხილებელი მასალები; ან რომელი სისხლის სამართლის საქმე არ უნდა გამოიძიონ და გამოძიება ხელოვნურად ჩიხში მოაქციონ. ზოგჯერ, როდესაც დანაშაული მომხდარია და მასში გარეულია „ხელშეუხებელი“ პიროვნება, საქმე პროკურატურაშივე „კვდება“...“ წლების განმავლობაში ბადრი ბიწაძე პროკურატურის ორგანოებში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა და ეს განცხადება წინა წლებში ან თუნდაც ა/წ ნოემბრის დასაწყისში რომ გაეკეთებინა, სულ სხვა ეფექტი ექნებოდა, თუმცა ეს სხვა თემაა... დღეს ერთ მეტად საინტერესო და ამასთანავე პროკურორების მიერ დანაშაულის მიჩქმალვის მცდელობაზე მოგითხრობთ.

სწორედ მსგავსი ფაქტის არსებობის შესახებ შემთხვევით გავიგეთ საქართველოს უზენაეს სასამართლოში, სადაც საბრალდებო სკამზე სენაკის რაიონის პროკურატურის ყოფილი გამომძიებელი დავით ჯანაშია ზის და მას ბრალად ედება მომხდარი ავტოკატასტროფის საგამოძიებო მასალების შეგნებულად გაყალბება, რომელიც (როგორც ირკვევა) მან სენაკის და აბაშის რაიონების მაშინდელი პროკურორების თხოვნით ჩაიდინა (ორივე პროკურორი ამჟამად დაწინაურებულია (?!) — ზ. ჩ.).

ჩვენ დავუკავშირდით ავტოკატასტროფაში დაზარალებული მხარის ინტერესების დამცველს, ადვოკატ **როლანდ შონიას**, რომელმაც ამ საქმეში უფრო ღრმად ჩაიხედა. მისი თქმით: — დავით ჯანაშია ან აიძულეს, ან სთხოვეს მისმა ზემდგომებმა, სისხლის სამართლის ერთ-ერთი საქმე ისე წარმოეჩინა, რომ საფუძველი ჰქონოდათ მომხდარ დანაშაულზე საქმის აღუძვრელობის დადგენილება გამოეტანათ. ჯანაშიამ დავალება პირნათლად შეასრულა, მაგრამ დაზარალებულებმა ასეთი უსამართლობა ვერ აიტანეს და თვითონვე დაიწყეს დანაშაულის გამოძიება. ამ საქმეში მეც ჩავერთე. უკვე აშკარაა, რომ ჯანაშიას საქმის გაყალბება სთხოვეს ჯერ აბაშისა და მერე სენაკის რაიონის პროკურორმა, რომელთა დანაშაულის დამტკიცებასაც მე ახლა ვცდილობ უზენაეს სასამართლოში. იმედი მაქვს, ყველა ის პროკურორი დაისჯება, რომლებმაც ჯანაშიას საქმე გააყალბებინეს, ახლა კი საციხედაც იმეტებენ, ოღონდ კი თავი გადაირჩინონ. ალბათ მას საქმის ჩაწყობას დაჰპირდნენ სასამართლოში და ისიც ტყუვდება. ჩემი ვარაუდით, პროკურორებმა არ მაპატიეს მათი კანონდარღვევაში მხილების მცდელობა და ჩემთვის ჭკუის სწავლება გადაწყვიტეს.

**— იქნებ დაგვიკონკრეტოთ, ჭკუის სწავლებაში რას გულისხმობთ?**

— რამდენიმე დღის წინ, ქალაქ აბაშაში, ჩემს ოჯახს ავტომატებით შეიარაღებული ოთხი ნიღბიანი ყაჩაღი დაესხა თავს. თავდასხმა 5 დეკემბერს, დაახლოებით საღამოს 11 საათზე მოხდა. იმ დროს მე თბილისში გახლდით მივლინებით და შინ დედ-მამა, ცოლ-შვილი და ჩემი და იმყოფებოდნენ. ყაჩაღებმა სახლში შეჭრისთანავე ყველა გაკოჭეს. მამაჩემს, ინვალიდ კაცს, რამდენჯერმე ავტომატის კონდახი უთავაზეს და კბილები ჩაუმსხვრიეს, მერე კი საქმეზე გადავიდნენ და ფული და ოქრო მოითხოვეს. ქალებმა ბანდიტებს სამკაულები მისცეს, მაგრამ ყაჩაღები ფულსაც ითხოვდნენ. გამოსატეხად უთოც ჩართეს. სანამ იგი გახურდებოდა, ორმა ყაჩაღმა სახლის ჩხრეკა დაიწყო და რამდენიმე წამში მიაგნეს მაგიდის უჯრაში ოთხი ათას დოლარს. მერე ნადავლს ვიდეოც დაუმატეს და გამომშვიდობებისას დედაჩემსა და მეუღლეს „შეწუხებულებმა“ უთხრეს — ნამდვილად არ ვიკადრებდით ადვოკატის ოჯახზე თავდასხმას, მაგრამ შეკვეთა გვქონდა და აუცილებლად უნდა გაძარცვულიყავითო... მაეჭვებს ის ფაქტი, რომ ყაჩაღები ხისკონდახიანი ავტომატებით იყვნენ შეიარაღებული. ყაჩაღები კონდახიან ავტომატს არ ხმარობენ, მოუხერხებელია მისი სიგრძის გამო. ასეთი იარაღი მხოლოდ პოლიციელებსა და პარტიზანებს აქვთ.

იშვიათია შემთხვევა, როდესაც შავი სამყაროს წარმომადგენლებისგან ვინმემ გაბედოს და ადვოკატს ან მისი ოჯახის წევრებს რამე აკადროს, დამნაშავეთა სამყაროს ადვოკატებისათვის ხელშეუხებლობის უსიტყვო გარანტია აქვთ მიცემული. მაშ, რა მოხდა? ვინ გავამწარე ჩემი ქმედებით ისე, რომ ჩემი ოჯახის წევრებს დაუთოებაც კი დაუპირეს? როგორც გაირკვა, მიზეზი ყაჩაღების სიხარბეში კი არა, სხვაგან უნდა ვეძებო...

მაინც რა დანაშაული მოხდა ისეთი, რომ აბაშისა და სენაკის პროკურორებმა გამომძიებელ დავით ჯანაშიას საბუთების გაყალბება და დანაშაულის დაფარვა სთხოვეს?

2001 წლის 1-ელ ივლისს აბაშის რაიონში მომხდარ ავტოკატასტროფას სამი მოზარდის სიცოცხლე შეეწირა. ამ საქმეს **დავით ჯანაშია** იძიებდა. იმ დღეს აბაშის №1 სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები სკოლის დამთავრების აღსანიშნავად ბანკეტს მართავდნენ სოფელ წყემში. ბავშვებმა მშობლებთან ერთად დათქმულ დროს თავი მოიყარეს და ავტომანქანებით წყემისკენ აიღეს გეზი. მალე მათ ავტოკოლონას წამოეწია BMW, რომელსაც აბაშის პოლიციის თანამშრომელი დიმა ცანავა მართავდა. იგი ნასვამი იყო და როგორც გამოძიების მასალებიდან ირკვევა, მიმავალ ავტოკოლონას ნამდვილი რბოლა გაუმართა.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*

*როგორც ჩანს, რევოლუციურ საქართველოში სოციალისტური ვარდის დრო წავიდა. სოციალისტთა ლიდერი პოლიტიკისგან განზე დგება და სულის ცხონებაზე ფიქრს იწყებს.*

*მომავალ კვირას ვახტანგ რჩეულიშვილი თავის მოძღვარსა და მეუღლესთან ერთად წმინდა ადგილების მოსალოცად აპირებს გამგზავრებას. ამ არეულ დროს პოლიტიკოსს რომ სულიერი განწმენდის სურვილი მოეძალება, ამაზე კარგი რა უნდა იყოს, თუმცა შესაძლოა რჩეულიშვილის გულწრფელობაში სამართალდამცველებმა ეჭვი შეიტანონ და გამგზავრებაში ხელი შეუშალონ. რატომ მიდის* ***ვახტანგ რჩეულიშვილი*** *პოლიტიკიდან? სწორედ ამ კითხვით დავიწყეთ სოციალისტთა ლიდერთან საუბარი:*

# „ტრაპზე ასვლის არ მეშინია“

## „შესაძლოა, სააკაშვილმა და შევარდნაძემ ნობელის პრემიაც მიიღონ“



— დღეს პოლიტიკაში გონივრულ განსჯას ემოციური ნაბიჯები სჭარბობს. ხალხი რევოლუციის შედეგებით აღტაცებულია, ამიტომ ის არგუმენტები, რომ ხელისუფლება ლეგიტიმურად უნდა შეცვლილიყო და არა რევოლუციის გზით, მას არ აინტერესებს. ის, რომ საქართველოში ვერც ერთმა პრეზიდენტმა ვერ მიიყვანა საპრეზიდენტო ვადა ბოლომდე, მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანას რაღაც სჭირს. რაკი ხალხთან დღეს გონივრული ლაპარაკი არ ჭრის, ან კონტრრევოლუცია უნდა მოაწყო კაცმა, რისი სურვილიც არ მაქვს, ან უნდა გაერიდო ამ სიტუაციას. მე უკანასკნელი ავირჩიე. მით უმეტეს, სამეულთან, რომელიც დღეს ქვეყანას მართავს, დაძაბული ურთიერთობა მაქვს. 7 წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, მათი ოპოზიცია ვიყავი და ბრძოლა ჟვანიას გუნდთან მიწევდა. დღეს ის ხალხია ხელისუფლებაში, რომელიც აქამდეც მართავდა ქვეყანას, მაგრამ სააკაშვილის სახით გმირი გაჩნდა, რომელმაც შეუძლებელი შეძლო. არ მინდა ხალხის აღფრთოვანებას დავუპირისპირდე. ადამიანი იმედით ცხოვრობს, დღეს ხალხს სჯერა, რომ საქმე უკეთესობისკენ წავა და მე გამოვიდე და ვიძახო, — არაფერი შეიცვლება, ოპოზიციის ლიდერები გატყუებენ-მეთქი?

ველოდები რევოლუციური პერიოდის ჩავლას, ღმერთმა ქნას, რაღაც გამოუვიდეს ახალ ხელისუფლებას. მე რომ არ მჯერა მათი, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვერაფერს გააკეთებენ. სააკაშვილმა შესაძლოა მართლა შეაშინოს ეს კორუმპირებული ხალხი. მან შეიძლება მართლაც შეძლოს რამე, მაგრამ გონივრული ნაბიჯების გადადგმას სიბრძნე სჭირდება. რევოლუციონერი სააკაშვილი ვნახეთ, მაგრამ ჩვენ ზვიადიც გვყავს ნანახი, თუმცა ზვიადი მარტო იყო. თუ მიშა სააკაშვილს ამერიკა გვერდით დაუდგება და კონსულტანტებს დაახმარს, შესაძლოა, მართლაც შეძლოს ამ კაცმა საქმის გაკეთება.

თანაც, როგორც წესი, ნებისმიერ ტრიუმვირატში, ადრე თუ გვიან, უთუოდ ხდება ძალაუფლების გაყოფის გამო სერიოზული დაპირისპირება. ჟვანიას კი ვიცი, ძალაუფლება ძალიან უყვარს — ისინი უთუოდ წაეკიდებიან ერთმანეთს და ასეთ ვითარებაში პოლიტიკაში ჩემს ადგილს ვერ ვხედავ... ამიტომ სჯობს, ხალხი ჩემით დავასვენო და მეც დავისვენო. 1-ელ იანვარს 50 წლის ვხდები, მთელი ცხოვრება სულ ვიბრძოდი. არ მეკუთვნის დასვენება? ისეთი ვითარებაა, რომ იტყვიან, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო. დღეს უშიშროება ოფიციალურად აცხადებს — პოლიტიკურ ლიდერებზე ნადირობა გამოცხადდაო... ამის ფაქტები არაერთია, ჩემი მეუღლის ოფისის მინები ჩაამსხვრიეს, ჩემს სახლთან ახლოს, „მაგთის“ ოფისში აფეთქება მოხდა და ამ დროს კი სახელმწიფო დაცვის სამსახური დაცვას მიხსნის... რა უნდა ველაპარაკო ამ ხალხს, როდესაც თვითონაც იყვნენ ოპოზიციაში, სახელმწიფო დაცვა ჟვანიასაც იცავდა, ნინოსაც და მიშასაც. გიგი წერეთელსაც კი, რომელსაც არავინ ერჩის, დაცვა დაუნიშნეს. მე კი ასეთ არეულ ვითარებაში მომიხსნეს.

განზე კიდევ იმიტომაც გავდექი, რომ არ მინდა ჩემ გამო სოციალისტურ პარტიას დაუწყონ დევნა. ჩემები 7 წელი ოპოზიციაში იყვნენ და იმის გამო, რომ 1 წელი შევარდნაძესთან მქონდა ალიანსი, დარტყმა არ უნდა განიცადოს პარტიამ.

**— გასაგებია, რომ პოლიტიკიდან მიდიხართ, მაგრამ რას გააკეთებთ?**

— როგორც პოლიტოლოგს, მაინტერესებს, როგორ გაგრძელდება შევარდნაძე-ალიევის გეოპოლიტიკური პროექტები „ტრასეკა“ და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“ და მოვამზადებ მონოგრაფიას შევარდნაძე-ალიევის მემკვიდრეობაზე. საქმე იმდენი მაქვს, იმას ვფიქრობ, როგორ გავწვდები-მეთქი.

**— იერუსალიმში როდის აპირებთ გამგზავრებას?**

— ორშაბათს...

**— არ გეშინიათ, რომ თქვენც აგიყვანენ თვითმფრინავის ტრაპთან?**

— ტრაპზე ასვლის არ მეშინია, მე ვერ ამიყვანენ, იმიტომ, რომ ვერაფერზე მომედავებიან. 1995 წლიდან რაიმე თანამდებობაზე არ ვყოფილვარ. რაიმე კრედიტი კი ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც არ ამიღია. შეუძლებელია, რამეში მომედავონ იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება სუფთა ხელებით გამოვიარე... შესაძლოა მომკლან, თორემ ვერავინ ვერაფერში დამდებს ბრალს.

**— „ცენტრ-პოინტის“ გამო არ მოგედავებიან ან იმ ჰესებს არ ჩამოგართმევენ, რომლებზეც უწინაც გედავებოდნენ?**

— თუ რამის ჩამორთმევა უნდათ, ხელს მაინც ვერაფრით შევუშლი. თუმც საქმეში უთუოდ ჩავრთავ ადვოკატებს. იქნება, როგორ არ იქნება ჩემზე შეტევა, მაგრამ ამასაც გავუძლებ როგორმე.

**— ანუ ახალ ხელისუფლებასთან მხოლოდ იურისტების მეშვეობით აპირებთ დიალოგს?**

— მათთან ურთიერთობას მაინც ვერ ავცდები... პირადად სააკაშვილთან გართულება ნამდვილად არ მაქვს... თუ დამანახვებენ, რომ ქვეყნის გადარჩენა უნდათ, გვერდითაც დავუდგები, ოღონდ ჯერ არა. ჯერ უნდა დავრწმუნდე, რომ ამ ხალხთან საქმის დაჭერა შეიძლება. ამიტომ ეს ტაიმ-აუტი აუცილებელია ჩემთვის. „ეკონომიკურმა ფორუმმა“, რომელშიც მე ვიმუშავებ, შესაძლოა მონიტორინგი დააწესოს საზღვარგარეთიდან შემოსული კრედიტების დახარჯვაზე. დემოკრატიის ლოზუნგებით კორუფციული სისტემის გაგრძელების საშუალებას ამათ არ მივცემ.

**— ადრე ამბობდით, საქართველოში ყველაზე ძლიერი პოლიტიკოსი შევარდნაძეაო. დღესაც ასე ფიქრობთ?**

— სააკაშვილი ამ რევოლუციის აღმოჩენა იყო. ის აღმოჩნდა პოლიტიკოსი, რომელმაც არა მარტო აჯობა შევარდნაძეს, არამედ ჩამოაგდო კიდეც. მიხეილ სააკაშვილი, როგორც მებრძოლი რევოლუციონერი, უნიკალური მოვლენაა. ახლა უნდა დაგვანახვოს, როგორი იქნება როგორც ქვეყნის მმართველი. არ გამოვრიცხავ, ოდესმე სააკაშვილმა და შევარდნაძემ ნობელის პრემიაც მიიღონ რევოლუციის უსისხლოდ მოხდენისათვის.

**— აჭარის დღევანდელ პოზიციაზე რას ფიქრობთ?**

— აბაშიძე არ არის შევარდნაძესავით დემოკრატი. ის მკაცრი მმართველია, მაგრამ აჭარას მაინც უნარიანად მართავს. მან ნახა, როგორი სცენარითაც მოიცილეს შევარდნაძე. უბნებში საარჩევნო ყუთები დადგეს, არჩევნები ჩაატარეს და მერე სტუდენტობა გამოიყვანეს ქუჩებში. აბაშიძე არ დაუშვებს აქამდე საქმის მიყვანას. საპრეზიდენტო არჩევნები აჭარაში საგანგებო მდგომარეობის გამო გადაიდება, საპარლამენტო არჩევნებში კი აჭარა ალბათ მიიღებს მონაწილეობას. ამასობაში კი ის განსაზღვრულ გარანტიებს მიიღებს ახალი ხელისუფლებისგან...

# „ვფიქრობ, გოგიტიძე შეძლებს ბარამიძესთან თანამშრომლობას“

## „ჩვენი ქვეყნის გულისთვის უარესი წყენაც ჩაგვიყლაპავს“



აჭარა თბილისთან დიალოგს ჯერჯერობით აჭიანურებს. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ბათუმურმა ვოიაჟმა შედეგი ვერ გამოიღო (ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა). აბაშიძე ჯერ არ ჩქარობს, ბათუმში ზურაბ ჟვანიას ელის და საკუთარი მოთხოვნების წაყენებას მისთვის აპირებს (აბა, ქალს ხომ არ დაუწყებდა კამათს). მანამდე საკუთარ სამფლობელოში ცდილობს მომაგრებას. გაგიკვირდებათ ალბათ, სად აბაშიძე და სად აჭარაში მის მომაგრებაზე ფიქრიო, მაგრამ შევარდნაძის წასვლამ და ახალმა ვითარებამ აბაშიძეს ახალი პრობლემები მოუტანა. ამიტომაც მათ გადაჭრას მემედ აბაშიძის შვილიშვილი ახალი ხალხით და ახლებური ხერხებით ცდილობს. ავტონომიაში შიდაპროცესების ახლებურად მართვას ის ახალი შინაგან საქმეთა მინისტრით ფიქრობს. აბაშიძე ჩვევას არ ღალატობს და არჩევანს ისევ ნათესავზე აჩერებს. ჯემალ გოგიტიძე ასლან აბაშიძის ძველი ახალი არჩევანია... აჭარის ლიდერმა ეს პოსტი ამჯერად მისთვის გაიმეტა.

მაინც რატომ შეელია ასლან აბაშიძე ძველ მინისტრს — ილია წულუკიძეს, თბილისში „აღორძინების“ მიტინგის მთავარ ორგანიზატორს? როგორც ამბობენ, სწორედ ამ წარუმატებელი თბილისური აქციის გამო. მართალია, იბრძოლეს, „საქართველოც“ ხმის ჩახლეჩამდე იძახეს, მაგრამ იძულებულნი გახდნენ, გზა სააკაშვილისიანებისთვის დაეთმოთ... თუმც ისიც ითქვა, — წულუკიძის გადაყენება ცენტრის დირექტივა იყოო, მაგრამ ეს ვერსია ძნელად სარწმუნოა. როგორც წესი, საკადრო საკითხებს აბაშიძე თბილისს არ უთანხმებს ხოლმე (ასეც მოიქცა ახალ პოსტზე გოგიტიძის დანიშვნისას).

საერთოდ, ასლან აბაშიძე საკუთარ ქმედებებს სახელმწიფოებრივი მიდგომებით ხსნის ხოლმე. არ არის გამორიცხული, რომ მას სწორედ სახელმწიფო მოღვაწის როლიდან გამომდინარე წამოეწყო ახალი თამაში. დიახ, ასლან აბაშიძე ახალ დაფაზე იწყებს თამაშს და ამისთვის ახალი ფიგურები სჭირდება. როგორც ჩანს, აჭარლები საბოლოოდ მაინც აპირებენ საქართველოს პარლამენტში შესვლას და საამისოდ აბაშიძეს ახალი პარტიის წამოწყება და ახალი სახეები დასჭირდა. ცხადია, ჯემალ გოგიტიძის ისევ თბილისში გამოშვება აჭარის ლიდერს ქულებს არ შემატებდა — „მისი ლიდერი ხომ ორჯერ „გააგდეს“ დარბაზიდან. ამაყი აბაშიძე მისით, ცხადია, თბილისში თავს ვეღარ მოიწონებდა და ამიტომ ერთგულ, ოღონდ პეწდაკარგულ ჯემალ გოგიტიძეს თავის ახლოს მიუჩინა ადგილი, თან ისე, რომ თბილისს არაფერი ჰკითხა. თბილისში ეს ნაბიჯი სერიოზულ გამოწვევად აღიქვეს. გია ბარამიძეს, ბუნებრივია, ეწყინა, რომ ქვეშევრდომი უკითხავად დაუნიშნეს, მაგრამ წყენა ჩაყლაპა. აჭარაში შექმნილ ვითარებასა და ასლან აბაშიძის საკადრო ცვლილებაზე „აღორძინების“ წევრს, პარლამენტარ (ჯემალ გოგიტიძემ კომენტარზე უარი გვითხრა) **ჰამლეტ ჭიპაშვილს** ვესაუბრეთ:

— აჭარის კანონმდებლობით შეიძლება მინისტრის დანიშვნა. ამ საკადრო ცვლილებით ასლან აბაშიძეს არ დაურღვევია კონსტიტუცია.

**— მაგრამ ალბათ ცენტრისთვისაც უნდა ეცნობებინა ეს ამბავი.**

— სანამ საკუთარ კონსტიტუციას მიიღებდა, მაშინ იყო საჭირო ასეთი საკითხების პრეზიდენტთან შეთანხმება, ახლა კი აჭარას თავისი კონსტიტუციიდან და ორგანული კანონიდან გამომდინარე, შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

**— ითქვა, ამ ნაბიჯით ასლან აბაშიძემ გოგიტიძე თბილისს შეგნებულად გაარიდაო. ხომ ფაქტია, რომ პარლამენტში მომხდარი შეხლა-შემოხლის შემდეგ, ბატონი ჯემალი ძველებურად ვეღარ იგრძნობდა თავს, ის ხომ მკვეთრად დაუპირისპირდა ახალ ხელისუფლებას?**

— ასეთი და უარესი დაპირისპირებებიც ყოფილა და მერე მაინც გამონახულა ხოლმე საერთო ენა. უბრალოდ, ბათუმში გადაწყვიტეს, რომ ის დიდხანს მუშაობდა საკანონმდებლო ორგანოში და დროა აღმასრულებელ ხელისუფლებაში იყოსო. წულუკიძე კი არავის ჩამოუშორებია, ის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

პოლიტიკოსის მოვალეობაა, პირადი ამბიციები დათმოს საკუთარი ქვეყნის, საკუთარი რეგიონის სასიკეთოდ. ვფიქრობ, ჯემალ გოგიტიძე დაივიწყებს წყენას და შეძლებს თანამშრომლობას გია ბარამიძესთან... ჯემალმა აქტიურად დაიწყო მუშაობა. აჭარაში იარაღის დიდი პარტია აღმოაჩინეს. თვე-ნახევრის წინ საქართველოში იარაღის დიდი პარტია შემოიტანეს, არ არის გამორიცხული, სწორედ ამ იარაღის ნაწილი შევიდა აჭარაში.

**— თუმც იარაღის აღმოჩენას აჭარაში ისევ ძველი სარჩული მოუძებნეს, — ვიღაც ხელისუფლების დამხობას ცდილობდაო.**

— ხომ ფაქტია, რომ იარაღი იპოვეს. ამდენი იარაღი, ისიც მალულად, სასიკეთოდ არ შემოაქვთ. იარაღი ომისთვის სჭირდებათ და არა — მშვიდობისთვის. იარაღის შემომტანის ვინაობა ცნობილია. მერწმუნეთ, გამოძიება ობიექტურად მოხდება და ტყუილად არავისკენ გავიშვერთ ხელს.

**— ცენტრსა და რეგიონს შორის დაძაბული ურთიერთობა ქვეყნის სტაბილურობისთვის სერიოზული საფრთხეა. არ ფიქრობთ, რომ აჭარასაც რაღაც აქვს დასათმობი და მხოლოდ ცენტრს არ უნდა უყენებდეს პრეტენზიებს?**

— როგორც წესი, ძლიერი და დიდი თმობს ხოლმე. ხვდებით, ალბათ, ვისაც მართებს დათმობა. აჭარაში ნამდვილად არ არიან ჩასაფრებულები. თუ ის პრობლემები მოგვარდება, რაც დღესდღეობით არის თბილისისა და ბათუმის ურთიერთობებში, მერწმუნეთ, აჭარა მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. ამის კეთილი ნება არის და ცენტრისაგანაც ვხედავთ დაინტერესებას, რომ გამონახონ საერთო ენა და კომპრომისი რეგიონთან. მიიღებს თუ არა აჭარა არჩევნებში მონაწილეობას, ამას ზურაბ ჟვანიას ვიზიტი გადაწყვეტს... სხვათა შორის, ქალბატონი ნინოს ვიზიტი ბათუმში არც ისე დაძაბულ ფონზე წარიმართა, როგორც ეს პრესაში დაიწერა...

**— ე.ი. განაწყენებული არავისზე ხართ...**

— ჩვენი ქვეყნის გულისთვის უარესი წყენაც ჩაგვიყლაპავს.

***მოამზადა მარი ზანდუკელმა***



# „თუ მე და ჩემი ახლობლები ვართ დამნაშავე, დაგვსაჯეთ“

## „ვინც რა იცით, თქვით – ვისზე რა მასალებიც გაქვთ მოიტანეთ!..“

საქართველოს ამჟამინდელი პირველი პირი თავისი მდგომარეობით აღფრთოვანებული სულაც არ ჩანს. ეს არც არის გასაკვირი. ჩვენ რომ გვაქვს, ისეთი ქვეყნის პირველკაცობა იოლი არ გახლავთ. რა განცდა ჰქონდა **ნინო ბურჯანაძეს,** როდესაც ასობით მომიტინგით სავსე პარლამენტის სხდომათა დარბაზში განაცხადა — მომხდარზე პასუხისმგებლობას ვიღებო და რას ფიქრობს ის რევოლუციის შემდეგ შექმნილ ვითარებაზე? „კვირის პალიტრის“ დღევანდელი სტუმარი — საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი ამ და კიდევ მრავალ საინტერესო საკითხზე გვესაუბრება:

— ალბათ თქვენ ის დღე გახსენდებათ, როდესაც პარლამენტის სხდომა ჩაიშალა (22 ნოემბერი), ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, პრეზიდენტი გადადგებოდა თუ არა და მე ვთქვი, — ვიღებ იმ პასუხისმგებლობას, რაც კონსტიტუციით მეკისრება-მეთქი. რა თქმა უნდა, მძიმე იყო ჩემთვის ამის თქმა, მაგრამ ვგრძნობდი, სიტუაცია შეიძლებოდა უმართავი გამხდარიყო, რადგან პარლამენტის წინ შეკრებილი ათიათასობით ადამიანი ელოდა რაღაც კონკრეტულს, ჩვენგან. ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს უთუოდ შეეშინდებოდა ამხელა პასუხისმგებლობისა და მეც გამიელვა — შევძლებ კი-მეთქი? მაგრამ არის ისეთი მომენტები, როდესაც ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმას თავად ვითარება გკარნახობს. ახლა ყველაზე მეტად იმის მეშინია, იმედი არ გავუცრუოთ იმ ადამიანებს, რომლებიც მრავალი დღის მანძილზე ჩვენ გვერდით იდგნენ.

— **იმ დღეებში თქვენი მეგობრები აღნიშნავდნენ, რომ ყველაზე დიდი საფრთხე ფიზიკურ ანგარიშსწორებაში იყო, ახლაც ასეა?**

— დღესაც განსაკუთრებულად ზრუნავენ ჩემზე. ჩემი მეგობრების გარდა, ჩემი პირადი დაცვაც საოცრად მობილიზებული იყო. ისინი ემოციურად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ — სახელმწიფო დაცვის სამსახურის ოფიცრები არიან, მაგრამ ოპოზიციის მიტინგებზე იდგნენ და იცავდნენ ოპოზიციის ლიდერს, რომელიც იმ ხელისუფლების გადადგომას ითხოვდა. საოცარი ვაჟკაცობა გამოავლინა პრეზიდენტის დაცვამაც, რომელმაც კრიტიკულ ვითარებაში არნახული მობილიზება გამოავლინა. მათ სავსებით ჰქონდათ საფუძველი ეფიქრათ, პრეზიდენტს საფრთხე ემუქრებაო, მაგრამ იარაღის გამოყენება არც უფიქრიათ. რაკი თავად ვიყავი მოვლენების ეპიცენტრში, სრულად ვერ აღვიქვი მომხდარი. მხოლოდ რამდენიმე დღის წინ ვნახე პარლამენტის სხდომათა დარბაზში განვითარებული მოვლენების ამსახველი კადრები — საოცრად შთამბეჭდავი და ემოციური იყო, რაც დარბაზში მოხდა... დიდი რამე გააკეთა ხალხმა. გაუსაძლისმა მდგომარეობამ და შეურაცხყოფამ (რაც მათი ინტერესების იგნორირებით გამოიხატებოდა) აიძულა ისინი, საკუთარი ღირსება დაეცვათ.

— **რამ მოიყვანა ხალხი რუსთაველზე, ოპოზიციის ლიდერებისთვის მხარდაჭერის თუ შევარდნაძის გადადგომის სურვილმა?**

— ზოგიერთები ამბობენ, — ეს პროცესი იმართებოდაო. თუ ხალხს გულწრფელად არ სურს რაღაცა მიზნის მიღწევა, კოკისპირულ წვიმაში დღედაღამ არ დადგება. განცვიფრებული ვუყურებდი გალუმპულ, გათოშილ ადამიანებს, რომლებიც ფეხმოუცვლელად იდგნენ და თავიანთ სამართლიან პრეტენზიას უცხადებდნენ ხელისუფლებას. ეს ხალხი იქ იმისთვის არ მოსულა, რომ ნინო ბურჯანაძე, მიშა სააკაშვილი ან ზურაბ ჟვანია მოსწონდათ. ჩვენ იმიტომ მოვეწონეთ მათ, რომ ვთქვით ის, რაც თავად ჰქონდათ გულში, ჩვენ გაგვაერთიანა ერთმა რამემ — დავინახეთ, რომ ეს ქვეყანა ხელიდან გვეცლებოდა. ვხედავდით, რომ პრეზიდენტი არაადეკვატურად რეაგირებდა მოვლენებზე და ვერ დავუშვებდით ასე გაგრძელებას. ვერ წარმოიდგენთ, რა მდგომარეობაა ხაზინაში ან სახელმწიფო სტრუქტურებში. მიკვირს, აქამდე როგორ არ გაჩერდა ყველაფერი? პრეზიდენტს ბოლო მომენტამდე შეეძლო, მიეღო ისეთი გადაწყვეტილება, რომ მიტინგი დაშლილიყო, მაგრამ ხალხს იმდენად არაფრად აგდებდნენ, რომ იოტისოდენ დათმობაზე წასვლა არც უფიქრიათ.

— **შესაძლოა შევარდნაძე ფიქრობდა — ჩემი გაზრდილები არ გამწირავენო.**

— პირადად მე არავინ გამიწირავს. არა მგონია, ადამიანის თანამდებობიდან გადაყენება მისი გაწირვა იყოს. სამწუხაროდ, თავისი პოლიტიკური კარიერა თავად შევარდნაძემ გაწირა. ადამიანს, რომელსაც შეეძლო საკუთარი სახელი ოქროს ასოებით ჩაეწერა ქვეყნის ისტორიაში, საშინელი



შეძახილებით დაატოვებინეს თანამდებობა.

— **ახალმა ვითარებამ ახალი პრობლემები წარმოშვა აჭარასთან. ითქვა, რომ ასლან აბაშიძესთან თქვენი დიალოგის არცთუ შთამბეჭდავი შედეგი, თბილისში მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმაც განაპირობა.**

— არა მქონია იმის ილუზია, რომ აჭარაში ჩასვლისთანავე ყველა პრობლემა მოგვარდებოდა. დიდი ხანია, რაც ცენტრისადმი უნდობლობა გაჩნდა ამ რეგიონის ხელმძღვანელობაში და ერთი ხელის მოსმით ამის მოგვარება შეუძლებელია. დიალოგისას მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივა, საბიუჯეტო ვალდებულებები და უმთავრესი საკითხი — არჩევნებში აჭარის მონაწილეობა განვიხილეთ. არ ვიქნები გულწრფელი, რომ არ ვთქვა — მიშას განცხადებებმა, რა თქმა უნდა, დაძაბა ბატონ ასლანთან დიალოგი. ჩვენი საუბრისას შემოიტანეს მიშას გამოსვლის ვიდეოფირი. მე და ბატონმა ასლანმა ერთად ვნახეთ იგი და რეაქცია ძალზე მძიმე იყო. ბატონი ასლანი აღშფოთდა ამ განცხადებებით, რომლებიც ჩემთვისაც მოულოდნელი გახლდათ. ცხადია, ასეთი განცხადებები ხელს არ უწყობს მოლაპარაკების პროცესს. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია აჭარასთან ურთიერთობის მოგვარება, თუმცა მიშას ვეთანხმები, რომ ეს არ უნდა მოხდეს საქართველოს ინტერესების, მისი კონსტიტუციისა და კანონის ხარჯზე. ბატონ ასლანს ვუთხარი, — თუ არჩევნებში აჭარა მონაწილეობას არ მიიღებს, ამას მოწონებით არც დანარჩენ საქართველოში შეხვდებიან და ვერც მსოფლიოში-მეთქი. საპრეზიდენტო არჩევნების 45 დღეში ჩატარება ვინმეს კაპრიზი არ არის და აჭარა ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს. თუ ვინმეს ბატონი მიხეილი არ მოსწონს, სხვა კანდიდატს მისცეს ხმა, მაგრამ არ შეიძლება აჭარაში საარჩევნო უბნების გახსნაზე უარის თქმა. მოლაპარაკების მეორე რაუნდს ბატონ ასლანთან ზურაბ ჟვანია გამართავს, თუ საჭირო იქნება მეც ჩავალ აჭარაში. იმედი მაქვს, 4 იანვარს ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის და გაპრეზიდენტების შემდეგ ბატონი მიხეილიც გამართავს დიალოგს ასლან აბაშიძესთან. ვფიქრობ, მოხერხდება ურთიერთობების კანონიერ და სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა. ორივე მხარეს აქვს ამის სურვილი.

— **ასეთი მოლაპარაკების დროს, რა თქმა უნდა (ორივე მხრიდან), რაღაც დათმობებზეა ლაპარაკი, კონკრეტულად, რა პირობა წამოაყენა ასლან აბაშიძემ არჩევნებში მონაწილეობის სანაცვლოდ?**

— ულტიმატუმები მას არ წამოუყენებია, არც ადრე და არც ბოლო შეხვედრისას ბატონ ასლანს ჩემთან ამ ფორმით არ უსაუბრია. უბრალოდ, მან აღნიშნა, რომ რეგიონალური და ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებები კანონით უნდა გაიმიჯნოს. ეს საკითხი (რეგიონალიზმი, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა) იყო კიდეც ჩვენს საარჩევნო პროგრამაში, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ამჟამინდელი პარლამენტი საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვერ მოასწრებს ცვლილებების შეტანას კონსტიტუციაში. ჩვენ ვისაუბრეთ მინისტრთა კაბინეტის შემოღებაზეც, რომელსაც ბატონი ასლანიც ემხრობა.

სამწუხაროდ, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც არიან ძალები, რომელთაც ხელს არ აძლევს აჭარის არჩევნებში მონაწილეობა და შეგნებულად ძაბავენ ჩვენ შორის ურთიერთობას. დღეს ნამდვილად გვაქვს ურთიერთობების მოგვარების შანსი. თუმც არ დაგიმალავთ, ჩემთვის მოულოდნელი და უსიამოვნო იყო, როდესაც აჭარაში შს მინისტრი ისე დაინიშნა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას ამის შესახებ არც შეატყობინეს. აჭარის ახალ შინაგან საქმეთა მინისტრთან პიროვნული პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ასეთი საკადრო ცვლილების შესახებ ჩვენ უთუოდ უნდა გვცოდნოდა. იმედი მაქვს, ჩვენი ურთიერთობები ისე დარეგულირდება, რომ მსგავს სიურპრიზებს არც რეგიონი გაგვიკეთებს და არც ცენტრალური ხელისუფლება იკადრებს.

— **ასლან აბაშიძემ რამენაირი ფორმით ხომ არ მიგანიშნათ, რომ არ ცნობს ახალ ხელისუფლებას?**

— ბატონ ასლანს არ უგრძნობინებია ჩემთვის — არალეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელს ვესაუბრებიო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემი პარლამენტის თავმჯდომარეობა ხომ მაინც არ არის სადავო. ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელსაც ახალი ხელისუფლების ლეგიტიმურობაზე დაებადა ეჭვი, რუსეთია. მთელმა მსოფლიომ აღნიშნა — საქართველოში ყველაფერი კონსტიტუციის ფარგლებში მოხდაო. როგორც იურისტი, ამას მეც სრული პასუხისმგებლობით ვადასტურებ.

— **იმ საკადრო ცვლილებებს, რომელსაც თქვენ და ზურაბ ჟვანია ახორციელებთ, ზოგჯერ მიხეილ სააკაშვილი არ ეთანხმება და მწვავედ აკრიტიკებს კიდეც. ხომ არ გააჩენს ეს ბზარს საქართველოს ახალ ხელისუფლებაში?**

— ჩვენი მუშაობა ბევრად უფრო შეთანხმებულად მიმდინარეობს, ვიდრე წარმომედგინა. ჩვენი მეგობრობის მიუხედავად, მეგონა, ჩემი და მიშას ურთიერთობა ბევრად უფრო პრობლემური იქნებოდა. სხვადასხვა საკითხზე განსხვავებული აზრი ნორმალური მოვლენაა. ხალხი ქუჩაში იმიტომ გამოვიდა, რომ ერთპიროვნული მმართველობა არ ყოფილიყო და მერწმუნეთ, ჩვენ მართლაც ვუსმენთ ერთმანეთს. ცხადია, ყველა საკადრო ცვლილება არ თანხმდება. მაგალითად, ზურაბ ცქიტიშვილის ვაჟის დანიშვნის შესახებ მეც არაფერი ვიცოდი — აჭარაში გადაფრენის დროს შევიტყვე თვითმფრინავში. სხვა დანიშვნებზე მიშას პრეტენზია არ გამოუთქვამს. შესაძლოა ყველა საკადრო ცვლილება არც არის იდეალური და თავადაც უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ამ ეტაპზე უკეთესი გადაწყვეტილება ვერ მივიღეთ. ჩემს ყველა გადაწყვეტილებას მიშასთან ვათანხმებ, მიუხედავად იმისა, რომ მეუბნება, — ისე გააკეთე, როგორც საჭიროდ ჩათვლიო.

— **ახალი ხელისუფლება დასაჭერი ხალხის სიების გამოქვეყნებიდან კონკრეტულ ქმედებებზე გადავიდა. კორუმპირებულთა დასჯა, კი ბატონო, კარგია, მაგრამ დაჭერების ტალღას ხომ არ გადაურჩებიან ის დასაჭერები, რომლებმაც მოვლენებს ბოლო მომენტში ალღო აუღეს (მანამდე კი ისევე მოქმედებდნენ, როგორც სხვა ჩინოვნიკები) და რევოლუციას თანაუგრძნეს, ანუ დღეს თქვენს ბანაკში არიან?**

— ის, რაც ხდება, პოლიტიკური დევნა ნამდვილად არ არის. არა მგონია, ვინმეს გაუჩნდეს კითხვა, — რატომ აღიძრა საქმე ლევან მამალაძის წინააღმდეგ? რატომ აღიძრა საქმე აკაკი ჩხაიძეზე ან კონტროლის პალატის საქმიანობაზე? ამას წინათ მოლაშვილმა ბრძანა, — ხელისუფლებას ვადას ვაძლევ, თუ ჭკვიანად იქნება და თავს დამანებებს, მეც გავჩუმდები, არა და ყველაფერს ვიტყვიო. კი, მაგრამ თუ რამე ჰქონდა სათქმელი, რატომ მალავდა აქამდე? ჩვენი მთავარი პრეტენზიაც სწორედ ის არის, რომ მალავდნენ იმას, რაც უნდა ეთქვათ და მხოლოდ იმას ამბობდნენ, რაც ხელს აძლევდათ. არც ტყუილად ყოფილან გაჩუმებული. კონტროლის პალატის თავმჯდომარემ თავისი ნათქვამით თვითონვე დაადასტურა, რომ პრეტენზია სამართლიანად წაუყენეს. ყველას მივმართავ — ვინც რა იცით, თქვით. ვისზე რა მასალებიც გაქვთ, მოიტანეთ. პრეზიდენტ შევარდნაძესთან 1998 წლიდან ის პრეტენზია მქონდა, რომ დასასჯელ ხალხს არ სჯიდა. თუ მე და ჩემი ახლობლები ვართ დასასჯელი, დაგვსაჯეთ. თუ სხვაა დასასჯელი, იმასაც არ აპატიოთ. როდესაც შვილებისათვის აქ ლუკმაპური ვერ უშოვიათ დედებს (და იძულებულნი არიან თურქეთსა და საბერძნეთში მოახლეებად დადგნენ) და ზოგიერთები კი ათეულობით მილიონებს თვალის დაუხამხამებლად იდებენ ჯიბეში, ეს ნორმალურია?! არ უნდა მოვთხოვოთ ასეთებს პასუხი? ხელისუფლებას რომ ეს ხალხი დროზე დაეჭირა, მერწმუნეთ, ამ კაბინეტში დღეს სხვა იქნებოდა და 100-ათასიანი მიტინგები არ გაიმართებოდა. ამიტომ არანაირ სინდისის ქენჯნას არ განვიცდი კორუმპირებული ადამიანების დაპატიმრების გამო. თუ ვინმე მეტყვის და დამისაბუთებს, რომ ვინმე უსამართლოდ ან პოლიტიკურად განსხვავებული მოსაზრების გამო იდევნება, მერწმუნეთ, რადიკალურ ზომებს მივიღებ. მაგრამ დღეს პროკურატურა აკეთებს იმას, რაც ბევრად ადრე უნდა გაეკეთებინა. ვიმეორებ, დამნაშავეების დანდობა (რომელ ბანაკშიც არ უნდა იყვნენ ისინი) არ იქნება.

— **დღეს საქართველო ეკონომიკური კატასტროფის პირას არის, ასეთ რთულ ვითარებაში ვინ წაგვაშველებს ხელს?**

— გვპირდებიან, რომ საქართველოს ფინანსური მხარდაჭერის გარეშე არ დატოვებენ. მსოფლიო იმიტომ გვიცხადებს თანადგომას, რომ დადებითად შეაფასეს, რაც აქ მოხდა, მოეწონათ ქართველი ხალხის სიმტკიცე. თუ სწორად წარვმართავთ საკადრო, საბიუჯეტო და კორუფციასთან ბრძოლის პროგრამას, უთუოდ დაგვეხმარებიან. აშშ-ის, ევროსაბჭოს, ეუთოსა და ევროკავშირის უპირველესი მოთხოვნა ასეთი იყო — დაგვარწმუნეთ, რომ კორუფციას ებრძვით; რომ ის მილიონები, რომლებსაც სხვებს მოვაკლებთ და თქვენ მოგცემთ, ცალკეული პირის ჯიბეში არ წავა, არ მოხმარდება ვილაცის მეოთხმოცე ვილის აშენებასო.

არავის ვაპატიებ იმას, რომ ნახევარი საქართველო გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. 50 წლის ადამიანი გელაპარაკება და ხედავ, კბილი აღარ აქვს შერჩენილი იმიტომ, რომ ნორმალური კვება არა აქვს, ვიტამინს ვერ იღებს და თავს ვერ უვლის. ეს უნდა ვაპატიოთ ვინმეს? კი ვიცოდი, რომ ხალხს უჭირდა, მაგრამ ხალხთან ახლო ურთიერთობამ მეტად დამანახვა მათი გასაჭირი. თავზარი დამცა ატირებული, შეურაცხყოფილი მამაკაცების ნახვამ, რომელთაც შვილს წიგნი ვერ უყიდეს, მშობელს წამალი ვერ მიუტანეს, ცოლის გახარებასა და საჩუქარზე ხომ აღარც არის ლაპარაკი. არ მინდა ამის ატანა. ჩვენ თუ გვინდა ნორმალურად გამოვიყურებოდეთ და შვილებიც უზრუნველყოფილი გვყავდეს, სხვებმა რა დააშავეს?! ვიღაცას მეტი ექნება და ვიღაცას ნაკლები, მაგრამ სირცხვილია საქართველოში ხალხი შიმშილობდეს. როდესაც ქუთაისში მითხრეს, საპონს მეზობლები ერთმანეთისგან ვსესხულობთო, ყურებს არ დავუჯერე...

— **როგორ აპირებთ ქვეყანა ამ რთული რიტმიდან ჩვეულებრივ, სტაბილურ რიტმს დაუბრუნდეს და ერთხელ და სამუდამოდ ყველასათვის ნანატრი მშვიდობა დადგეს.**

— ქვეყანაში არეულობა იმას უნდა, ვის წინააღმდეგაც უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ან კიდევ იმას, ვინც სახლში ზის და ელოდება — მის წინააღმდეგ როდის აღიძვრება საქმე. პატიოსან, რიგით მოქალაქეებს და ხელისუფლებაში ახლა მოსულ ხალხს არ უნდა ქაოსი და არეულობა. ჩვენ სისხლხორცეულად ვართ დაინტერესებული ქვეყნის სტაბილურობით, აჭარასთან ურთიერთობის დარეგულირებით, არჩევნების ნორმალურად ჩატარებითა და სიტუაციის გამოსწორებით. ამ ვითარებაში პატრიოტული გრძნობა რომც არ გამოძრავებდეს, პრაგმატული მოსაზრება გიკარნახებს — რადგან ხელისუფლებაში მოხვედი, მაშინ მოახერხე ისე, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად იყოს, რათა ხვალ შენთან არ მოვიდეს 100 ათასი კაცი და არ გიყვიროს — წადიო.

— **თქვენი პოლიტიკური ოპონენტების თქმით, ყველაზე დიდი საფრთხე მიხეილ სააკაშვილს თქვენსა და ზურაბ ჟვანიასგან ელის.**

— არ ვაპირებ იმის მტკიცებას, რომ მე და ზურაბ ჟვანია არ ვგეგმავთ მიშა სააკაშვილის მოკვლას. სამარცხვინოა ასეთი ლაპარაკი. თუმც ცხადია, მიშას სერიოზული დაცვა სჭირდება. იმიტომ, რომ მისი და თითოეული ჩვენგანის, ვინც ხელისუფლებაში ვართ, სახით ზოგიერთები სერიოზულ საფრთხეს ხედავენ. მათ გარანტირებული ჰქონდათ საკუთარი შვილების, შვილიშვილების მომავალი და ეს ხალხი, რომელთაც 500 და 600 კილოგრამი ოქრო ჰქონდა ბანკებში შენახული, შესაძლოა დღეს ოთხ კედელს შორის გამოამწყვდიონ — ამიტომ ასე იოლად არ დათმობენ ამ ყველაფერს.

— **პრეზიდენტის კაბინეტში როგორ გრძნობთ თავს?**

— საოცრად დამთრგუნველი გარემოა. თუნდაც იმიტომ, რომ ჭერია დაბალი და ისეთი შეგრძნება მიჩნდება, რომ აკლდამაში ვარ. ეს დაჯავშნული ფანჯრები ძლივს გავხსენი. პრეზიდენტ შევარდნაძისთვისაც მითქვამს ხშირად — სამარცხვინოა, რომ ამ ოთახში დამტვრეული მაგიდა და სკამები დგას-მეთქი. ნამდვილად ვერ გავამართლებ პრეზიდენტის გარემოცვას, რომ ვერ უზრუნველყვეს ქვეყნის პირველი პირის სამუშაო კაბინეტის ნორმალურად მოწყობა. ძვირფასი ავეჯის დადგმას არ ვგულისხმობ, მაგრამ ამ ოთახში რომელიმე ქვეყნის დელეგაციის ან ელჩის მიღება სამარცხვინოა.

— **შესაძლოა ამ კაბინეტით შევარდნაძე იმის დემონსტრირებასაც ახდენდა, რომ ღარიბი ქვეყნის პრეზიდენტი იყო.**

— შესაძლოა, მდიდრულად არ იყოს მოწყობილი ოთახი, მაგრამ სასიამოვნოდ გამოიყურებოდეს. ამ გარემოში მუშაობა შეუძლებელია. დილიდან ღამემდე ამ ოთახში ყოფნა წარმოუდგენელია და გულწრფელად თანავუგრძნობ ამის გამო პრეზიდენტს.

— **ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ როგორ მოგაგონდებათ?**

— ვამაყობ, რომ ამ პროცესში ვმონაწილეობდი, მაგრამ მთავარი ის არის, როგორ დამთავრდება ყველაფერი. დღეს კი მეამაყება და მინდა მომავალშიც ეს განცდა მქონდეს...

**იზო რიკაძე**



„ამ კაბინეტში მუშაობა შეუძლებელია, რის გამოც გულწრფელად თანავუგრძნობ პრეზიდენტს...“

# ჯარი გარდაქმნებს ელოდება

## პრეზიდენტ შევარდნაძეს აღარ დასცალდა ამერიკელთა მიერ გაწვრთნილი მეოთხე ბატალიონისთვის მიელოცა

13 დეკემბერს ქვეყნის და მოქმედი პრეზიდენტის წინაშე ფიცი დადო თავდაცვის სამინისტროს მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის 111-ე თელავის მოტომსროლელი ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ. ეს კი გახლავთ 559 კარგად გაწვრთნილი და აღჭურვილი ჯარისკაცი, სერჟანტი და ოფიცერი. ამ ბატალიონთან ერთად მომზადება შსს-ს შინაგანი ჯარების 39-მა სამხედრო მოსამსახურემ და 43-მა მესაზღვრემ გაიარა.

რესპუბლიკის მოედანზე, თელავის ბატალიონის გარდა, საზეიმო სვლით ჩაიარეს „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით მანამდე მომზადებულმა კიდევ სამმა ბატალიონმა — „კომანდომ“, საჩხერის მე-16 სამთო-მსროლელმა და „შავნაბადას“ 113-ე ბატალიონმა.

ერთად შეკრებილი ოთხივე ბატალიონის პირადი შემადგენლობა (2.240 კაცზე მეტი) მაღალ საბრძოლო მზადყოფნაში ჩანდა.

რესპუბლიკის მოედანს, ბატალიონების საზეიმო გასვლის შემდეგ, დაბალ სიმაღლეზე გადაუფრინეს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილმა თითო-თითო Ми-8T, Ми-8MT, ორმა UH-1H „იროკეზის“ ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენებმა და სამმა Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავმა.

„წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით მომზადება კიდევ ერთმა დანაყოფმა — ჯავშანსატანკო ასეულმა უნდა გაიაროს. ამ ასეულის პირადი შემადგენლობა (187 სამხედრო) მომზადდება 10 T-72 ტიპის ტანკის, 10 ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1-ის, 4 ჯავშანგამწევ МТ-ЛБ-ის ეკიპაჟებად. მომზადება იანვარში დაიწყება და საპირველმაისოდ დამთავრდება.

მკითხველს ვუამბეთ ის, რაც თვალნათლივ ჩანს, მაგრამ ახალ, რევოლუციურ ხელისუფლებას და საერთოდ სამხედრო ძალებს შორის ბევრი ფარული ურთიერთობაა.

(გაგრძელება იხ. გვ. 9)

# პანიკა, რომელიც ბომბზე საშიშია

## თბილისს აფეთქებებზე უფრო პანიკის ტალღამ გადაუარა



ქართველი მენაღმეები ასეთ რობოტ-განმნაღმველზე ჯერ ვერც იოცნებებენ

მჭიდროდ დასახლებულ უბნებში ტერორისტული თუ კრიმინალური მიზნით განხორციელებულ აფეთქებებს ყოველთვის დიდი უბედურება მოჰყვება ხოლმე, თუნდაც მის მომწყობებს არც ჰქონდეთ დაგეგმილი მსხვერპლის გამოწვევა.

გასულ კვირას, ერთ-ერთი პოპულარული სატელევიზიო არხის წამყვანი „შთამბეჭდავი“ ხმით წარამარა იმეორებდა — თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე, აღმოჩენილია ორი ნაღმი თუ ჭურვი (ისე, თავადაც ბოლომდე ვერ გაერკვნენ), რომლებიც, აფეთქების შემთხვევაში, მარტო ერთ საცხოვრებელ კორპუსს კი არა, მეზობელ კორპუსებსაც გააცამტვერებდა. თან ამტკიცებდა, აღმოჩენილი საბრძოლო მასალები მსხვრევადი ტიპისააო.

მარტო ეს შეუსაბამობა — მსხვრევადი ჭურვები განკუთვნილია უმთავრესად ცოცხალი ძალის გასანადგურებლად — მიუთითებდა, რომ აღმოჩენილი იარაღი ვერავითარ შემთხვევაში ვერ „გამოდგებოდა“ არათუ მიმდებარე კორპუსების დასანგრევად, არამედ უახლოესი ნაგებობის სერიოზულად დასაზიანებლადაც კი.

ამასთანავე, როგორც აღმოჩნდა, ჭურვებს ამფეთქი არ ჰქონდა, რაც გამორიცხავდა მათ დეტონაციას. უშიშროების სპეციალისტების განცხადებით, ორივე ჭურვი დაზგის ყუმბარსატყორცნ СПГ-9-დან სასროლად იყო განკუთვნილი. თუკი ეს ასეა, მაშინ საქმე გვაქვს 73 მმ კალიბრის ОГ-9В ტიპის რეაქტიულ ჭურვთან, რომელიც ამფეთქიანად არ აფეთქდებოდა, რადგან მას დაცვის მექანიზმის რამდენიმე დონე გააჩნია; დაცვის ერთ-ერთი დონე ჭურვის ამფეთქს მხოლოდ მაშინ ეხსნება, როცა ყუმბარსატყორცნის ლულაში სტარტს აიღებს და იქიდან გამოფრინდება.

ასე რომ, ნუცუბიძის პლატოზე ნაპოვნი რეაქტიული ჭურვები, აფეთქების შემთხვევაშიც კი, საცხოვრებელ კორპუსებს ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ შიშს ხომ დიდი თვალები აქვს!

ეს „დიდთვალება“ შიში მერე აშკარა პანიკაში გადადის და ბომბფობიად იქცევა!

სინამდვილეში საქმე არც მთლად ისეა, როგორც მასმედიის ზოგიერთი საშუალება სახავს. თუმცა უკვე გამოიხატა რეალური აფეთქებების ხელწერა — უმსხვერპლოდ, მაგრამ რაც შეიძლება მეტი პანიკის გამოსაწვევად!

თვითონ ის ფაქტი, რომ ასეთი აფეთქებები და სროლები უმთავრესად ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერების მიმართ ხორციელდება, ბადებს ამგვარ მოსაზრებას: იქმნება ფონი და ჯერ თავს იმათ ესხმიან, ვინც ნამდვილად არ გამოირჩევა რევოლუციური ხელისუფლების სიყვარულით, მაგრამ ერთ „მშვენიერ“ დღეს შესაძლოა უკვე მიზანმიმართული ტერორისტული აქტი განხორციელდეს ამ უკანასკნელთა მიმართ. მაშინ ველარავინ დაადებს ხელს „ძველებს“ — მათაც ხომ მანამდე აფეთქებდნენ და ესროდნენ?!

ცალკე საკითხია „სატელეფონო ტერორისტების“ საქმიანობა. ისინი, თავიანთი კანონსაწინააღმდეგო ქმედებით, არა მარტო შლიან სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში თუ სხვა დაწესებულებებში ნორმალურ სამუშაო პროცესს, არამედ ტყუილად აფორიაქებენ განმნაღმველთა ჯგუფებს.

არადა ასეთი ჯგუფი საქართველოში სულ რამდენიმეა და ყველა მათგანი ფიზიკურად არ არის მზად, ყველა შეტყობინებაზე გავიდეს. სხვა თუ არაფერი, უშიშროების სამინისტროს თუ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის განმნაღმველი ჯგუფების მიერ საგანგებოდ დაგეშილ ძაღლებს ობიექტის შემოწმების (ძაღლი ახალი ნაჭამი არ უნდა იყოს) შემდეგ, ერთი საათი მაინც სჭირდებათ დასასვენებლად და ძალ-ღონის მოსაკრებად.

ქართველ მენაღმეებს, სამწუხაროდ, ტროტილის სუნზე დაგეშილი ძაღლების გარდა, სხვა თანამედროვე აპარატურა არ გააჩნიათ. მუხლუხებიანი დისტანციური მინირობოტები, რომლებიც წყლის ჭავლით შლიან ასაფეთქებელ მოწყობილობებს, ჩვენი მენაღმეებისთვის მხოლოდ ოცნების საგანს წარმოადგენს. რამდენიმე წლის წინ, უშიშროების სამინისტროს განმნაღმველებს გაუჩნდათ შანსი, ამგვარი რობოტი 30 ათას დოლარად შეეძინათ საფრანგეთში, მაგრამ სახელმწიფომ, რა თქმა უნდა, ვერ „გამოძებნა“ საამისო სახსრები. ასევე ვერ შეიძინეს სპეციალური განმნაღმველის ჯავშნიანი კოსტიუმები და ჯავშნიანი სკაფანდრები, რომლებიც ნაღმის აფეთქების შემთხვევაში განმნაღმველს ჭრილობებისგან თუ ვერ დაიცავდნენ, სიცოცხლეს მაინც შეუნარჩუნებდნენ;

არ არის შეძენილი სპეციალური აირანალიზატორი, რომელიც ჰაერის ნიმუშის სწრაფი ანალიზით არკვევს, არის თუ არა მანქანაში თუ ოთახში ტროტილის კვალი.

ჩვენს მენაღმეებს, სამწუხაროდ, არც სპეციალური ყუთები და „საბნები“ გააჩნიათ უეცრად აღმოჩენილი ასაფეთქებელი მოწყობილობის მოსათავსებლად ან მასზე გადასაფარებლად.

ყოველივე ამას საკმაოდ დიდი თანხა სჭირდება, მაგრამ როდესაც საქმე ქვეყნის და მისი მოქალაქეების უსაფრთხოებას ეხება, მომჭირნეობა დაუშვებელია. მით უმეტეს, რომ მათი უმეტესობის დამზადება ქართველ სპეციალისტებსაც შეუძლიათ, ამით ამ თემაზე მომუშავე სპეციალისტებსაც „შევინარჩუნებდით“ და ამასთანავე გაიზრდებოდა სპეცმოწყობილობების უცხოეთში გატანის შანსი.



# ჯარი გარდაქმნებს ელოდება




(დასაწყისი იხ. გვ. 8)

ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება იცვლება, ახალმოსულები, პირველ რიგში, ცდილობენ დაიმსახურონ პოლიციის, სპეცსამსახურებისა და არმიის კეთილგანწყობა.

მართალია, 13 დეკემბრის აღლუმს არ ესწრებოდა პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი, მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ მან „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებული ბატალიონები ოთხი დღით ადრე, უშუალოდ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე მოინახულა და მათთან ერთად სასადილოში გემრიელად მიირთვა ლობიო და ქათმის ბარკლები. სააკაშვილის ეს, გარკვეულწილად, პოპულისტური ნაბიჯი ბატალიონების ჯარისკაცებმა კარგად მიიღეს.



**პრეზიდენტობის კანდიდატი ვაჟიშვილს აქედანვე აჩვევს ჯარისკაცის ულუფას**

მათ ხომ ბევრი არაფერი უნდათ. ბევრ გაჭირვებასაც მოითმენენ, თუკი დაინახავენ, რომ ქვეყნის პირველ პირებს ისინი მარტო არჩევნების წინ არ ახსენდებათ. სააკაშვილი კი მათ დაჰპირდა, გაპრეზიდენტების შემდეგაც ხშირად ვესტუმრები სამხედრო ნაწილებს და თქვენთან ერთად ყაზარმაშიც დავიძინებო.

პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ჯარისკაცებსაც არ ავიწყდებათ დანაპირები...

მაგრამ ერთია ჯარისკაცებისთვის ხელის ჩამორთმევა და პურის ერთად გატეხა და სულ სხვაა ქვეყნის ბიუჯეტიდან სამხედრო ძალების საჭირო დონეზე დაფინანსება.

ამიტომაც რჩება სწორედ ეს საკითხი კვლავ დიდ პრობლემად.

თუმცა იმედი გვაქვს, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ახალი ხელისუფლება ჩაატარებს რეალურ და, თუ საჭიროა, მკვეთრ საკადრო ცვლილებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არმიაში ბევრი არაფერი შეიცვლება. გასაგებია, რომ დღეს „სამეული" ერიდება ასეთი ნაბიჯების გადადგმას (ჯერჯერობით მხოლოდ შინაგანი ჯარების სარდალი შეიცვალა), რადგან ჯერ კიდევ ძალამოუკრებ ახალ ხელისუფლებას „სამხედრო მაფიამ" ძალიან ბევრი დაბრკოლება შეიძლება შეუქმნას.

# „რუსული რულეტი" – ხელყუმბარებით



**გაკვეთილზე ხელყუმბარის აფეთქება გარდაუვალი იყო**

სკოლაში დაწყებითი სამხედრო მომზადების გაკვეთილი მიმდინარეობდა. მასწავლებელი მეათეკლასელებს ხელყუმბარის მოქმედების პრინციპს უხსნიდა. მან დამცავი რგოლი მოაძრო ხელყუმბარას და მხოლოდ შემდეგ მიხვდა, რომ ხელში, სასწავლოს ნაცვლად, საბრძოლო ხელყუმბარა ეჭირა. დერეფანში გადაგდებას ველარ ასწრებდა, ფანჯრიდან ეზოში მოთამაშე მეორეკლასელები მოჩანდნენ, ხელყუმბარა კი სამიოდ წამში აფეთქდებოდა. მასწავლებელმა ერთადერთი სწორი და გმირული გადაწყვეტილება მიიღო — კლასის კუთხეში თავისი სხეულით გადაეფარა ხელყუმბარას...

არა, ეს 10 დეკემბერს თბილისის სკოლაში არ მომხდარა. ოციოდე წლის წინ ავღანეთში ნაბრძოლმა სამხედროს მასწავლებელმა რუსეთის ერთ-ერთ სკოლაში თავისი სხეულით დაფარა ხელყუმბარა, რითიც 30 ბავშვი აშკარა სიკვდილს გადაარჩინა, რადგან მის ხელში მძლავრი თავდაცვითი Ф-1 ტიპის მსხვრევადი ხელყუმბარა აფეთქდა, რომლის ნამსხვრევები აფეთქების ეპიცენტრიდან 200 მეტრამდეც აღწევს.

თბილისში, ისნის რაიონის 146-ე სკოლის სამხედრო სწავლების გაკვეთილზე, 70 წლის მასწავლებელს ვერავინ მოსთხოვდა ხელყუმბარას გადაფარებოდა (მით უმეტეს, რომ იგი მოსწავლეს ხელში აუფეთქდა), მაგრამ ეს ტრაგედია ადრე თუ გვიან აუცილებლად მოხდებოდა.

მოხდებოდა იმიტომ, რომ გაკვეთილზე, კვირაში რამდენჯერმე, ნამდვილი „რუსული რულეტის" უნებური თამაში მიმდინარეობდა, სადაც რევოლვერისა და ერთი ვაზნის როლს საბრძოლო და სასწავლო ხელყუმბარები და ამფეთქებლები ასრულებდნენ.

მეათე კლასის მოსწავლეს ხელში, სავარაუდოდ, РГД-5 ტიპის ხელყუმბარა აუფეთქდა (თუმცა საბოლოო ექსპერტიზის ჩატარებამდე, არც მისი წინამორბედის, РГ-42-ის აფეთქების საბოლოო გამორიცხვა შეიძლება).

გამოძიების წინასწარი მონაცემებით, ამ ტრაგედიამდე სასწავლო ოთახში სამი ხელყუმბარა ინახებოდა — ორი Ф-1 და ერთი (უკვე აფეთქებული) РГД-5. აქედან მხოლოდ ერთი Ф-1-იდან იყო ამოღებული ტროტილი, მეორე Ф-1 კი მთლიანად საბრძოლოა. აფეთქებული РГД-5-იც, ცხადია, სასწავლო არ გახლდათ, მაგრამ ხელყუმბარა, საბედნიეროდ, თვითონ არ ფეთქდება. მის ასაფეთქებლად ხელყუმბარაში იხრახნება УЗРГМ ტიპის ამფეთქი. საკლასო ოთახში მიტანილი სამივე УЗРГМ სასწავლო რომ ყოფილიყო, ტრაგედიას გადავრჩებოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, სასწავლო მხოლოდ ორი გახლდათ, ერთი კი საბრძოლო.

სამხედრო საქმის მასწავლებელი, ტრაგედიის შემდეგ, განცვიფრებული იყო — მანამდეც არაერთხელ გაგვიხსნია ხელყუმბარა, მაგრამ არ აფეთქებულაო.

ეს სიმართლეა, რადგან მანამდე სასწავლო УЗРГМ-ებს დებდნენ ორ საბრძოლო და ერთ ტროტილგადმოყრილ ხელყუმბარაში. 10 დეკემბერს კი, „რუსული რულეტის" უნებურ გამთამაშებლებს ბედმა უმტყუნათ — საბრძოლო ამფეთქი УЗРГМ საბრძოლო РГД-5-ში ჩადეს და ტრაგედიამაც არ დააგვიანა! დაიღუპა 15 წლის ედგარ ხითარიანი და დაიჭრა 4 მოსწავლე! ტრაგედია უფრო დიდი იქნებოდა, საბრძოლო УЗРГМ ასევე საბრძოლო, РГД-5-ზე ბევრად უფრო ძლიერ Ф-1-ში რომ ჩაეხრახნათ და დამცველი რგოლი ამოეძროთ.

არადა ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად ელემენტარული ცოდნა იყო საჭირო. საბრძოლო ხელყუმბარები, როგორც წესი, ხაკისფრად ან მწვანედ არის შეღებილი, სასწავლო-საიმიტაციო ხელყუმბარა კი შავია. ამასთან, სასწავლო ხელყუმბარა ძირგახვრეტილია. სასწავლო ამფეთქი УЗРГМ-У-ს ქვედა ნაწილი მოწითალოა და საბრძოლოსგან განსხვავდება.

ბოლო ხანს დედაქალაქში ასე გახშირებული წინასწარ განზრახული აფეთქებების ფონზე, სკოლაში მომხდარი ტრაგედია წმინდა წყლის დანაშაულებრივი დაუდევრობითაა გამოწვეული, თუმცა ეს არავის ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.




**ჩვენი დოსიე: РГД-5 ქვეითსაწინააღმდეგო მსხვრევადი ხელყუმბარაა და შეტევის დროს გამოიყენება, რადგან მისი ნამსხვრევები უფრო ნაკლებ რადიუსში ვრცელდება (15-20 მ), ვიდრე ხელით გადაგდების მანძილია (40-45 მ-მდე). 400 გ-იან РГД-5-ში 110 გ ტროტილია მოთავსებული.**

**შედარებისთვის: თავდაცვითი ხელყუმბარა Ф-1, რომელსაც „ლიმონკასაც" ეძახიან, 600 გ-ს იწონის და მისი ნამსხვრევები საშიშია 200 მ-ის რადიუსშიც.**

არსენალი

# პრეზიდენტებო, უფრთხილდით სნაიპერებს!

## იარაღი, რომელიც საქართველოში დღემდე არ გამოუყენებიათ ტერორისტებს



ВИНТОРЕЗ

პრეზიდენტი შევარდნაძე ისტორიაში „აუფეთქებლის" სახელით შევიდა. მისთვის მოწყობილი ორი ტერორისტული აქტის დროს გამოყენებული იყო როგორც ნაღმები და ასაფეთქებელი ნივთიერებები (1995 წლის 29 აგვისტო), ისე ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციური ჭურვები (1998 წლის 9 თებერვალი).

მაგრამ მის წინააღმდეგ არასოდეს გამოუყენებიათ ზუსტი სნაიპერული იარაღი, მიუხედავად იმისა, რომ მხარბეჭიან დაცვის წევრებს შორის მხცოვანი პრეზიდენტის ჭაღარა თავი მკაფიოდ მოჩანდა.

დღეს ნამდვილი თუ მოგონილი თავდასხმების მორიგ სამიზნედ ახალი პრეზიდენტის ვაკანტური ადგილის ყველაზე რეალური კანდიდატი სახელდება. სხვათა შორის, პრეზიდენტ შევარდნაძისა არ იყოს, მიხეილ სააკაშვილიც ძალიან ძნელი დასაცავი ობიექტია მისი დაცვის სამსახურისთვის და არა მარტო იმიტომ, რომ ტანმაღალია, არამედ ხშირად დაცვასთან შეუთანხმებლად იცვლის სვლაგეზს. როგორც ამბობენ, მეტროს თანამშრომლებთან და მგზავრებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ სააკაშვილმა, ესკალატორით მაღლა ამოსვლისთანავე, ტაქსი გააჩერა და ისე გააგრძელა გზა. რამდენიმე მძიმე წუთმა გაიარა, ვიდრე მცველები მეორე ტაქსით დაეწეოდნენ დაცვის ობიექტს.

სნაიპერულ იარაღს ყოველთვის იყენებდნენ კარგი და მრავალრიცხოვანი დაცვის სამსახურის მქონე სახელმწიფო მოღვაწის ან პოლიტიკური ფიგურის მიმართ ტერორისტული აქტის განსახორციელებლად, რადგან თავდამსხმელი დაცვის ობიექტს უკვე ველარ მიეკარებოდა დანის დასარტყამად ან პისტოლეტის სროლის მანძილზე.

კარგად მომზადებული სნაიპერული შაშხანა, საუკეთესო ოპტიკური სამიზნე, გამოცდილი მსროლელი და, რაც მთავარია, კარგად შერჩეული სროლის ადგილი თითქმის 100%-იან გარანტიას იძლევა მიზნის მისაღწევად.

სნაიპერული იარაღი, რომელიც შეიძლება ტერორისტებმა იხმარონ, პირობითად იყოფა სამ კატეგორიად — ახლო, საშუალო და შორი მოქმედების.

ახლო მანძილიდან (100-400 მ) სროლა თითქოს მეტ შანსს იძლევა მიზნის მისაღწევად, მაგრამ თავად სნაიპერი მცველებს შეიძლება მანამდე მოხვდეთ თვალში. 300-400 მ-ის დისტანციაზე სასროლად იხმარება რუსული, სპეციალური სნაიპერული შაშხანა ВСС „Винторез"-ც.

იგი აღჭურვილია სპეციალური მაყუჩით, რომელიც ახშობს გასროლის ხმას და არც ცეცხლის ალი გამოიტყორცნება ლულიდან. მაყუჩი ამცირებს ტყვიის საწყის სიჩქარეს — ის 300 მ/წმ-ს არ აღემატება, მაგრამ, სამაგიეროდ, თავად ტყვია (СП-5 ან СП-6 ტიპისა) 9 მმ კალიბრისაა, იწონის 16,2 გ-ს, 400 მ-იდან ხვრეტს 2 მმ სისქის ფოლადის ფილას და 2-3 კატეგორიის ჯავშანჟილეტებს. ასევე საგულისხმოა, რომ ეს სპეციალური შაშხანა (იგი, სხვათა შორის, ავტომატური ჯერითაც ისვრის) ადვილად იშლება სამ ნაწილად და ჩვეულებრივ „დიპლომატში" თავსდება.



B-94

საშუალო სიშორეზე (600-800 მ) მოქმედი სნაიპერები СВД-სა და მის მსგავს უცხოურ სნაიპერულ შაშხანებს იყენებენ. სამიზნიდან ნახევარ კილომეტრზე მეტი მანძილით დაშორებულ სნაიპერს აღარ სჭირდება შაშხანის ხმის ჩახშობა, ამიტომაც აღარ გამოიყენებს მაყუჩს და შესაბამისად, СВД-ით ნასროლი ტყვიის საწყისი სიჩქარე 830 მ/წმ-ს აღწევს. 7,62 მმ კალიბრის სპეციალური სნაიპერული ვაზნის ЛПС-ის გამოყენებისას სნაიპერს, კარგად დაცული და თანაც მოძრავი ობიექტის დაზიანება პირველივე გასროლით (თუკი სნაიპერი გაითვალისწინებს ქარის მიმართულებასა და სიჩქარეს) შეუძლია.



СВД

მესამე კატეგორიას მიეკუთვნებიან შორმსროლელი სნაიპერები, რომლებიც უმთავრესად მსხვილკალიბრიან სნაიპერულ შაშხანებს იყენებენ. ამერიკული მსხვილკალიბრიანი „ბარეტი" საქართველოში, ჩვენი მონაცემებით, ჯერ არავის ჩამოუტანია, მაგრამ ჩვენთან შეიძლება თავისუფლად აღმოჩნდეს რუსული მსხვილკალიბრიანი შაშხანა B-94, რომელიც მიზანში ახვედრებს 1.500-2.000 მ-დანაც კი. ამ შაშხანით შეიძლება ДШК ტიპის დაზგის ტყვიამფრქვევების 12,7 მმ კალიბრის ტყვიების სროლა. ამ ტყვიას პრეზიდენტების ჯავშანლიმუზინების ჯავშანმინების გატანაც შეუძლია (თუკი ორი-სამი ჯავშანგამტანი ტყვია გვერდიგვერდ მოხვდება), რომ აღარაფერი ვთქვათ ინდივიდუალურ ჯავშანჟილეტებზე. ისე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ჩეხეთიდან რამდენიმე წლის წინ შეიძინა 12,7 მმ კალიბრის სნაიპერული „ფალკონები", მაგრამ იმედია, მათ სამხედროები საგულდაგულოდ ინახავენ.

სნაიპერები ყოველთვის საშიშნი იყვნენ, რადგან მათ აღმოსაჩენად უზარმაზარი ტერიტორიების შემოწმება და გაკონტროლებაა საჭირო. ეს კი უდიდეს ენერგიასა და ხარჯებს მოითხოვს, რისი საშუალებაც ხშირად არ არის.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ამ ბანდის შიშით ჩვენს გზებზე ველოსიპედიანი მგზავრიც კი ვერ დადიოდა...

გასულ თვეში, ზუგდიდში, ნაციონალური მოძრაობის მიტინგის საწინააღმდეგოდ ატეხილმა ავტომატების კონონადამ კიდევ ერთხელ შეგვახსენა ოთხმოცდაათიანი წლების განუკითხაობა და ისიც, რომ თუ გვინდა სახელმწიფო გვერქვას, მხოლოდ იმ ტერიტორიების დაბრუნებისთვის კი არ უნდა ვიზრუნოთ, რომლებიც ჩვენი უახლოესი მეზობლის ძალისხმევით დავკარგეთ (იმედია, დროებით), არამედ იმაზეც, რაც კონსტიტუციურად მაინც საქართველოს იურისდიქციაში მოიაზრება. თუმცა თუნდაც სამეგრელოსა და სვანეთში დღემდე მოქმედი კრიმინალური ბანდების თარეშს თუ გავიხსენებთ, ღიმილისმომგვრელია სრულმასშტაბიან იურისდიქციაზე ლაპარაკი.

დღეს, ხელისუფლებაში მოვიდა ძალა, რომელსაც აქვს ამ ბაკქანალიის ალმოფხვრის სურვილი (ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ასე ჩანს) და დამნაშავეობასთან ბრძოლის პირველი ნაბიჯებიც მეტად მრავლისმეტყველი და შთამბეჭდავია. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა წინა ხელისუფლების მიერ მოჩვენებითი სტაბილიზაციის პირობებში კვლავაც ტყეს აფარებდა და აფარებს თავს, ვითომ ექსპრეზიდენტის მომხრე, სინამდვილეში კი კრიმინალური ბანდები, როცა შარაგზის ყაჩაღების შიშით ნათესავ-მეგობრები ვერ მოგვინახულებია მესტიაში და პოლიციის ინსპექტორი ვერ შესულა ნაციონალური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში. მეტისმეტად არასახარბიელო მემკვიდრეობა ერგო შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს, მაგრამ გვინდა გვჯეროდეს, რომ ამ სიძნელეებს არ შეუშინდება. ყოფილი პრეზიდენტი ამბობდა — კორუფციას იმიტომ არ ვებრძვი, რომ ხალხი ამისთვის ჯერ მზად არააო(!) — თუ ამ ცნების, ხალხის ქვეშ ქურდები და გამომძალველები მოიაზრებიან, მაშინ, როგორც იტყვიან, ყველაფერი გასაგებია. რაც შეეხება ხალხს, ვეჭვობთ ვინმემ გაიხსენოს დრო, როცა იგი მექრთამის, ქურდის, გამომძალველის მხარეს იდგა. წინამდებარე პუბლიკაციაც, ვფიქრობთ, ამის მაგალითად გამოდგება.

## შარაგზის ყაჩაღები

მას შემდეგ, როცა ფაბრიკა-ქარხნები კუპონებზე, ჩალის ფასად გაიყიდა, როცა ცნებები — „ხელფასი, პენსია, დანამატი“, წარსულს ჩაჰბარდა და ქვეყანა ერთ დიდ მრავალსექციიან ჯიხურს დაემსგავსა, ზუგდიდელებმაც გარისკეს და ლილოს ბაზრობიდან დაიწყეს ქალაქის მომარაგება. გარისკეს-მეთქი, ვამბობ, რადგან მოვაჭრე ხალხით გატენილ ავტობუსებზე ძალზე ბევრი ნადირობდა და, შესაბამისად, დიდი იყო უკანასკნელი ან უმეტეს შემთხვევაში ნასესხები კაპიკების დაკარგვის ალბათობა. თუმცა სახლში ჯდომაც ულუკმაპუროდ დარჩენას ნიშნავდა და რაკი ცდა ბედის მონახევრეა, იქაურებმაც სცადეს. თუმცა ზოგს გაუმართლა, ზოგს — არა. ვაჭრობას კი არა, მგზავრობას ვგულისხმობ. ბევრმა ინანა მაშინ — ამ დამცირებას, სჯობდა შიმშილით მომკვდარიყავიო, მაგრამ რადგან თავს გადამხდარის დავიწყების უნარიც ადამიანური თვისებაა, ზოგიერთები ისევ იმედს ებღაუჭებოდნენ და პროცენტიანი ვალებით კვლავაც ბედის საძებრად ეშურებოდნენ. იმ დაფეხვილმა „იკარუსმა“, ჩვენ რომ ახლა თვალი უნდა გავადევნოთ, მშვიდობიანად იმგზავრა ოდიშიდან თბილისამდე. მეტწილად დედაქალაქში მიმავლებს აყაჩაღებდნენ, იცოდნენ, მგზავრებს ნაღდი ფული ედოთ ჯიბეში და ასე ბევრად იოლი და მომგებიანიც იყო ძარცვა. შენაძენით უკან დაბრუნებულებს კი მაინცდამაინც არ ეტანებოდნენ, დიდად არ იწუხებდნენ თავს სავაჭრო საქონლის თრევით... ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, ავტობუსი ცაიშის შესასვლელს რომ მიუახლოვდა. ერთ დროს მანქანებით მოზიმზიმე საავტომობილო ტრასაზე ახლა ეულად მოძრავი ავტობუსის მძღოლმა საპირისპირო მხრიდან მომავალი მანქანის ანთებული ფარები შენიშნა, ნათება იმავე წამს ჩაქრა, მაგრამ მალევე ისევ წყვეტილად გააგრძელა ციმციმი. გურამმა იგრძნო, სასიკეთო არ უნდა ყოფილიყო ეს იდუმალი სიგნალი. ამ ორი დღის განმავლობაში ყოველწამს ყაჩაღებთან შეხვედრის მოლოდინში იყო, მაგრამ თუ აქ, თითქმის სახლის ჭიშკართან მისულს დახვდებოდნენ, ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა. სალონისკენ გააპარა მზერა. მგზავრების ნაწილი უკვე წამომდგარიყო და ჩასვლის თადარიგს იჭერდნენ. ეჭვი არ იყო, ესენი ყაჩაღები იყვნენ, მაგრამ... „აქ ხომ უცხოები არ იქნებიან, ისევ ჩვენებურები არიან და სროლას გაბედავენ?!“, — გაიფიქრა და გადაწყვიტა, მანქანას არ გავაჩერებო და ის იყო, აქსელერატორს მიაწვა, რომ წინიდან ჯერ წითლად გაიკლაკნა რაღაც, მერე ამას ავტომატის კაკანი მოჰყვა და ავტობუსის საქარე მინის ნამსხვრევები სახეში შეეყარა გურამს. მიხვდა, დამხვდურები არ დაინდობდნენ. ჩათრევას ისევ ჩაყოლა ამჯობინა. შვიდი ნიღბიანი, ავტომატშეღერებული ყაჩაღი შემოერტყა გაჩერებულ ავტობუსს.

— ჩამოდით და წუწუნი არ დაიწყოთ, თორემ აქვე ჩაგცხრილავთ სუყველას. ფული მოამზადეთ, ფული, ჭინჭები არ გვაინტერესებს! — ჯერჯერობით ერთი, მხრებში ოდნავ მოხრილი ნიღბიანი ყაჩაღი აქტიურობდა. ავტობუსის ღია კარშიც მან პირველმა შეყო თავი. მგზავრებს, რომელთა შორის ქალები სჭარბობდნენ, იმედი მიეცათ, ერთმა მათგანმა ხუმრობაც კი სცადა: — ფული რაც გვქონდა, ამ ჭინჭებში დავხარჯეთო, მაგრამ ვინ მოუსმინა — მგზავრები ავტობუსიდან ჩამოყარეს და გზის გადაღმა, ტყეში შერეკეს. უმრავლესობამ სიბნელით ისარგებლა და შემორჩენილი თითო-ოროლა კაპიკი ბუჩქებში მიმალეს იმ იმედით, მერე მოვძებნითო. ასე რომ, მგზავრების ჩხრეკამ, რომელიც მეტისმეტად გაჭიანურდა, შედეგი ვერ გამოიღო. ნიშნობის რამდენიმე ბეჭდის გარდა, ვერაფერი მოიხელთეს დამხვდურებმა და ყველას რომ ეგონა, სხვა რა გზა აქვთ, ამას დასჯერდებიანო, იქ, სადღაც, ავტობუსის სიახლოვეს, სატვირთო მანქანა დაიქოქა და ხობის მიმართულებით გაუყვა გზას. მერეღა გამოირკვა: ვიდრე ტყეში ვითომ მგზავრების ჩხრეკა მიდიოდა, ყაჩაღებს ავტობუსი ისე პირწმინდად დაეცალათ, შემთხვევით დავარდნილ ერთ ცხვირსახოცსაც ვეღარ იპოვიდით შიგ. გამწარებულმა ქალებმა თავში ხელი შემოიკრეს, მაგრამ რა ფასი ჰქონდა ახლა მოთქმა-ვაებას. მოსახდენი უკვე მომხდარიყო. იმხანად ლილოს ბაზრობაზე მიმავალ თითქმის ყოველ მეორე ავტობუსს აყაჩაღებდნენ. განსაკუთრებით გახშირდა ასეთი შემთხვევები სამეგრელოსა და აგარა-ქარელის გზებზე. დაუსჯელობით გათამამებული ბანდები დღითი დღე ხვეწდნენ ძარცვა-ყაჩაღობის ხელოვნებას. ჩვენთვის უკვე ნაცნობი ნიღბიანი შვიდკაცა მოკლე ხანში ოცამდე გაიზარდა და მალე მათი შიშით ველოსიპედიანი მგზავრიც კი ვერ დადიოდა გზაზე.



ვიღაცამ ისე გამეტებით ჩასცხო კეფაში, რომ გონება დაკარგა. მერე ხელები გაუკრეს, პირზეც მეუღლის ხილაბანდი ააფარეს და ისე გამეტებით დაუწყეს ცემა მამა-შვილს, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ სულის ამოხდამდე თავს დაანებებდნენ.

მართალია, ზოგი თავზეხელაღებული მძღოლი მაინც ბედავდა ტრასაზე გამოსვლას იმ იმედით, არ გავუჩერებთ და ავტობუსს ხომ ვერ შემოახტებიანო, მაგრამ ჯერ ერთი — ასეთებს გამეტებით ესროდნენ ავტომატებით. მეორეც, გზაზე იმგვარ საგანს უგდებდნენ, რომ მასზე გადავლის შემდეგ საბურავები იფუშებოდა და ავტობუსი ძალაუნებურად ჩერდებოდა. მოგვიანებით, ყაჩაღებმა ციმციმები დაამაგრეს თავიანთ მანქანებს. მიდი და იმკითხავე, შუალამისას პოლიციის მანქანა დგას მაგისტრალის გასწვრივ თუ ყაჩაღებისა. მძღოლებიც ძალაუნებურად ჩერდებოდნენ და მერე ყველაფერი ისეთივე სცენარით ვითარდებოდა, როგორიც დასაწყისში აღვწერეთ. თუმცა ბანდა არც ოჯახების ძარცვაზე ამბობდა უარს.

ამ ორი დღის განმავლობაში ყოველწამს ყაჩაღებთან შეხვედრის მოლოდინში იყო, მაგრამ თუ აქ, თითქმის სახლის ჭიშკართან მისულს დახვდებოდნენ, ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა. სალონისკენ გააპარა მზერა. მგზავრების ნაწილი უკვე წამომდგარიყო და ჩასვლის თადარიგს იჭერდნენ. ეჭვი არ იყო, ესენი ყაჩაღები იყვნენ, მაგრამ... „აქ ხომ უცხოები არ იქნებიან, ისევ ჩვენებურები არიან და სროლას გაბედავენ?!“, — გაიფიქრა და გადაწყვიტა მანქანას არ გავაჩერებო...

## მაროდიორები

იმ საღამოსაც ამაოდ ელოდნენ შუქის მოსვლას ტყებუჩავების ოჯახში. ლოდინით რომ დაიღალნენ, დაძინება გადაწყვიტეს. უმცროსი ბიჭი ჭიშკრის დასაკეტად გავიდა და შინ მობრუნებულს სამი ნიღბიან-ავტომატიანი ბანდიტი შემოჰყვა თან. მასპინძელს ყელთან ავტომატები მიაბჯინეს და გამოაცხადეს: თუ წივილკივილს ატეხთ, აქვე გაგაცხებინებთ სულსო. ოჯახის უფროსი, დავით ტყებუჩავა ბევრის მნახველი კაცი გახლდათ. იცოდა, ჭირს რომ გაძლება უნდოდა და მომხდურებს დაუყვავა: — ოღონდ ბიჭს არაფერი ავნოთ და რაც გინდათ, ის წაიღეთო, მაგრამ როცა გარეწრებმა ქალების თეთრეულში დაიწყეს ხელის ფათური, ღირსება დააყენა სიფრთხილეზე წინ. ერთბაშად წამოიჭრა და ამ სამოცდაათი წლის კაცმა ისეთი სილა გააწნა ერთ-ერთს, რომ თვალის დახამხამებაში იატაკზე დააგდო ავაზაკი, რომელსაც იმ დროს ავტომატი გაუვარდა ხელიდან. ის-ის იყო, დავითი ავტომატს უნდა დასწვდომოდა, რომ ვიღაცამ ისე გამეტებით ჩასცხო კეფაში, რომ გონება დაკარგა. მერე ხელები გაუკრეს, პირზეც მეუღლის ხილაბანდი ააფარეს და ისე გამეტებით დაუწყეს ცემა მამა-შვილს, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ სულის ამოხდამდე თავს დაანებებდნენ. საბედნიეროდ, გაახსენდათ, რომ აქ ამათ საცემრად კი არა, ფულისა და ძვირფასეულობისთვის იყვნენ მოსულები და ამიტომ მამაშვილი ცოცხალი სჭირდებოდათ — ვიღაცას ხომ უნდა მიესწავლებინა სამალავი. თუმცა ბევრი არაფერი აღმოაჩნდათ ტყებუჩავებს შავი დღისათვის გადანახული და ახლა ამაზე გადაირივნენ. ერთი მათგანი შურით შესცქეროდა ლამპის შუქზე მოლივლივე ბროლის ჭაღებს. ჯერ ჩამოხსნა დააპირა, მაგრამ რომ დარწმუნდა, მანქანაში ვერ მოათავსებდნენ, ავტომატის კონდახით დალეწა(?!).

ტახტზე ზის ბანდიტი და მასთან მიჰყავთ იარაღაყრილი რაიონის უშიშროების მთელი შემადგენლობა

ელექტროფარნით ზვერავდნენ ოთახებს და ერთიანად ამსხვრევდნენ ყველაფერს, რის წაღებასაც ვერ ახერხებდნენ. დაურიდებლად ტენიდნენ ჩანთებში ქალის პარფიუმერიის კომპლექტებსა და საცვლებს, იაფფასიან სამკურნალო სათვალეებს, ბავშვების თოჯინებსა და პამპერსებსაც კი...

ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში ხუტა კიტიას დაადგნენ თავს. სახლი გაუჩხრიკეს, მაგრამ ცოტაოდენი გაბონებული რუსული ფულისა და ერთი ქუდის მეტი ვერაფერი ნახეს. მერე წინ გაიგდეს ეს ხანდაზმული კაცი და უბრძანეს, შენს ინვალიდ დასთან მიგვიყვანეო. იქ კი ოქრო და ბრილიანტები მოითხოვეს, მაგრამ რაც არ ჰქონდათ, რას მისცემდნენ. ამით შეურაცხყოფილებმა ჯერ პირაკრულ ხუტას ურტყეს, მერე მის ლოგინად ჩავარდნილ დას ნავთი გადაასხეს და დაწვით დაემუქრნენ. როცა დარწმუნდნენ, ორივე მართლა არასმქონენი ყოფილანო, ძველისძველი საკერავი მანქანა და ჰუმანიტარული დახმარების სახით მიღებული ერთი ლიტრი ზეთი, სამი კილო ლობიო, ამდენივე ბრინჯი წაიღეს და იქაურობას გაეცალნენ. ნუ გაიკვირვებთ, ეს მაროდიორებისათვის დამახასიათებელი საქციელია და არაფერი აქვს საერთო რაინდულ დიდსულოვნებასთან, იშვიათად რომ ავლენენ ხოლმე კრიმინალური ელემენტები.

ბანდა ისე გათავხედდა, არად აგდებდა პოლიციას. ბუნებრივია, საამისო საფუძველიც ჰქონდათ — როცა დამნაშავე არ ისჯება, მისთვის დანაშაული თანდათან ქცევის მისაღებ ნორმად იქცევა. ამიტომაც გაგიჟდნენ, რომ შეიტყვეს, პოლიციას ჩვენი ერთ-ერთი თანამზრახველი დაუკავებიაო. ბანდის იმდროინდელმა თავკაცმა, ჯუმბერ ბოკუჩავამ ბრძანა და დაკავებულის გათავისუფლების ოპერაციაც დაიწყო. სულაც არ უძებნიათ პოლიციელების მიერ გადამალული თავიანთი მეგობარი — პირველივე გამვლელი ავტობუსი „აიყვანეს“ და ზუგდიდის პოლიციას მიადგნენ...

**ამირან სონღულია**, ავტოინსპექტორი: „1994 წლის 22 ივნისი იყო. პოლიციას მოადგა შეიარაღებული ხალხით სავსე ავტობუსი. ჯუმბერ ბოკუჩავასა და შვარელი კვარაცხელიას გარდა, ყველა ნიღბით იყო. ბოკუჩავამ თავში ავტომატის კონდახი ჩამარტყა. კვარაცხელიამაც მომიქნია იარაღი, მაგრამ როგორღაც ავიცილე. ყველა თანამშრომელი ავტობუსში შეგვყარეს და დარჩელის მიმართულებით წაგვიყვანეს“.

ავტობუსს გზად ინგირის პოლიციასთან უნდა გაევლო.

**არველოდი გაგუა**, პოლიციელი: „იმხანად ინგირის პოლიციაში ვმუშაობდი. იმ დღეს განყოფილების წინ ხუთი თანამშრომელი ვიჯექით. მოვიდა შეიარაღებული ხალხით სავსე ავტობუსი და იძულებით წაგვიყვანეს. ავტობუსში ჩვენსავით მძევლად ჰყავდათ სხვა პოლიციელებიც. ჩვენგან ორს ავტომატი ჰქონდა და ჩამოართვეს. შეგვყარეს დარჩელის გამგეობის შენობაში, სადაც განკარგულებებს ბოკუჩავა იძლეოდა. გამოგვიცხადეს, მანამ არ გაგათავისუფლებთ, ვიდრე დაკავებულ ბადრი ქობალიას არ გამოუშვებთო. კიდევ კარგი, ორი საათის შემდეგ გაირკვა, რომ ის კაცი უფროსობას გაუშვია და ჩვენც გაგვათავისუფლეს“.

თითქოს დიდი არაფერი დაშავებულა. მერე რა, ათი-თხუთმეტი პოლიციელი რამდენიმე საათით აიყვანეს მძევლად და იმავე დღეს გაათავისუფლეს. სინამდვილეში კი ეს თავზე ლაფის დასხმაა, პროფესიული ღირსების შელახვა. მაგრამ ესეც შერჩათ ბანდიტებს და სულ აიშვეს თავი.

შეგახსენებთ, რომ მოვლენები 1994 წელს, ანუ იმ დროს ვითარდება, როცა ინტენსიურად მიმდინარეობს ზვიადისტების შემორიგების პროცესი, რაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფო უშიშროების ადგილობრივი სამსახურები. მოხდა ისე, რომ შეურაცხყოფილმა პოლიციამ როგორღაც გაიბრძოლა და ბანდის მეთაური ბოკუჩავა დააკავა. მისმა მემკვიდრემ გოჩა არაჩემიამ ზუგდიდის უშიშროების უფროსთან, თეიმურაზ გაბუნიასთან შეხვედრა დაგეგმა.

ამ უკანასკნელს მოვუსმინოთ: „მითხრეს, არაჩემია ითხოვს შენთან შეხვედრასო და დათქმულ ადგილას ჩემს სამ თანამშრომელთან ერთად მივედი. იქ შევხვდი ბოკუჩავას ჯგუფის წევრებს მირდონ ოთხზორიას თავკაცობით. ჩვენი მანქანა იქვე დაგვატოვებინეს და სოფელ აბასთუმანში შეგვახვედრეს არაჩემიას (როგორი სანახავი იქნებოდა: სადღაც სოფელში, ატლასის მუთაქებით გაწყობილ ტახტზე ზის ბანდიტი და მასთან მიჰყავთ იარაღაყრილი რაიონის უშიშროების მთელი შემადგენლობა. — ვ.გ.). პირდაპირ გვითხრა, მანამ არ გაგიშვებთ აქედან, ვიდრე ბოკუჩავას არ გაათავისუფლებენ თქვენებიო“. მეორე დღეს ზუგდიდის უშიშროების ოთხეულს აფხაზეთის უშიშროების ერთი თანამშრომელი, ტარასი ბელქანიაც მიუმატეს: „იმ დღეს მე და თეიმურაზი ერთად ველაპარაკეთ არაჩემიას და შევთანხმდით, რომ თბილისში, ჩვენი სამინისტროს ხელმძღვანელობასთან გაგვაყოლებდნენ თავიანთ კაცს, ვინმე ხვიტიას. ჩვენ იგი მინისტრის მოადგილესა და ანზორ ბალუაშვილს შევახვედრეთ. ხელმძღვანელობამ თავისიანებთან ხვიტიას წერილი გამოატანა, — იმ შემთხვევაში, თუ მძიმე დანაშაულებები არ დაუმტკიცდებოდათ ბანდიტებს, ხელისუფლება პატიებაზე წავიდოდა“. გარიგება არ შედგა. მეტისმეტად ბევრი ცოდვა დაჰგროვებოდათ ბანდის წევრებს ამ დროისათვის.

ამასობაში კი პოლიცია ნელნელა იკრებდა ძალებს.

## დასასრული

ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს აქვს დასასრული, ბოროტმოქმედებისთვის ეს ციხეა. სამართლის ისტორიას არ ახსოვს, ორგანიზებულ ბანდას ციხის გარეთ დაემთავრებინა „მოღვაწეობა“. საკმარისი იყო, ქვეყანას ოდნავ მოეთქვა სული და მათ ირგვლივ რკალი შევიწროვდა.

ზუგდიდის პოლიციის უფროსი ინსპექტორი **თემურ გრიგოლია**: „მივიღეთ ინფორმაცია, რომ ბანდიტი გოდერძი ნანეიშვილი ქალაქში, ერთ-ერთ სახლში იმალებოდა. მივედით მე და ჯემალ იზორია, მაგრამ სახლში პატრონების მეტი არავინ დაგვხვდა. მერე სამზადში შევიხედეთ და ვნახეთ იქვე, კართან კაცი დგას ავტომატით ხელში. იზორიამ ისეთი ხმით უბრძანა, ავტომატი დააგდეო, კინაღამ მეც გამივარდა იარაღი ხელიდან. იმან ავტომატი კი დააგდო, მაგრამ ხელყუმბარა გახსნა და აქეთ გვიღრიალა, — არ მომეკაროთ, თორემ ავაფეთქებო! როგორღაც ვწვდი ხელში და ისე დავუჭირე, რომ აფეთქების საშუალება არ მივეცი. იზორიამ კი გამოსტაცა გახსნილი ხელყუმბარა და სადღაც ხევში მოისროლა“.

ხელყუმბარის აფეთქების ხმამ ზუგდიდელებს ამცნო, რომ გოდერძი ნანეიშვილის დაკავებით დაიწყო ბანდის წევრების აყვანა.

წალენჯიხის პოლიციის უფროსი ინსპექტორი **ბადრი ქეზურია**: „1995 წლის მარტის ერთ დღეს ჯერ ავტობუსი გაძარცვეს, მერე კი ორი მსუბუქი ავტომანქანაც გაიტაცეს (ამ მანქანებს იქვე, მეზობელ რაიონებში ჩალის ფასად ყიდდნენ). დავედევნეთ და ხიბულასთან დავეწიეთ. ატყდა ორმხრივი სროლა, მაგრამ, ბედად, არავინ დაჭრილა. გოდერძი ლომაია სასაფლაოსკენ გაიქცა. მამუკა ძიძიგურმა ჩაის პლანტაციაში დურთა თავი. თუმცა ხელცარიელი მაინც არ დავრჩენილვართ, მათ მანქანაში ნასვამი კვირკველია დავაკავეთ — მას ნამდვილად აღარ ჰქონდა გაქცევის თავი.

ხობის მილიციის ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახურის უფროსი **ნოდარ ხურცილავა**: „ამ დღეს საჯიჯაოში მიწებს ანაწილებდნენ და მთელი სოფელი გარეთ იყო გამოსული. ბანდის წევრებმა, რომელთაც კვალში ვდევდით, ხალხი იფარეს და ცეცხლი გაგვიხსნეს. მეტისმეტად წამგებიან პოზიციაში აღმოვჩნდით, მაგრამ მაინც ვაიძულეთ იარაღი დაეყარათ“.

P.S. ასე დასრულდა ბოკუჩავა-არაჩემიას ორგანიზებული ბანდის თარეში — საბოლოოდ ყველა მათგანი დაჯდა საბრალდებო სკამზე. ყველას თავისი ცოდვა გაუხსენეს და დამსახურებულადაც მიუზღეს.

***ვაჟა გავაშელი***

# მოპარული მანქანების მარშრუტი კავკასიურ „ბერმუდის სამკუთხედში“

## ბადრი პატარკაციშვილი თაღლითებმა მოატყუეს

უცხოური მანქანების გატაცების ბუმი არ ცხრება. კრიმინალური სამყაროს ერთი ნაწილის აქტიურობას, რაც ბანკებიდან თუ ლომბარდებიდან ფულის მსხვილი პარტიების „გატანით“ აღინიშნა, მხარი მანქანების გამტაცებლებმაც აუბეს. არსებული ინფორმაციით, უცხოური მარკის მანქანებზე ნადირობა ბოლო პერიოდში გაათმაგებული ძალისხმევით მიმდინარეობს. დამნაშავეებმა სიახლე შეიტანეს გატაცების საქმეშიც. „კვირის პალიტრა“ ადრე წერდა, რომ მანქანის მოსაპარი აპარატურის შესაძენად დამნაშავეები ათასობით დოლარს ხარჯავენ. დღეს, როგორც ჩანს, ამ აპარატურის შეძენა მომგებიანად აღარ ითვლება. ქურდობისთვის თავს აღარავინ იცხელებს. სამართალდამცველთა ინფორმაციით, დამნაშავეები იარაღის მუქარით მანქანის წართმევას ამჯობინებენ, რასაც სამწუხაროდ, მკვლელობები მოჰყვა. ქართველი ძალოვნები იმასაც ამბობენ, რომ მანქანების გატაცება მხოლოდ ქართული პრობლემა არ არის. ისინი კავკასიის „ბერმუდის სამკუთხედზეც“ იწყებენ ლაპარაკს. ამ სამკუთხედში მანქანები უგზო-უკვლოდ უჩინარდება. აზერბაიჯანში მოპარული მანქანა საქართველოში ჩამოჰყავთ და შემდეგ სომხეთში ასაღებენ, ანდა — პირიქით. ამ განუკითხაობას, პოლიციის აზრით, მრავალი მიზეზი აქვს. ერთ-ერთი მიზეზი ბედოვლათობაა. ისინი ბადრი პატარკაციშვილის მაგალითს იხსენებენ, როცა ბიზნესმენის ახლობელს ბაზრობის ნაცვლად, ბაქოში „შეუძინეს“ ავტომობილი (ამის შესახებ ქვევით...).

„კვირის პალიტრას“ ესაუბრება შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი, პოლიციის პოლკოვნიკი **აკაკი ჯიჭონაია:** — ბოლო დროს მართლაც ძალიან გახშირდა მანქანების ყაჩაღობის ფაქტები. სამწუხაროდ, ამან ეპიდემიის სახე მიიღო, რომლის წინააღმდეგ დროული ზომების გატარებაა საჭირო.

— **ბოლო პერიოდში რას გულისხმობთ?**

— ბოლო ათ დღეს. ყაჩაღობისას უკვე ორი კაცი მოკლეს. ადრე ასეთ საქმეზე იშვიათად მიდიოდნენ. შარშან კახეთის პროკურორის მოადგილე ყუროშვილი რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ, აფთიაქში წამლის საყიდლად გადავიდა. მანქანაში რომ ჯდებოდა, ერთდროულად ოთხმა პირმა მიადო იარაღი. ჯაჯგურში ერთმა შვიდი ტყვია დაახალა და მანქანა გაიტაცეს. საბედნიეროდ, ყუროშვილი გადარჩა.

— **საით მიჰყავთ მოპარული (ნაყაჩაღარი) მანქანები?**

— სომხეთი ასეთი მანქანების „ექსპორტის“ მთავარ ქვეყნად რჩება, სადაც პირველი ჩასვლისთანავე დავადგინეთ ხუთი გატაცებული მანქანა. ეს მანქანები უკვე ოფიციალურად იყო გაფორმებული. დავკითხეთ ის ხალხი, ვინც მანქანები გაიფორმა და აღმოჩნდა, რომ ყველა ცხინვალის საბუთებითაა გადაყვანილი, ვითომ ცხინვალშია მანქანა ნაყიდი. დღეს ცხინვალის საბუთებს ველარ აკეთებენ, საგზაო ინსპექცია გავაფრთხილეთ, — თუ ერთი მანქანა მაინც აღმოჩნდებოდა ამ საბუთებით გასული, მათი პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებდით. თუმცა დამნაშავეებმა მაინც იპოვეს გამოსავალი — დაიწყეს ქართული ტექპასპორტების გაკეთება. ისეთ დონეზე აკეთებენ, ყალბს და ნამდვილს ერთმანეთისაგან ექსპერტიზის გარეშე ვერ გაარჩევ. მხოლოდ თბილისში 20-მდე ასეთი ჯგუფი მოქმედებს.

— **სულ რამდენი მანქანაა სომხეთში გადაყვანილი?**

— ჩვენ 35 მანქანა გვაქვს დადგენილი. სომხეთში გაირკვა, რომ მანქანები სადახლოს ან გუგუთის (დმანისი) სასაზღვრო პუნქტებიდან შეჰყავთ. როცა მოპარული მანქანები აღმოვაჩინეთ, იქაურ სასამართლოში შევიტანეთ სარჩელი. დღეს ასეთი ცხრა განცხადებაა შეტანილი. როცა სომხეთის სასამართლომ დაადგინა, რომ მანქანა სინამდვილეში საქართველოს მოქალაქეს ეკუთვნოდა, დაუბრუნეს. ეს პირველი პრეცედენტი იყო. იმედია, სხვა მანქანებსაც დავიბრუნებთ.

სომხეთში კიდევ ერთი საინტერესო დეტალი აღმოვაჩინეთ. დავადგინეთ კონტაქტები საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ქურდულ სამყაროებს შორის. აზერბაიჯანში იპარავენ მანქანებს, შემოჰყავთ საქართველოში და იმავე დღეს გაჰყავთ სომხეთში. აზერბაიჯანსა და სომხეთს საერთოდ არა აქვთ კონტაქტი ერთმანეთთან და ჩათვალეთ, რომ ასეთი მანქანა დაკარგულია. ჩვენ ის მაინც შეგვიძლია, ამ ქვეყნებში ჩავიდეთ და მოპარული მანქანები ვეძებოთ. ჩვენთან აზერბაიჯანში მოპარული 6 მანქანა იყო გადმოყვანილი, რომლებიც უპრობლემოდ, სასამართლოს გარეშე დავაბრუნეთ უკან.

— **როგორც ამბობენ, მანქანების ქურდობა იმიტომ ვერ აღიკვეთა, რომ მასში პოლიციელებიც მონაწილეობენ.**

— ყველა ოჯახშია ერთი უვარგისი. პოლიციაში ასეთებიც რომ აღმოჩნდნენ, გასაკვირი არ იქნება. მაგრამ დამნაშავე პოლიციელთა დაჯგუფება რომ აღმოგვეჩინა, ასეთი არ ყოფილა. თუმცა რამდენიმე დღის წინ სადახლოს გზაზე აღმოვაჩინეთ გამტაცებელთა ჯგუფი, რომელთა შორის ერთი პოლიციელიც იყო.

— **მის ვინაობას ვერ დააკონკრეტებთ?**

— მისი დაკავება ვერ მოვახერხეთ, გაიქცა. ამიტომ ვინაობის დასახელებისგან თავს შევიკავებ. ერთი საგზაო ინსპექციის თანამშრომელიც მივეცით პასუხისგებაში, უცხოეთში მოპარულ მანქანებს აფორმებდა. მან სწორედ ის მანქანა გააფორმა, პატარკაციშვილმა რომ იყიდა ახლობლისთვის.

— **პატარკაციშვილმა მოპარული მანქანა იყიდა?**

— პატარკაციშვილმა ერთ ახლობელს მანქანა აჩუქა. უფრო სწორად, სხვებს დაავალა, ახლობლისთვის მანქანის ყიდვა მინდაო და ფული მისცა. ისინი კი თაღლითები აღმოჩნდნენ. იმის ნაცვლად, მანქანა ბაზრობაზე ეყიდათ, წავიდნენ ბაქოში, ვიღაც ამერიკელს „კადილაკი“ მოჰპარეს და ჩამოიყვანეს. ასე მოატყუეს ბადრი პატარკაციშვილი.

— **რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ასეთი შემთხვევები საერთოდ თუ არ აღმოიფხვრა, შემცირდეს მაინც.**

— მთავარია, საზღვარზე იყოს გამართული მუშაობა. საზღვრის გადაკვეთის პუნქტები შსს-ს საინფორმაციო ქსელში უნდა იყოს ჩართული. უნდა შეამოწმონ ნებისმიერი მანქანა და როცა ეცოდინებათ, რომ სომხეთში მანქანას ველარ გადაიყვანენ, ქურდობაც შეწყდება. მესაზღვრეებს კი ჯერ არც ერთი მანქანა არ დაუკავებიათ(?!). ერთ მაგალითს მოგიყვანთ — სომეხმა მესაზღვრეებმა 9 დეკემბერს აქედან გადაყვანილი მანქანა დააფიქსირეს. ამავე დღეს განაბაჟეს სომხების საბაჟოზე. გეკითხებით, თუ ჩვენი მესაზღვრეები არ გაიარა, იქ როგორ მოხვდა?

— **შემოვლითი გზები?**

— იქ ისეთი შემოვლითი გზებია, ტანკსაც გაუჭირდება, მით უმეტეს ჩვეულებრივ „მერსედესს“. სომხეთის საბაჟოზე, როგორც გვითხრეს, მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა შარშან, როცა ასაქცევი გზით გადაიყვანეს მანქანა. მანქანა ჩამოართვეს და კონფისკაცია მოახდინეს. ასე რომ, სომეხი მებაჟეებიც ამბობენ, მოპარული მანქანები ქართველი მესაზღვრეების კორდონს ვერ უნდა გასცდნენო. ერთი სიტყვით, მოპარული მანქანების ბიზნესის აღსაკვეთად შსს თითს საზღვრის დაცვის დეპარტამენტისკენ იშვერს. მესაზღვრეები კი ბრალდებას უარყოფენ. ისინი აცხადებენ, რომ გატაცებული მანქანების დაკავება მათ კომპეტენციაში არ შედის. ამ საკითხზე „კვირის პალიტრა“ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსს, **შალვა ლონდარიძეს** ესაუბრა:

— თავის მართლებას არ დავიწყებ, მაგრამ თუკი ვინმეს ექნება ოპერატიული ინფორმაცია, რომ მესაზღვრე რაიმე გადაცდომაშია შემჩნეული, შეუძლია დეპარტამენტს მიმართოს.

— **ასეთი შეტყობინება შსს-დან არ მოსულა?**

— ჯერ ამის მსგავსი არაფერია მოსული. არც სატელეფონო და არც წერილობითი შეტყობინება არ ყოფილა. გამოდის, რომ ეს არის ინფორმაცია, რომელიც ჰაერშია გამოკიდებული. მანქანას მხოლოდ მაშინ დავაკავებთ, თუკი შსს-დან შესაბამის ინფორმაციას მივიღებთ. ჯერჯერობით, ასეთი ინფორმაცია არ მიგვიღია...

სანამ სახელმწიფო უწყებებში ერთმანეთის კომპეტენციების გარკვევით არიან დაკავებულნი, დამნაშავეები, როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობენ თავს. შესაბამისად, ვინ იქნება ბოროტმოქმედთა მორიგი მსხვერპლი, უცნობია. როგორც ჩანს, სამართალდამცველებმა მანქანების დაყაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებას, ჯერჯერობით, ისევ ვერ მიაგნეს.

***დავით დევიძე***





# კოენზიმ Q-10 (უბიქინონი): ორი გულის ძალა





*ჩვენი ორგანიზმის თითოეული უჯრედი - თავისებური მინიატურული ძრავაა, რომელიც მასში შესულ საკვებ ნივთიერებებს გარდაქმნის ენერგიად. ამ ენერგიის გარეშე უჯრედს ნორმალური მუშაობის უნარი არ გააჩნია, მისი აღდგენა და კვლავწარმოება ირღვევა. ხოლო ორგანიზმისთვის მიწოდებული საკვებიდან ენერგიის გამოსამუშავებლად უჯრედი განსაკუთრებულ ნივთიერებას იყენებს, რომელსაც **კოენზიმ Q-10**-ს უწოდებენ, რომელიც მედიკოსებისთვის ასევე უბიქინონის სახელითაა ცნობილი. სწორედ **კოენზიმ Q-10** მონაწილეობს მთელი უჯრედოვანი ენერგიის 95%-ის გამომუშავებაში. 1978 წელს პიტერ მიჩელი დაჯილდოვდა ნობელის პრემიით, რადგან დაამტკიცა, რომ უბიქინონი უდიდეს როლს თამაშობს ორგანიზმის ენერგიით უზრუნველყოფის პროცესში. და არა მხოლოდ ენერგეტიკული ბალანსი ემორჩილება კოენზიმს.*



მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტები, რომლებიც ჯერ ცხოველებზე ჩატარდა, მოგვიანებით კი ადამიანებზე, გვიჩვენებს, რომ კოენზიმის დამატებითი მიღება ახდენს გამოკვეთილ სამკურნალო ეფექტს გავრცელებული დაავადებების საკმაოდ დიდი რაოდენობისთვის. მაგალითად, დადგინდა, რომ ყველა გულით დაავადებულში ფიქსირდებოდა **კოენზიმ Q-10**-ის დეფიციტი. ამ ნივთიერების უკმარისობის მიმართ გული მეტად მგრძნობიარე აღმოჩნდა. შესაბამისად, მეცნიერებმა გააკეთეს დასკვნა - გულით დაავადებულების მიერ **კოენზიმ Q-10**-ის მოხმარება მათ მდგომარეობაზე არსებითად უნდა მოქმედებდეს. სწორედ ასეც აღმოჩნდა! კოენზიმის მიღება დაავადების შორს წასული ფორმის შემთხვევაშიც კი საგრძნობლად აუმჯობესებს პაციენტების მდგომარეობას. ტეხასის უნივერსიტეტის კლინიკაში მკურნალობის ახალი მეთოდების გამოყენების ექვსწლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ კოენზიმის მიღებამ ტრადიციულ მკურნალობასთან ერთად, მისი ეფექტურობის მკვეთრად გაზრდის შესაძლებლობა მოგვცა. გულის მწვავე უკმარისობით დაავადებულთა 75% მკურნალობის დაწყებიდან 3 წლის შემდეგ სიცოცხლისუნარიანები იყვნენ, მაშინ, როცა ტრადიციული მეთოდიკების გამოყენებით მხოლოდ 25% გადარჩა.

გარდა ამისა, **კოენზიმ Q-10**-ის გამოყენებამ ბრწყინვალე შედეგები გვიჩვენა გულის იშემიური დაავადებების, ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზისა და ორგანიზმის მრავალი სხვა ფუნქციის დარღვევების მკურნალობაში. გამოჯანმრთელების პროცესის მექანიზმი სხვადასხვა ავადმყოფში ერთი და იგივე იყო: **კოენზიმ Q-10**-ის კონცენტრაციის აღდგენა უჯრედებში ნორმალურ დონემდე. პირველი დადებითი ცვლილებები გულით დაავადებულთა სტატუსში თავს იჩენდა, როგორც წესი, მიღებიდან 4 კვირის შემდეგ და მკურნალობის ხანგრძლივობა განისაზღვრება გულის მუშაობის დარღვევის ხარისხით. 1985 წელს ტეხასის (ქ. ოსტინი) უნივერსიტეტის ბიომედიცინური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი კარლ ფოლგერი დაჯილდოვდა საპატიო მედლით - ამერიკის ქიმიური საზოგადოების უმაღლესი ჯილდო **კოენზიმ Q-10**-ის კვლევისათვის. ოდნავ მოგვიანებით, „ამერიკის მთავარი კოენზიმოლოგი“ ფოლგერი, ადამიანისთვის **კოენზიმ Q-10**-ის მნიშვნელობის რაოდენობრივ შეფასებებს ატარებს. მისი დასკვნის თანახმად, რომელიც ჯანმრთელი გულისა და სხვა ორგანოების, აგრეთვე ქსოვილების ბიოფსიის შედეგებზეა დაფუძნებული, დაავადებები ადამიანებს საფრთხეს უქმნიან, როდესაც **კოენზიმ Q-10**-ის შემცველობა მის შინაგან ორგანოებში ეცემა ნორმაზე 25%-ით ქვემოთ, ხოლო ნორმაზე 75%-ით დაცემამ შესაძლებელია სიკვდილი გამოიწვიოს.




- *აწესრიგებს არტერიულ წნევას და გულის რითმს;*
- *არეგულირებს გულის კუნთის მუშაობას გულის იშემიური დაავადებისას - ამარაგებს ენერგიით;*
- *უზრუნველყოფს ათეროსკლეროზის პროფილატიკას.*

**კოენზიმ Q-10** - მომაკვდინებელი ტრიადის - ჰიპერტონია, გულის იშემიური დაავადება, ათეროსკლეროზი - ბუნებრივი ზღუდე.

შემდგომ, კოენზიმის კვლევა სხვა ქვეყნების, მათ შორის, რუსეთისა და საქართველოს მრავალმა მეცნიერმა გააგრძელა. უბიქინონის ეფექტურობა არაერთხელ დადასტურდა და ერთმნიშვნელოვნად დამტკიცდა, რომ მისი მიღება გულის ფუნქციის დარღვევისას, რომელიც ვლინდება არტერიული წნევის მომატებითა და გულის რითმის დარღვევით - არითმიისა და ტაქიკარდიის ტიპით, უკიდურესად აუცილებელია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე იმის აღნიშვნა, რომ უბიქინონის მიღება პრაქტიკულად არანაირ გვერდითი ეფექტს არ იწვევს. კარგადაა ცნობილი, რომ ყველაზე „ხანგრძლივმაცხოვრებელი“ ერი - იაპონელები არიან. მაგრამ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა ეროვნული თავისებურებას ნამდვილად არ წარმოადგენს. მათ ეს მხოლოდ ბოლო წლებში მოახერხეს, მას შემდეგ, რაც შემუშავებულ იქნა თამბაქოს განსაკუთრებული სახეობის ფოთლებიდან **კოენზიმ Q-10**-ის მაღალტექნოლოგიური გამოყოფის ხერხი, რის შემდეგაც ქვეყანაში მისი მასიური წარმოება და გამოყენება დაიწყო. მილიონობით იაპონელი ამ სასწაულმოქმედ ელექსირს ყოველდღიურად იღებს.

კოენზიმის ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული ნედლეულის ხარისხზე და მიღების ტექნოლოგიაზე. პრეპარატი „ **კოენზიმ Q-10**“, რომელსაც უმსხვილესი ამერიკული კომპანია „შიფი“ იაპონელების მიერ შემოთავაზებული ულტრა-ტექნოლოგიით აწარმოებს და სერტიფიცირებულია GMP-ის საერთაშორისო სტანდარტების სისტემით, დღეს შეგიძლიათ ვიტამინ-ცენტრ **„ჯეოვიტ“**-ში შეიძინოთ. აქვე შეგიძლიათ მიიღოთ კვალიფიციური ექიმი-დიეტოლოგის უფასო კონსულტაცია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას სწორი კვების შერჩევის თაობაზე.

**თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ მათში, ვისაც ყველაზე მთავარს - საკუთარ ჯანმრთელობას ანდობთ!**

ჯეოვიტი
GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი
საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
www.schiffvitamins.com

# გულიკო ჩაფიძე ედუარდ შევარდნაძის შესახებ

## პრეზიდენტის ნათლიას ნათლულის ჯვარი მართებს


ედუარდ შევარდნაძეს დღემდე არაფერში გამოვდგომივარ, როგორც ექიმი

— იმას, რომ დღემდე მე მის ექიმად მხოლოდ პროტოკოლით ვითვლები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სურდოს, რომელიც იშვიათად, მაგრამ მაინც ემართება ხოლმე. ასეთ შემთხვევაში ჩემი მოვალეობა იყო, ყველაფერი გამეკეთებინა, რათა მეორე დღეს სამსახურში წასულიყო. შემიძლია მხოლოდ სამი შემთხვევა გავიხსენო, როცა სურდოს გამო ერთ-ორ დღეს არ წასულა სამსახურში. საოცარი ჯანმრთელობის პატრონია. ვის გაუკვირდება, სამოცდათექვსმეტი წლის ასაკში კაცს რომ რაღაცის მკურნალობა დასჭირდეს? გასაკვირი ისაა, ასეთი რამ რომ არ სჭირდება. წარმოიდგინეთ, რომ არც ერთი კბილი არ აკლია და სულ ტყუილია ხმები იმის შესახებ, თითქოს სათვალის მაგივრად ლინზებს იყენებდეს. მერწმუნეთ, საჭიროების შემთხვევაში, არანაირ უხერხულობას არ შეუქმნიდა სათვალის ხმარება.

**— ყოველივე ეს ოჯახის წევრებზეც ვრცელდება?**

— ოჯახში შვილები ახალგაზრდები არიან და არაფერი აწუხებთ. რაც შეეხება ქალბატონ ნანულის, მას აქვს ამ მხრივ პრობლემები. დიდი ხანია აწუხებს ოსტეოქონდროზი, ჩემამდე გაკეთებული ჰქონდა ხერხემალზე ოპერაცია. აწუხებს სახსრებიც. აი, მას ნამდვილად ვჭირდები, როგორც ექიმი. ამჟამადაც გადის ქალბატონი ნანული მკურნალობის კურსს.

**— ახლა როგორ გრძნობს თავს ბატონი ედუარდი, ყველასათვის გასაგები სტრესის შემდეგ, რომელიც მან გადაიტანა?**

— მერწმუნეთ, არც იმ დღეებში, არც მას შემდეგ, მე მისთვის წნევაც არ გამიზომია. უბრალოდ იმიტომ, რომ ასეთი რამ არც არასოდეს ჰქონია. ვერ გეტყვით, შინაგანად რას განიცდის, მაგრამ ჯანმრთელობის მხრივ რომ აბსოლუტურად ყველაფერი რიგზე აქვს, ეჭვიც არ მეპარება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ მთელი დღის განმავლობაში მოუცლელია. გამუდმებით ვიღაცაა მასთან, ამჯერად ძირითადად ჟურნალისტები. დღის განმავლობაში ჩვეულებრივ ერთ-ორ საათს ისვენებს და ეს საკმარისია მისთვის, რომ დანარჩენ დროს იმუშაოს. არ შემიძლია არ გითხრათ იმის შესახებაც, რომ ამ დღეებში ჩემს ტელეფონზე ძალზე ბევრი უტაქტო, გადაკრული ზარი იყო — როგორ გრძნობს თავს, ხომ არ ღელავს ან ნერვიულობს და სხვ. ვაცხადებ, რომ ბატონი ედუარდი ძალიან მშვიდადაა, ჩვეულებრივად გაწონასწორებული და მას ვერ შეამჩნევთ, რომ რამე მნიშვნელოვანი მოხდა მის გარშემო.

**— გასაგებია, რომ თქვენს პროფესიულ დახმარებას არ საჭიროებს, მაგრამ პროტოკოლი მაინც პროტოკოლია და მასთან ექიმი უნდა იყოს გამუდმებით. თუ გეხმარებათ ვინმე?**

— პროტოკოლიდან გამომდინარე, მასთან დღედაღამ უნდა ყოფილიყო ექიმი და ამას ჩემი ახალგაზრდა შეგირდები აკეთებენ 1995 წლიდან. თუმცა სულ ჩივიან, რომ იქ უსაქმოდ არიან და აქვე ბარემ იმასაც გეტყვით, რომ უცხოეთის მოხშირებულ მივლინებებში, სადაც პრეზიდენტთან ერთად ასამდე და ზოგჯერ მეტი კაცი მოგზაურობს, პრეზიდენტს არა და ძალიან ბევრს კი დასჭირვებია ჩემი დახმარება.

**— ქალბატონო გულიკო, ამ შენობაში მე ვნახე წარწერა, რომელიც იუწყება, რომ გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, შექმნილია ედუარდ შევარდნაძისა და გენშერის ფონდის ძალისხმევით, რაც ამ შეჭირვებულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი შენაძენია მათთვის, რომლებსაც გული აწუხებს. მით უმეტეს, რომ სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, მომსახურების ღირებულების სამ მეოთხედს სწორედ სახელმწიფო აფინანსებს.**

— დიახ. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია შესაბამისმა გერმანულმა ცენტრმა, რომელმაც ისე დაგვიკომპლექტა ქირურგიული განყოფილება, რომ სახელმწიფოს კაპიკი არ დაუხარჯავს. აპარატურის გარდა, რომელიც ოცი მილიონი დოლარი დაჯდა, გერმანელებმა მოგვიმზადეს ქირურგიული გუნდი — ოც კაცზე მეტი, რომლებისთვისაც, დაწყებული თბილისიდან, სამგზავრო ბილეთსაც ყიდულობდნენ, იქ ცხოვრება, კვება, სწავლება და შაბათ-კვირას ექსკურსიაც, მათ შორის იტალიასა და საფრანგეთშიც, მათივე ხარჯებით ეწყობოდა. წარმოიდგინეთ, მიჰყავდათ არა მარტო ექიმები, ექთანებიც და მასაჟისტებიც, მეთოდისტიც კი, იმ მიზნით, რომ შექმნილიყო ერთიანი, ჩამოყალიბებული გუნდი. ამიტომაც თუ რეკლამაში არ ჩამითვლით, საქართველოში ესაა ერთადერთი დაწესებულება, სადაც გულთან დაკავშირებული ყველა გამოკვლევა კომპლექსურად, ერთ შენობაში ტარდება. თუმცა ჩვენც ისევე გვიჭირს, როგორც ჩვენს საზოგადოებას, რადგან სახელმწიფო პროგრამაც შეზღუდულია, მაგრამ ვითმენთ. მე ამას მიჩვეული ვარ, რადგან არასდროს მისარგებლია იმით, რომ პრეზიდენტთან სიახლოვის გამო რაღაც შეღავათები მეთხოვა ჩემი და ჩემი თანამშრომლებისთვის.

გადაუდებელი კარდიოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი, პრეზიდენტის ოჯახისა და სხვა მრავალთა მკურნალი, პროფესორი, ქალბატონი გულიკო ჩაფიძე ინტერვიუზე იმ პირობით დამთანხმდა, რომ პოლიტიკაზე არ ვისაუბრებდით და რაკი ასეთი რამ არც სარედაქციო დავალებაში შედიოდა, ვფიქრობ, მეტად გულახდილი დიალოგი გამოგვივიდა.

**— ქალბატონო გულიკო, როგორ მოხდა, რომ თქვენ, თანაც კარდიოლოგი, პრეზიდენტის ოჯახში აღმოჩნდით?**

— იცით, ამ კითხვას ხშირად მისვამენ. რა თქმა უნდა, საქართველოს კომპარტიის პირველ მდივანს პროტოკოლით ეკუთვნოდა ოჯახის ექიმი, მაგრამ ამ ადგილზე ჩემი გამოჩენა თავისთავად ბადებდა ეჭვს, ხომ არ იყო იმ დროს, ანუ 1977 წელს, ამ ოჯახში კარდიოლოგიური პრობლემები, თუმცა ეს ასე არ იყო. მით უმეტეს, როცა ლაპარაკია ბატონ ედუარდ შევარდნაძეზე, რომელსაც დღემდე არაფერში გამოვდგომივარ, როგორც ექიმი და მით უმეტეს, კარდიოლოგი, რადგან ამის მოთხოვნილება უბრალოდ არ არსებობს. რაც შეეხება იმას, თუ როგორ აღმოვჩნდი ამ ოჯახში, — ერთ ჩემს ყოფილ პაციენტს, რომლის ვინაობა მაშინაც ვერ გავიხსენე, ამ პოსტზე ჩემი კანდიდატურა შეუთავაზებია იმდროინდელ ჟურნალ „საქართველოს ქალის“ თანამშრომლის, ქალბატონი ნანული შევარდნაძისათვის, რომელმაც საქმის კურსში ჩააყენა ცნობილი მეოთხე სამმართველოს უფროსი თეიმურაზ თოფურია. მანაც გამომიძახა და დელიკატურად გადმომცა, რომ... არსებობდა ამგვარი აზრი.

**— თქვენ იმ დროს მეოთხე სამმართველოში მუშაობდით?**

— შიგადაშიგ კონსილიუმებზე მიწვევდნენ. ისე კი, ყოველთვის ვცდილობდი, შორს დამეჭირა თავი ამ დაწესებულებისაგან, რადგან იქაური კონტინგენტი, რა თქმა უნდა, პაციენტები მყავს მხედველობაში, მეტად პრეტენზიულები იყვნენ — ექიმს კი არ უსმენდნენ, თვითონ ინიშნავდნენ მკურნალობას. მე კი არ მიყვარს, როცა მმართავენ. შესაძლოა სხვა რაღაცაში ადვილად დამითანხმონ, მაგრამ რაც პროფესიულ საქმიანობას ეხება, მეტად ძნელი სამართავი ვარ. აქედან გამომდინარე, სასტიკი უარი ვუთხარი ბატონ თეიმურაზს, თუმცა მან იგივე თხოვნა მომდევნო დღეებშიც რამდენჯერმე გამიმეორა და ბოლოს შემომთავაზა, პირადად გავსაუბრებოდი პრეზიდენტის ოჯახს. ზრდილობის გულისთვის დავთანხმდი და წყნეთში, აგარაკზე მივედით. იქ ისეთი გულთბილი, შინაური ატმოსფერო დაგვხვდა, რომ იმ წუთშივე ვიგრძენი, ამ ოჯახთან უნდა მემეგობრა. ეს განცდა უფრო გაძლიერდა, როცა ბატონ ედუარდს შევხვდი. მას შემდეგ, აგერ, უკვე ოცდაშვიდი წელი გავიდა და ეს ურთიერთობა დღესაც გრძელდება. როცა ბატონი ედუარდი მოსკოვში გადავიდა სამუშაოდ, ჩავდიოდი ქალბატონი ნანულისა და ბატონი ედუარდის დაბადების დღეებზე. სოჭშიც მიმიწვიეს, როცა იქ დასასვენებლად იყვნენ.

აქ რომ ჩამოვიდნენ, აღმოჩნდა, რომ არც ბატონი ედუარდი და არც ქალბატონი ნანული მონათლულები არ ყოფილან. ნათლობის ცერემონიალი სიონის ტაძარში გაიმართა. ვიცოდი, რომ პრეზიდენტის ნათლია უწმინდესი და უნეტარესი, კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე უნდა ყოფილიყო. უცებ ნათლიაც და ნათლულიც შემობრუნდნენ და განაცხადეს, რომ საჭირო იყო კიდევ მეორე ნათლია და რატომღაც ყველამ მე შემომხედა. არადა, იმ ხანებში შვილი დამეღუპა და ვერც წარმოვიდგენდი, რომ მე, ერთიანად შავებით მოსილი ქალი, ამისთვის გამოვდგებოდი, მაგრამ რაკი ასეთი შემოთავაზება იყო, ბუნებრივია, დიდ პატივად ჩავთვალე და დავთანხმდი კიდეც. თუმცა ერთი უხერხულობა მაინც შემექმნა. რაკი ამის შესახებ წინასწარ არ ვიცოდი, თან არ მქონდა ნათლულისთვის გადასაცემი ჯვარი, მაგრამ უწმინდესი შემომეშველა — არა უშავს, ჯვარს მე გადავცემო და ასე მოვნათლეთ პრეზიდენტი, ჯვარი დღემდე არ მიმირთმევია და ამ მხრივ, ვალში ვარ.

**— მოდით, ისევ თქვენსა და ნათლულს შორის სამედიცინო ურთიერთობებს დავუბრუნდეთ. ძნელი დასაჯერებელია, რომ ოცდაშვიდი წლის განმავლობაში რაღაც სისუსტეს არ ეჩინოს თავი. რას გაიხსენებდით?**

*ვაჟა გავაშელი*

# რას გვეტყვი, მამაო?

**— 17 დეკემბერს აღესრულება დიდი დღესასწაული წმინდა ბარბარესი. ამ დღესასწაულთან დაკავშირებით, არაერთი ხალხური ტრადიცია შემოგვრჩა, თუნდაც ბარბაროზის „ბედობის დღედ“ მოხსენიება... უკავშირდება თუ არა ეს ტრადიციები ქრისტიანულ კანონიკას? ვინ იყო, სად ცხოვრობდა წმინდა ბარბარე?**

— წმინდა ბარბარეც, სხვა რამდენიმე წმინდანთან ერთად, ერთ-ერთი გამორჩეულად საყვარელი წმინდანია ქართველი ხალხისა. ასეთი გამორჩეულობა შესაძლოა მის არა მარტო ღვთიურ, არამედ იმ ადამიანურ ხასიათსაც მიეწერება, რომელიც ახლოს არის ჩვენს ხასიათთან... ის ხალხური ტრადიციები, რომელიც წმინდა ბარბარესთან დაკავშირებით ჩვენმა ხალხმა შემოინახა, ქრისტიანულ კანონიკასთან კავშირში არ არის, უბრალოდ დიდ სიყვარულზე მიუთითებს. მაგალითად, ქართველები ბარბაროზის შესახვედრად ვაცხობთ ლობიანებს, ვმოძღვრავთ ბავშვებს და ვეუბნებით, რომ თუ კარგად მოიქცევიან, წმინდა ბარბარე შეეწევათ... წმინდა ბარბარესვე ვევედრებით, რომ უზიარებელი არ გავემგზავროთ სასუფეველში... ისიც შეისმენს ჩვენს თხოვნას, რადგან ქრისტიანთა მფარველი და მოყვარულია. თვითონაც ქრისტეს გულმხურვალე სიყვარულისთვის ეწამა... წმინდა ბარბარე დაიბადა ქალაქ ილიოპოლში (დაახლოებით 306 წელს) მდიდარი წარმართის, დიოსკორეს ოჯახში... ქალწული ღვთაებრივად მშვენიერი იყო და ადრე დაქვრივებულმა მამამ გადაწყვიტა, ერთადერთი შვილი გარეშე თვალთაგან ფარულად აღეზარდა... მიუვალ ადგილზე გამომწყვდეული გოგონა დაფიქრდა სამყაროს შექმნის საიდუმლოებაზე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამყაროს უეჭველად ერთი შემოქმედი უნდა ჰყოლოდა...




როდესაც გათხოვების დრო დაუდგა, უარი უთხრა უამრავ მთხოვნელს. მამამ იფიქრა, გოგონა ეულად აღზრდამ გულჩათხრობილი გახადაო და თავისუფლება მისცა. ამასობაში ილიოპოლში ალექსანდრიელი ხუცესი ჩავიდა და ქალწული მონათლა... როდესაც დიოსკორე აბანოს აგებდა და მისთვის ორი — მზის და მთვარის სარკმელის გამოჭრა ბრძანა, ბარბარემ მესამე სარკმელიც დაამატებინა... ამ სოფელს (დედამიწას) სამნი: მამა, ძე და სულიწმიდა ანათებენო. ამ სიტყვებით განრისხებულმა დიოსკორემ მახვილი შემართა შვილზე... ბარბარე გაიქცა და თავი კლდეს შეაფარა, მაგრამ მალე მწყემსებმა იპოვეს... დიოსკორემ ასული ქალაქის მმართველს მიჰგვარა, რომელმაც ჯერ ტკბილად სცადა გოგონას გადმობირება, შემდეგ კი აწამა... ნაიარევით დაწყლულებული ბარბარე ღამით თავად მაცხოვარმა განკურნა წყლულებისაგან... რა არ სცადეს წარმართებმა მის მოსაქცევად, მაგრამ გოგონა უფრო დიდი წინააღმდეგობით პასუხობდა. უსჯულოებმა მისი დასჯა გადაწყვიტეს... ბარბარეს წამების საცქერლად შეკრებილ ბრბოში იდგა ქალწული იულიანაც, რომელმაც ხმამაღლა დაიწყო ჯალათების მხილება, ისიც შეიპყრეს და ბარბარესთან ერთად საწამებლად შეაგდეს...

ქრისტეს სამსხვერპლოზე წმინდა ბარბარეს წმინდა იულიანაც დაუყენეს გვერდით... როდესაც წმინდა ბარბარემ უკანასკნელი ლოცვა დაასრულა, ციდან ანგელოსთა ხმა გაისმა... თვით მამამ აღმართა ბარბარეზე თავის მოსაკვეთად მახვილი... ქალწულის განგმირვისთანავე ჯალათ მამას საშინელი ელვა დაატყდა თავს და იქვე განგმირა...

**— შობის მარხვისას, ქართველები განსაკუთრებული სიხარულით აღვნიშნავთ წმინდა ნიკოლოზის დღესასწაულს. რით არის გამოწვეული ამ წმინდანისადმი ჩვენი ასეთი განსაკუთრებული დამოკიდებულება? გთხოვთ, მოკლედ გვიამბოთ წმინდა ნიკოლოზის შესახებ.**



— მართალი ბრძანდებით, ქართველ ხალხს განსაკუთრებულად უყვარს ეს წმინდანი და მისი დღესასწაული შობის მარხვაში, **19 დეკემბერს** დიდი სიხარულით აღინიშნება. წმინდა ნიკოლოზი საქართველოს ეკლესიის მფარველად ითვლება. მის სადიდებლად საგანგებო ლოცვა დაწერა მისმა უწმინდესობამ, საქართველოს პატრიარქმა და ეს ლოცვა სიონის საკათედრო ტაძარში კედელზეა მოთავსებული. წმინდა ნიკოლოზი არნახული თავმდაბლობითა და, ამავე დროს, ძლიერი სულიერი სიმტკიცით შემკული ადამიანი იყო. იგი დაიბადა მცირე აზიაში, ლუკიის ოლქის ქალაქ პითარაში (დაახლოებით 345. წ), მის კეთილმსახურ მშობლებს შვილი დიდხანს არ ეძლეოდათ და უფალს მხურვალედ ევედრებოდნენ, მემკვიდრე შესძენოდათ. წმინდანის დაბადებისას პირველი სასწაული ის იყო, რომ მშობიარობის შემდეგ, დედამისი ხანგრძლივი სნეულებისგან განიკურნა... წმინდა ნიკოლოზი სიყრმიდანვე დღისით ტაძარში იყო და ღამით ლოცულობდა. ბიძამისმა, პითარის ეპისკოპოსმა, ნიკოლოზი ჯერ მედავითნედ დაადგინა, შემდეგ მღვდლად აკურთხა... ხელდასხმის დროს სულიწმინდის მადლით აღვსილმა მღვდელმთავარმა ხალხს წმინდა ნიკოლოზზე მიუთითა და თქვა: „ძმანო, მე ვხედავ ახალ მზეს. ამომავალს ქვეყნად, ყოველთა მწუხარეთა ნუგეშისაცემად...“ თავად წმინდანს სურდა უდაბნოში გასულიყო სამოღვაწეოდ, მაგრამ ზეციურმა ხმამ სამშობლოში მოღვაწეობა, ერში გასვლა უბრძანა... როდესაც ქალაქ მირონში მთავარეპისკოპოსი გარდაიცვალა და მის ადგილზე ახალი უნდა დაენიშნათ, ერთ-ერთ ეპისკოპოსს უფალი გამოეცხადა და უბრძანა, ღამით ტაძრის კართან დამდგარიყო, — „პირველი ვინც შემოვა, ჩემი რჩეულია, მას ნიკოლოზი ჰქვია...“ წმინდა ნიკოლოზი ღამით ჩვეულებრივ მივიდა ტაძარში ცისკრის ლოცვების მოსასმენად... ეპისკოპოსმა მას ხელი მოჰკიდა და შეკრებილ ხალხს მიმართა: „მიიღეთ, ძმებო, თქვენი მღვდელმთავარი...“

მირონ-ლუკიის ეკლესიის მესაჭედ დადგინების შემდეგაც განაგრძობდა წმინდანი მოსაგრე ცხოვრებას. ადამიანებს სიმდაბლის, სიმშვიდის, კაცთმოყვარეობის მაგალითს აძლევდა. მისგან ქმნილი უამრავი სასწაულის ძალა და მადლი ქრისტიანული ცხოვრების ნიმუშად შემოინახა კაცობრიობამ... ჩვენს თანამედროვეებს არ აწყენდათ, სცოდნოდათ წმინდა ნიკოლოზის თავმდაბლობისა და კაცთმოყვარეობის შესახებ, მდიდრებს გახსენებოდათ შეჭირვებულები. მათ დიდი წმინდანი უჩუმრად ეხმარებოდა... ამის მაგალითად მოვიყვან წმინდა ნიკოლოზის ერთ ცნობილ ქმედებას, როცა მან უკიდურესად გაჭირვებულ კაცს, რომელიც ოჯახის ფიზიკურად გადასარჩენად, იძულებული გახდა სამი მოწიფული ქალიშვილი საროსკიპოში გაეგზავნა, ფარულად შეუგდო ფანჯრიდან ქისა ოქრო და ოჯახი დაცემისა და სულიერი დაღუპვისაგან იხსნა... აქვე დავძენ იმასაც, რომ ჩვენი წარმავალი ცხოვრების ყველაზე დიდი განძი არა სიმდიდრე, არამედ კეთილი ქმედებებია...

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36. მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# „ეს ძალიან სახიფათოა!"





კლასიკური მაგალითი, როგორ არ უნდა იქცეოდეს მასმედია...

ორიოდე დღის წინ საქართველო კიდევ ერთხელ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო საომარ მდგომარეობაში და უკვე რაღაც ეტაპზე დარეგულირებული ქართულ-ოსური კონფლიქტის კერა მორიგ ცეცხლის ალში გახვეულიყო. ამის მიზეზი კი გახლდათ ის დეზინფორმაცია, რომელიც ქართული და არა მხოლოდ ქართული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა. დეზინფორმაციის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შეიჭრა(!). ამ დეზინფორმაციამ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ე.წ. ოსური ხელისუფლების ოფიციალურ თბილისთან მწვავე დაპირისპირება გამოიწვია, რაც შეიძლებოდა საბედისწერო პროვოკაციაში გადაზრდილიყო. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ გახადა აშკარა, რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრია საინფორმაციო საშუალებებს, მასმედიას, რათა იგი უნებლიეთ არ იქცეს ვინმეს მიერ კარგად დაგეგმილი პროვოკაციის შემსრულებლად და ზიანი არ მიაყენოს ქვეყნის უსაფრთხოებას ისე, როგორც ეს მოხდა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, — იქ, შიდა ქართლის ახალი სამხარეო რწმუნებული ირაკლი ოქრუაშვილი, უშიშროების სპეცრაზმის დახმარებით, რეგიონში კონტრაბანდასთან და კრიმინალთან ბრძოლის მიზნით ღონისძიებას ატარებდა, რის შესახებაც საქმის კურსში იყო ე.წ. ოფიციალური ცხინვალი. მომხდართან დაკავშირებით გთავაზობთ უშიშროების სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის **ნიკა ლალიაშვილის** კომენტარს:

— ჩვენ არაერთხელ მივმართეთ მედიას, მაქსიმალური ყურადღებით მოეკიდონ დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებას. გასაგებია, ქვეყანაში არსებობს კონკურენციის მომენტი, — ძალიან ძვირად ფასობს ოპერატიული ინფორმაცია, მაგრამ ეს არ უნდა იქცეს იმის საფუძვლად, რომ ყველანაირი გადამოწმების გარეშე გავავრცელოთ საზოგადოებაში დაუზუსტებელი ინფორმაცია. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საქართველოს უშიშროების სპეცრაზმის გამოჩენის შესახებ მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყო კლასიკური გამოხატულება, თუ როგორ არ უნდა მოიქცეს მედია. სრულიად პროზაული, ჩვეულებრივი ღონისძიება შეფასდა სპეცრაზმის საგანგებო ოპერაციად. გამაოგნებელი განცხადება გააკეთა ზოგიერთმა საინფორმაციო საშუალებამ, თითქოს ქართულმა სამხედრო ძალებმა კონფლიქტის ზონაში განსაკუთრებული პოზიციები დაიკავეს და გამაგრდნენ, ზოგს ეს საომარი მოქმედებების დასაწყისად მოეჩვენა(?) ასე არ შეიძლება, ეს ძალიან სახიფათოა.

— **ანუ შეიძლებოდა ამ დეზინფორმაციას სახიფათო შედეგები მოჰყოლოდა?**

— არ მინდა ჰიპოთეზები გამოვთქვა, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას, მაგრამ ფაქტია, ყალბ ინფორმაციას კარგი შედეგი არასოდეს მოაქვს. უფრო მეტსაც გეტყვით, როგორც კი გავრცელდა ეს დეზინფორმაცია, დროის მოკლე ინტერვალში ყველა საინფორმაციო სააგენტოს ვაცნობე სიმართლე (ამ დეზინფორმაციის გავრცელება დაიწყო სწორედ სააგენტოების მხრიდან), მაგრამ დღის ბოლომდე არც ინტერნეტსაიტებზე, არც სხვა საინფორმაციო საშუალებებით სიმართლე არავის უთქვამს(!).

— **როგორი იყო ეს სიმართლე?**

— საქართველოს ეროვნული უშიშროების სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტის ოპერატიულმა თანამშრომლებმა, ჩვეულებრივი ანტიკონტრაბანდული ღონისძიების ჩატარების მიზნით, დახმარება სთხოვეს უშიშროების სამინისტროს სპეცრაზმის რამდენიმე თანამშრომელს. ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ რეგიონში რთული კრიმინოგენული სიტუაციაა, თორემ სხვაგან მსგავსი ოპერაციები შეიარაღებული ძალის დახმარების გარეშეც ხორციელდება. ნიღბიანი ხალხის გამოჩენამ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოსახლეობის გაკვირვება კი გამოიწვია, მაგრამ ხალხი სწრაფად გაერკვა სიტუაციაში. თუმცა, ამის შემდეგ საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულმა დეზინფორმაციამ ოსური მხარე სერიოზულად შეაშფოთა და კინაღამ გართულდა მდგომარეობა, რასაც შეიძლება მსხვერპლიც მოჰყოლოდა.

— **როგორ ფიქრობთ, ვინმემ შეგნებულად ხომ არ მიაწოდა ეს ინფორმაცია მასმედიას, ხომ არ იყო ეს განზრახული პროვოკაცია?**

— არც ამას გამოვრიცხავთ, რადგან ასეთ რამეს მიჩვეულნი ვართ. პანკისის ხეობაში ჩვენი მუშაობისას სრულიად უსაფუძვლო დეზინფორმაცია თითქმის მიზანმიმართულად, გეგმაზომიერად ვრცელდებოდა, რამაც პრაქტიკულად პანკისში ცივი ომის დაწყების საშიშროება შექმნა. მაშინ ნდობა მასმედიასა და სახელისუფლებო სექტორს შორის პრაქტიკულად არ არსებობდა და ჩვენი მხრიდან, საინფორმაციო პოლიტიკის რაიმე კოორდინაციაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო. სანამ მედია თვითონვე არ მიხვდა, რომ მცდარ გზაზე იდგა, გამოსავალი ვერ მოიძებნა. ყველაფერი კი თავიდან ზუსტად ისე დაიწყო, როგორც ორიოდე დღის წინ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სადაც ჯერ რუსულმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა დეზინფორმაცია, მერე კი ეს ინფორმაცია გადაუმოწმებლად აიტაცეს ქართველებმა და... დღეს ყველანაირი ომის მოგებაა შესაძლებელი მასმედიის დახმარებით და ასევე ნებისმიერ დროს შეიძლება ომი გამოიწვიოს მედიის მიერ გავრცელებულმა დეზინფორმაციამ.

— **როგორ განვითარდა ცხინვალის რეგიონში დაგეგმილი ანტიკონტრაბანდული ოპერაცია „სენსაციური" ინფორმაციის გავრცელების შემდეგ?**

— როგორ განვითარდებოდა?! იძულებულნი გავხდით, სპეცრაზმის თანამშრომლების გარეშე გაგვეგრძელებინა ოპერაცია, ამან კი სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა. ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყნებში, მედიის საქმიანობა კანონმდებლობითაა დარეგულირებული და კანონი ავალდებულებს მედიას, დიდი სიფრთხილით მოეკიდოს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ყველა ინფორმაციას. ჩვენთან კი არც კანონი არსებობს, არც სხვა დამცავი სისტემა, ამიტომაცაა სახეზე მძიმე შედეგები. რადგან ჩვენში ინფორმაციის გავრცელება კანონით ჯერ არ არის დარეგულირებული, ქართულმა მედიამ თავად მაინც უნდა შეიმუშაოს და განსაზღვროს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების საინფორმაციო პოლიტიკა. შესაძლო აფეთქებების თაობაზე რომ ანონიმური ზარების სერია დაიწყო, საგანგებოდ მივმართეთ მედიას, რომ თავი შეეკავებინათ პირველადი და დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებისგან, მაგრამ არაფერი გამოდის. საკმარისია, რომელიმე სკოლაში დარეკონ შესაძლო აფეთქების შესახებ, გვიკავშირდება სკოლის ხელმძღვანელობა მყისვე ჩვენ და ასევე მედიის რომელიმე საშუალებას, რომელიც ხშირ შემთხვევაში ჩვენთან გადამოწმების გარეშე ავრცელებს ინფორმაციას. გარკვეულწილად ეს ქმნის ძალიან ცუდ ფონს და ისედაც სასოწარკვეთილ მოსახლეობაში კიდევ უფრო ამძაფრებს ისტერიის და შოკის მომენტს. არ შეიძლება თქვა, რომ სადღაც დევს ნაღმი, თუ ეს ინფორმაცია არა გაქვთ დადასტურებული ჩვენგან. იმაზეც დაფიქრდით, დღეში 90 ცრუ შეტყობინება რომ გავიდეს ეთერში, რა მოხდება.

— **ჭიჭიაშვილთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. რას მოჰფენს ნათელს მისი საქართველოში ექსტრადიცია? როგორც ვიცით, ხაბურძანია მის ჩამოსაყვანად გაფრინდა მოსკოვში.**

— ჭიჭიაშვილის დაკითხვა ქართული მხარის მიერ ძალიან ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს, ვგულისხმობ მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს (რომელთაც ვერ დავაკონკრეტებ). ამ საქმეში ფიგურირებს არა მხოლოდ ჭიჭიაშვილი, არამედ, საკმაოდ ორგანიზებული ჯგუფის სხვა წევრებიც, ერთ-ერთი მათგანი, ხანგოშვილი, ახლახან დააკავეს. მან დაადასტურა, რომ მართლაც მონაწილეობდა ესპანელი ბიზნესმენების გატაცებაში. იმედი გვაქვს, რუსეთის შესაბამისი სამსახურები არ გააჭიანურებენ ჭიჭიაშვილის საქართველოში ექსტრადიციას.

*ეკა ლომიძე*

სამართლიანი არჩევნები ახლა ჩვენზეა დამოკიდებული!



# „ველიკორუსული“ პოლიტიკის საექტრი



რუსეთის ფედერაციაში ჩატარებულმა არჩევნებმა ცხადყო, რომ ქვეყანა საბჭოთა პერიოდს უბრუნდება, მაგრამ ისტორია არ მეორდება. რუსეთი კოლექტივიზაციას არ დაუბრუნდება, ხელისუფალნი არც კერძო კომპანიების ნაციონალიზაციას მოინდომებენ, რადგან ამაზეა დამოკიდებული მათი კეთილდღეობა; არც ტოტალიტარიზმის საშიშროებაა, მაგრამ შიშის გრძნობა აღდგა, გაბატონებულია უსამართლობა, შეზღუდულია სიტყვის თავისუფლება. მსოფლიოში უდიდესი ტერიტორიის მქონე ქვეყანა საპრეზიდენტო რეჟიმისკენ მიემართება, რაც მხოლოდ მესამე სამყაროს ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

აშშ და ეუთო არ უარყოფენ, რომ კრემლის პატრონის ძალაუფლების გაძლიერება რუსული ნაციონალიზმის გამძაფრების ფონზე ხდება, რომელიც „ველიკორუსული“ პოლიტიკის გატარებას ითხოვს. ამიტომ სულ არ არის გასაკვირი, ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას რატომ აფრთხობს „გოსდუმის“ არჩევნების შედეგები. მოსალოდნელია მოსკოვის პოლიტიკის გამკაცრება დსთ-ის მიმართ. უკვე რამდენიმე თვეა კრემლს იერიში აქვს აღებული საქართველოს, მოლდავეთის, ბელორუსიისა და უკრაინის მიმართულებით.

საშიშროება საქართველოსთვის სრულიად რეალურია. ადვილი შესაძლებელია, რომ 2004 წელს, ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, მისმა ავტონომიებმა (აფხაზეთი, აჭარა, სამხრეთ ოსეთი) დამოუკიდებლობა გამოაცხადონ და რუსეთის ვასალები გახდნენ. კრემლს საქართველოზე ზეწოლის სხვა ბერკეტებიც აქვს — ენერგორესურსები და სამხედრო ბაზები. რუსეთს ეს ჯარები 2003 წელს უნდა გაეყვანა, მაგრამ დღესაც უარს ამბობს ამაზე. არც პენტაგონის მეთაურის, რამსფელდის შეხსენებამ უშველა ამ საქმეს...

ასე რომ, ამოქმედდა „დიდი კეტის“ პოლიტიკა, რომელიც უთუოდ გაამწვავებს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობას. ევროპა ჯერჯერობით დამკვირვებლის როლს ამჯობინებს.

***ლიბერასიონი, ელ ექსპრესი***

# საქართველომ მთელ მსოფლიოს დემოკრატიის გაკვეთილი ჩაუტარა

*ბევრი უცხოური გაზეთი თუ ტელეგადაცემა გამოეხმაურა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ბოლოდროინდელ ამბებს... გავიგეთ, რომ ფრანგულ გაზეთ „ლე მონდსაც“ გამოუქვეყნებია თავის პირველ გვერდზე ჩვენ შესახებ სტატია... ხომ არ შეგიძლიათ გაგვაცნოთ ეს წერილი.*

***პატივისცემით, ლადო კალანდაძე***

*რედაქციამ თხოვნით მიმართა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის პრესსამსახურს, რომელმაც მოგვაწოდა „ლე მონდში“ გამოქვეყნებული მასალა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.*

„საქართველო, რომელმაც დაამარცხა „გველეშაპი“, მშვენიერი იყო იმ შემოდგომის საღამოს. როგორც კი მოხუცმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა — „მე მივდივარ შინ“, პარლამენტის წინ ზეიმი და „ვარდებისა“ და ოცნების ასრულების სურნელით თრობა დაიწყო. ბოლოს და ბოლოს, წავიდა პრეზიდენტი, რომლის მმართველობა მისი მოღვაწეობის ბოლოს ერთ დიდ ბოროტებად იქცა. არ გავარდნილა არც ერთი ტყვია, არ დაღვრილა არც ერთი წვეთი სისხლი, არ ყოფილა შეიარაღებული ხალხი, რომელიც მზად იქნებოდა, დაეცვა შერცხვენილი ხელისუფლება. ცეცხლი, რომელიც აინთო კავკასიის დედაქალაქის ცაზე, მხოლოდ და მხოლოდ ფეიერვერკი იყო, შეძახილები მხოლოდ სიხარულის გამოხატულებას ემსახურებოდა.

გიორგობის დღე უდიდეს დღესასწაულად იქცა. ზოგიერთი წინასწარმეტყველი საქართველოს გაურკვეველ მომავალზე ალაპარაკდა. საქართველოს ტერიტორიაზე გადის ნავთობსადენები, ნავთობს კი იშვიათად მოაქვს სიმშვიდე და ქართული სიმშვიდეც გაჟღენთილია ნავთის სუნით... მაგრამ ზეიმი მაინც გრძელდება და ეს მშვიდობიანი რევოლუციაც, რომელიც დაიბადა კაცობრიობის ერთიანი გლობალური სოფლის თვალწინ, მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების სიმბოლოდ იქცა.

საქართველომ მთელ მსოფლიოს დემოკრატიის ისეთი გაკვეთილი ჩაუტარა, მაკიაველი რომ ცოცხალი ყოფილიყო, თავის შეხედულებებს შეიცვლიდა და სხვაგვარ რჩევებს მისცემდა ხელისუფალს.

ბედის ირონიაა, რომ შევარდნაძემ, რომელიც ოთხმოციან წლებში განახლების სიმბოლო იყო, თავისი მოღვაწეობა დაასრულა ისევ საბჭოთა დიქტატორად ქცეულმა, ძალაუფლებით გაბრუებულმა, კორუფციაში ჩაფლულმა მმართველმა.

ქართველმა ხალხმა მთელ მსოფლიოს დაანახვა საკუთარი სიმწიფის დონე, ქართველმა ხალხმა აჩვენა, რომ ძალა სიმართლეშია.

შეიძლება პარალელების გავლებაც საქართველოსა და ერაყის მოვლენებს შორის.

ერაყში ბუში სიკეთის სახელით მოქმედებს და იქ მან დაამხო ტირანი... მაგრამ არის დიდი განსხვავებაც — ამერიკის პრეზიდენტმა შეიძლება ბევრი რამ ისწავლოს საქართველოს მომავალი პრეზიდენტისგან, მიხეილ სააკაშვილისაგან. სააკაშვილმა ამერიკაში საუკეთესო განათლება მიიღო და, როგორც ჩანს, ბევრი რამ თეთრი სახლის პატრონზე უკეთ შეითვისა. მან უკეთესად იცის ტირანების დამხობის ტექნოლოგია და ყველას დაანახვა, რომ დემოკრატიას გარედან, ძალით ვერავის დააძალებ, თუ თვითონ ხალხი შინაგანად არ არის ამისთვის მზად.

ამ მხრივ ქართველები ამერიკის დამრიგებლებადაც კი გამოდგებიან.

***ლე მონდი***

# არძინბამ უხუცესები არ მიიღო...

## ვინ მართავს აფხაზეთს...

აფხაზეთის საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები ითხოვენ ვლადისლავ არძინბას გადადგომას, რადგან 3 წელიწადია, გაუარესებული ჯანმრთელობის გამო, ის, ფაქტობრივად, ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, რეალურად საქმეებს არძინბას გარემოცვა განაგებს. ამაზე მეტყველებს სოხუმში გამომავალ გაზეთ „ნუჟნაიაში“ გამოქვეყნებული სტატია, „მართლის მთქმელს მხოლოდ ბრიყვი ვერ გაუგებს“. გაზეთი წერს, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობა „ამცახარას“ ოფისში მისულმა ქართულ-აფხაზურ ომში დაღუპულთა მშობლებმა და უხუცესებმა გამოთქვეს შიში აფხაზეთში მიმდინარე პროცესების გამო. ისინი ამბობენ, რომ აფხაზეთი მძიმე დღეშია. ასეთი მდგომარეობა ომის შემდეგაც კი არ ყოფილაო. „ვიცით, რომ არძინბა ავადაა და ძალიან გვეცოდება. ალბათ გადაწყვეტილებასაც არ იღებს. სჯობს გადადგეს. აგვევსო მოთმინების ფიალა. თუ არ წავა, ეს შეიარაღებულ შეტაკებას გამოიწვევს. ჩვენ შვილები ომში დაგვეხოცა, ვინც გადარჩა, დღეს იღუპება. „ამცახარამ“ კარგა ხანია დააყენა პრეზიდენტის გადადგომის საკითხი... საქმის გაჭიანურება გვაგვიანებს... არ ვიცით, რა იქნება ხვალ, ჩვენ აფხაზეთს ვკარგავთ. ჩვენ დიდი ხანია გაგვყიდეს, მაგრამ ვის მიგვყიდეს, არ ვიცით. ლიხნის ყრილობის გარდა, სხვა გზა არ დაგვრჩენია. მხოლოდ სახალხო კრება გადაწყვეტს ჩვენს პრობლემებს“, — ამბობენ ისინი.

გაზეთის ცნობით, უხუცესებმა მოახერხეს ე.წ. „ვიცე-პრეზიდენტთან“, ვალერი არშბასთან შეხვედრა და არძინბასთან შეხვედრაში დახმარება სთხოვეს. შეხვედრა დაინიშნა ორი დღის შემდეგ... მაგრამ ისევე, როგორც მთელი აფხაზეთის, ისე უხუცესთა ბედიც, პრეზიდენტის გარემოცვაზეა დამოკიდებული. პაველ არძინბა, ანზორ არძინბა, ვალერი არშბა და სხვები, არძინბას მაგივრად ხელმძღვანელობენ რესპუბლიკას და ამჯერადაც სწორედ მათ არ შეუშვეს საპატიო მოხუცები პრეზიდენტთან, რომელსაც შეიძლება არც სცოდნოდა მათი იქ ყოფნა. კითხვაზე, როდის მიგვიღებს არძინბაო, ვალერი არშბამ უპასუხა, — თუ შესძლებს, 2-3 თვის შემდეგო.

სტატია ასე მთავრდება: „დამცირებული, შეურაცხყოფილი, თავჩაქინდრული უხუცესები კაბინეტიდან გამოვიდნენ. უკვე ურყევად სწამდათ, რომ „პრეზიდენტი“ ავადაა, აფხაზეთს მართავს ერთი მუჭა ხალხი, რომელიც დაღუპვისკენ მიაქანებს ქვეყანას“.

ამასობაში კი, ვლადისლავ არძინბამ, 2001 წლის ოქტომბრის კოდორის ხეობის მოვლენების შემდეგ, პირველად მისცა ტელევიზიას ინტერვიუ. კითხვაზე, — როგორ მუშაობთ, როგორ გრძნობთ თავსო, 58 წლის პრეზიდენტმა უპასუხა: „რასაკვირველია, შეიძლება ავადაც არ გავმხდარიყავი, მაგრამ ყველაფერი ღვთის ნებაა, მიუხედავად ამისა, მე დამოუკიდებლად ვიღებ გადაწყვეტილებებს“. მან მაღალ დონეზე შეაფასა სეპარატისტების მთავრობის მეთაურის, რაულ ხაჯიმბას მოსკოვში ვიზიტი და თქვა, რომ „მოსკოვის შეხვედრებს დიდი მნიშვნელობა აქვს და მაღალ შეფასებას ვაძლევ ამ მოგზაურობას“.

***გაზეტა რუ***

# ერთის ნაცვლად — რამდენიმე საქართველო(?!)

## რუსეთი ყველას მიანიშნებს — კავკასიას ამერიკას არ დავუთმობთო...

აჭარის დაკარგვა თბილისს გადაუკეტავს შავი ზღვისკენ გასასვლელს და თურქეთის გზას. ამიტომაც მიიღეს ასლან აბაშიძე მოსკოვში სიხარულით. აბაშიძემ მთელი კვირა დაჰყო იქ და რამდენიმე მკვეთრი განცხადება გააკეთა. თანაც აჭარის პრეზიდენტი არა მარტო თავისი ავტონომიის, არამედ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის სახელითაც ლაპარაკობდა. მაგალითად, მსჯელობდა საქართველოში რუსეთის ბაზების ბედზე და რუსეთსა და აჭარას შორის ვიზების გაუქმებაზე. ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ მოსკოვმა აჭარასთან და მის ლიდერთან განსაკუთრებული ურთიერთობა დაამყარა. ეს ურთიერთობა კი თბილისზე და იმათზე, ვინც იქ 2004 წლის 4 იანვარს ხელისუფლებაში მოვა, ზემოქმედების ძლიერ ბერკეტად იქცევა. და მან უკვე დაიწყო მოქმედება.

გასულ კვირას აბაშიძემ ალბათ თავისი სეფეგანცხადება გააკეთა — ყველას შეახსენა, რომ „საქართველო ისტორიულად ცალკეული ქართული სახელმწიფოებისგან შედგებოდა“ და ურიგო არ იქნებოდა, „ამ ფორმულას დაბრუნებოდნენ“. ამგვარად, მოსკოვი მიანიშნებს, რომ საქართველო შეიძლება იყოს რამდენიმე, თანაც სხვადასხვაგვარი — კარგიც და ცუდიც.

აბაშიძემ ნატვრა აისრულა და რუსეთმა ბათუმთან სავიზო რეჟიმი გაამარტივა. ახლა აჭარის მკვიდრთ პასპორტში საზღვრის გადაკვეთის ბეჭედს პირდაპირ მოსკოვის აეროპორტში ჩაურტყამენ. საქართველოს ცენტრალურ რეგიონებზე ეს წესი ჯერ არ ვრცელდება. ეს ძალზე თავხედური ნაბიჯია.

რუსეთი თითქოს აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ახლა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კვალდაკვალ, გამონაკლისს მისი მესამე ავტონომიისთვისაც აკეთებს. ეს მოულოდნელი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს ხელისუფლების მიერ ვაშინგტონის მიმართ აშკარა დითირამბების გამო.



**აჭარლები ვიზებს პირდაპირ „შერემეტიევოში“ მიიღებენ**

კრემლი მხარს უჭერს რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილ აჭარას და ცდილობს ინიციატივის ხელში აღებას, თანაც ყველას მიანიშნებს — კავკასიას ამერიკას არ დავუთმობო.

თბილისის რეაქციამ არ დააყოვნა. პრეზიდენტობის კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის გადაწყვეტილებას „არამეგობრული ნაბიჯი“ უწოდა და განაცხადა, ეს „საქართველოს საჯაროდ დამცირებას ნიშნავს. 4 იანვრის შემდეგ რუსეთი ნახავს, რომ საქართველო ყველას საკადრის პასუხს გასცემს... მომავალში ვერავინ გაბედავს, საქართველოს ისე მოეპყრას, როგორც დღეს რუსეთი ეპყრობა“.

რას იზამს „თეთრი სახლი“, არავინ იცის, მაგრამ რომ არ გაჩუმდება, ფაქტია. რუსეთისთვის ყველაზე ცუდი ოფიციალური თბილისის მიერ „მეგობრული მოწვევით“ საქართველოში ჩამდგარი ამერიკული სამხედრო ბაზები იქნება.

***რუსული პრესის მიხედვით***


# ჯადოსნური კუპონი



„ბუთქუნას და მეგობრების“ ბოლო 6 წიგნის ყველა ეგზემპლარში დევს ჯადოსნური კუპონი ფირმა „თოლიასაგან“. თუ ამ კუპონს წარადგენთ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, საჩუქრად მიიღებთ უგემრიელესი ნამცხვრის, „ზღაპრულის“ ან „ლიმპოპოს“ ერთ შეკვრას.



კუპონების განაღდება ასევე შეიძლება იმ სავაჭრო ობიექტებში, სადაც იყიდება „თოლიას“ ნაწარმი



უფროსებო! გაახარეთ პატარები!

თან საინტერესო, თან გემრიელი!

წიგნები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში და წიგნის მაღაზიებში



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პაცანები გინიოსობენ

**5 წლის ირაკლი ძირიას** ბებო ეუბნება:

— ირაკლი, ჩაწექი ლოგინში, თორემ გაცივდები!

ირაკლი წვება და ბებოს გაკვირვებული პასუხობს:

— ბებია, ჩამწვარი ვარ, ჩამწვარი.

**პატარა ლერიკო** იშვიათად, მაგრამ მაინც ისველებს, რასაც ძალიან განიცდის.

ერთხელ ბებიამ „დაამშვიდა“ — შენ კი არა, მეც ვისველებ ხანდახან.

— მერე, ვინ გიცვლის, ბაბუა? — დაინტერესდა ბიჭი.

**4 წლის საბა წიკლაური** ათვალიერებს შპალერის დიდ გრაგნილს და კითხულობს, — ეს დიდი ტაკოსთვისაა?

## I ანა, გამოიცანი

**1) საქართველოს რომელ კუთხეში მდებარეობდა ისტორიული მხარე სამურზაყანო?**

ა) აფხაზეთში; ბ) გურიაში; გ) ქვემო ქართლში; დ) კახეთში.

**2) რომელ ქვეყანაში მოედინება მდინარე სენა?**

ა) გერმანიაში; ბ) საფრანგეთში; გ) ავსტრიაში; დ) შვეიცარიაში.

**3) რამდენი შემსრულებლისგან შემდგარ მუსიკალურ ანსამბლს ჰქვია სეპტეტი?**

ა) ოთხი; ბ) ხუთი; გ) ექვსი; დ) შვიდი.

**4) რამდენი წლის იყო იესო, როდესაც მდინარე იორდანეში იოანემ მონათლა?**

ა) ექვსის; ბ) თორმეტის; გ) ოცის; დ) ოცდაათის.

**5) რა არის ანათემა?**

ა) ჰაერის დაგროვება რაიმე ჭურჭელში; ბ) ძვირფასი ქვა; გ) ეკლესიიდან განდევნა; დ) თბილი ტანსაცმელი.

**6) ძუძუმწოვრებიდან რომელს აქვს ყველაზე მაღალი წნევა?**

ა) ჟირაფს; ბ) მაიმუნს; გ) სპილოს; დ) ადამიანს.

**7) ვინ იყო დავით აღმაშენებლის მამა?**

ა) ბაგრატ III; ბ) ბაგრატ IV; გ) გიორგი II; დ) გიორგი III.

**8) რომელი მდინარე იღებს სათავეს თურქეთში, მიედინება საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე და ჩაედინება კასპიის ზღვაში?**

ა) მტკვარი; ბ) რიონი; გ) თერგი; დ) ენგური.

## II




**იპოვე 9 განსხვავება**



## III

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: ***„ის ფრინველთა მეფე არის, ამაყი და საზრიანი, შორსმხედველი და გულდინჯი, ფრთამძლავრი და კლანჭიანი“.***



## ვაჟკაცი წყნარი სჯობია

***(ხალხური)***

ღვინო კი მათრობელა სჯობს,
ძაღლი — თეოზე მყეფარი,
ვაჟკაცი წყნარი სჯობია,
რო გაჭირდება — მჭექარი.
არც ვარგა ქალთა მიმყოლი,
ჩალად არა ღირს მკვეხარი —
რო გაჭირდება, შადგება,
როგორც უღელში მწე ხარი.

***(თეო — ადგილი ცხვრის ბინის ირგვლივ).***





# საუკეთესო ზღაპრები

## +4 გასართობი გვერდი

გამოსულია 40-ზე მეტი ქართული და უცხოური ზღაპარი



ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები
1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში


*ბიბლიური მოთხრობა*

## დაკარგული ცხვარი

იესოსთან ბევრი მებაჟე და ცოდვილი მოდიოდა. ისინი მას უსმენდნენ. ფარისევლები და მწიგნობრები ამის გამო ბრაზობდნენ და ამბობდნენ: „მას ურთიერთობა აქვს ცოდვილებთან! მათთან კიდეც ჭამს“.

მაშინ, იესომ მათ ერთი იგავი უთხრა: „წარმოიდგინეთ, რომ ერთ კაცს ასი ცხვარი ჰყავს. თუ ერთი ცხვარი დაეკარგა, განა ის დანარჩენ ოთხმოცდაცხრამეტს არ მიატოვებს საძოვარზე და არ დაუწყებს ძებნას დაკარგულს მანამ, სანამ არ იპოვის? და როდესაც იპოვის, გაიხარებს. იგი მხრებზე შეისვამს მას და ისე დაბრუნდება. შინ მოსული კი თავის მეგობრებსა და მეზობლებს ეტყვის: გიხაროდეთ ჩემთან ერთად! ჩემი ცხვარი დაკარგული იყო და ვიპოვე!... ასეა უფალთანაც ცაში. მას უხარია ყოველი ცოდვილის გამო, რომელიც თავის ცხოვრებას შეცვლის“.

შემდეგ იესომ ისევ განაგრძო: „მე ვარ მწყემსი კეთილი. კეთილი მწყემსი მზად არის, თავისი ცხვრებისთვის სიცოცხლე გასწიროს. ხოლო მწყემსი, რომელიც მხოლოდ ქირისთვის მუშაობს, გარბის, როდესაც მომავალ მგელს ხედავს. მაშინ მგელი ცხვრებს დაგლეჯს და ფარას გაფანტავს. მოქირავე კი გარბის, რადგან მას მარტო ფული ადარდებს და არა ცხვარი. მე ვარ მწყემსი კეთილი. მე ვცნობ ჩემს ცხვრებს და ისინი მცნობენ მე. მე მზად ვარ ჩემი ცხვრებისთვის მოვკვდე“.

CMYK

# მამულ-დედული

## ზამთრის სამუშაოები



წინა რუბრიკაში თქვენ გაეცანით იმ ძირითად სამუშაოებს, რაც უნდა ჩატარდეს მსხმოიარე და მოზარდი ხეხილის ბაღში ზამთრის თბილ ამინდებში. ახლა მოდით და უნაყოფო ხეები ამოძირკვეთ. მათ ადგილზე კი ახალი, თქვენთვის სასურველი საუკეთესო ჯიშის ხეხილის ნერგები დარგეთ. თუ ახლა აპირებთ ბაღის გაშენებას, პირველ რიგში უნდა ეცადოთ ჯიშიან ნერგებზე იზრუნოთ.

მაშ ასე, ათვალწუნებულ ხეებს რომ ამოძირკვავთ, ორმო ნაკელშერეული ახალი მიწით შეავსეთ და დააცადეთ, რომ კარგად დაჯდეს. ამოთხარეთ 50 სმ სიღრმისა და 100 სმ სიგანის ორმო, წინასწარ დასარგავად მომზადებული ნერგი ისე მოათავსეთ მასში, რომ ნამყენი ადგილი მიწის ზემოთ დარჩეს. ამისთვის, რა თქმა უნდა, ამოთხრილი მიწის ერთი ნაწილი უკან უნდა ჩაყაროთ. დარგვამდე ორმოში მიწა კონუსურად შეაგროვეთ და ფესვები ზედ გადაანაწილეთ, შემდეგ დააყარეთ მიწა და კარგად მიუტკეპნეთ. ღრმად დამუშავებული ნიადაგი ხელს შეუწყობს ფესვთა სისტემის კარგად განვითარებას და შესაბამისად, ნერგის გახარებას.

მართალია, ხეების დარგვა თუ ახალი ბაღის გაშენება საქართველოს ყველა რაიონში გაზაფხულზეც და მთელი შემოდგომა-ზამთრის პერიოდშიც შეიძლება, მაგრამ უპირატესობა მაინც შემოდგომა-ზამთარს ენიჭება. ჯერ ერთი, მოსავლის დაბინავების შემდეგ, შედარებით მეტი თავისუფალი დრო გვაქვს და მეორეც ის, რომ ამ დროს დარგული ნერგი მჭიდრო „კონტაქტს ამყარებს“ ნიადაგთან და გაზაფხულის დადგომასთან ერთად აქტიურ ვეგეტაციას იწყებს.

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ საუკეთესოა 2-წლიანი ნერგი, რომლის შტამბის სიმაღლე უნდა იყოს 60-90 სმ, დიამეტრი 2 სმ, ხოლო ვარჯის მთავარი ტოტების სიგრძე არანაკლებ 50 სმ. მნიშვნელობა აქვს ტოტების თანაბარ განლაგებასაც. მთავარი ყურადღება აუცილებლად ფესვთა სისტემას უნდა მიაქციოთ. ძირითადი ფესვების სიგრძე 2-წლიან ნამყენს 25-30 სმ მაინც უნდა ჰქონდეს. ხეებს შორის მანძილი კი უნდა იყოს 4 X 4, 5 X 5 მ.

## ჯორი



ფაშატი ცხენისა და ულაყი ვირის ნაშიერი — ჯორი შეუდარებელი გამწევი ძალაა მთიანი და რთული რელიეფის პირობებში. გარეგნულად ჰგავს მშობლებს. „აღნაგობით“, შედარებით მოკლე ყურებით, დედას ჰგავს, თუმცა კი ცხენზე ბევრად პატარაა. სიჯიუტით — მამას არ ჩამოუვარდება. კვებისა და მოვლა-პატრონობისადმი ნაკლები მომთხოვნელობითაც მამას ჰგავს. დაავადებების მიმართ გამძლეა.

ჯორის სიცოცხლის ხანგრძლივობა 30-40 წელია. ადვილად ეგუება ნებისმიერ კლიმატურ-ეკოლოგიურ პირობებს, ამიტომაც, მეჯორეობა, დღესაც განვითარებული დარგია აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, სამხრეთ ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, აგრეთვე კავკასიასა და შუა აზიაში. კახეთშიც ჰყავდათ არცთუ ისე შორეულ წარსულში ჯორი. ახლა კი ამ „ექსპერიმენტისთვის“ არავინ იცლის...

შესაბამისად, არც ჯორცხენასთვის იცლის ვინმე. იგი ჭაკი ვირისა და ულაყი ცხენის ნაჯვარია, გარეგნულად ცხენს უფრო ჰგავს, ვიდრე ვირს. თანაც სამეურნეო მნიშვნელობა თითქმის არა აქვს.

## ანწლი

ეს ამბავი ძველად მოხდა. სოფლად ერთმა გლეხის ქალმა ქოხში შეიტანა შავი ანწლის რამდენიმე აყვავებული ტოტი. ქოხი სავსე იყო ტარაკანებით. იგრძნეს თუ არა ანწლის სუნი, ტარაკანებმა „თავს უშველეს“, იქვე, საჯინიბოში გადაბარგდნენ. გაოცებულმა ქალმა ცნობისმოყვარეობის გამო ანწლის ყვავილები ახლა საჯინიბოში გადაიტანა. ტარაკანები ახლა იქიდანაც გადაიკარგნენ. დიასახლისი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ანწლი „სძულთ“ ტარაკანებს.

ამ ფაქტით ბოტანიკოსებიც დაინტერესდნენ და დაადგინეს, რომ ტარაკანებს აფრთხობთ არა მარტო შავი, არამედ წითელი ანწლიც. ამავე დროს, ისიც შეამჩნიეს, რომ ბელლის ახლოს, სადაც ანწლი ხარობს, თაგვისა და ვირთხის ჭაჭანებაც არ არის. ასევე უფრთხიან ანწლს მავნებელი მწერებიც.

ანწლი სიმაღლით ზოგჯერ რამდენიმე მეტრსაც აღწევს. მისი ნაყოფი კენკრას ჰგავს. ანწლს ფართო გამოყენება აქვს. მაგალითად, კავკასიასა და ყირიმში ანწლის ყვავილებს უმატებენ ცომს, რომ ნამცხვარს არომატი მიეცეს (ნუშის არომატის მსგავსი). ანწლის ნაყოფი მოტკბო-მომჟავო გემოსია. მისგან ამზადებენ კომპოტს, მურაბას, მარმელადს, ჟელეს, იყენებენ სუპების საკაზმად.

ანწლის ყვავილებისგან მიღებულ წყალს



პარფიუმერიაშიც იყენებენ და სანელებლადაც.

ანწლის ნაყოფის ნახარში ძველთაგანვე იხმარება სამღებრო საქმეში. იგი აბრეშუმის ქსოვილს ზეთისხილის ფერს აძლევს.

საქართველოს მთიან რაიონებში ანწლისგან უხვად ხდიან ჩინებულ არაყს, რომელსაც სამკურნალო თვისებებიც აქვს. ამ არყით მკურნალობენ „წითელი ქარით“ დაავადებისას და სხვა.

## მოზაიკა

* * *

*ტყავი, რომელსაც „ლაიკას“ უწოდებენ, თხისა და ცხვრის ტყავისგან მზადდება;*

* * *

*ყველაზე მცირე ზომის ღამურა, რომელიც ფილიპინების კუნძულებზე ბინადრობს, მხოლოდ 4 გრამს იწონის;*

* * *

*მაიმუნებში მკაცრად არის დაცული უფროს-უმცროსობა. მამრ, ჯგუფის მეთაურ მაიმუნს, განუსაზღვრელი უფლებები აქვს.*

## ასე იცავდნენ ცხოველებს...

1872 წლის „Журнал охоты и конноводства“-ს მე-6 ნომერში მოცემულია კანონი, რომელიც ცხოველთა დაცვისაკენ იყო მიმართული. აღნიშნულის მიხედვით:

1. აკრძალულია სამუშაოდ ავადმყოფი, დასახიჩრებული და კოჭლი პირუტყვის (ცხენის) გამოყენება გამწევ ძალად;
2. დაუშვებელია პირუტყვისთვის მაგარი და ბასრი საგნის დარტყმა, ცემა თავისა და მუცლის არეში;
3. პირუტყვის ძალისადმი აღმატებულ მძიმეტვირთიან საზიდარში შებმა;
4. საზიდარში შებმული ცხენის გაჭენება — მით უმეტეს დატვირთულ საზიდარში;
5. აკრძალულია ხბოების, თიკნების, ბატკნების და ა.შ. ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა ისე, რომ პირუტყვი განიცდიდეს ტანჯვას, მაგალითად, იყოს ერთმანეთზე დაწოლილი, ან ისე, რომ თავს ურტყამდეს საზიდრის გვერდებს;
6. დაუშვებელია წაქცეული ცხენის გამათრახება, მისი წამოყენების მიზნით.

ამ კანონების დამრღვევნი ისჯებოდნენ — სოლიდურ ფულად ჯარიმებს იხდიდნენ.

## უნებლიე „მონადირეები“

სტატისტიკური მონაცემებით, ავსტრიის გზებზე, მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ავტომანქანების ბორბლებქვეშ დაიღუპა: 2183 ირემი, 4250 კაკაბი; 7540 ხოხობი და 30000-ზე მეტი კურდღელი(!).

## მკითხველის ფოტო



— რატომ დააბით?!

*გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ*

**რედაქციისაგან:**

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

## როგორ შევფუთოთ პალმა



**— თუ შეიძლება გვასწავლეთ, როგორ შევფუთოთ ეზოს პალმა, ზამთარში, სოფლის პირობებში?**

***ქეთი ოტიაშვილი***

— პალმის შესაფუთად, სპეციალური მასალის გარდა, სიმინდის ფუჩეჩიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. ირგვლივ შემოურიგეთ 2-3 რიგად და კანაფი დაახვიეთ. თუ პალმა დასავლეთ საქართველოში გიდგათ, საერთოდ არ უნდა შეფუთვა. პალმები თბილისის პირობებშიც შესანიშნავად გრძნობენ თავს.

## მერქნის მღრღნელები

**— გთხოვთ გვასწავლოთ, როგორ ვებრძოლოთ ხის ჭიას, რომელიც გაჩნდა იატაკსა და ავეჯში. წინასწარ გიხდით მადლობას.**

***არჩილ ტაბატაძე***

— ამ პატარა ხოჭოების ოჯახში 100-ზე მეტი სახეობაა, რომლებიც გავრცელებულია მთელი დედამიწის ზურგზე (გარდა პოლარული მხარისა). ვითარდებიან გამხმარ მერქანში, რითაც იკვებება ხოჭოც და მატლიც. აზიანებენ შენობა-ნაგებობებს, ტელეგრაფის ბოძებს, ავეჯს და ა.შ. იატაკსა და ავეჯში გაჩენილი ჭიის წინააღმდეგ, ყველაზე მარტივი და იაფი საშუალებაა სკიპიდარი, რომელსაც უსვამენ ავეჯს, ხოლო სკიპიდრიან, თავმოხდილ ჭურჭელს იქვე დგამენ. უმჯობესია, თუ სკიპიდარს ჭიანაჭამ ხვრელში შევასხურებთ შპრიცით.

## წყაროს წყალი

**— მიპასუხეთ, რატომ არის მიჩნეული წყაროს წყალი საუკეთესოდ და როგორ მივხვდეთ, სასმელად ვარგა თუ არა...**

***ბორის ცომაია***

— ტყეში ან ქალაქგარეთ სეირნობისას შეიძლება წააწყდეთ ანკარა წყაროს, მაგრამ დღევანდელი ეკოლოგიური პირობების გამო, შეიძლება იგი არცთუ ისე სუფთა იყოს, როგორც გარეგნულად ჩანს. მაგრამ თუ წყარო კლდიდან გადმოდის, ის რომ დასალევად საუკეთესოა, ამას „წყალი არ გაუვა“. სანდოა მთის სოფლებში საუკუნეების მანძილზე არსებული წყაროები, რომელთათვისაც ხალხს სახელებიც კი შეურქმევიათ. თბილისის შემოგარენში არსებული, ძველისძველი წყაროების უმეტესობა ცოტა არ იყოს, მარილიანია, თუმცა კი ყინულივით ცივია. მდინარე ვერეს სათავეში რამდენიმე წყაროა, ცივი და კამკამა. რაც შეეხება იმის დადგენას, ახალნაპოვნი წყარო ვარგა თუ არა სასმელად, ამას პირველ რიგში ლაბორატორიული შემოწმება სჭირდება. ისე კი, რადგანაც წყაროებისა და ნაკადულების წარმოშობისა და არსებობის ადგილი — ხევებია, ხევის წყაროები არა მარტო გემრიელია, არამედ საუკეთესოც თავისი შემადგენლობით, რადგანაც მასში თითქმის არ არის ის ნივთიერებები, რომლებიც წყალს გემოსაც უკარგავენ და სისუფთავესაც.

## როცა კანარის ჩიტი ბუმბულს „იპუტავს“

**— გვყავს იადონი, რომელიც ხშირად იპუტავს ბუმბულს. იქნებ გვიშველოთ რამე, ძალიან გვეცოდება პატარა ჩიტი.**

***ლელა მუმლაძე***



— ეს გალიაში მყოფ ფრინველთა დაავადებაა, რომლის მკურნალობის ერთადერთი საშუალება ჩიტისთვის, რაც შეიძლება მდიდარი მინერალური და ცხოველური საკვების მიცემაა. ასე რომ, მოგიწევთ თქვენი „იადონის“ მენიუს გახლისება.

რაც შეეხება თქვენი ჩიტის სახელწოდებას, იგი ალბათ კანარის ჩიტია, რომელსაც ჩვენთან რატომღაც ბევრი უწოდებს იადონს, არადა, იადონი და ბულბული ერთი და იგივეა. ბულბული კი გალიაში რომ ვერ ძლებს, ეს ყველას კარგად მოგეხსენებათ.

# ორშაბათიდან ორშაბათამდე...

*ორშაბათიდან — ორშაბათამდე...*
*ასე იზომება ჩვენი სამუშაო კვირა... ასე ელოდება მკითხველიც „კვირის პალიტრას". „თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!" — მივმართავთ „კვირის პალიტრის" მუდმივ გულშემატკივართ და მართლაც ასეა. ამაში, პირველ ყოვლისა, ის წერილები გვარწმუნებენ, რომლებიც ასე უხვად მოდის რედაქციაში. ეს ბარათები ხელისგულივით წარმოაჩენენ იმ საქართველოს, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ. ეს ბარათები კიდევ ერთხელ გვახვედრებენ ახლანდელ რეალობასთან.*
*ისევ მივყვებით თქვენს გულის ძახილს, ბატონო მკითხველო...*



## „კვირის პალიტრას" გალშიც ელოდებიან...

— გალი ჩაკეტილი ზონაა და „კვირის პალიტრა" ჩვენთან დიდი გაჭირვებით ჩამოდის. არადა, თქვენი გაწონასწორებული მასალებით მოხიბლულები ვართ... არ დაივიწყოთ გალი, ოჩამჩირე, სოხუმი, გაგრა, გულრიფში, გუდაუთა, ახალი ათონი... არ დაივიწყოთ დიდი გალაკტიონის სიტყვები: „აფხაზეთო, გამარჯობა შენი!" ძალიან მინდა, ამ სიტყვებით დაიწყოს „კვირის პალიტრის" ნომერი უახლოეს მომავალში, როცა აფხაზეთი ისევ საქართველოს განუყოფელ ნაწილად იქცევა...

ამ სტრიქონებს იროდი კაკაჩია გვიგზავნის გალის რაიონიდან. წერილს ახლობელს ვატან, რადგან ჩვენთან ფოსტა არ მუშაობსო.

ბატონი იროდი ერთ ასეთ ამბავსაც გვიმხელს: წელს თხილის კარგი მოსავალი მოუწევია, იაფად, მაგრამ მაინც მოუხერხებია გაყიდვა. ცოტაოდენი ფული აუღია და... ახლობელს მინდობია — შენს ნაწვალებ თანხას საქმეში ჩაგიდებ და ყოველთვე მოგებას მიიღებო(!)... გავსულელდი ბერიკაცი და ვენდე ახალგაზრდა „ბიზნესმენს". წაიღო და წაიღო ფული... „მოგებას" დღემდე ველოდებიო...

ამ დღეში მარტო ბატონი იროდი კაკაჩია როდია. „საქმის გაკეთების" დაპირებით არაერთი მეურნე კაცი გაუბრიყვებიათ და „გადაუგდიათ" თაღლითებს. ამიტომ მარტოოდენ დაპირებებს ნუ ენდობით, ბატონებო...

სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ჩვენგან არ გესწავლებათ...

## ვინ „ნათლავს" სასაუზმეებს?..

უცნობმა მკითხველმა მეტრო „ახმეტელთან" მდებარე ერთ-ერთი სასაუზმის ფოტო გამოგვიგზავნა. საოცარია, სადამდე მიდის თბილისში ბოლო დროს მართლაც რომ სოკოებივით მომრავლებული მსგავსი დაწესებულებების მფლობელთა „ფანტაზია" — იქ, სადაც ხინკალს, მწვადს, კუპატს, ქაბაბსა და ხაშს მიართმევენ ქეიფის მოყვარულთ, „განწყობილების" შესაქმნელადაც ხომ უნდა იყოს რაიმე თვალსაჩინო. ჰოდა, აქაურობა „სულხან საბად" მოუნათლავთ(!). ისე კი, ამ ფოტოს დაბეჭდვა უკომენტაროდაც შეიძლებოდა!



## ახალი „ტრაგედია უგმიროდ"...

დიახ, დღესაც ხდება ტრაგედიები, რომელთაც ნიკო ლორთქიფანიძის ნოველისა არ იყოს, გმირი არა ჰყავს და, რომლითაც ასე „გვანებივრებს" მოუწესრიგებელი ყოფა.

ამ ცოტა ხნის წინ საზარელი ტრაგედია დატრიალდა ლანჩხუთში. ორი ახალგაზრდა, 27 წლის ვაჟკაცი (რომელთა ვინაობასაც შეგნებულად არ ვასახელებთ) დაიღუპა ერთ დღეს, ერთსა და იმავე დროს. მიზეზი? — მაღალი ძაბვის სადენებისკენ წაუცდათ ხელი...

არადა, ალალი, პატიოსანი ბიჭები იყვნენ. სამუშაო ვერ იშოვეს. სადაც მივიდნენ, ყველგან უარით გამოისტუმრეს... რაიონში ყველა საწარმო დახურულ-გაძარცულია... ერთი საზღვრებია გახსნილი და ფერადი და შავი ლითონების გატანაა ნებადართული(!). ჰოდა, გაჭირვებამ უბიძგა ბიჭებს, ეს ნაბიჯი გადაედგათ. შეცდნენ და შეეწირნენ კიდევაც თავიანთ შეცდომას...

ლანჩხუთელი ახალგაზრდობის სახელით მოგვმართავს ნინო მშვიდობაძე: — იქნებ ამ შემთხვევამ მაინც აიძულოს ხელისუფალნი ფერადი და შავი ლითონების საზღვარგარეთ გატანა აკრძალონო. საქართველოს ახლა თავისთვის რა აქვს, რომ სხვაგან გაიტანოს... ცოტა ხანში ალბათ სულ გაზიდავენ, თუ სადმე კიდევ დარჩა ლითონის მცირედი ნამსხვრევიც...

## როდის და ვინ „გაალღობს" პენსიებს...

რედაქციაში უამრავი პენსიონერის წერილი მოდის. მათი უმეტესობა დაგვიანებულ თუ სეკვესტრირებულ პენსიებს შეეხება და იმასაც, რომ 14-ლარიანი შემწეობა ომგამოვლილი თუ 40-50 წლის მუშაობის სტაჟის მქონე მოხუცებისთვის ზღვაში წვეთია. გარდა ამისა, მათთვის უფასო სამედიცინო დახმარება მხოლოდ ფურცელზე დაწერილი ლამაზი ტყუილია და მეტი არაფერი. აი, თუნდაც სამტრედიის რაიონის სოფელ მეორე ნინუაკუთხის მკვიდრის, 79 წლის გიორგი მელქაძის სატკივარს გავეცნოთ: პენსიაზე 68 წლისა გასულა, 142 მანეთი დაუნიშნავთ პენსია მაშინ — თავიც გამქონდა და შვილიშვილებსაც ხშირად ვასაჩუქრებდიო. მაგრამ... 2000 წელს ოპერაცია დასჭირვებია და 8 ლარამდე „ჩამოსული" პენსიიდან რომ ვერაფერს გახდებოდა, ამაში ეჭვი არ შეჰპარვია, არც შემნახველ სალაროში თავმოყრილი სოლიდური თანხიდან მიუციათ რაიმე... ახლა კიდევ ეს გაყინული პენსიები... ამას წინათ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში ჩამოსულა. იქნებ დავალიანებიდან ნაწილი მაინც მომცეთო. თქვენც არ მომიკვდეთ, ყურიც არ გაუბერტყავთ. ძებისაშვილმა ბუკიასთან გამაგზავნა, ბუკიამ ჭირაქაშვილთან, ჭირაქაშვილმა ისევ ბუკიასთან... და მატარეს ასე სართულიდან სართულზე (შენობა 21-სართულიანია. — ავტ.), მაღლიდან დაბლა, დაბლიდან მაღლა... მაპამპულეს, როგორც „რწყილი და ჭიანჭველა" და ჩემი განცხადებიანად გამომისტუმრეს სამტრედიაშიო. სამტრედიიდან კიდევ აქეთ-იქით აგზავნა თხოვნის წერილები. მაგრამ, ააფრინე ალალიო, ხომ გაგიგიათ. არ არის ბიუჯეტში ფული და ვერ გაგისტუმრებთო. ეს სამტრედიაში უთხრეს, თორემ ზემდგომი ინსტანციებიდან პასუხის ღირსადაც არ ჩათვალეს... ბატონ გიორგის მომავალი მთავრობის იმედი აქვს. მისი მსგავსი ათიათასობით პესიონერია, რომელიც მარტო გაყინული პენსიების „გალღობას" კი არა, პენსიის სახით საარსებო მინიმუმს და რეალურ უფასო სამედიცინო მომსახურებას ელის (იმედოვნებენ, ახალი მთავრობა მაინც მოიცლის ჩვენთვისო)... თორემ ქაღალდზე კომუნისტების დროსაც ყველაფერი წესრიგში იყოო!

## ერთი წვეთი... სითბო

„რა უნდა მისცეს ერთმა ადამიანმა მეორეს წვეთი სითბოს გარდა და რა უნდა იყოს ამაზე ძვირფასი?!" — რემარკის ამ სიტყვებით იწყება ნონა მახარაშვილის ბარათი, რომელშიც იგი თავისი ბიძაშვილის, ვახტანგ მოძღვრიშვილის შესახებ გვიამბობს:

აფხაზეთის ომი გამოუვლია ვახოს. 1993 წელს, შინაგანი ჯარის მე-8 პოლკში მსახურობდა. სოფელ შრომასთან, ერთ-ერთი შეტევისას ყუმბარის ნამსხვრევს მარჯვენა ფეხი ბარძაყში მოუგლეჯია ახალგაზრდა კაცისთვის (ეს ფოტო ამ ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრეა გადაღებული. ვახო თანამებრძოლებთან ერთადაა, მარჯვნიდან პირველი). ალბათ რა ძნელი წარმოსადგენია, როცა მხოლოდ 20 წლისა ხარ და სიცოცხლე გიხარია... როცა შენი სამშობლოსთვის იბრძვი და ამ დროს ნახევარი კაცილა რჩები...



ვახო საგურამოელია. სრულიად დათრგუნვილს ჯუმბერ პატიაშვილი დაუდგა გვერდით. ბატონ ჯუმბერს გაუგზავნია იგი ერევანში პროთეზის გასაკეთებლად, მისივე დახმარებით მიუღია სამოთახიანი ბინა საგურამოში... მერე დაქორწინებულა კიდეც. ორი ვაჟკაციც ჰყოლია უკვე — თამაზი და დავითი.

რამდენიმე თვის წინ ისევ გაუხსენებია თავი მძიმე ჭრილობას. ამჯერად ახალი პროთეზისთვის თანხა საგურამოს გამგებელმა მევლუდ უნდილაშვილმა გამოუყო ომგამოვლილს...

მთელი სოფელი ემადლიერება იმ ადამიანებს, ვინც სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა ახალგაზრდა კაცს.

## თქვენ გაიხარეთ!..

— ორშაბათს, საღამოს, სინანულით აღვნიშნავ ხოლმე, რომ გაზეთი სულ წამიკითხავს, — გვწერს სურამელი ედუარდ გელაშვილი. — ყველაფრის საქმის კურსში ვარ. ხან გული ტკივილით მევსება ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გამო, ხანაც იმედი გამიელვებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამაზე შორს ვერ მივდივარ... ამ 15 წლის წინ სმენა დავკარგე, ახლა თვალზეც პრობლემები მაქვს (ვზივარ 40 წლის კაცი შინ). თქვენი „პალიტრა" ჩემთვის თვალიც არის და ყურიც... თქვენ გაიხარეთ!..

ცაგერის რაიონის სოფელ ორბელიდან შალვა გზობავამ დაგვირეკა. თქვენს მებრძოლ ჟურნალისტს, ზვიად ჩაკვეტაძეს მინდა სახალხოდ მადლობა გადავუხადოო. სათაურს რომ წავიკითხავ, ვიცი ზვიადის დაწერილიაო...

— მე დავბრუნდი, — გვატყობინებს „სტაჟიანი" მკითხველი ტარიელ სინჯარაძე, რომელიც დროდადრო ერთგვარ რეზიუმეს უკეთებს „კვირის პალიტრის" ნომრებს. აი, რას წერს იგი დაჩი გრძელიშვილს: „მომილოცავს, რომ გაიმარჯვე და მკითხველის პრემია დაიმსახურე. მეგობრულ შარჟში, კომპიუტერთან რომ ზიხარ, ძალიან ახალგაზრდა ჩანხარ და ამიტომ მოგმართავ შენობით. მე შენი პირველი ინტერვიუც მახსოვს, ბოშა ქალისგან რომ აიღე... ახლა კი წამყვან თემებსაც ვაჟკაცურად ეჭიდები... თავიდანვე ვამბობდი, მაგარი ბიჭიამეთქი და მიხარია, რომ მართალი გამოვდექი".

სამხედრო მიმომხილველს, ირაკლი ალადაშვილს კი ბატონი ტარიელის შეფასებით, შეტევასთან ერთად ნახევარდაცვის ფუნქციებიც უტვირთია. სიმართლე გითხრათ, ისევე როგორც ჩვენი ირაკლის არაერთი პროფესიული სამხედრო პუბლიკაციიდან, ამ შეფასებიდანაც ბევრი ვერაფერი გავიგე... მაგრამ როგორც ჩანს, „სამხედრო საიდუმლოს" მამაკაცები ქალებზე უკეთ ფლობენ და მოდი, ვენდოთ ამ შეფასებას...

## ნიაღვარივით მოდის ლექსები...

იქნებ ტრაფარეტულადაც მოგეჩვენოთ ეს შედარება, მაგრამ ასეა. რადგან ერთხელ გავბედეთ და მკითხველის პოეზიასაც დავუთმეთ გაზეთის ფურცლები, მოდის და მოდის ლექსები... ხშირად თავად მკითხველებს მოაქვთ თავიანთი „სულის ამოძახილი" (ასე გვითხრა ერთმა ქალბატონმა). ზოგი ჯიქურ ითხოვს ლექსის დაბეჭდვას, ზოგს მხოლოდ ჩვენი აზრი აინტერესებს... უმძიმეს გამოცდაზე გასული ბავშვებივით ელიან პასუხს. მოკრძალებით რომ ვეტყვით უარს, ვერ დაგიბეჭდავთ-თქო, ერთ სიკვდილს ვათავებთ. არც თვითონ არიან უკეთეს დღეში. ზოგი გვსაყვედურობს, ზოგი გვეჩხუბება... ზოგიც მთავარ რედაქტორთან „გვიჩივის", კარგი ლექსები მაქვს და არ მიბეჭდავენო... სხვები მშვიდად მიდიან...

სიმართლე გითხრათ, კარგ ლექსებს ჩვენც ველოდებით... ვფიქრობთ, უახლოეს ნომერში რამდენიმე მკითხველის შემოქმედებასაც წარმოგიდგენთ. მაგრამ ძალიან გვინდა, არ გაგვინაწყენდნენ ის ავტორები, რომელთა ლექსებიც „დავიწუნეთ"... პოეზია ხომ მარტოოდენ აზრის ფურცელზე გადატანა ან თუნდაც სტრიქონების გარითმვა როდია...

... თუმცა, არ შემიძლია დღეს ერთი მთიელი ქალბატონი არ წარმოგიდგინოთ — მერი აბულაძე-გოგოჭური, რომელიც თურმე „ხანდახან წერს ლექსებს" და თანაც ისეთს, როგორსაც ქვემოთ გთავაზობთ:

* * *

*— რა ხელ ხარ, ჩემო*
*მზევინარო?*
*— მეშინის, შვილო,*
*მოვხუცდი ძალიან...*
*— რაის გეშინის,*
*აგრემც გენაცვალე,*
*სიკვდილის იქით ხომ*
*აღარაფერია...*
*— მაგის მეშინის, უეცრივ*
*მოვა და*
*დახვედრა უნდა,*
*ისიც სტუმარია...*

ეს ლექსი უკვე ზეპირად ვიცი და იმედია, ქალბატონი მერი სხვა ლექსებსაც გამოგვიგზავნის., რომელთაც სიამოვნებით დავუთმობთ ადგილს ჩვენს და თქვენს გაზეთში.

## საქართველო მენატრება!..

ისევ გვწერენ საქართველოდან უცხოეთში გახიზნული ჩვენი თანამემამულეები. ამჯერად მარიკა ქორჩილავა გვიზიარებს თავის ფიქრს. 5 წელია ქმარ-შვილთან ერთად ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში და მიუხედავად იმისა, რომ მარტო არ არის, მაინც ნოსტალგია ტანჯავს, მაინც სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს:

„კიდევ კარგი, იმედი და ოცნება მაინც არსებობს, თორემ რა გაუძლებდა უცხოეთის ნაცრისფერ, უძილო ღამეებს და დაუსრულებელ მოლოდინს. ... 5 წელია, ვეძებ პასუხს კითხვაზე და ვერ ვპოულობ — რატომ „მივატოვე" ჩემი სამშობლო? იქნებ მათ მიპასუხონ, ვისაც ხალხის ბედი აბარია... რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ მხოლოდ ფულს არ მოაქვს ბედნიერება... ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ ჩემს თბილისში, როდის ვნახავ ასე მონატრებულ ახლობლებს. არადა, როგორ მინდა, კვლავ ფეხი დავდგა „ცვრიან ბალახზე" და მტრის ჯინაზე ამაყად ვთქვა, რა დიდი ჯილდოა, გერქვას ქართველი!" მარიკა ქორჩილავას „ბედქვეშ" არაერთი ქართველია, რომლებიც ხშირად იწერებიან საბერძნეთიდან, ბელგიიდან, ინგლისიდან, ამერიკიდან, რუსეთიდან... საქართველო გვენატრებაო, გვწერენ... სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობენ. იმედი ვიქონიოთ, რომ მათ ნატვრას მალე უწერია ასრულება.

## „რაც კარგები ვართ..."

ხომ გახსოვთ, ერთი ძველებური, მხიარული გამოთქმა: — რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო!..

ეს „ტენდენცია" ახლაც გრძელდება. თურმე ნუ იტყვით და თამბაქოს წევაში ტოლს არავის ვუდებთ! უფრო მეტიც, პირველები ვყოფილვართ. სად არ ვეწევით — ქუჩაში, სახლში, სკოლაში, თეატრში, მაღაზიაში, ავტობუსში, პარლამენტში, მთავრობაში... ანუ ყველგან და... ყველა: დიდი და პატარა, ქალი და კაცი, გასათხოვარი და გაუთხოვარი, ცოლიანი და უცოლო... ამერიკასა და ევროპაში სიგარეტის მოწევა რომ „მოდიდან გადადის", სამაგიეროდ, ჩვენთან შემოდის...

ამ „ამბავს" გიორგი თავდიდელი გვატყობინებს და გამოსავალს ეძებს — იქნებ რაიმე მოვუხერხოთ ამდენ მწეველსო. თუმცა, რად გინდა, ისეთი „შთამბეჭდავი" რეკლამებია ყველგან ნაირ-ნაირი სიგარეტების, რომ ძნელია ცდუნებას ადვილად გაუძლოო.

ვერაფერს დაუმატებ. მწეველთა „არმია" ისე გაიზარდა საქართველოში, რომ ახლა სიგარეტის მავნებლობაზე ლაპარაკი მგლის თავზე სახარების კითხვას უფრო დაემსგავსება, ვიდრე ანტირეკლამას... მაგრამ მაინც თავს გაუფრთხილდით...

**აქ შევწყვეტთ თქვენთან საუბარს, ბატონო მკითხველო... მომავალი ორშაბათიდან ისევ ველოდებით თქვენს გამოხმაურებას, თქვენს თანადგომას, შენიშვნებსა და... შექებასაც... მკითხველი და გაზეთი რომ განუყოფელია, ეს ხომ ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ...**

***რედაქციის სახელით — ელენე სალარიძე***



# ხშირად თანაგრძნობით ორიანებსაც მიწერენ...



არაბავშვურს — ასე ახასიათებს მერაბ სეფაშვილი პატარა მომღერალ ზუკა ხუციშვილს, რომელმაც განსაკუთრებით მოხიბლა მსმენელი ბოლო ხანს შესრულებული სიმღერით „სუყველაზე ლამაზი შენი თვალის ფერია“...

— პატარა მომღერალში იგრძნობა, რომ მას ჯერ არ აქვს გამოცდილება, ღრმა გრძნობით დატვირთოს რომანსის ჟანრის სიმღერა, მაგრამ იგი საოცრად თავდაჯერებულია, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ზუკას ვოკალური მონაცემების ორიგინალობასა და ინდივიდუალობას — ასე აფასებენ პატარა მომღერალს მუსიკათმცოდნეები. 13 წლის **ზუკა ხუციშვილი** კი უკვე სოლო კონცერტისთვის ემზადება. ამაზე და ბევრ სხვა რამეზე ზუკა თავად მოგვითხრობს:

**— ზუკა, რა ხდება ახალი შენს შემოქმედებაში?**

— ბევრი არაფერი ახალი. ახლახან ჩავწერეთ დედაჩემის მიერ დაწერილი სიმღერა, რომელზეც კლიპის გადაღებასაც ვაპირებ. უკვე დაინტერესდნენ მისი გადაღებით.

**— თურმე, სოლო კონცერტისთვის ემზადები.**

— მართალია. თუ კონცერტი ჩატარდა, მე ვიმღერებ ცოცხალ ბენდთან ერთად. ფონოგრამა გამორიცხული იქნება. სამწუხაროდ, კონცერტის ჩატარების დრო ჯერჯერობით უცნობია, პროექტის განხორციელება ფერხდება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გამო. როგორც ამბობენ, ასეთ დროს მუზები დუმან... კონცერტი შეიძლება ჩემს უფროს და თანატოლ მეგობრებთან ერთად ჩავატარო.

**— სოლო კონცერტი საკმაოდ მდიდარ რეპერტუარს მოითხოვს. ამ მხრივ როგორ გაქვს საქმე?**

— ჩემი ასაკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მგონია, რომ საქმე არცთუ ურიგოდ მაქვს, უკვე 25 თუ 26 სიმღერა მაქვს ჩაწერილი.

**— ამბობენ, ბავშვებს, რომლებიც ადრეულ ასაკიდანვე დაკავებული არიან საქმით, ბავშვობა აქვთ დაკარგული, თანატოლებივით ვერ ცხოვრობენო.**

— არა, არა, მე ყველაფერს ვასწრებ. კონცერტების დროსაც კი სცენაზე გასვლამდე, კულისებში ვარ ზუკა — ბავშვი და სცენაზე ზუკა-მომღერალი. მერე ისევ ბავშვი და ამხანაგებთან ერთად მშვენივრად ვერთობი, ანუ ბავშვობა დაკარგული სულაც არა მაქვს. დავდივარ ინტერნეტ-კაფეებში, ვთამაშობ ჩემს საყვარელ ფეხბურთს.

**— როგორც გავიგე, ზაფხულში სერიოზულ „ტერორს“ ახორციელებდი შენს მეგობარ თიკა ჯამბურიასა და ნინო ქარსელაძეზე.**

— რა ჭორიკნები არიან. სიმართლე გითხრათ, იქით მატერორებდნენ, ამიტომაც ვითომ ვახრჩობდი ხან აუზში, ხანაც ზღვაში. აბა, მართლა ხომ არ გავიმეტებდი, მაგრამ ეგენი ისეთები არიან, ყველაფერს აიტანენ (იცინის).

**— მახსოვს, პირველად ინტერვიუს დროს გატაცებით მიამბობდი ერთი გოგოს შესახებ, რომელიც ძალიან მოგეწონა ჩაქვში, რომანტიკული გატაცებები ისევ გაქვს?**

— შეყვარებული არა ვარ, მაგრამ გოგონები ძალიან მომწონს. მთავარია, ლამაზებიც იყვნენ, ჭკვიანებიც და კეთილებიც. ისე გოგონები ხშირად მირეკავენ, სიამოვნებით ვესაუბრები ტელეფონით. გული მწყდება, ზოგჯერ ყურმილს რომ მიკიდებენ. ანუ თუ მირეკავენ, დამელაპარაკონ, მე ხომ უარს არ ვამბობ ამაზე.

**— ზუკა, რაზე ოცნებობ?**

— მინდა მაგარი მომღერალი ვიყო და ისეთივე პოპულარული, როგორიც დღეს ქართველი, ნამდვილი ვარსკვლავები არიან. ვოცნებობ კიდევ უიტნი ჰიუსტონთან და კიდევ სხვებთან ერთად გამოვიდე სცენაზე. თუმც, ღმერთს ჯერ იმაზე ვუხდი მადლობას, რომ მერაბ სეფაშვილთან ერთად ვიმღერე სცენაზე. ისე, ძალიან მინდა საქართველოში მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტებით იმართებოდეს კონცერტები და ფონოგრამას არავინ იყენებდეს. ასე მგონია, ფონოგრამის საკითხმა მაყურებელი ეჭვიანი გახადა, იოლად აღარ სჯერათ მომღერლების. ეს ცუდია, რადგან შეიძლება ნიჭიერიც და უნიჭოც ერთ საცერში გაატარონ.

**— ზუკა, ახალი წელი მოდის, ელი სიურპრიზებს?**

— ველი. ძალიან მინდა გუდაურში წასვლა და იმედია, ზამთრის არდადეგებზე მშობლები გამახარებენ.

**— ო, მშობლებზე რას იტყვი, მგონი „ისწავლე, ისწავლეთი“ შეგაწუხეს.**

— არა, არ შემაწუხეს. ჩვენ კარგად ვუგებთ ერთმანეთს. რა აზრი აქვს ყვირილს და დაძალებას. თუ არ შემიძლია ან არ მიყვარს რაღაც, მაინც ვერ გავაკეთებ. დედამაც და მამამაც ისე იციან თქმა, რომ ზოგჯერ ხათრს ვერ ვუტეხ, შემიძლია ვთქვა, რომ მშობლებში ძალიან გამიმართლა.

**— რაში არ გაგიმართლა?**

— ფეხბურთში არ მიმართლებს. ზოგჯერ ვაგებ. კომპიუტერულ თამაშებსაც ვაგებ ხოლმე, მაგრამ რომ ვთქვა, ცხოვრებაში არ გამიმართლა-მეთქი, მაგის საბაბი არ მაქვს. თამაშში წაგებას არა უშავს. ერთი კია, რომ სკოლაშიც არ მიმართლებს, ჩემი სამუშაო რეჟიმის გამო სწავლაში მოვიკოჭლებ და როცა გაკვეთილი არ ვიცი, ხშირად თანამიგრძნობენ, მაგრამ ორიანებს მაინც მიწერენ.

*ეკა ლომიძე*






კვირა 21 დეკემბერი

შაბათი 20 დეკემბერი

პარასკევი 19 დეკემბერი

ხუთშაბათი 18 დეკემბერი

ოთხშაბათი 17 დეკემბერი

სამშაბათი 16 დეკემბერი

ორშაბათი 15 დეკემბერი

# „ია ტებია ლიუბლუ, ნუცა“

## „ნუცა მხოლოდ საქართველოს ეკუთვნის...“



*კარგა ხანია, მას ყველა იმ სახელით იცნობს, რომელიც თავად დაირქვა. ნუცა, იგივე* ***ნინო შაჰიაშვილი,*** *ბავშვობიდანვე არაორდინარული და თავისებური პიროვნება ყოფილა. საოცარი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის წყალობით დღეს იგი თანდათან მთელ მსოფლიოს იპყრობს. მიუხედავად იმისა, რომ ნუცას „პატრონობას“ ერთმანეთს ეცილებიან რუსეთი და აშშ (მათ ახლა უკრაინაც დაემატა), თვითონ იგი თავს საქართველოსგან განუყოფლად მიიჩნევს. ახლახან ნუცამ კიევში ფრანკოს სახელობის თეატრში „დონ-ჟუანით“ აღაფრთოვანა მაყურებელი. თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთი, ტელეარხი მხოლოდ ნუცას შესახებ ალაპარაკდა. ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემის წამყვანმა კი ნუცასთან ინტერვიუს შემდეგ მთელი უკრაინის დასანახად გამოხატა თავისი გრძნობები და პირდაპირ ეთერში აღფრთოვანებით შესძახა: „ია ტებია ლიუბლუ, ნუცა“. ჩვენი გაზეთიდან არაერთხელ გიამბეთ ნუცას შესახებ, თუმცა, ამჯერად სიამოვნებით შეგახსენებთ, როგორ მოხიბლა ნიუ-იორკში მთელი ბროდვეი ნუცამ, როცა ფრენკ სინატრას დაკრძალვის დღეს მისი შესანიშნავი სიმღერა „ნიუ-იორკ, ნიუ-იორკ“-ი შეასრულა. მისმა „ედიტ პიაფმაც“ ასევე დაიპყრო ნიუ-იორკი. მილენიუმის სცენაზე დაგეგმილი ერთი სპექტაკლის ნაცვლად, ოთხი გაიმართა. რუსეთში ნუცას ელიტურ მომღერლად, რუსული ესტრადის ყველაზე თანამედროვე და ბრწყინვალე წარმომადგენლად მიიჩნევენ, თბილისში კი თაყვანისმცემლებს ნუცა ენატრებათ, მისი სცენაზე ხილვა სურთ.*

„კვირის პალიტრა“ ნუცას ტელეფონით დაუკავშირდა მოსკოვში.

**— ნუცა, თქვენმა „დონ-ჟუანმა“ თურმე მთელი უკრაინა აღაფრთოვანა. გვიამბეთ სპექტაკლის შესახებ.**

— ეს არის ამერიკელებისა და უკრაინელების ერთობლივი ნამუშევარი. სპექტაკლი „დონ-ჟუანის სკოლა“ დადგა წარმოშობით უკრაინელმა რეჟისორმა იგორ აფანასიევმა, რომელიც აშშ-ში ცხოვრობს. სპექტაკლში ერთდროულად რამდენიმე როლს ვასრულებ. ერთ სპექტაკლში ქალიც ვარ და მამაკაციც. ვცეკვავ, ვმღერი და ვფარიკაობ კიდეც. სპექტაკლში ჯერ დონ-ჟუანი ვარ, მერე ექიმი-სექსოპათოლოგი, რომელსაც რატომღაც ხან ჰგონია, რომ თვითონ არის დონ-ჟუანი. ხან კიდევ ოცნებობს, რომ იყოს დონ-ჟუანი. კომედია ვოდევილია. მთავარ გმირს სჯერა, რომ კაცობრიობას იხსნის, თუ ქალებს კაცებად გადააკეთებს და პირიქით. ბოლოს ყველაფერი ღვთის სასჯელით მთავრდება — ეს უბედური ექიმი ჯერ გადაიქცევა ალექსანდრე პუშკინის გმირ ლაურად, მერე პეტრე პირველად და ბოლოს უბრუნდება თავის სხეულს, ოღონდ რჩება ქალის მკერდი, სახე კი მამაკაცის აქვს — წვერ-ულვაშით დაფარული. მოკლედ, ძალზე სასაცილო და, ამავე დროს, საინტერესო სპექტაკლია.

**— ერთბაშად რამდენიმე როლი ერთ სპექტაკლში. ხუთი საათი სცენაზე — ეს ხომ არ არის იოლი...**

— ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ იმდენად საინტერესო მეჩვენა ჩემი როლები სპექტაკლში, სიამოვნებით დავთანხმდი. ვთვლი, რომ ეს არის დიდი ნაბიჯი ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში. დამეთანხმებით, რამდენიმე როლის შესრულება ერთ სპექტაკლში რთულია და ასეთი შანსი ყველა მსახიობისთვის საოცნებოა.

**— როგორც ვიცი, ამ სპექტაკლით საგასტროლოდ მიდიხართ აშშ-ში.**

— აშშ-ში უკვე დაინიშნა გასტროლები პირველი თებერვლიდან. მთელ თვეს ამერიკაში გავატარებთ და ვფიქრობთ, ეს იქნება ძალიან წარმატებული ტურნე, მანამდე კი იანვარში მოსკოვში და სანქტ-პეტერბურგში გავმართავთ სპექტაკლებს. იმედი მაქვს, რომ „ედიტ პიაფს“ და „დონ-ჟუანის სკოლას“ თბილისშიც ჩამოვიტანთ.

**— მოწვეულია თუ არა თბილისში თქვენი სპექტაკლი ოფიციალურად?**

— რამდენადაც ვიცი, მოლაპარაკებები მიდიოდა მხოლოდ აშშ-თან დაკავშირებით. ახლა რუსეთის გასტროლების საკითხი გვარდება და რა იქნება თბილისთან დაკავშირებით, არ ვიცი, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ თბილისში აუცილებლად ჩამოვალ სპექტაკლებით.

**— თქვენი მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭის წყალობით ალბათ ბევრი სხვა სიახლეც გექნებათ.**

— არაჩვეულებრივმა კომპოზიტორმა ალექსანდრე ჟურბინმა შემომთავაზა გენიალური როლი. ამ როლს ნიკოლ კიდმანი ასრულებს აშშ-ის ერთ-ერთ თეატრში. საუბარია ხუთი ქალის პერსონაჟზე, რომელიც ერთმა მსახიობმა უნდა შეასრულოს სცენაზე. ეს არის მიუზიკლი, სადაც ბევრი სიმღერა და ცეკვა იქნება და ვოკალური მონაცემების გარდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება მსახიობის მოქნილობას, პლასტიკას. ალბათ მარტიდან შევუდგები ამ პიესის მომზადებას.

**— ნუცა, თურმე ნოსტალგია გაწუხებთ.**

— ამ სიტყვაში არ ჯდება ჩემი გრძნობები და დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. ყოველ წუთს, ყოველ წამს მახსოვს ჩემი სამშობლო და განვიცდი ყველაფერს, რაც მის თავს ხდება. თანადგომას ვუცხადებ ჩვენს ახალ მთავრობას, რაც ერთ-ერთი ქართული ტელეკომპანიის პირდაპირი ეთერიდანაც განვაცხადე, როცა მოსკოვში დამირეკეს თბილისიდან. კიდევ ერთხელ ვულოცავ ჩვენს ხალხს უსისხლო გამარჯვებას. სულ მინდა თქვენ გვერდით ვიყო, მაგრამ ვფიქრობ, უფრო მეტად იმით დავეხმარები საქართველოს, თუ უცხოეთში გასახელებთ. სულ მესიზმრება საქართველო, მაგრამ ჩემს სამუშაოს იმდენი დრო მიაქვს, რომ ჩამოსვლის საშუალებაც არ მაქვს. წელიწადში ერთადერთხელ ძლივს ვახერხებ ჩამოსვლას.

**— დროის უკმარისობა თურმე ოჯახის გამრავლებაშიც გიშლით ხელს. გავიგეთ, დრო არა აქვს და ამიტომაც ნუცა შვილის გაჩენაზე თავს იკავებსო.**

— სამწუხაროდ, მართლა ასეა, მაგრამ როგორღაც უნდა გამოვნახო დრო, რადგან ძალიან მინდა მყავდეს შვილი. თუმცა, ჯერჯერობით მე და ჩემს მეუღლეს ეს უახლოეს პროექტში არ დაგვიგეგმავს.

**— ნუცა უცხოეთში მოგზაურობისას როგორ გიცნობენ, როგორც რუსს, ამერიკელს თუ როგორც ქართველს?**

— ნუცა ყველგან მხოლოდ და მხოლოდ ქართველია. ბალტიისპირეთში, რიგაში რომ ჩავიტანეთ „ედიტ პიაფი“, უზარმაზარ აფიშებზე, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებში ეწერა: „Виктьюк везет грузинскую Эдит Пиаф“. მე წარმოვადგენ რუსეთის დრამატულ თეატრს, მაგრამ ვარ პირველი (არ მეშინია ამის თქმის) ქართველი დრამატული მსახიობი ქალი რუსულ სცენაზე... ნუცა მხოლოდ საქართველოს ეკუთვნის.

*ეკა ლომიძე*

# 13-დან 19-მდე

## „ბავშვობაში დიდი ახირებული ვინმე ვიყავი“



*ზურა მანჯავიძე — ანსამბლ „ფორტეს“ მომღერალი. მას ყველა იცნობს, მაგრამ ალბათ ბევრმა არ იცის, რომ დღეს უკვე ოთხი შვილის მამა, ბავშვობაში დიდი ჩხუბისთავი, ჯიუტი და ფიცხიც კი ყოფილა, გარდა ამისა, ქურდბაცაცობაც იზიდავდა და მასწავლებლებსაც გამუდმებით ეჩხუბებოდა...*

**— ზურა, როგორი ბავშვი იყავით?**

— მოუსვენარი და ფიცხი. ოჯახს ბევრ პრობლემას ვუქმნიდი. ვსწავლობდი მე-60 საშუალო სკოლაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც მივიღე გადაწყვეტილება „დოხტური“ გავმხდარიყავი, ღამის სკოლაში გადავედი. სტაჟისთვის კი რესპუბლიკურ საავადმყოფოში სანიტრად დავიწყე მუშაობა.

სკოლაში სულ ვჩხუბობდი, ახლაც მიკვირს, რას ვერჩოდი მასწავლებლებს, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ ასეთი საქციელი ვაჟკაცობა იყო და ამიტომ მასწავლებლებთან „ოპოზიციაში“ ყოფნას ვამჯობინებდი. ახლა კი ვხვდები, მართალი არ ვიყავი, მაგრამ, უკვე გვიანია. როგორც ჩანს, ჩემი შვილიც მე მგავს, ჩემსავით ფიცხია, რამდენს ჩავჩიჩინებ, ასე არ მოიქცე, ისე გააკეთე-მეთქი, ამაოდ.

**— მოჩხუბარი რომ იყავით გავიგე, მაგრამ მაინც რას აკეთებდით ასეთ განსაკუთრებულს...**

— მაგალითად ერთ დღეს, ოღონდ არ მახსოვს, რატომ, ჩემი თაოსნობით კლასელებმა საკლასო ოთახი თავდაყირა დავაყენეთ. მერხები ავაყირავეთ და ჩვენი საქციელით ძალიან ბედნიერები ვიყავით. ერთი სიტყვით, დიდი ახირებული ვინმე ვიყავი. კიდევ სერიოზული ქურდიც გახლდით. კლასელებთან ერთად კაფეში ხაჭაპურებს ვიპარავდი, მაღაზიიდან — საღეჭ რეზინებს. არ იფიქროთ, თითქოს 10-15 კაპიკი არ გვქონდა, არა ბატონო, ქურდბაცაცობაც „გმირობა“ გვეგონა. მერე გაგვიგეს და რა დღეშიც ჩავცვივდებოდით, თავადაც მშვენივრად წარმოიდგენთ.

**— მშობლები ალბათ ხშირად გსჯიდნენ.**

— დედასთან ძალიან მეგობრული დამოკიდებულება მქონდა. ოჯახში ექვსი დედმამიშვილი ვიზრდებოდით, მამა პროფესიით აგრონომი იყო, ხშირად რაიონებში უხდებოდა წასვლა, ამიტომ შინ იშვიათად ვხედავდით. ის იმ დროს გარდაიცვალა, როდესაც ბიჭს განსაკუთრებით სჭირდება მამის გვერდით დგომა, მისი მაგივრობა მერე ძმებმა გამიწიეს.

13 წლის ვიყავი, სიგარეტის მოწევა რომ დავიწყე. რა ხრიკებს არ მივმართავდი, რომ სახლში არაფერი შეეტყოთ. მაინც გაიგეს და მაგრადაც მომხვდა.

**— როგორც ჩანს, ექიმი ვერ გამოხვედით, სამაგიეროდ, პროფესიად მომღერლობა აირჩიეთ, სად ექიმი და სად მომღერალი...**

— სამედიცინოზე უბრალოდ ვერ ჩავაბარე, რადგან გამოცდებზე მათემატიკა დაამატეს. მე კი ტექნიკური საგნები დიდად არ მეპიტნავებოდა. თანაც, სწორედ იმ დროს დაიწყო არეულობები, მე კი მთელ დღეს ქუჩაში ვატარებდი და დროშებს ვაფრიალებდი, ამიტომ ჩემმა „დოხტურობამ“ ჩაილურის წყალი დალია და საბუთები სასწრაფოდ სასოფლოში გადავიტანე. იქ ჩაწყობილი მქონდა, და ამიტომ იმედიანად გავედი გამოცდაზე. კარგად მოვერგე სკამს, „შპარგალკა“ მოვიმარჯვე და ძალიან მშვიდად დავიწყე გადაწერა, თავი არც მაშინ ამიწევია, თავზე დამკვირვებელი რომ დამადგა. ვიფიქრე, მაინც ჩაწყობილი მაქვს და ვინ რას მეტყვის-მეთქი. ეს დამკვირვებელი კი არც მეტი, არც ნაკლები, რექტორი აღმოჩნდა. მოკლედ, ქიმიის გამოცდიდან სულ კინწისკვრით გამომაგდეს.

**— მაგრამ, როგორც ამბობენ, სადაც არის ბედი შენიო...**

— დიახ, დიახ, სიმღერა იყო ჩემი საქმე და რას დავწოწიალობდი წინ და უკან, არ ვიცი... ჯერ კიდევ თორმეტი წლის ვიყავი ოთარ რამიშვილთან ძმამ რომ მიმიყვანა, მომისმინა ოთარმა და ძალიან მოვეწონე, მერე დროდადრო რაიონებში კონცერტებზეც დავყვებოდი. ერთხელ დამირეკა და „თაიგულში“ გიტარისტად მიმიწვია. იმავე ანსამბლში ზურა ბენაშვილი მღეროდა, რომელიც არეულობის პერიოდში დაიღუპა. აღმოჩნდა, რომ გიტარაზე დაკვრის გარდა, სიმღერაც შემეძლო და მეც ანსამბლში დავიწყე სიმღერა. სწორედ ოთარ რამიშვილის რჩევით ჩავაბარე საესტრადო სასწავლებელში.

**— ზურა, დღეს თქვენ ოთხი შვილის მამა ხართ. 19 წლისამ მოიყვანეთ ცოლი. ამ ასაკში ცოტა დაუფიქრებელი ნაბიჯი ხომ არ გადადგით?**

— 18 წლის ვიყავი, თეა რომ გავიცანი, ისიც ჩემსავით საესტრადო სასწავლებელში აბარებდა. 18 წლისა ყველაფერს ზერელედ ეკიდები, რაც უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდები, მით უფრო ჯიუტად ცდილობ, შენი გაიტანო. ახლობლებმა ჩემი გადაწყვეტილების შესახებ რომ გაიგეს, შეიცხადეს, რა დროს შენი ცოლიაო, დედა, პირიქით, შეგნებულად მიუდგა ამ საკითხს. მე კიდევ ჯიუტად ვიმეორებდი, მიყვარს და ცოლად უნდა მოვიყვანო-მეთქი. როგორც ხედავთ, ჩემი გავიტანე.

**— არ მითხრათ, 18 წლამდე არავინ მყვარებიაო.**

— როგორ თუ არ მყვარებია, მთელი ცხოვრება ვიღაც მიყვარდა. ჯერ საბავშვო ბაღში, იმ გოგოს არც სახელი ვიცოდი, არც გვარი. უბრალოდ მიყვარდა. შორიდანვე დავინახავდი თუ არა, სიცილს ვიწყებდი. მერე ცეკვაზე რომ დავდიოდი, პარალელური კლასელი შემიყვარდა, ეს სიყვარული ხანგრძლივი აღმოჩნდა. იმის ეზოში ვათენებდი და ვაღამებდი, მისი ეზოს ბავშვებს დავუახლოვდი, მეგონა, ასე უფრო ახლოს ვიყავი მასთან. მოკლედ, იმის შემდეგ თუ ვინმე შემიყვარდებოდა, მის ეზოში ვსახლდებოდი. ჩემი უბედურება ის იყო, რომ ეს სიყვარულები თითქმის ყოველთვის ცალმხრივი იყო. ერთხელ შემიყვარდა „ორმხრივად“ და ისიც ცოლად მოვიყვანე. თუმცა ამ სიყვარულისთვის დიდი ბრძოლა დამჭირდა, მეტოქე მყავდა და მის ჩამოსაშორებლად უკან არაფერზე დავიხიე.

**— ტყუპი — სანდრო და ლუკა, ჯერ ძალიან პატარები არიან, გიორგი და ანი ხშირად აბრაზებენ მამას თუ...**

— შვილებთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ვხვდები, რომ სიმკაცრეც აუცილებელია, გიორგი ჯიუტია, ამიტომ მგონია, რომ მამა-შვილს შორის ზღვარი არ უნდა დაირღვეს. მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ მშობლის რიდი შვილს უნდა გქონდეს. ამიტომ, ვფიქრობ, საჭიროა ვიყო ზომიერად მკაცრი. ანი წელს გახდა პირველკლასელი. ვუყიდეთ დიდი თაიგული, მივიყვანეთ სკოლაში და მასწავლებელს ჩავაბარეთ. ვფიქრობ, გიორგის და ანის სკოლაში მიყვანა არაჩვეულებრივი დღე იყო. ჩემს შვილებს ძალიან ეამაყებათ, როდესაც ქუჩაში მცნობენ. გიორგის კარგი სმენა აქვს და მშვენივრად მღერის. ჩემი მეუღლის შემდეგ, გიორგია ჩემი შემფასებელი, მათ შენიშვნებს სიამოვნებით ვიზიარებ ხოლმე.

*P.S. ზურა და ანსამბლი „ფორტე“ ახლო მომავალში სამი ახალი სიმღერით წარდგებიან მსმენელის წინაშე, ერთ-ერთ სიმღერაში საგალობლის ელემენტებია შეტანილი, ამიტომ ტექნიკურად რთული შესასრულებელია, ვნახოთ, რა გამოგვივა — მეუბნება მომღერალი. ერთი სიტყვით, საახალწლოდ „ფორტე“ ახალ პროექტებს გვპირდება.*



## საყვარელო „პალიტრავ“!

## მამიკო, გეხვეწები, იყავი ისევ ისეთი, როგორიც მე მახსოვხარ

შეიძლება გაგიკვირდეთ, რატომ მაინცდამაინც თქვენი გაზეთი ამოვირჩიე წერილის მოსაწერად. ჯერ ერთი, რომ ძალიან მომწონს „კვირის პალიტრა“. რაც მთავარია, ჩემი მამიკო თქვენს გაზეთს ყოველთვის კითხულობს და იმას, რასაც თქვენ გწერთ, იმედია აუცილებლად წაიკითხავს. ძალიან გთხოვთ ჩემი ბავშვური ნაწერი გამომიქვეყნოთ.

12 წლის ვარ. კარგად ვსწავლობ, ბევრს ვკითხულობ და ჟურნალისტობაზე ვოცნებობ. თუმცა ამ ბოლო დროს ჩემი ცხოვრება კოშმარად იქცა. ჩემი გული უკვე ველარ უძლებს ამდენ ტკივილს, ვერც ვერავის ვუმხელ გასაჭირს, ამიტომ მოგმართეთ თქვენ.

სულ რაღაც ერთი წლის წინ, ჩვენ ძალიან ბედნიერი ოჯახი გვქონდა. მამიკო ძალიან მიყვარს და მასაც განსაკუთრებით ვუყვარვარ. შეძლებისდაგვარად ყველა სურვილს მისრულებდა, დედიკოსაც თბილად ექცეოდა, ისინი არასოდეს ჩხუბობდნენ, ერთმანეთს სიყვარულით ელაპარაკებოდნენ და სულ ეფერებოდნენ. მე და ჩემი ძმა, ყოველ საღამოს მოუთმენლად ველოდებოდით მამიკოს სამსახურიდან დაბრუნებას, ისიც ისე დაგვკოცნიდა, თითქოს დიდი ხნის უნახავები ვყავდით. მოკლედ, ვცხოვრობდით ბედნიერად, მაგრამ დაახლოებით ერთი წლის წინ, მამას რაღაც ცვლილებები დაეტყო, სახლში ძალიან ცუდ ხასიათზე ბრუნდებოდა, ხშირად ღამით ცუდად ხდებოდა, მერე თანდათან ჩხუბიც დაიწყო. მე და ჩემი ძმა ვერ ვხვდებოდით, რა ხდებოდა, მაგრამ უკვე შიშით ველოდებოდით საღამოს დადგომას, გული გვისკდებოდა, სანამ მამა არ მოვიდოდა და დაიძინებდა, რადგან ზოგჯერ თუ გაბრაზდებოდა, ყვიროდა, ფანჯრიდან გადავხტებიო.

დღე და ღამე სულ მამაზე ვფიქრობდი. დედა არაფერს გვეუბნებოდა, მაგრამ ბოლოს მივხვდი, თურმე მამიკომ ნარკომანობა დაიწყო. აქამდე ეს სიტყვა ჩემთვის ძალიან უცხო იყო. კარგად არც ახლა ვიცი მისი მნიშვნელობა. შეიძლება ძალიან ცუდად ვიქცევი, მაგრამ ჩემდა უნებურად ჩუმად ვუსმენ უფროსების საუბარს და თანდათან ყველაფერს ვგებულობ. მამიკო უკვე 38 წლის არის და ასეთი რამ არასოდეს გაუკეთებია. ის ყოველთვის სპორტით იყო დაკავებული, ქეიფი და მოლხენა უყვარდა. ძალიან კარგი ბავშვობის მეგობრები ჰყავს. ისინი ახლაც მოდიან ჩვენთან და დედას ამშვიდებენ. ყველა გაოცებულია. ჩემი მამიკოსაგან ასეთ რამეს არავინ ელოდა. ის ისეთი კეთილია, ყველას ძალიან უყვარს. მამიკო ამხანაგებმა და დედიკომ ექიმთან წაიყვანეს, იმკურნალა, თითქოს კარგად გახდა, ხასიათიც გამოუსწორდა, მაგრამ მე მაინც მეშინია. აღარ მინდა ის დღეები დაბრუნდეს, რაც გადავიტანეთ. მე და ჩემი ძმა ერთ ოთახში ვწევართ და ძილის წინ, სულ მამაზე ვლაპარაკობთ. ძამიკო მეუბნება, მამიკო თუ არ გამოსწორდება, თავს მოვიკლავო. არც მე მინდა სიცოცხლე, თუ ნარკომანი მამა მეყოლება. მას ამას ვერასოდეს ვეტყვი, არც დედიკოს მინდა გული ვატკინო, ისედაც ადამიანს აღარ ჰგავს, სულ ტირის და ტირის.

მამიკო, გეხვეწები, იყავი ისევ ისეთი, როგორიც მე მახსოვხარ. ნუ წაგვართმევ ბავშვობას. ვიცი, შენ შეძლებ ამას და მერე მე სხვანაირ წერილს დავწერ შენზე. შენ ხომ ძალიან გიყვარდა ჩემი წერილების კითხვა.

***მარი***

## ტესტი

## გაქვთ თუ არა იუმორის გრძნობა?

*ცნობილია, რომ ადამიანს ხუთი გრძნობა აქვს და მათი დახმარებით აღიქვამს გარემოს, რომელშიც ცხოვრობს. მაგრამ არის კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი, — იუმორის გრძნობა. ზოგი თვლის, რომ ეს თანდაყოლილი თვისებაა. სხვას კი ჰგონია, რომ მისი გამომუშავება შესაძლებელია წლების განმავლობაში. ერთი რამ ცხადია, ყველას სურს, რომ იუმორის გრძნობა ჰქონდეს.*

*შენ თუ გაქვს იუმორის გრძნობა? ტესტის პასუხების სამი ვარიანტიდან — ა, ბ, გ — ამოირჩიე ერთ-ერთი, შეაჯამე და მიღებული პასუხების მიხედვით გაარკვიე როგორი იუმორის გრძნობა გაქვს.*

**1. კარგად რომ დააკვირდე, ცხოვრებისეულ სიტუაციებში ბევრი სასაცილო რამ არის.**
**ა.** ვფიქრობ, არა; **ბ.** ნამდვილად; **გ.** დარწმუნებული არ ვარ.

**2. როცა გეცინება, ცდილობ თუ არა მის დამალვას?**
**ა.** რა თქმა უნდა, არა; **ბ.** საჭიროა თავის შეკავება; **გ.** ზოგჯერ სიცილი უადგილოა.

**3. როდესაც დაბადების დღისთვის საჩუქარს გჩუქნიან, გინდა, რომ ეს იყოს...**
**ა.** ძვირფასი და მოდური; **ბ.** სასაცილო; **გ.** სულერთია.

**4. მეგობრების ხუმრობაზე როგორ რეაგირებ?**
**ა.** მწყინს; **ბ.** მათთან ერთად ვიცინი; **გ.** არ ვაქცევ ყურადღებას.

**5. გეხერხება ანეკდოტების მოყოლა?**
**ა.** როდის როგორ; **ბ.** უფრო არა; **გ.** რა თქმა უნდა.

**6. მთავარი თვისება, რომელიც მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლაში გეხმარება?**
**ა.** შრომისმოყვარეობა; **ბ.** იუმორის გრძნობა; **გ.** ოპტიმიზმი.

**7. რატომ გიყვარს შეხვედრა ძველ მეგობრებთან და თანაკლასელებთან?**
**ა.** შემიძლია ვიჭორაო, **ბ.** დროს მხიარულად ვატარებ; **გ.** არ მიყვარს მსგავსი შეხვედრები.

**8. საღამოს ტელეგადაცემათა პროგრამის დათვალიერებისას ყურადღებას ამახვილებ...**
**ა.** რომელიმე შოუზე; **ბ.** კინოფილმზე; **გ.** პუბლიცისტურ გადაცემაზე.

**9. ეხუმრები თუ არა ახლობლებსა და ნაცნობებს პირველ აპრილს?**
**ა.** არა; **ბ.** მავიწყდება; **გ.** ძალიან მიყვარს ამის კეთება.

**10. შეგიძლია იცინო საკუთარ თავზე სხვების თანდასწრებით?**
**ა.** სიცილი ყველაზე კარგი იარაღია; **ბ.** ეს ჩემს ძალებს აღემატება; **გ.** არ ვიცი.

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 3 | 0 | 3 |
| ბ | 3 | 0 | 3 | 3 | 0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 |
| გ | 1 | 1 | 0 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 1 |



***1-10 ქულა:*** ადამიანი, რომელსაც საერთოდ არა აქვს იუმორის გრძნობა, პრაქტიკულად არ არსებობს. არ იფიქრო, რადგან დაბალი ქულები დააგროვე, ეს გრძნობა არ გაქვს. – სრულიადაც არა. გიყვარს ხუმრობა, სიცილი, მაგრამ ხალხის თანდასწრებით ერიდები ამის კეთებას. ნუ ჩაიკეტები საკუთარ თავში, გათავისუფლდი კომპლექსისაგან.

***10-20 ქულა:*** არც თავაშვებული მომღხენი ხარ და არც უჟმური. იუმორის გრძნობა ისევე გაქვს, როგორც ადამიანთა უმრავლესობას. სიამოვნებით ჰყვები ანეკდოტებს, გიყვარს კარგი კინოკომედიის ყურება და სატირიკოსთა გამოსვლები.

***20-30 ქულა:*** მხიარული, კონტაქტური, გახსნილი ადამიანი ხარ, რა თქმა უნდა, ბუნებით ოპტიმისტი. იუმორის გასაოცარი გრძნობით ხიბლავ გარშემომყოფთ. ზოგჯერ ეს ურთიერთობას გიფუჭებს მათთან, ვისთვისაც ეს გრძნობა უცხოა. ყურადღებით იყავი – ყველასათვის არ არის სასურველი შენი მხიარულება.

***გვერდი მოამზადა ლია იაკობაშვილმა***

CMYK

# ეპიზოდები „მატრიარქალური ცხოვრებიდან", ანუ გჯეროდეთ „გამოდარების"...

„დღევანდელი რთული ცხოვრება ქალმა „გაქაჩა" და ეს კაცმა უნდა აღიაროს", — მითხრა ერთმა მამაკაცმა, რომელსაც, მისივე თქმით, ამ თხუთმეტი წლის წინ ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა — ქალამნად.

სამწუხაროდ, მამაკაცების უმრავლესობას უჭირთ ამ აზრის გაზიარება, არადა დღევანდელობას მართლაც მატრიარქატის ელფერი „დაჰკრავს".

მერწმუნეთ, სულაც არ მინდა ასე ვიფიქრო. პირიქით, ძალიან მინდა, ქართველ კაცებს ხოტბა შევასხა ღირსებების გამო, მაგრამ რა ვქნა, როცა ჩემი რესპონდენტი ქალების ნაამბობის მერე ეს სურვილი უმალ მიქრება?

ჩემი რესპონდენტის მონათხრობი არ გახლავთ „უცხო ხილი". მისი ამბავი ძალიან ჰგავს ბევრი ჩვენი ნაცნობისას და იქნებ, უფრო ამიტომაც ღირს ამაზე დაფიქრება, მსჯელობა...

ნანა დ. 38 წლისაა, თუმცა საფიქრალმა და სატკივარმა თითქოს ერთბაშად დააბერა...

— ოჯახის შექმნამდე არ გვქონია დიდი რომანი მე და ჩემს ქმარს, — მითხრა ქალბატონმა ნანამ, — სრულიად შემთხვევით გავიცანი ნათესავის ოჯახში. მერე კი, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, მეც და მასაც, ცალ-ცალკე გვიჩიჩინეს, — პატარები აღარ ხართ, თუ ერთმანეთი მოგწონთ, ოჯახის შექმნას წინ რა უდგასო. რამდენიმე თვეში ლევანმა ცოლობა მთხოვა, დავთანხმდი. ახლაც ვბრაზობ ჩემს თავზე. რატომ ავჩქარდი, მე ხომ 25-ისაც არ ვიყავი მაშინ. უბრალოდ, გათხოვების ასაკი მქონდა, თანაც არავინ მიყვარდა.

თავიდან ისეთი დაბნეული და გაოგნებული ვიყავი, ვერც ვაცნობიერებდი, რომ „ვიღაცის" ცოლი მერქვა. სიყვარული მაშინ მოვიდა, როცა პირველი შვილი, გოგონა, შეგვეძინა. ქმარი მუშაობდა, მე — არა. მართალი გითხრათ, ბავშვის სკოლაში წასვლამდე არც მინდოდა სამსახურის დაწყება, რადგან მიმაჩნდა, 5-6 წლამდე პატარას განსაკუთრებულად სჭირდება დედა. ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა. მეუღლემ სამსახურს თავი დაანება უკეთესის მოლოდინში, თუმცა უკეთესი ვერ მოძებნა და ძველიც დაკარგა. ეკონომიკური მქონდა დამთავრებული. მივდექ-მოვდექი და ერთ-ერთ საწარმოში მთავარი ეკონომისტის მოადგილედ დავიწყე მუშაობა. კარგი ხელფასი მქონდა. დროც ისეთი იყო, რომ 400 მანეთი (საბჭოთა კავშირის დროინდელი ფული) ჰყოფნიდა პატარა ოჯახს. ჩემმა ქმარმა, აქაოდა, ცოლს კარგი სამსახური აქვსო, ფეხი ფეხზე გადაიდო. ვატყობდი, აღარ აწუხებდა უმუშევრობა. ერთხელ, როცა ძმაკაცებმა ხუმრობით წამოაძახეს: — შენ რა კაცი ხარ, ცოლი გარჩენსო, სიცილით მიუგო: — სანამ ისეთ სამსახურს არ მოვძებნი, რომ ნანას ხელფასზე ორჯერ მეტი მქონდეს, მანამდე არც ვიმუშავებო. მერე და მერე, ქვეყანა რომ აირია და ლევანი კვლავ მე შემომაჩერდა, ძალიან შევშინდი, თანაც, უკვე მეორე ბავშვი გვყავდა. ჩემს სამსახურში ჯერ შემცირება დაიწყო, ბოლოს კი მთელი წარმოება დაიხურა. გადავწყვიტე, ბაზრობაზე დავმჯდარიყავი. ჩემი მეზობელი სტამბოლში დადიოდა საყიდლებზე. მითხრა: თუკი 500 დოლარს იშოვი, ბიზნესის დასაწყებად გეყოფა, მერე ფულს დაატრიალებ, დანახარჯსაც დაფარავ და მოგებაც დაგრჩებაო. ლევანს ვთხოვე, სამასი უკვე ნაშოვნი მაქვს, იქნებ დანარჩენი შენ მიშოვო-მეთქი. ისეთი ცივი უარი მითხრა, გეგონება, სხვისთვის ვთხოვდი ან შორეული ნათესავი ვიყავი მისი. აი, მაშინ პირველად დამწყდა გული. მივხვდი — მას ჩემთან საზიარო, გარდა შვილებისა და ჭერისა, არც სიხარული, არც საფიქრალი, არც ჭირი და არც ლხინი — არაფერი ჰქონდა. თითქოს ქმარი მხოლოდ იმისთვის არსებობდა, რომ ქალს მისგან ბავშვები გაეჩინა.

მეზობელს მუდარით გავატანე ის სამასი დოლარი — ის ჩამომიტანე, რასაც ეს თანხა ეყოფა-მეთქი. მართლაც, სტამბოლიდან ჩამოტანილმა ვალიც გამასტუმრებინა და საჭმლის ფულიც დამიტოვა. მერე ხელმეორედ ვისესხე (ამჯერად უკვე 500 დოლარი) და კვლავ გავატანე მეზობელს. ასე დავიწყე „ბიზნესი", თუ ამას ბიზნესი ჰქვია. არასოდეს მყვარებია ვაჭრობა. ბავშვობიდანვე ვოცნებობდი ჯერ მსახიობობაზე, მერე ჟურნალისტობაზე, ვწერდი კიდეც რაღაც-რაღაცებს ჩემთვის, მაგრამ მშობლებმა ჩემი ეკონომისტობა გადაწყვიტეს და ვერ შევეწინააღმდეგე. ამ სპეციალობას ახლა დიდი გაქანება აქვს, მაგრამ ოცი წლის წინ სულაც არ ითვლებოდა პრესტიჟულად...



წელიწად-ნახევარში ისე გადავიღალე, რომ მთელი დღის მშიერი, შინ გვიან მიბრუნებული, ჭამასაც ველარ ვახერხებდი, ბავშვებზე ზრუნვასა და ყურადღებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. დილიდან საღამომდე ჩემს პირში ცხელი ჩაისა ან ყავის მეტი არაფერი ჩადიოდა. 17 კილო დავიკელი. სანამ ჩემმა მშობლებმა განგაში არ ატეხეს, მანამდე ხმა არ ამოუღია ლევანს. ბოლოს, იკადრა და ამოღერღა: ხომ არ უნდა დააკლა თავი ამ „ტრიაპკებს", წამოდი ბაზრობიდანო. გამიხარდა, ვიფიქრე, ახლა კი ალბათ სამსახურს მოძებნის-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ. ერთი თვე გვეყო ბაზრობაზე კაპიკ-კაპიკ (ჩემი შიმშილობის ხარჯზე) თავმოყრილი თანხა, მერე კი, როცა ფული შემოგველია, გამომიცხადა: მგონი, დროა, სხვა რამე მოიფიქროო. „მოვიფიქროთ" რომ ეთქვა, იმდენად არ გავღიზიანდებოდი, მაგრამ „კედელთან მიყენებული" აღმოვჩნდი და თავგზა დავკარგე. ისეთი გაკვირვებული მიყურებდა, თითქოს სასწაულების მოხდენას ვთხოვდი. ამ სერიოზული შელაპარაკებისას, იცით, რა მითხრა: კაცის მოკვლა და ბანდიტობა მე არ შემიძლია, ნორმალურ სამსახურს ფულის გარეშე ვერ ვშოულობ, იმიტომ გითხარი, რამე რომ მოიფიქროო. ფულს თუ მიშოვი, ხომ კარგი, თუ არადა ჩემი იმედი ნუ გექნება, „ახალ ქართველს" ვერ დავემსგავსებიო. კიდევ კარგი, არავინ გვისმენდა, თორემ მე გამამტყუნებდა. ალბათ იფიქრებდა, საწყალ ბიჭს ათას რაღაცას სთხოვს, მას კი არ შეუძლია „სისაძაგლეზე" წასვლაო.

მეორე დღეს ლევანს გამოვუცხადე: რამდენი გჭირდება იმისთვის, რომ „კარგი" სამსახური იშოვო-მეთქი. ერთ პრესტიჟულ ადგილზე დაცვის თანამშრომელი სჭირდებათ, ყოფილი სპორტსმენი ვარ (ადრე ძიუდოზე დადიოდა), სპორტული აღნაგობა მაქვს და მიმიღებენ, თუკი 2.000 დოლარს მივიტანო. კი მაგრამ, ხელფასი რამდენი გექნება, ღირს კი ჩემს წვალებად და ნერვიულობად ეგ შენი სამსახური-მეთქი, — ვკითხე გაკვირვებულმა. ნუ გეშინია, შენს ფულს ოთხ თვეში დაგიბრუნებ, ყოველთვიურად 800 ლარამდე მექნებაო. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ნათქვამია. რახან იმისგან ამდენი ხნის ნანატრი „საქმიანი" წინადადება მივიღე, ისე გამიხარდა, ვერც გავაცნობიერე, რა ცეცხლშიც შეიძლებოდა გადავვარდნილიყავი. ოქროულობა ლომბარდში დავაგირავე, ამით 800 დოლარი მოვაგროვე, ნაწილი — მივისესხ-მოვისესხე, ზოგი პროცენტით, ზოგიც — ისე, მაინც მაკლდებოდა. მეგობარმა, რახან ფული არ ჰქონდა, ოქროს სამკაულები „მათხოვა" სალომბარდოდ. ორ კვირაში მივეცი ჩემს ქმარს ის თანხა, რაც სჭირდებოდა. მართალია, 800 ლარს არ უხდიდნენ, მაგრამ მისი ნახევარიც მაკმაყოფილებდა. ლომბარდის პროცენტების გადახდის მერე, საჭმლის ფულიც მრჩებოდა და ცოტ-ცოტას ვალსაც ვისტუმრებდი. დიდხანს არ გაგრძელებულა ჩემი სიხარული. ლევანის „პრესტიჟული სამსახური" კაზინო აღმოჩნდა (რომელსაც საგულდაგულოდ მიმალავდა). მან თავისი მეგობრები მიიპატიჟა კაზინოში, იმათაც გაუტკბათ. ერთ-ერთმა დიდი თანხა წააგო. დირექციამ კლიენტსაც და კლიენტის მეგობარსაც წაგებულის სასწრაფოდ გასტუმრება მოსთხოვა. ლევანი ისევ მე მომადგა სათხოვნელად და მაშინღა ამოღერღა სიმართლე. კინაღამ გავგიჟდი. აღარაფრის შეცვლა აღარ შეიძლებოდა. ჩვენგან დასადები იყო 5.000 დოლარი. მივხვდი, ალბათ მასაც ფსონი აქვს დადებული და ამიტომაცაა ამ დღეში, თორემ როდის იყო, ვალის გადახდას წაგებულის მეგობრებსაც სთხოვდნენ? კამათის და დაცდის დრო აღარ იყო, ბინა უნდა გაგვეყიდა. მაკლერმა 25 ათასად შეგვიფასა ოთხოთახიანი ბინა, მაგრამ რახან გვეჩქარებოდა, პირველსავე რეალურ მყიდველს ოცად დავუთმეთ. ვალები გავისტუმრეთ, გარემონტებული ბინაც ვიყიდეთ, მართალია, გარეუბანში, მაგრამ ამას აღარ დავეძებდი. პირიქით, ვთვლიდი, რომ იოლად დავუძვერით სირთულეებს... თურმე, რა მიამიტი ვყოფილვარ... მცირე თანხა გადავინახე „შავი დღისთვის". ლევანმა არ მოისვენა, სანამ ის ფული არ დამცინცლა. აიჩემა — კარგა ხანია ჩემი მეგობარი საბერძნეთში მუშაობს და ოჯახმა ამოისუნთქაო. ახლა მისი ცოლი უნდა წავიდეს და მეც წავყვები. ბინაში ფული არ დამეხარჯება, რადგან მათთან ვიქნები, მხოლოდ საჭმლისთვის დავხარჯავ, დანარჩენს კი გამოგიგზავნით. კაცი არ ვიყო, ორ წელიწადში ისევ ცენტრში თუ არ ვიყიდო ბინაო. ამ წინადადებაზე აღარ ავცეტებულვარ — ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო. რვა წლის მანძილზე ოჯახისთვის არაფერზე შეწუხებულა და ახლა სხვა ქვეყნიდან მპირდებოდა აშენებას. უარი არ მითქვამს მის გეგმებზე, მაგრამ დათანხმებაც მიჭირდა. მოსაფიქრებლად ათი დღე მომცა. „ვადა" რომ ამოიწურა, პასუხი მომთხოვა. მხოლოდ ის ვუთხარი: მეეჭვება, რომ უცხო ქვეყანაში საქმეააწყო-მეთქი. ამის თქმა იყო და ისე გაცოფდა, თავზე დამალეწა ყველაფერი. „ურწმუნო გოიმი" ხარ, რატომ ის დღე არ დაიწვა, როცა შენ გაგიცანიო — ხან იგინებოდა, ხან ქალივით იწყევლებოდა. მე კი ვიჯექი თავჩაღუნული და გამწარებული ვფიქრობდი: ნეტავ, რა ცოდვა მაქვს ამქვეყნად, რომ ღმერთი ასე მსჯის ამ კაცის სახით-მეთქი. აღარ შემეძლო მისი ყურება. სიცოცხლის ნახევარს უყოყმანოდ დავთმობდი, ოღონდ ის ჩემი შვილების მამა არ ყოფილიყო. მივხვდი, რომ მძულდა. აღარ შემეძლო მის გვერდით გაჩერება, ფული მივეცი, რაც გინდა, ის ქენი-მეთქი და გავერიდე, რამდენიმე დღით მშობლებთან წავედი, ბავშვებიც თან წავიყვანე.

მესამე დღეს, ვითომც არაფერი მომხდარა, გახარებული მოვიდა და მითხრა, — საბუთები მალე მზად იქნება და ერთ კვირაში საბერძნეთში წავალ. იქ უკვე მელოდება სამუშაო, ჩემი ნათესავი სამშენებლო ბრიგადაში ჩამსვამს... აი, ნახე, რა კარგად იქნება ყველაფერიო. მისგან სასიკეთოს აღარაფერს ველოდი, მაგრამ სიტყვაც არ მითქვამს. დავბრუნდი შინ, გასამგზავრებლად მოვამზადე... მართლაც, მალე მოახერხა გამგზავრება...

ორი წელი გავიდა მას შემდეგ. თქვენ რამე მოგიტანიათ ჩემთვის? ასევე მასაც არაფერი გამოუგზავნია ოჯახისთვის. ქალი ყველაფერს აიტანს შვილების გამო: ქმრის „უსახსრობას", ვალებს, გაჭირვებას, მაგრამ ღალატს და სულში ჩაფურთხებას — ვერა. ყველაფერ „სიკეთესთან" ერთად, ლევანი საშინლად მატყუარა და მოღალატე აღმოჩნდა. საბერძნეთში, თურმე, არანაირი ამხანაგი არ ელოდებოდა, „ამხანაგის ცოლი" კი, მისი საყვარელი ყოფილა. წლების მანძილზე თვალში ნაცარს მაყრიდა, თავს ისაწყლებდა, უმუშევრობის გამო „დარდიანი" დადიოდა და მარწმუნებდა, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლებაო.

იცით, რატომ მოგიყევით ყველაფერი ასე დაწვრილებით? როცა მის ახლობლებთან (დაძმასთან, მშობლებთან და ნათესავებთან) კბილს გავკრავდი ლევანს, ან წაუყრუებდნენ, ან აქეთ მამუნათებდნენ: ვერ ხედავ, რა დროა? ცოლობა მარტო ის ხომ არ არის, შვილები გაუჩინო და მისი შემონატანით იცხოვრო. თუკი დალხენილ ცხოვრებაში ჰგუობდი ამ ლამაზ, წარმოსადეგ ბიჭს, გაჭირვების დროსაც უნდა შეუწყო ხელი. ესაა მეუღლეობა. აბა, „ლოგინის ქალს" ყოველთვის იშოვის, ისეთი შეხედულიაო!

როცა ლევანის ღალატი გამოაშკარავდა, მისი ახლობლები შეეცადნენ, დამხმარებოდნენ. იმდენად შეურაცხყოფილი ვიყავი, რომ სიამაყემ არ მომცა ნება, მიმეღო დახმარება. ნუ გამამტყუნებთ. როგორმე თავს გავართმევ ცხოვრებას... დღეს ერთ-ერთ ფირმაში ბუღალტრად ვმუშაობ, საღამოობით სკოლის მოსწავლეებს ვამეცადინებ მათემატიკაში. ასე რომ, არც საბერძნეთისკენ ვიხედები და არც ნათესავებს შევყურებ ხელებში. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი მაქვს და ჩემს შესაძლებლობებში მაშინ უფრო დავრწმუნდი, როცა მარტო დავრჩი... თუმცა, რატომ მარტო? მყავს კარგი შვილები, მშობლები, დები, მეგობრები და ყველაფერში ხელს მიწყობენ. სწორედ ამ სიყვარულმა და თანადგომამ შემაძლებინა ბევრი რამ. ასე რომ, მარტოსულად სულაც არ ვგრძნობ თავს. ქალებს კი ერთი რამ მინდა ვურჩიო: გჯეროდეთ, რომ თქვენთვისაც უსათუოდ „გამოიდარებს".

P.S. ვფიქრობ, ამ ამბავს კომენტარი არ ესაჭიროება, მაგრამ ქალბატონ ნანას სურს, „კვირის პალიტრის" მკითხველის აზრი გაიგოს... ველით გამოხმაურებას.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ეს რა საკითხავია?!

***ეს სენტიმენტალური „განზრახვა" ჩემი მშვენიერი კოლეგის, მარინა ბაბუნაშვილის ერთ-ერთმა სტატიამ შთამაგონა. რა უფრო ბედნიერებაა, როცა გიყვარს, თუ როცა უყვარხარო, — კითხულობს ჩემი კოლეგა. ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, ბედნიერი მაშინ ხარ, როცა ამურს შენ და შენი რჩეული ერთნაირად ჰყავხართ „დასჯილი" და ერთმანეთისკენ გული გამუდმებით მიგიწევთ. თუმცა, განსხვავებულად ფიქრობენ ადამიანები.***

**ანა (24 წლის):** — ბედნიერებაა, როცა ორივეს უყვარს ერთმანეთი, მაგრამ არა მგონია, უბედურად გრძნობდეს თავს ბიჭი, რომელსაც შეიძლება არ ვუყვარდე, მაგრამ მე ვგიჟდებოდე მისთვის. ხშირად არ თანამიგრძნია „გადარეული" თაყვანისმცემლისთვის, თუმცა მისი დამოკიდებულება დიდ სიამოვნებას მგვრიდა. რა სჯობს, როცა კაცი მთრთოლარე ხმით გირეკავს და გეუბნება ლამაზ სიტყვებს, მერე რა, თუ არ გიყვარს, სამაგიეროდ, კარგი მოსასმენია...

**დათო (26 წლის):** — ჯერ ის დავადგინოთ, სიყვარული ბედნიერებაა თუ უბედურება და მერე ვიკითხოთ, რა შემთხვევაში უფრო ბედნიერია ადამიანი, როცა უყვართ, თუ როცა უყვარს. ჩემს ძმაკაცს სიგიჟემდე უყვარს ერთი მანეკენი. არ იფიქროთ, ვინმე ცოცხალ მოდელზე ვლაპარაკობდე. გამსახურდიას გამზირზე, ერთ ბუტიკში დგას თოჯინა-მანეკენი, მაგარი ჩაშმოტკილია და კაი ტიპია, მაგრამ ქალი არ არის რა! ამას წინათ მითხრა, — იცი, იმ ჩემს შეყვარებულს ერთი მოდელი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს, მარა ქმარი ჰყოლიაო. რომ დავაკვირდი, მანეკენი მართლა მაგრად ჰგავს სააგენტო „ნატალის" ერთ მოდელს. ერთი სიტყვით, გუჯა საცოდავი კაცია, ჯერ იყო და, თოჯინა შეუყვარდა, ახლა მისი „ასლი" ნახა და ისიც გათხოვილი აღმოჩნდა.



**თაკო (32 წლის):** — მე თუ არ მიყვარს და იმას ვუყვარვარ, ბედნიერი როგორ უნდა ვიყო? მაზოხისტი ხომ არა ვარ, სხვისი განცდები ბედნიერებას მანიჭებდეს. ისე, არც უბედურად ვიგრძნობ თავს... მაგრამ მე თუ მიყვარს და იმას არ ვუყვარვარ, მაშინ უ-ბე-დუ-რი ვარ! ვიყავი მაგ მდგომარეობაში... მას მერე სიკვდილივით მეშინია ცალმხრივი სიყვარულის. კიდევ კარგი, უკვე ისეთ ასაკში ვარ, რომ გრძნობების გავლენის ქვეშ იოლად აღარ ვექცევი. ახლა ძალიან მინდა შევხვდე კაცს, რომელსაც მოვეწონები და მომეწონება.

**მანჩო (46 წლის):** — შეყვარებულს გავყევი ცოლად. უბედნიერესი ქალი ვიყავი. 8 წლის მერე კი აღმოვაჩინე, რომ ქმარი მღალატობდა. კინაღამ გავგიჟდი. ის კი დადიოდა არხეინად, რა ენაღვლებოდა, ჩემგან სითბო და სიყვარული არ აკლდა. საყვარელთან კი თვითონაც შაქარივით დნებოდა თურმე. ავდექი და გავშორდი. ის უზნეო კაცი კი საყვარელმაც მიატოვა, გათხოვდა. მეც გავთხოვდი, შესანიშნავ ადამიანს შევხვდი და თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ბედნიერება მხოლოდ იქაა, სადაც ორმხრივი სიყვარული და პატივისცემაა.

**ნიკა (28 წლის):** — მე და ჩემს საცოლეს ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, შობის შემდეგ დაქორწინებას ვაპირებთ და არ ვფიქრობთ ისეთ სისულელეზე და საშინელებაზე, როგორიც ცალმხრივი სიყვარულია. ჩემი ძმაკაცი უყვარდა ერთ გოგოს. ბიჭი ვერ თანაუგრძნობდა... ერთხელ, ბიჭის ოჯახში მოვიდა ორსულის კაბით და მშობლები დაარწმუნა, თქვენი შვილისგან ფეხმძიმედ ვაროო. იმათაც დაიჯერეს, მაგრამ დარჩენის უფლება მაინც არ მისცეს. ტკბილად გაისტუმრეს, — დაგირეკავთო. საღამოს კი ბიჭს მისდგნენ ლანძღვა-გინებით, ეს რა ჩაგიდენიაო. არადა ჩემს მეგობარს თითიც არ ჰქონდა დაკარებული მისთვის. მოკლედ, ისეთი ამბები დაუტრიალა იმ გადარეულმა ქალმა, რომ ბოლოს ხელწერილიც კი დააწერინეს, რომ გზიდან ჩამოშორებოდა...

***ეკა ლომიძე***

# გამოხმაურება: მაპატიეთ, მაგრამ თქვენს რესპონდენტს არ ვეთანხმები

„მარადი ცოლის" აღსარებამ ბევრის თანაგრძნობა გამოიწვია, მაგრამ მივიღეთ წერილი, რომლის ავტორი არ მალავს გაკვირვებას:

„გამაოცა თქვენი რესპონდენტის მოთმინებამ და პატიების უნარმა. მიტევება დიდი ნიჭია, მაგრამ პატიების გრძნობასაც უნდა ჰქონდეს საზღვარი. სიყვარული არ თავსდება შაბლონურ ჩარჩოებში, ვერც ვერავინ ამოხსნის მის იდუმალ ძალას, მაგრამ აზრის გამოთქმის უფლება ხომ გვაქვს? ასე მგონია, მეუღლემ „მარადი ცოლი" გადაჭარბებული ლმობიერების, ხათრიანობის და, თუ გნებავთ, უსაზღვრო სიყვარულის გამო მიატოვა. თუმცა, „მარადი ცოლი" ამბობს, რომ ქმარს სხვა ქალი ნამდვილად შეუყვარდა და ვერ დავუშლიდი მის გვერდით ყოფნასო. ჩემო კარგო, ალბათ დაგავიწყდა, რომ კაცებს ყოველთვის იზიდავთ იდუმალი ქალები. მათთვის ის პიროვნებაა საინტერესო, რომელიც ბოლომდე არასოდეს იხსნება, თუნდაც ეს მისი ცოლი იყოს, მისი შვილების დედა. რატომღაც მგონია, რომ „მარადი ცოლის" მთავარ „გმირებს" შორის იდუმალება აღარ არსებობდა, კაცს ქალი თავიდან ბოლომდე „ამოხსნილი" ჰყავდა და ამიტომაც იქ წავიდა, სადაც საინტერესო პიროვნება ეგულებოდა. კაცების უმეტესობას ცოლი „გარანტირებული" საოჯახო „ატრიბუტი" ჰგონია. თითქოს უყვარს და პატივს სცემს მას, მაგრამ როგორც კი შემთხვევა მიეცემა, ხელიდან არ უშვებს. სამწუხაროდ, ბევრ კაცს ვერ გაუგია, რომ სიყვარული სულიერებაა და მას გაფრთხილება სჭირდება. ისინი კი, როგორც კი ქალს სათავისოდ დაიგულებენ, მერე უკვე ახალ-ახალს ეძებენ „მძაფრი შეგრძნებების" გამო...

როგორ შეიძლება ქალმა, რომელიც ქმარმა მიატოვა, დაივიწყა დიდი სიყვარული, განაცხადოს, რომ მაინც ბედნიერი ვარ, რადგან მიყვარსო. განა ღალატმა არ შეურაცხყო? გასაგებია ჩემთვის გერის მიმართ გაწეული სიკეთე, მაგრამ გაოგნებული ვარ იმ მიმტევებლობით, რომელსაც იჩენს ქმრის მიმართ. ამ სიტყვების უკან, „მაინც ბედნიერი ვარ, რომ მიყვარს", აშკარაა მისი პოზიციაც. თუკი ქმარყოფილი დაუბრუნდება (მიატოვებს მეორე ცოლ-შვილს), მზადაა შეურიგდეს, თითქოს არაფერი მომხდარა. ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ჩემო კარგო, მაგრამ ერთს კი გეტყვი: არ დაბრუნდება ქმარყოფილი შენთან, იმიტომ, რომ შენგან უსაზღვრო მიმტევებლობას გრძნობს. ჩემს ნაცნობობაში იყო ამგვარი შემთხვევა, მაგრამ ქალი სხვანაირად მოიქცა. შვილებს ანახვებდა ქმარს, თავად კი აღარ ენახვებოდა... კაცი მიხვდა — ქალს მისდამი სიყვარული გაუნელდა, მეტიც, მისი დანახვაც აღარ უნდოდა. იცით, მერე რა მოხდა? ერთი წელი ემუდარებოდა ცოლს, შემირიგდიო. როგორც იქნა, ქალმა აპატია (როცა სინანული გულწრფელია, მიტევებაც შეიძლება) და ახლა იმ კაცზე სანაქებო ქმარი და მამა ამქვეყნად არ მეგულება.

იმედია, ჩემი ნათქვამი საწყენად არ დაგრჩებათ. მიმიჩნიეთ თქვენს გულშემატკივრად.

***თბილისელი ქალბატონი".***

CMYK





ლუდოვიკო XIII-ის პირადი მასხარა

სისხლისმწოვი ბუზი

ინერტული აირი

ბალანჩივაძის ოპერა „დარეჯან..."

მერქნიანი მცენარე

კვერცხის გულს აკრავს

„ექსტრა", „საქართველოს თაიგული"

ზამთრის მარხილი

ახლო მხედველი

შესახედაობა

ქალაქი კორსიკაში

ქალაქი ყვირილაზე

...ვნაზე დაჭრილი, ყვავ-ყორნებს ეომებოდა

ინდაური ნიგვზის სოუსში

რისამე მთავარი აზრი

სულგუნი

თანხმობა იტალიურად

ნალის ადგილი

ხილისგან შაქრით მოხარშული მასა

მკურნალი

კარგი ამინდი

პურეული მცენარე

მწკლარტე ნაყოფიანი მარადმწვანე ბუჩქი

ნოტი

გოგონა საოცრებათა ქვეყანაში

ერთხელ მომღერალი ფრინველი

ფრანგი იმპრესიონისტი

წყლის მარადმწვანე მცენარე

ყურძნის ალების პერიოდი საქართველოში



ქვეყანა აღმოსავლეთ აზიაში

ნელი ტემპი მუსიკაში

ჩინური ჭადრაკი

კვერცხნ-ილავე | ცეცხლის ენა

სწრაფის ანტიპოდი

ბალახიანი ვრცელი მინდორი

რბილი ქსოვილი | ტანსორ-ჩილი ხე

მხატვრული ხერხი, გაზვიადება

სისჯი ტუბერკულოზზე

ბილიარდის ჯოხი

ქართველი რეჟისორი ... ღოღობერიძე

კავკასიის მთიელების სოფელი

ქალაქი კოლხეთის დაბლობზე

სოკოს ქსელი პროდუქტზე

გულის წამალი

ლეგენდარული ამერიკელი მსახიობი ...ნეგრი

მეთევზის მაცნე

გრძელი კარავი ნადიმისას

გოძიაშვილი

სიმღერა დინა დურბინის შესრულებით

სამკურნალო საშუალება

სულის ხუთვა

სიმებიანი საკრავი

თოვლის მოსვლა



H2O

მელოტის სადარდებელი

„წითელქუდას" ავტორი

ბია

ინგლისელი მწერალი



**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ძუ; 2. დრაიზერი; 3. კაზინო; 4. კაკადუ; 5. ტრანზიტი; 6. ემისია; 7. ბეტონი; 8. ტარტუ; 9. ბინ; 10. იგლუ; 11. სუ; 12. ანტაბლემენტი; 13. გირი; 14. ნიმი; 15. დედა; 16. და; 17. ნისტაგმი; 18. გრიგოლეთი; 19. ქაოსი; 20. ტიეპოლო; 21. ოდა; 22. ნისლი; 23. ბალთა; 24. პოლო; 25. „ალი"; 26. კაა; 27. „კიკა"; 28. ბანა; 29. ხომლი; 30. ლიმფა; 31. ბუფერი; 32. ეირე; 33. ედიტ; 34. ნო; 35. კიანუ; 36. ევრიპიდე; 37. ერი; 38. პიჟამა; 39. პინტა; 40. ბაასი; 41. ზედაზენი; 42. ბიეშუ; 43. რკალი; 44. ტიბეტი; 45. რუბაია; 46. ელჩი; 47. დროშა; 48. ნირვანა; 49. რაგუ; 50. კოხტა; 51. ფრი; 52. ბა; 53. ზიჩი; 54. პატრული; 55. შასი; 56. ია; 57. დეზი; 58. სი; 59. ბეკერი; 60. ხუნტა.

1. უძრაობის ხანა; 2. კატების დედოფალი; 3. ქუჩური ჩხუბი რინგზე; 4. სტრიპტიზ-ბარი; 5. მხედრული შხაპი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანმიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ.**

**ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

## ჟორდანიას დაპატიმრება ოჯახის გეგმებს არ ცვლის

**— მაინტერესებს, გაფრინდნენ თუ არა მაკა ასათიანის დედა და დისშვილი პარიზში იმ ინციდენტის შემდეგ, რაც აეროპორტში 12 დეკემბერს მერაბ ჟორდანიას შეემთხვა.**

***მაიკო კვერნაძე***



კითხვაზე უპასუხებს **თეა გადაბაძე**, მაკა ასათიანის პრესმდივანი.

— რა თქმა უნდა, გაემგზავრნენ. ბავშვი პარიზში პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე მიემგზავრებოდა და ინციდენტი, რაც მერაბ ჟორდანიასთან დაკავშირებით მოხდა, მას და მაკას დედას, ქალბატონ ლუიზას არ ეხება. ისინი პარიზში კონკურსის გახსნამდე 2 დღით ადრე უნდა ჩასულიყვნენ ორგანიზატორთა მოთხოვნით, ანუ როგორც სხვა კონკურსანტები, ისე. მანუ (ასე მოფერებით ეძახიან მარიანას) კონკურსის გახსნამდე წმინდა ფორმალური საკითხების მოსაგვარებლად უნდა ჩასულიყო საფრანგეთში, რათა შემდეგში კონკურსში მიეღო მონაწილეობა. ამდენად აჩბას (ასათიანების სიძე) ოჯახი ვერ შეცვლიდა კონკურსის ორგანიზატორთა მოთხოვნებს და მათთვის გამონაკლისს არავინ დაუშვებდა.

## სიტყვათა კონა

**ვაკისი** — რკინიგზის ყრილი, რაზედაც შპალებია დაწყობილი და რელსებია დაგებული.
**ვალალი** — შეწუხებულის ხმამაღალი ჩივილი და ტირილი; მოთქმა, გოდება, ვაება.
**ვარამი** (არაბ.) — დარდი, მწუხარება, ნაღველი.
**ვარცლი** — ხის მოგრძო და ღრმა ჭურჭელი ცომის მოსაზელად.
**ვარცლა** — ბრტყელძირა ნავი.
**ვარჯი** — ხის განშტოებული ნაწილი პირველი ტოტებიდან კენწერომდე — ხის ქოჩორი.
**ვასაკა** — ხის პატარა მწვანე ბაყაყი.
**ვაყა** (კუთხ.) — იგივეა, რაც ულაყი.
**ვაჩა** — დაბერებული თხა.
**ვაცი** — მამალი თხა.
**ვაციკი** — საბოტე თიკანი (ბოტი — მამალი დაუკოდავი თხა, სანაშენე და ფარის წინამძღოლი).
**ვახტი** (გერმ.) — 1. მორიგეობა გემზე. 2. გადატ. ენთუზიაზმით აღსავსე მუშაობა რისამე აღსანიშნავად (მშვიდობის ვახტზე დგას).
**ვახში** — სესხის მეტად დიდი სარგებელი ან სარგებლის სარგებელი.

## სტიქია და სტატისტიკა

**— ბუნება მრავალ მოულოდნელობას სთავაზობს დედამიწის მკვიდრთ. საინტერესოა მოგვითხროთ ყველაზე მასშტაბური წყალდიდობის, ციკლონის, ცუნამისა და ა.შ. შესახებ.**

***ზურაბ ცხადაძე***

— ყველაზე მასშტაბური წყალდიდობა ინდოეთში, ჩრდილოეთ ბენგალის შტატში, 1978 წლის სექტემბერში მომხდარა. გაუთავებელმა წვიმებმა მდინარეთა ადიდება და წყალდიდობა გამოიწვია, რის შედეგადაც დაიხრჩო 1.300 ადამიანი, ხოლო 15 მილიონი (შტატის მოსახლეობა 44 მლნ-ს შეადგენდა) უსახლკაროდ დარჩა. სტიქიური უბედურებისგან დატეხილი ეკონომიკური ზარალი 11,3 მილიონ დოლარად შეფასდა, თუმც არაოფიციალური მონაცემებით, იგი გაცილებით დიდი ყოფილა, — დაახლოებით 35 მილიონი.

— ყველაზე მასშტაბური მსხვერპლი მოჰყვა ცუნამის, რომელიც 1896 წელს დაატყდა თავს იაპონიის სანაპიროს. სტიქიამ 27.000 ადამიანი იმსხვერპლა.

— ყველაზე მასშტაბური და საშინელი ციკლონი, რომელიც მეტეოროლოგიურმა სამსახურმა თავისი არსებობის მანძილზე დააფიქსირა, იყო 1970 წლის 22 ნოემბერს აღმოსავლეთ პაკისტანში (ამჟამინდელი ბანგლადეში). ქარიშხალმა შეიწირა 500.000 ადამიანი. მისი სიჩქარე 240კმ/სთ-ს შეადგენდა. წყლის მოქცევისას ტალღების სიმაღლემ განგის დელტის რაიონში და ახლომდებარე კუნძულებზე 15 მეტრს მიაღწია.

— ქარიშხალმა გილბერტმა, რომელიც კარიბის აუზის კუნძულებს, მექსიკასა და ტეხასის შტატს (აშშ) დაატყდა 1988 წლის 12-დან 19 სექტემბრამდე, 350 ადამიანი შეიწირა, ხოლო 750.000 უსახლკაროდ დარჩა. ზარალი 10 მილიონ დოლარად შეფასდა.

## არ მინდა ჩემს კონცერტზე ბილეთი ძვირი ღირდეს...

**— ამას წინათ ტელევიზიით ვნახეთ გადაცემა ჩვენს თანამემამულე, რუსეთში მოღვაწე ქართველ მომღერალ თეონა კონტრიძეზე. გთხოვთ უფრო ახლოს გაგვაცნოთ თეონა. ვინ არიან მისი მშობლები, სად მღერის ახლა და აპირებს თუ არა თბილისში ჩამოსვლას.**

***გიგა გოგოსაშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **თეონა კონტრიძე**.



— ჩემს მშობლებს რედი რევაზიშვილსა და გია კონტრიძეს ძალიან უყვართ მუსიკა. პატარაობიდან ვმღეროდი და ვცეკვავდი. 7-დან 12 წლამდე ვიყავი ანსამბლ „მზიურის“ წევრი. დავამთავრე თბილისის მუსიკალური ათწლედი (ნიჭიერთა ათწლედი). ვარ სამი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი „ვილნიუს-93“, „სლავიანსკი ბაზარ-94“, ნიუ-იორკი — „ვიგეფო-96“. „სლავიანსკი ბაზარ-94“-ში გამარჯვების შემდეგ საცხოვრებლად გადავედი მოსკოვში. აქვე ჩავაბარე მნისინების სახელობის მუსიკალურ აკადემიაში. ჯაზისა და ესტრადის მომღერლის სპეციალობაზე. 21 წლისა გავხდი „მიუზიკლ მეტროს“ სოლისტი. სულ რამდენიმე დღის წინ დამამტკიცეს როლზე ახალ მიუზიკლში, რომელსაც დგამს კომპანია „მეტრო ინტერტეიმანდი“. ეს იქნება პომპეზური და გრანდიოზული შოუ. ვითამაშებ ძიძის როლს შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში“.

მოსკოვში მე 9 წელია ვცხოვრობ, დედა ცოტა მოგვიანებით შემომიერთდა. მამა კი თბილისშია. რაც შეეხება თბილისში ჩამოსვლას, ადრე უფრო ხშირად ჩამოვდიოდი, რადგანაც დრო მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მართლაც დატვირთული სამუშაო გრაფიკი მაქვს, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მაინც მოვდივარ ჩემს საყვარელ ქალაქში, ძირითადად მოწვევით და საკონცერტო პროგრამით. უკვე მქონდა შემოთავაზება თბილისში კონცერტის გამართვის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით არ ვიცი, რას ვიზამ. ჩემი თბილისში ჩამოსვლა ცოტა ძვირი სიამოვნებაა ჩვეულებრივი საკონცერტო დარბაზისთვის თუ კლუბისთვის. მიწვევენ შედარებით ფინანსურად უზრუნველყოფილი კლუბები, სადაც შესაბამისად, ბილეთი ძვირი ღირს. ამიტომ ბევრი ჩემი ხელოვნების თაყვანისმცემელი ვერ ახერხებს კონცერტზე მოსვლას, რაც გულდასაწყვეტია. იმედი მაქვს, მალე ყველაფერი აეწყობა საქართველოში და მეც ხშირად ჩამოვალ, არც ჩემს კონცერტებზე დასასწრები ბილეთის ყიდვა გაუჭირდება მაყურებელს...

## რას ნიშნავს კურიკულუმი?

**— რას ნიშნავს სიტყვა კურიკულუმი, რომელსაც ასე ხშირად ხმარობენ სასწავლო პროგრამებისადმი მიძღვნილ გადაცემებში?**

***ლაშა ბექვაია***

კითხვაზე უპასუხებს **ლევან გახელაძე**, საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხების კონსულტანტი.

— კურიკულუმი ლათინური სიტყვაა (curriculum), რომელსაც ქართულის შესატყვისი პირდაპირი თარგმანი არ გააჩნია. მნიშვნელობით კი ცხოვრების აღწერას, ვისიმე ცხოვრების შესახებ მოკლე ცნობებს ნიშნავს.

რაც შეეხება განათლების სისტემაში ამ სიტყვის ხშირ გამოყენებას, გიპასუხებთ, რომ იგი საერთაშორისო სიტყვაა. ეს ტერმინი მსოფლიო განათლების სისტემაში მოიხსენიება და ამჟამად საქართველოშიც დამკვიდრდა, როგორც სასწავლო გეგმების, სასწავლო პროგრამების, საათობრივი ბადის და პედაგოგთა მეთოდური სახელმძღვანელოების ერთობლიობის აღმნიშვნელი.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**


NEW!

ეძღვნება ნამდვილ მამაკაცებს!



უკვე არაერთი ათწლეულია მსოფლიოს უროლოგები ეფექტურად გამოიყენებენ მცენარეულ პრეპარატს "პროსტა სტრონგ"-ს. სწორედ ამ პრეპარატს გთავაზობთ კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი"



*„პროსტა სტრონგ“-ის ფორმულა ხელს უწყობს:*

- პროსტატის ჯანმრთელობას,
- შარდის ნორმალურ გამოყოფას,
- იცავს პროსტატის ჯირკვალს თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისაგან, რომლებიც თავის მხრივ ზრდიან პროსტატის სიმსივნის რისკს.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: დავით აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
www.shopge.com


## შეიძლება თუ არა ხმის გადატანა, თუ კვლავაც «ხმების» გარეშე ვრჩებით

**— ვცხოვრობდი ჭიათურაში და შესაბამისად, რეგისტრირებული ვარ რაიონულ საპასპორტო განყოფილებაში. უკვე სამი წელია, რაც დედაქალაქში ვმუშაობ და შესაბამისად, დროებით ვცხოვრობ (ნაქირავებ ბინაში) თბილისში. მაინტერესებს, შესაძლოა თუ არა წინასწარ მივმართო ცესკოს განცხადებით, რათა ხმა მივცე ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ვინაიდან ვერ ვახერხებ ერთი დღის გამო ჭიათურაში გამგზავრებას.**

***დავით ნადირაძე***



კითხვაზე უპასუხებს **გივი ორდენიძე**, ცესკოს პრესსამსახურის უფროსი.

— შეკითხვის ავტორი ვერავითარ შემთხვევაში ვერ მისცემს ხმას თბილისში, თუ იგი ჭიათურაშია რეგისტრირებული, ერთი მარტივი მიზეზის გამო: ხმის გადატანა ერთი საარჩევნო ოლქიდან მეორეში დღეს არსებული საარჩევნო კანონით არ ხდება. ანუ ამ მოთხოვნას ცესკო ვერ დააკმაყოფილებს. გარდა ამისა, თუ ბატონ დავითს ხმის მიცემა სურს საპრეზიდენტო არჩევნებში, მას ერთხელ (არჩევნების დღეს) კი არა, ორჯერ მოუწევს ჭიათურაში გამგზავრება. პირველ რიგში, მან 15-დან 21 დეკემბრის ჩათვლით, უნდა მიაკითხოს იმ საარჩევნო უბანს ჭიათურაში, სადაც მოუწევს ხმის მიცემა, ანუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სადაც აღნიშნული იქნება მისი საცხოვრებელი ადგილი. რეგისტრაციას გაივლის საარჩევნო უბანზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს არჩევნების დღეს ხმის მიცემას. ეს წესი გასათვალისწინებელია ყველა მოქალაქისთვის, რომელსაც სურს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

შესაძლოა ასეთი პრობლემის წინაშე ძალიან ბევრი ადამიანი დგას, მაგრამ ამჟამად მათი მდგომარეობის გათვალისწინება საქართველოში არსებული კანონმდებლობის მიხედვით საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ვერ მოხერხდება. ეს საკითხი სერიოზულ გათვლას საჭიროებს და სამომავლოდ ალბათ უფრო კონკრეტული წესით დარეგულირდება.






CMYK

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ჩემს 11 თვის ბიჭუნას ჯერჯერობით არც ერთი კბილი არა აქვს. სხვა მხრივ ბავშვი სრულიად ჯანმრთელია. რა შეიძლება იყოს კბილების ამოუჭრელობის მიზეზი? მირჩიეთ, ვის მივმართო კონსულტაციისათვის.**

***ერთგული მკითხველი***

ნორმალური განვითარებისას ბავშვს პირველი სარძევე კბილები 6-7 თვის ასაკში უნდა ამოეჭრას. კბილების როგორც ნაადრევი, ასევე დაგვიანებით ამოჭრა კალციუმის ცვლის დარღვევის მაჩვენებელია და აუცილებლად საჭიროებს მკურნალობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პროცესი გაღრმავდება და შესაძლოა სერიოზული გართულებებიც გამოიწვიოს. ჩვილ ბავშვებში კალციუმის ცვლის დარღვევა D ვიტამინის უკმარისობის შედეგია, რაც რაქიტის განვითარების მიზეზი შეიძლება გახდეს. თუ პატარას კბილების ამოჭრის დაგვიანებასთან ერთად აღენიშნება დიდი ყიფლიბანდი, გაძლიერებული ოფლიანობა კეფის არეში, ეს ყველაფერი რაქიტის კლინიკური ნიშნებია. გირჩევთ ბავშვი გამოცდილ პედიატრს გაასინჯოთ.

**ჩემი 11 წლის გოგონა არაფერს უჩივის. ფიზიკური დატვირთვისას, ვარჯიშის დროს გულს არასოდეს შეუწუხებია, მაგრამ ახლახან უბნის ექიმმა შემთხვევით გულის მოსმენისას შუილი აღმოუჩინა. გაგვგზავნა ექოსკოპიურ გამოკვლევაზე, სადაც დადგინდა, რომ ბავშვს აქვს „წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტი". მეუბნებიან, აუცილებელია ოპერაციაო. არადა ბავშვი სრულიად ჯანმრთელია, დარბის, თამაშობს, ნორმალური ფერი აქვს. ერთმა კარდიოლოგმა დამაიმედა, ვინაიდან დეფექტი დიდი არ არის, შეიძლება უოპერაციოდ გადავრჩეთო. როგორ მოვიქცე?**

***პატივისცემით ირინა ვ.***

წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტი გულის ერთ-ერთი მანკია. საერთოდ ამ მანკის საშიშროება ორგანიზმისათვის ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენადაა დარღვეული ორგანიზმში ნორმალური სისხლის მიმოქცევა, როგორია არტერიული და ვენური სისხლის აღრევის ხარისხი. ეს კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამხელაა დეფექტი. მკითხველის მონათხრობიდან ჩანს, რომ დეფექტი დიდი არ არის, ბავშვი თავს კარგად გრძნობს, ფიზიკური დატვირთვა პრობლემებს არ უქმნის, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მდგომარეობა არ არის საგანგაშო. მცირე დეფექტით ადამიანმა შეიძლება ნორმალურად იცხოვროს. თუმცა, დროთა განმავლობაში, შესაძლებელია დეფექტის ზომა გაიზარდოს ან შემცირდეს, მით უმეტეს, რომ ბავშვს წინ აქვს მეტად მნიშვნელოვანი გარდატეხის ასაკი, რომელიც ორგანიზმში სერიოზულ ძვრებს იწვევს. გირჩევთ, ბავშვი აჩვენოთ გამოცდილ კარდიოქირურგს, რომელიც დაადგენს, უმკლავდება თუ არა გული თავის ფუნქციას. თუ ეს ასეა, არავითარი განსაკუთრებული რეკომენდაციები აუცილებელი არ არის, გარდა იმისა, რომ უნდა მოარიდოთ ბავშვი მეტისმეტ ფიზიკურ დატვირთვას და ისეთ ავადმყოფებთან კონტაქტს, რომელთაც ინფექციური დაავადებები (განსაკუთრებით ვირუსული ინფექციები) აქვთ.

**ვისთვისაა უკუნაჩვენები გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია? შეიძლება თუ არა ავცრა ბავშვი, თუ იგი ალერგიულია?**

**ა.ა.**

გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის თვითნებურად გაკეთებას არ გირჩევთ, იგი უნდა გაკეთდეს მედიცინის მუშაკის მიერ იმ ინსტრუქციის გათვალისწინებით, რომელიც თითოეულ ვაქცინას ახლავს თან და რომელშიც მითითებულია, ვისთვის შეიძლება ვაქცინაცია და ვისთვის — არა. ვაქცინაციის ერთ-ერთ უკუჩვენებას წარმოადგენს ალერგია კვერცხის ცილაზე. უკლებლივ ყველა თანამედროვე ვაქცინა მზადდება ქათმის განვითარებად ემბრიონზე. ამიტომ, თუ ბავშვს აქვს ალერგია კვერცხის ცილაზე, მაშინ მისთვის აცრა არ შეიძლება.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## ნარინჯისფერი მკურნალი



სტაფილო ძალიან სასარგებლო ბოსტნეულია. კურნავს ფილტვებისა და გულის დაავადებებს, მისი წვენი წმენდს და აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, ხელს უწყობს სახსრებიდან წიდის გამოდევნას და ამაგრებს ძვლის სისტემას, აქვს მსუბუქი გამხსნელის თვისება და გამოდევნის ჭიებს.

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ნაწლავებისა და კუჭქვეშა ჯირკვლის მწვავე ანთების დროს, სტაფილოს წვენის მიღება არ შეიძლება. სამაგიეროდ, ანემიის, უღონობის, ათეროსკლეროზის, სტენოკარდიის, გულის იშემიური დაავადებების, ჰიპერტონიისა და ინფარქტის შემდეგ, ქოლესტერინის ბალთებისგან სისხლძარღვების კედლების გასაწმენდად რეკომენდებულია დღეში 2-3-ჯერ 400 გ სტაფილოს ახალი წვენის მიღება.

1 ჩ/ჯ სტაფილოს წვენი მოგიხსნით გულძმარვას (მჟავიანობის ბალანსირების დარღვევის დროს). ფიტონციდური თვისებების წყალობით სტაფილო სპობს ბაქტერიებს პირის ღრუში. სტაფილოში შედის დიდი რაოდენობით A ვიტამინი. ცნობილია, რომ A ვიტამინის უკმარისობა იწვევს დაღლილობის გრძნობას, ანემიას და მხედველობის დაქვეითებას, ხელს უწყობს გაცივებასა და ინფექციურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის ფუნქციის დარღვევას, კანის ჭკნობას.

ამასთან, ადამიანი მძიმე ფიზიკური შრომის დროს კარგავს A, C და B ვიტამინებს. ამ დროს სასურველია მიიღოთ, პროფილაქტიკის მიზნით A ვიტამინით მდიდარი სტაფილო.

**ღვიძლის ანთების, ქრონიკული ჰეპატიტის, გასტრიტის (მაღალი მჟავიანობის), პიელონეფრიტის, ფეხმძიმობის** დროს მხედველობის გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია დღეში ერთხელ 1/2 ჩ/ჯ სტაფილოს წვენის მიღება.

**ღრძილების ანთების, სტომატიტის, ანგინის, ფარინგიტისა და ჩახლეჩილი ხმის** დროს ხახასა და პირში გამოივლეთ ერთი ყლუპი სტაფილოს თბილი წვენი.

**გაცივების** დროს სასარგებლოა თაფლიანი წვენი ან რძეში მოხარშული გახეხილი სტაფილო.

**ტუბერკულოზის, დაქვეითებული პოტენციის** დროს და როგორც შარდმდენი საშუალება — მიიღეთ 1გ დაფქული სტაფილოს თესლი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

**დიათეზის** დროს. ახალი სტაფილოს ფოთლის ფაფა დაიდეთ დაზიანებულ ადგილზე. ნეიროდერმიტის, წყლულის, დამწვრობის და განგრენულ ჭრილობებზე სტაფილოს ახალი ფოთლებისა და წვენის საფენები დაიდეთ მტკივნეულ ადგილებზე.

**სახის მშრალი კანის** დროს კოსმეტოლოგები გვირჩევენ: კვირაში 1-2-ჯერ გავიკეთოთ გახეხილი სტაფილოსა და 1 კვერცხის გულის ნიღაბი. 20-25 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

***ლიზა №47***

## სანამ „სასწრაფო" მოვა...

— თუ გულის არეში იგრძნობთ ძლიერ ტკივილს, რომელიც გადაეცემა მარცხენა ხელსა და ყბას, სული შეგეხუთათ და ტუჩები გაგილურჯდათ, ეს ინფარქტის სიმპტომებია.

**ექიმის მოსვლამდე:** ნიტროგლიცერინის 2-3 აბი ჩაიდეთ ენის ქვეშ. დალეჭეთ ბარალგინისა და ასპირინის აბები, დაწექით, ფეხები მაღლა ასწიეთ, თავი — დაბლა გქონდეთ. თუ არითმია გაქვთ, არ გაიკეთოთ მასაჟი.

— თუ არტერიული წნევა 160/90-ია (ან უფრო მაღალიც), თავბრუ გეხვევათ, გაქვთ გულისრევის შეგრძნება, გრძნობთ სისუსტეს, თვალები გიჭრელდებათ — ეს ჰიპერტონიული კრიზია.

**ექიმის მოსვლამდე:** მიიღეთ 1 აბი კლოფელინი. დაიდეთ მდოგვის საფენები კისერზე, და მდოგვიან ცხელ წყალში 10-15 წუთით ჩააწყვეთ ფეხები. დაწექით ისე, რომ თავი მაღლა გქონდეთ, ფეხები — დაბლა.

— თუ წელის არეში და შარდვისას მკვეთრ ტკივილს (ზოგჯერ ერთ მხარეს) გრძნობთ, ტემპერატურამაც აგიწიათ, თირკმლების ბრალია.

**ექიმის მოსვლამდე:** სათბური დაიდეთ წელზე ან ჩაწექით თბილ ($40^0$-იან) აბაზანაში, დალიეთ 2 აბი ნო-შპა ან ბარალგინი. ტკივილს დაგიამებთ ასევე 1 ჩ/ჯ შვიტას თბილი ნახარში.

— თუ ინტენსიურად გტკივათ თავი, თვალები გიჭრელდებათ, გაორებულად ხედავთ საგნებს, მხედველობა დაგიქვეითდათ, გრძნობთ სისუსტეს და დაგეკარგათ მგრძნობელობა ხელსა და ფეხში — ფრთხილად, ინსულტია.

**ექიმის მოსვლამდე:** არ მისცეთ ავადმყოფს ნო-შპა და სხვა სისხლძარღვების გასაფართოებელი საშუალებანი. დაალევინეთ კაპტოპრილის, გლიცინის ან ნოოტროპილის ერთი აბი. გააღეთ ფანჯარა, ავადმყოფი დააწვინეთ სწორად, თავი გვერდზე გადაუწიეთ.

— $38,5^0$ და უფრო მაღალი ტემპერატურა შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო გრიპმა, არამედ მენინგიტმაც. თუ კეფის კუნთები გახევებულია, ძალიან სტკივა თავი და თვალები — მენინგიტია.

— ფილტვების ანთების დროს კი გრძნობთ მკერდში ტკივილს, ჩასუნთქვისას გეწყებათ ხველება.

**ექიმის მოსვლამდე:** ნუ შეეცდებით მაღალი სიცხის დაწევას ასპირინით. ავადმყოფს დაუზილეთ ტანი ძმრით ან არაყში გახსნილი ანალგინით. თავზე დაადეთ ცივი კომპრესი.

***კომსომოლსკაია პრავდა 145***

## პროსტატის დაავადებების მკურნალობა შესაძლებელია!

გვესაუბრება უროლოგიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი ბოჭორიშვილი**.

***ბატონო გიორგი, რამდენად ხშირია და რა ნიშნებით ხასიათდება პროსტატის ადენომა?***

სტატისტიკურად დადგენილია, რომ 50 წელს ზევით ყოველ მეორე მამაკაცს პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია ანუ პროსტატის ადენომა აღენიშნება. ხოლო 80 წელს გადაცილებული მამაკაცებისათვის ეს მაჩვენებელი თითქმის 100 %-ს უახლოვდება.

პროსტატის ადენომა პროსტატის კეთილთვისებიანი სიმსივნეა, რომელსაც საფუძვლად პროსტატის ზომებში მომატება -კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია უდევს. გადიდებული პროსტატა იწვევს შარდსადენ მილზე ზეწოლას, რაც შარდის ბუშტიდან შარდის ნორმალური ნაკადით გამოსვლას აბრკოლებს. იგი შემდეგი ნიშნებით გამოვლინდება: შარდის სუსტი და წყვეტილი ნაკადი, მოშარდვის შემდეგ ბუშტის არასრული დაცლის შეგრძნება, გაჭინთვა მოშარდვისას, საპირფარეშოში ვერ მისწრება, ზოგჯერ შარდის უნებლიედ დაღვრა, გახშირებული შარდვა განსაკუთრებით ღამით.

ეს ნიშნები ნელ-ნელა ვითარდება და გარკვეულ ეტაპზე მეტად შემაწუხებელ ხასიათს იღებს, რაც მნიშვნელოვნად აქვეითებს მამაკაცის შრომისუნარიანობას და არღვევს ცხოვრების რიტმს.

***რა მიღწევებია დღეისათვის პროსტატის ადენომის მკურნალობის თვალსაზრისით?***

დღეისათვის, პროსტატის ადენომის მკურნალობის საწყის ეტაპზე, უმნიშვნელოვანესი როლი მედიკამენტოზურ თერაპიას ენიჭება. პრეპარატები, რომლებიც პროსტატის ადენომის სამკურნალოდ გამოიყენება, ისეთი გვერდითი მოვლენებითა და ნაკლოვანებებით ხასიათდება, როგორიცაა: სქესობრივი აქტივობის დაქვეითება, არტერიული წნევის დაცემა, რაც გამოვლინდება თავბრუსხვევით, გულისცემის აჩქარებით, თავის ტკივილით, პირის სიმშრალით, საერთო სისუსტით. ამის გამო ექიმი ხშირად იძულებულია საერთოდ მოუხსნას პაციენტს პრეპარატი ან უკეთეს შემთხვევაში შეამციროს დოზირება, რაც თავის მხრივ მკურნალობის დაბალ ეფექტურობას განაპირობებს.

პროსტატის ადენომის მედიკამენტოზურ მკურნალობაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია იაპონურმა ფარმაცევტულმა კომპანია — Yamanouchi-იმ, რომელმაც პროსტატის ადენომის სამკურნალოდ შეიმუშავა პრეპარატი „ომნიკი".

პრეპარატი „ომნიკი" გამოირჩევა მაღალი ეფექტურობით, უსაფრთხოებით, მიღების მარტივი წესით. მას არ ახასიათებს ზემოთხსენებული გვერდითი მოვლენები, ხოლო პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესება აღინიშნება მკურნალობის დაწყებისთანავე. ომნიკი არ საჭიროებს დოზის შერჩევას და ინიშნება 1 კაფსულა დილით ჭამის შემდეგ.

***არსებობს პროსტატის სხვა დაავადებაც, მაგალითად, კიბო, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. როგორი მიდგომაა ამ დაავადების მკურნალობასთან მიმართებაში?***

პროსტატის კიბო საშუალო და ხანდაზმული ასაკის მამაკაცებში ერთერთი უხშირესი ავთვისებიანი სიმსივნეა. ცნობილია, რომ აშშ-ში ყოველ 3 წუთში პროსტატის კიბოს ახალი შემთხვევა დგინდება, ხოლო ყოველ 15 წუთში ამ დაავადებით ადამიანი იღუპება. პროსტატის ადენომასა და კიბოს კლინიკური მიმდინარეობა ძალზე ხშირად იდენტური გამოვლინებით, მაგალითად, მოშარდვის აქტის დარღვევით ხასიათდება. ამიტომაც, ასეთ დროს მამაკაცმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს უროლოგს და ჩაიტაროს გამოკვლევები, მათ შორის სისხლში პროსტატის სპეციფიკური ანტიგენის შესწავლა.

***არსებობს თუ არა პროსტატის ადენომის ანალოგიურად პროსტატის კიბოს მკურნალობის მედიკამენტოზური მეთოდები?***

პროსტატის კიბოს საწყის სტადიებში მკურნალობა მხოლოდ ქირურგიული გზით შეიძლება და ამ დროს პაციენტები აბსოლუტურად იკურნებიან სიმსივნისაგან. დღეისათვის ეს უდიდესი მიღწევა გახლავთ. რაც შეეხება მედიკამენტოზურ მკურნალობას, იგი მხოლოდ კიბოს შორსწასულ შემთხვევებში ინიშნება. ამიტომაც, უნდა გვახსოვდეს, რომ პროსტატის კიბოს სწორი მკურნალობის უცილობელი პირობა ამ დაავადების ადრეული გამოვლენაა!

***თვით ცნება, რომ ადამიანს კიბო აქვს, მასზე დამთრგუნველად მოქმედებს. ვიცით, რომ თქვენ გარკვეული ნაბიჯები გადადგით ამ სტერეოტიპის დასაძლევად?***

ძალზე დიდი მნიშვნელობა პროსტატის კიბოს მკურნალობაში მოსახლეობის ფართო ფენების განათლებას ენიჭება. უახლეს სამეცნიერო სტატიებში, მონოგრაფიებსა თუ სახელმძღვანელოებში, რომლებშიც დეტალურად არის გაშუქებული პროსტატის კიბოს პრობლემა, ძალზე მწირი ინფორმაციაა იმის თაობაზე, რაც თითოეულ მამაკაცს უდავოდ აინტერესებს. ეს განსაკუთრებით ადრეულ დიაგნოსტიკასა და გამოვლენას ეხება. მოყვანილი სპეციალური ტერმინები და განსჯა პაციენტების აბსოლუტური უმრავლესობისათვის გაუგებარი, ხშირად დამაბნეველი და დამთრგუნველია. ჩვენ მიზნად დავისახეთ ამ ხარვეზის შევსება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი წიგნი „რა უნდა იცოდნენ მამაკაცებმა პროსტატის კიბოს შესახებ", რომელშიც გასაგები და მისაწვდომი ენით ვსაუბრობთ პროსტატის კიბოს თანამედროვე დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებზე. ამ წიგნის გაცნობით ბევრი ადამიანი პროსტატის კიბოს ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის აუცილებლობაში დარწმუნდება და ბევრიც საკუთარი, არსებული, პრობლემის საუკეთესო რჩევას ან რეკომენდაციას ამოიკითხავს.

***სად შეიძლება ამ წიგნის შეძენა?***

წიგნის შეძენა შეიძლება რუსთაველის გამზირზე მდებარე მაღაზია „საუნჯეში", მარჯანიშვილის მოედანსა და მელიქიშვილის ქუჩაზე არსებულ წიგნის მაღაზიებში, ასევე გამსახურდიას გამზირზე არსებულ „წიგნის სახლში".

R

# ᲠᲐ ᲓᲘᲔᲢᲐᲖᲔᲐ ᲑᲚᲔᲠᲘᲡ ᲪᲝᲚᲘ?

დიდი ბრიტანეთის პირველი ლედის — ტონი ბლერის მეუღლეს, ჩერის ყველაფერი აქვს ბედნიერებისთვის.



ერთადერთი, რაც ადარდებდა — საკუთარი ფიგურა იყო. უმცროსი შვილის გაჩენის შემდეგ, რომელიც ახლა 3 წლის არის, ჩერი ძალიან გასუქდა და არ იცოდა, როგორ დაეკლო წონაში. ახლა ის კვლავ შესანიშნავ ფორმაშია ახალი მეთოდის წყალობით, რომელმაც ფურორი მოახდინა ევროპაში. ამ ხერხს ჰქვია გაახალგაზრდავება გახდომის საშუალებით.

მეთოდი შედგება ორი კომპონენტისგან — საგანგებო დიეტა და ელექტროშოკური თერაპია სპეციალურ მასაჟის ტახტზე. პაციენტის სხეულსა და ფეხებზე ამაგრებენ 32 ელექტროდს, რომელთა მეშვეობით მიეწოდება სხვადასხვა ძაბვის დენი, რომლის წყალობითაც სხეული თავისუფლდება შხამიანი ნივთიერებებისგან. ასეთ ტახტზე წოლის შემდეგ ჩერიმ 10 კგ-ზე მეტი დაიკლო და 40 ზომა ტანსაცმელიც მოირგო.

მკურნალობის პროცესში აკრძალული ჰქონდა ყავა, შოკოლადი, პური და ალკოჰოლი. ქალბატონი ჩერი იღებდა მხოლოდ ხილსა და ბოსტნეულს — სულ 4 000 კალორიას. ასეთი დიდი რაოდენობის კალორიები აუცილებელია ორგანიზმისთვის, რათა გააქტიურდეს ნივთიერებათა ცვლა. ახლა დიდი ბრიტანეთის პირველი ლედის მენიუ შედგება: საუზმე — დიდი თეფში ხილი, სადილი — ქურაში უცხიმოდ შებრაწული კარტოფილი, ბოსტნეულის წვნიანი და ერთი ავოკადო. ვახშამი — ბრინჯი კრევეტებით, ან ქათმის ხორცი მდოგვის საწებლით და ბოსტნეულის სალათა. წყლის არანაირი შეზღუდვა.

***გარდიანი***

# ᲨᲘᲖᲝᲤᲠᲔᲜᲘᲙᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲙᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲐᲗ...

მოგეხსენებათ, რამდენი დაავადების პროვოცირებას უწყობს ხელს ნიკოტინი. მაგრამ მას სიკეთის მოტანაც შესძლებია. ახლახან შვედმა მეცნიერმა, პროფესორმა ჰარკერმა განაცხადა, — სიგარეტმა ახალგაზრდები შეიძლება დაიცვას ისეთი საშინელი დაავადებისგან, როგორიცაა შიზოფრენიაო. თურმე, სიგარეტი აფერხებს ამ გონებრივი მოშლილობის განვითარებას, რადგან ნიკოტინს შეუძლია თავის ტვინის ეფექტიანად დაცვა.

***მეგაპოლის-ექსპრესი №48***




**ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲗ**

**ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚ ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲢᲡ**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**



## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ!

**ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲗᲐ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲐ ᲣᲚᲢᲠᲐᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲣᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ:**

სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

**ᲖᲣᲡᲢᲘ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲯᲐᲜᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ!!!**

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: **99 64 99**
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
**ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ!**





**გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია სოკოვანი დაავადებების შესახებ**
***ლ. გამყრელიძე, თბილისი***

# ᲡᲝᲙᲝ ᲡᲐᲨᲘᲨᲘᲐ

მიკოზები ანუ სოკოვანი დაავადება ინფექციურ პათოლოგიათა რიცხვს მიეკუთვნება. ის მრავალი სახისაა, რადგან თავად გამომწვევი — სოკო არის მრავალნაირი. მიკოზით დასნებოვნება ხდება დაავადებული ადამიანისგან, ცხოველისგან, ძალზე იშვიათად — ნიადაგიდან. სოკომ შეიძლება დააზიანოს არა მარტო კანის ყველა შრე, არამედ ძვლები, შინაგანი ორგანოები. ყველა გამომწვევისთვის დამახასიათებელია მისი „სამიზნე“ — საყვარელი ადგილი და მკაცრად განსაზღვრული კლინიკური გამოვლინება.



საუნებში, აუზებსა და სპორტდარბაზებში, ანუ იქ, სადაც სისველე და სითბოა, დიდი ალბათობაა სოკოთი დაავადებისა, კერძოდ, ტერფის ეპიდერმოვიტით. ის ქრონიკულად მიმდინარე პროცესია. თუ ჯანმრთელი ადამიანის ნოტიო კანზე ხვდება დასნებოვნებული კანის ან ფრჩხილის ნაწილები, ისიც ავადდება. სოკო იწვევს ფრჩხილების აშრევებას და კანის ეპიდერმისის აფცქვნას.

დაავადების განვითარებას ხელს უწყობს ბრტყელტერფიანობა, ოფლიანობა, მჭიდროდ მორგებული ფეხსაცმელი, ფრჩხილების არასწორი მოვლა, მიკროტრავმები. დაზიანებული ადგილები ჩნდება თითებს შორის ნაკეცებში, განსაკუთრებით მე-3 ან მე-4 თითებს შორის. დაავადების ასეთი ფორმა გავრცელების თვალსაზრისით ძალზე სახიფათოა, რადგანაც მისი შემჩნევა რთულია. ამას ემატება ქავილი, წვის შეგრძნება, გამონაყარი და ეროზია.

გამწვავებები დამახასიათებელია უმეტესად ზაფხულში, შესაბამისი მკურნალობის გარეშე პროცესი აზიანებს ფრჩხილებს, განსაკუთრებით ცერის ფრჩხილებს. ფრჩხილი სქელდება, ყვითლდება, დეფორმირდება. არსებობს კიდევ ერთი სოკოვანი დაავადება — *რუბროვიტია*. ისიც აზიანებს ტერფის კანსა და ფრჩხილებს. ამ დაავადებას ხშირად უწოდებენ ოჯახურ პათოლოგიას. მისი გამოვლინება მრავალფეროვანია. ძნელად შესამჩნევი აქერცვლა, ნაპრალების გაჩენა, შეშუპება და შესქელება. კანზე თითქოს ფქვილია დაყრილი, პროცესი შეიძლება გადავიდეს ხელის მტევნებზე.

სოკოვანი დაავადება — *ტრიქოფიტია* უმეტესად ბავშვებს ემართებათ. დასნებოვნების წყარო შეიძლება იყოს, როგორც ადამიანი, ასევე ცხოველი. ეს დაავადება აზიანებს როგორც გლუვ კანს, ასევე კანის თმიან ნაწილს. კანზე ვითარდება მკრთალი ვარდისფერი ან წითელი ფერის კერები. აღინიშნება ქავილი.

თმიანი ნაწილის დაზიანებისას თმის ღერები იმტვრევა 1-2 მმ-მდე სიგრძეში. მკურნალობის გარეშე პროცესი ღრმავდება, დაზიანებული ნაწილი შუპდება და ჩირქდება. მატულობს სხეულის ტემპერატურა, იზრდება ლიმფური ჯირკვლები.

*მიკროსპორია* — ეს სოკოვანი დაავადება უმეტესად ბავშვებს ემართებათ. გადაეცემა ცხოველებისგან. პათოლოგიისთვის დამახასიათებელი კლინიკური სიმპტომების გამოვლენა ხდება 3-7 დღის განმავლობაში. კერები შეიძლება იყოს როგორც კანზე, ასევე თმიან ნაწილზე — ვარდისფერი ლაქები, მკვეთრი საზღვრებით.

*მკურნალობა და პროფილაქტიკა:* ძალზე მნიშვნელოვანია სწორი დიაგნოსტიკა და შესაბამისი მკურნალობა. პროფილაქტიკა ელემენტარული სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაა. საუნებსა და აუზებზე პროფილაქტიკის მიზნით წაისვით სოკოს საწინააღმდეგო საშუალებები ტერფზე, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს დაავადების რისკს.

თუკი ოჯახის ერთ-ერთი წევრია დასნებოვნებული, მკურნალობის სრული კურსი უნდა გაიაროს ყველა წევრმა. თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური პირსახოცი და სხვა პირადი მოხმარების ჰიგიენური ნივთები.

*დაავადების დიაგნოსტირება:* ადგილობრივი კერები, გამონაყარი და ქავილი — სოკოვან დაავადებას მოასწავებს, მაგრამ რომელი, ამის გასარკვევად საჭიროა მიკროსკოპიული ან კულტურალური ანალიზი. ეს განსაკუთრებით ბავშვებს შეეხება. დიაგნოზისთვის იღებენ ფრჩხილის ან კანის ნაწილს (სრულიად უმტკივნეულოა).

მკურნალობა ადგილობრივია. ყველა შემთხვევაში საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა.

თუკი აღინიშნება დაზიანებული მრავლობითი კერა, კანის თმიანი ნაწილის დაზიანება, საჭიროა პერორალური (აბების) მიღება. ზოგჯერ რეკომენდებულია დაზიანებული თმისა და ფრჩხილების მოცილება, რათა არ მოხდეს ხელახალი დასნებოვნება.

სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატი მრავალია, რომელიმე მათგანის რეკომენდებისგან თავს შევიკავებთ, მხოლოდ გირჩევთ, გაითვალისწინოთ თითოეული მათგანის გვერდითი ეფექტები და მათი დანიშვნა კვალიფიციურ ექიმ-სპეციალისტს მიანდოთ.

***მაია მუხიგული***

# ᲒᲠᲘᲞᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲓᲝᲡ ᲓᲠᲝᲡ...

**იგრძენით თუ არა, რომ გაცივდით, დაგეწყოთ სურდო, ხმა ჩაგეხლიჩათ და ყელშიც გიღიტინებთ:**

1. 1 ჩ/ჭ თბილ წყალს შეურიეთ 1-1 ჩ/კ გახეხილი პირშუშხა, ნიორი, თაფლი, დალიეთ ნელ-ნელა. გემოთი არ მოგეწონათ? არც მიკრობებსა და ვირუსებს მოსწონთ.

2. 200 მლ წყალში მოხარშეთ 100გ ქიშმიში და 1/2 ჩ/ჭ ნახარში მიიღეთ 3-4-ჯერ დღეში.

3. თანაბარი რაოდენობის სტაფილოსა და ჭარხლის წვენს დაუმატეთ თაფლი (გემოვნებით) და მიიღეთ 1-2 ს/კ 3-ჯერ დღეში.

4. ჭამეთ ბროწეული (სასურველია დაღეჭოთ კანიანად).

5. სვით 1ს/კ თაფლით დამტკბარი 1 ჩ/ჭ ალუბლის ან შავი მოცხარის წვენი.

6. 0,5 ლ რძეში მოხარშული 7-8 ც ლეღვის ჩირი.

7. ცხელ წყალში მოწალული 1 ც ლიმონის წვენს დაუმატეთ 2 ს/კ გლიცერინი, თაფლი. აურიეთ და მიიღეთ 1 ჩ/კ 3-ჯერ დღეში.

8. გრიპის მერე, ძალ-ღონის აღდგენაში დაგეხმარებათ შემდეგი სასმელი:

1ლ ცხელ წყალში გახსენით 150-150 გ თაფლი და შაქარი, მიიყვანეთ ადუღებამდე, დაუმატეთ რამდენიმე დაფნის ფოთოლი, 5-5 გ იმბირი (კოჭა), მიხაკი, ილი, დარიჩინი, წამოადუღეთ, გაწურეთ და სვით მთელი დღის განმავლობაში.

***ოტდოხნი №48***

# ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲕᲔᲠᲘᲝᲗ ᲨᲐᲙᲘᲙᲡ...

ამ ვერაგ დაავადებასთან ბრძოლას მოვიგებთ, თუკი წამლების მიღებასთან ერთად დავიცავთ შემდეგ პირობებს:

1. თავი რომ გავართვათ შაკიკის გამომწვევ მიზეზებს: უძილობას, სტრესებს, მოწყენილობას, ჰიპოდინამიასა და ფიზიკურ გადაღლილობას — მოიწყვეთ კომფორტული ცხოვრება.

2. უარი თქვით ისეთ პროდუქტებზე, რომლებიც თავის ტკივილს იწვევენ. ესენია: კაკაო, შოკოლადი, რძე, ყველი, კაკალი, კვერცხი, სოია, ციტრუსები, სარდინი, პომიდორი, ნიახური, წითელი ღვინო, ცხიმიანი საკვები.

3. იკვებეთ რეგულარულად! ტრაპეზებს შუა დიდი შუალედი და მასთან დაკავშირებული ყაბზობა (კუჭში შეკრულობა) იწვევს შაკიკს.

4. ხშირად მიიღეთ შხაპი, რადგან წყალი ხსნის სტრესსა და დაღლილობას.

5. მოეთათბირეთ ექიმს იმ წამლების შესახებ, რომლებსაც იღებთ, რადგან ჩასახვის საწინააღმდეგო და სისხლძარღვების გასაფართოებელი ზოგიერთი წამალი იწვევს თავის ტკივილს.

6. გახსოვდეთ, ალკოჰოლი კი არ ანელებს თავის ტკივილს — პირიქით, აძლიერებს.

7. შეზღუდეთ ტელევიზიასთან და კომპიუტერთან ურთიერთობა.

8. იძინეთ ორთოპედიულ ლეიბზე და უარი თქვით რბილ, ფაფუკ ბალიშზე, რადგან ეს აძლიერებს საძილე არტერიაში სისხლის მიწოდებას.

9. ჭამეთ ბანანი, რადგან ის შეიცავს ისეთ ნივთიერებას, რომელიც ტკივილზე მოქმედებს, როგორც სიამოვნების ჰორმონები.

10. კატეგორიულად მოერიდეთ ძლიერ სუნებს (არომატებს), ყვავილების (ჟასმინის, სუმბულის, მიმოზის, ფლოქსის), ბენზინის, სალებავების, აცეტონის, ახალი ავეჯის და ა.შ.



## გთავაზობთ შაკიკის სამკურნალო ფიტორეცეპტებს:

1. შაკიკის დროს დაღეჭეთ ანისულის თესლი;

2. ჭამის წინ სვით:

- კატაბალახას ფესვების 1ს/კ ნახარში (დაქუცმაცებულ 2 ჩ/კ ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, ადუღეთ 15 წუთი და გაწურეთ) 3-4-ჯერ დღეში;
- სამკურნალო ყვითელი ძიძოს 1/4 ჭ ნაყენი 3-4-ჯერ დღეში (გამხმარ, დაქუცმაცებულ 1 ს/კ ძიძოს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 4 საათი და გაწურეთ);
- ლავანდის ყვავილის ნაყენი დღის განმავლობაში პატარ-პატარა ყლუპებად (დაქუცმაცებულ 3 ჩ/კ ლავანდის ყვავილს დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე, გააჩერეთ 10 წუთი და გაწურეთ);
- გვირილის ყვავილის 0,2 გ ფხვნილი დაღეჭეთ 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე 20 წუთით ადრე;
- დაიზილეთ შუბლი და საფეთქლები იასამნის მალამოთი (დაქუცმაცებული 2 ს/კ ყვავილი კარგად დასრისეთ 2 ს/კ კარაქში).

**დაიხსომეთ:** თუ ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების მიღების შემდეგ თავი ტკივილისაგან გისკდებათ და ტკივილთან ერთად გრძნობთ სისუსტეს, თავბრუს ხვევას, გიძნელდებათ ლაპარაკი, დაგერღვათ მოძრაობის კოორდინაცია, თვალთ გიბნელდებათ, სმენა გიქვეითდებათ, ტკივილი და ტემპერატურა მატულობს, გეწყებათ გულის რევა, ხუთვა — სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.

***ზდოროვიე №7***

**ზიმბაბვე**

# რობერტ მუგაბემ ქვეყანა დიდი ბრიტანეთის ნაციათა თანამეგობრობიდან გამოიყვანა

ზიმბაბვეს პრეზიდენტმა რობერტ მუგაბემ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ბრიტანეთის ნაციათა თანამეგობრობიდან გამოდის. მუგაბე ხელისუფლებაში 1980 წელს მოვიდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შედეგად. ირწმუნებოდა, ზიმბაბვეს დემოკრატიულ ქვეყნად ვაქცევო. მართლაც შემოიღეს მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიც, როგორც წესი, სახელისუფლებო პარტია იმარჯვებდა. 1990 წლამდე ყველაფერი მეტ-ნაკლებად კარგად მიდიოდა. შემდეგ პრეზიდენტმა გადაწყვიტა, თავისი ძველი თანამოაზრეებისათვის, მადლიერების ნიშნად, ყველა სურვილი აესრულებინა. ისინი უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ ზიმბაბვეს ბუნებრივი რესურსები ოლიგარქების ხელში იყო. მათ ეს სიმდიდრე მუგაბეს ხელისუფლებაში მოსვლამდე გაინაწილეს. პრეზიდენტის თანამებრძოლებმა კი ქვეყნის ყველანაირი ქონების ხელახალი განაწილება მოითხოვეს. მდიდრების დასჯის იდეა ხალხში ძალიან პოპულარული გახდა. მით უმეტეს, რომ უბრალო ზიმბაბველები ვერ იტანდნენ მსხვილ ფერმერებს — მიწების უმეტესობა ბრიტანელ კოლონიზატორთა შთამომავლების ხელში იყო, შავკანიანები კი ისევ სიღარიბეში ცხოვრობდნენ.

1997 წელს რობერტ მუგაბემ მიიღო თეთრკანიანთა კუთვნილი მიწების კონფისკაციისა და შავკანიანებისათვის დარიგების გადაწყვეტილება, მაგრამ მესაკუთრეებთან ბრძოლამ ზიმბაბვეს ეკონომიკას ძირი გამოუთხარა. ხელისუფლებამ დეფოლტი გამოაცხადა. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა ზიმბაბვეს დახმარება შეუწყვიტეს. რობერტ მუგაბეს პოლიტიკამ დასავლეთი აღაშფოთა, პრეზიდენტს საკუთარ ქვეყანაშიც გამოუჩნდა ოპოზიცია. არჩევნების შემდეგ, რომელზეც რობერტ მუგაბემ ხმების 52,6% მიიღო (ცხადია, წარმოუდგენელი გაყალბების შედეგად), მან ოპოზიციონერი კანდიდატი ციხეში ჩაასმევინა.

ამის შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც მუგაბესაგან დემოკრატიული ფასეულობისადმი პატივისცემას ითხოვდა, ნაციათა თანამეგობრობის ქვეყნებს ამ ორგანიზაციაში ზიმბაბვეს წევრობის შეჩერება მოსთხოვა. მეზობელმა აფრიკულმა ქვეყნებმა ამ მოთხოვნაში დაინახეს თეთრი სამყაროს შავზე შეტევის სურვილი.

თანამეგობრობის ქვეყნების ამჟამინდელ სამიტზე რობერტ მუგაბე არ მიიწვიეს. გაცოფებულმა პრეზიდენტმა გამოაცხადა — ამ ორგანიზაციიდან გავდივართო. ყველაზე ოდიოზური აფრიკელი ლიდერი ავტორიტარული რეჟიმის შესანარჩუნებლად დასავლეთის განაწყენებასაც არ მოერიდა.



*კომერსანტი №224*

# რუსეთს ახალი დუმა ჰყავს




პოსტსაბჭოთა რუსეთში არსებობა შეწყვიტა მესამე სახელმწიფო დუმამ. მას შეენაცვლება ახალარჩეული — მეოთხე.

ვლ. პუტინის მოწოდებას — მხარი დაუჭირეთ „ერთიან რუსეთსო“, ამომრჩეველთა უმეტესობა გამოეხმაურა და სახელისუფლებო პარტიას მისცა ხმა. ეს გასაგებიცაა — შოიგუ მოსახლეობას კატასტროფებისგან იცავს, ლუჟკოვი სამეურნეო საქმეებს უძღვება, გრიზლოვი სამხრეებიან ნაძირალებს ებრძვის, შაიმიევი კი რუსეთის მუსლიმანებისათვის მისაბაძი კაცია.

ზოგიერთი პოლიტიკოსისა თუ პარტიის წისქვილზე დაასხა წყალი ხელისუფლების ბრძოლამ ოლიგარქებთან. რუსეთში ალაპარაკდნენ მათი ქონების ბედზე. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილის დუხჭირი ყოფა მთავარ პრობლემად რჩება, ლოზუნგები — „წავართვათ, ჩავსვათ“ — მოხერხებულად გამოიყენეს ჟირინოვსკიმ და ბლოკმა „სამშობლომ“. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ბიზნესსა და საბაზრო ეკონომიკაში თავისი მომავალი ვერ დაინახა.

ყველა კომენტატორი ერთხმად აღნიშნავს, — რუსეთის ახალი პარლამენტის ორ მესამედზე მეტი პრეზიდენტის მიმართ ლოიალური იქნებაო. კომუნისტების გარდა, ხელისუფლების ყველა უმაღლესი ორგანო პრეზიდენტს უჭერს მხარს. ერთი მხრივ, ამაზე ნებისმიერი ქვეყნის მეთაური უნდა ოცნებობდეს — ქვეყნის და ხალხის სასარგებლოდ გააკეთე ყველაფერი, რასაც საჭიროდ მიიჩნევ — ტაშით შეგეგებებიან; მაგრამ მოხდება კი რუსეთში ასე?

პოლიტიკურ ოლიმპზე მდგარმა „ერთიანმა რუსეთმა“ და თავად პრეზიდენტმა ხალხის ყველა სატკივარს უნდა მიხედოს... მაგრამ იქნება ასე?

ვაითუ, ამჟამინდელ არჩევნებში გამარჯვებულებმა მოინდომონ კონსტიტუციის შეცვლა მდგომარეობის სამუდამოდ განსამტკიცებლად. ვლ. პუტინს აუცილებლად გამოუჩნდებიან კეთილისმყოფელები, რომლებიც მას უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივებასა და შემდეგ ამ ვადის გაორმაგებისკენ უბიძგებენ.

*ტრუდ-7*

# პრემიერი მაფიის ნათლიის წინააღმდეგ



„ტრაქტორი“

იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი, რომელსაც პრესა ხშირად მაფიის მოკავშირედაც კი მოიხსენიებს, სწორედ ამ მაფიას უპირისპირდება. ბოლო ორი კვირის მანძილზე იტალიელმა სამართალდამცველებმა 31 ადამიანი დააპატიმრეს. ისინი იმ ტერორისტული დაჯგუფების წევრები არიან, რომელსაც 70 წლის მაფიოზი, ბერნარდო პროვენზანო, მეტსახელად „ტრაქტორი“, თავკაცობს. მას იტალიაში 40 წელია, ეძებენ. პოლიციამ დააპატიმრა მისი მოადგილე, 53 წლის სალვატორე სკიარაბა. ეს, შინაგან საქმეთა მინისტრის, ჯუზეპე პისანუს თქმით, „დიდი წარმატებაა და ერთი ნაბიჯიღა დაგვრჩენია „ტრაქტორის“ ხელში ჩაგდებამდე, რაც მაფიის საცეცების მაქსიმალური დამოკლების წინაპირობა იქნება“. ამბობენ, იტალიიდან გარბიან დამფრთხალი მაფიის წევრებიო.

*ნიუ ზუიქი*

# ვის უნდა პრეზიდენტობა?

**იმიჯმეიკერთა საქმიანობაზე ხმამაღლა არ ლაპარაკობენ. დაცვის მსგავსად, ისინიც თავიანთი კლიენტების ჩრდილში დგანან. ამერიკელი პოლიტტექნოლოგი დიკ მორისი დიდხანს იყო პრეზიდენტ ბილ კლინტონის „ჩრდილში“. გთავაზობთ ამონარიდს მისი ინტერვიუდან:**

— *პრეზიდენტმა კლინტონმა იელისა და ოქსფორდის უნივერსიტეტები დაამთავრა. პოლიტიკოსისთვის აუცილებელია კარგი განათლება თუ ფულის ტომრისგანაც შეიძლება ქვეყნის მეთაურის „გამოძერწვა“?*

— დამწყები პოლიტიკოსისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს განათლებას. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში თუ კემბრიჯი ან სხვა პრესტიჟული უნივერსიტეტი არ გაქვს დამთავრებული, პოლიტიკოსის კარიერაზე ვერ იოცნებებ. აშშ-ში სხვანაირადაა, პრეზიდენტ რეიგანს მხოლოდ კოლეჯი ჰქონდა დამთავრებული, არც პრეზიდენტ ნიქსონს უსწავლია რომელიმე ცნობილ სასწავლებელში. ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით, აშშ-ში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გახდეს პრეზიდენტი. რუზველტი მდიდარი იყო, ტრუმენი და ეიზენჰაუერი — ღარიბები, კენედი — მდიდარი. მამა-შვილმა ბუშებმა გაპრეზიდენტებამდე დააგროვეს ქონება. ამერიკაში პოლიტიკოსს „საცერში“ ატარებენ. არ არსებობს კანონი, რომელიც მათ დაიცავს უხერხული კითხვებისაგან, ზოგჯერ შეთითხნილი ბრალდებებისგანაც კი. პოლიტიკოსს ასეთ შემთხვევაში დიდი ოფლის ღვრა უწევს ბრალდების გასაბათილებლად. შემთხვევით ადამიანს თეორიულად აქვს აშშ-ის პრეზიდენტად გახდომის შანსი იმ პირობით, თუ სილამაზის კონკურსში მონაწილეთა მსგავსად, ბოლომდე „გაშიშვლდება“, ლაფში „გასვრასაც“ გაუძლებს და საკონკურენტო ბრძოლაში ყველას დაუმტკიცებს, რომ სწორედ მას აქვს ნამდვილი პოლიტიკოსის თვისებები.

— *არნოლდ შვარცენეგერის გამარჯვება — ტერმინატორის გამარჯვებაა, თუ პოლიტიკოსი — არაპროფესიონალი დრომ მოიტანა?*

— შვარცენეგერის გამარჯვება ასობით ათასი ადამიანის გამარჯვებაა, მათ მოითხოვეს გადაყენება გუბერნატორისა, რომელიც გაუთავებლად ატყუებდა ამომრჩევლებს. ვერ გეტყვით, შვარცენეგერი როგორი გუბერნატორი იქნება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ვადამდელი არჩევნები კალიფორნიაში ხალხის თაოსნობით გაიმართა. ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ყველა პოლიტიკოსი პასუხს აგებს საკუთარ სიტყვასა და საქციელზე და თუ ტყუის, აუცილებლად მოეთხოვება პასუხი.

— *თქვენი აზრით, პოლიტიკოსს ქარიზმას რა უქმნის?*

— მაგალითად, ჯორჯ ბუში-უმცროსის ქარიზმატულობის ნიშანია მისი მიდრეკილება ძალის გამოყენებისკენ, კლინტონისათვის მნიშვნელოვანი იყო პოპულარობა.

— *„დიდი რვიანის“ წევრებიდან ვის ჰყავს ყველაზე კარგი იმიჯმეიკერი და პოლიტტექნოლოგი?*

— ვფიქრობ, რომ ჯორჯ ბუშს. პუტინს იმიჯმეიკერი არ უნდა. იგი ხალხს იმას კი არ აძლევს, რაც სჭირდება, არამედ, რაც მისი აზრით, უნდა სჭირდებოდეს. ეს პუტინს სრულიად განასხვავებს თანამედროვე პოლიტიკოსთა უმეტესობისაგან. ჟაკ შირაკს კი ნამდვილად სჭირდება იმიჯმეიკერი — იმდენი ხალხი აიმხედრა; არც შრედერს აწყენდა კარგი მრჩეველი. „რვიანის“ თავკაცები თითქოს ჰგვანან კიდეც ერთმანეთს, თუმცა როგორც პოლიტიკოსები, სრულიად განსხვავებულები არიან.

*იტოგი №47*

**ავღანეთი**

# ამერიკელებმა „თალიბანის“ ბოევიკის ნაცვლად ავღანელი ბავშვები დახოცეს

ავღანეთის სამხრეთ პროვინცია ღაზნიში ამერიკელ სამხედროთა ოპერაცია საშინელი ტრაგედიით დამთავრდა. აშშ-ის ჯარების ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა, მაიორმა კ. უესტმა თქვა, — სოფელში დამალული „თალიბანის“ ცნობილი ტერორისტის, მოლა ვაზირის გასანადგურებლად დარტყმა ზუსტი იყო. დაინგრა მხოლოდ ერთი სახლი. — არ ვიცოდით, თუ იქვე, მახლობლად, ბავშვები თამაშობდნენო. სოფლელები იფიცებიან, — მოლა ვაზირმა აქაურობა ავიადარტყმამდე დატოვა, ბავშვები ქუჩაში ფეხბურთს თამაშობდნენ. ვერ გაგვიგია, რატომ დაგვბომბესო.



ტრაგიკულ ინციდენტს შესაძლოა მძიმე შედეგები მოჰყვეს ამერიკელებისთვის, რადგან ავღანეთი ემზადება უხუცესთა საბჭოს ასარჩევად, რომელიც ქვეყნის ახალ მთავრობას ჩამოაყალიბებს. ეს კი ავღანეთში ამერიკელთა ოპერაციის გვირგვინი უნდა გახდეს. ამერიკელ სამხედროთა შეცდომამ, რასაც 9 ბავშვის სიცოცხლე შეეწირა, ამერიკის პრესაში დიდი ემოციური რეაქცია გამოიწვია. ბავშვების დაღუპვამ ცხადი გახადა, რომ ავღანეთი კიდევ ერთი ვიეტნამია, რომლის შესახებაც ხელისუფლება დუმილს ამჯობინებს. 2004 წელს ამერიკამ ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიოს, მსგავსი ეპიზოდები კი ცუდ რეკლამას უწევენ ახლანდელ ადმინისტრაციას.

*კომსომოლსკაია პრავდა №274*

## მოკლედ

**სტრასბურგის** ადამიანის უფლებათა დაცვისა და დიდი ბრიტანეთის უმაღლეს სასამართლოებში საჩივრის შეტანას აპირებს ბორის ბერეზოვსკი. მას სურს, რომ რუსეთის ხელისუფლებისგან კომპენსაციის სახით მიიღოს 1 მლნ დოლარი, რადგან მისი თქმით, სწორედ ხელისუფლებამ აიძულა, გაეყიდა ორი დიდი ტელეკომპანიის აქციების პაკეტები.

**იაპონიის** მინისტრთა საბჭოს კაბინეტის საგანგებო სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება 600 იაპონელი ჯარისკაცის ერაყში გაგზავნის თაობაზე, ისინი წყლით მომარაგებისა და სამედიცინო მომსახურების სისტემების აღდგენაში მიიღებენ მონაწილეობას.

**პოლონეთის** პრეზიდენტმა ალექსანდრ კვასნევსკიმ განაცხადა, რომ თუ მის ქვეყანას ევროკომისიაში ჩამოართმევენ ხმების ნაწილს, პოლონეთი ვეტოს დაადებს ევროპის კონსტიტუციის პროექტს.

**დიდი ბრიტანეთი** თავისი შეიარაღებული ძალების რეორგანიზებას აპირებს. პროგრამა ითვალისწინებს ფლოტის, ავიაციისა და ჯავშანტექნიკის ნაწილების მნიშვნელოვან შემცირებას. სანაცვლოდ შეიქმნება სწრაფი რეაგირების მობილური ნაწილები კონტრტერორისტული ოპერაციების ჩასატარებლად.

**შვეიცარიის** პარლამენტის ორი პალატის წევრებმა ახალი ფედერალური საბჭო (მთავრობა) აირჩიეს. მასში შედის 7 ფედერალური მრჩეველი (მინისტრი). მათ პარლამენტი 4 წლით ირჩევს. მთავრობაში შევიდნენ აგრეთვე შვეიცარიის 4 დიდი პარტიის წარმომადგენლები. კონფედერაციის პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს მთავრობის ანუ ფედერალური საბჭოს წევრებიდან ერთი წლის ვადით. 2004 წლისთვის პრეზიდენტად აირჩიეს ეკონომიკის მინისტრი იოზეფ დაისი.

**ვენესუელის** პრეზიდენტს, უგო ჩავესს მიაჩნია, რომ მის ვადამდე გადასაყენებლად შეგროვილი ხელმოწერების ნახევარზე მეტი ყალბია. ის თავს დამარცხებულად არ თვლის, თუმცა საჭირო 2,4 მლნ-ის ნაცვლად 3,6 მლნ ხელმოწერაა შეგროვილი.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

სამედიცინო ცენტრი

მეზოთერაპია

ცხვირის კორექცია
მეზოთერაპია
მკერდის კორექცია
ყურების კორექცია

- ცელულიტის მკურნალობა;
- კანის და კანზე არსებული სხვა გამონაყარის მკურნალობა;
- სტრიების კორექცია;
- კანის ფერის, ტონუსისა და ტურგორის გაუმჯობესება;
- ნაოჭების გასწორება და სახის ოვალის აღდგენა;
- პიგმენტური ლაქების მოცილება.

კოსტავას 63. ტელ: 212-312, 364-464

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ბავშვები მთვრალ პოლიციელს არ გამოპასუხებიან, მაგრამ მას შემდეგ, რაც დიმა ცანავამ ერთ-ერთს, დათო გაბელაიას, რომელიც „მერსედესს“ მართავდა, უწმაწური ჟესტი აჩვენა, სიტუაცია დაიძაბა. გაბელაიას ავტომანქანაში მისი ოთხი თანაკლასელიც იჯდა. მალე ცანავასა და გაბელაიას ავტომანქანებს შორის მანძილი იმდენად შემცირდა, რომ გაბელაიამ მაღალი სიჩქარის გამო საჭე ვეღარ დაიმორჩილა, გზის მარცხენა მხარეს გადავიდა და მოცურდა. ავტომანქანა ინერციით მარჯვენა მხარეს გადავიდა და არხში გადაიჩეხა. ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპნენ დავით გაბელაია, მირანდა ჩაჩავა და სოფიკო გვაზავა.

გამომძიებელმა ავარიის რამდენიმე თვითმხილველი მოწმის რანგში დაჰკითხა, რის შემდეგაც დაადგინა, არ აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე ცანავას მიმართ, რადგან მის ქმედებაში არ არსებობდა დანაშაულის ნიშნები. ერთი სიტყვით, ჯანაშიამ საქმე დახურა და არქივს ჩააბარა, მაგრამ საქმე არც ისე იოლი ჩანს, როგორც იგი დავით ჯანაშიამ თავის გამოძიებაში წარმოადგინა და რომელსაც კატეგორიულად არ დაეთანხმნენ გარდაცვლილთა მშობლები. დათო გაბელაიას მამის, გიგი გაბელაიას მცდელობით საქმეში ახალი დეტალები გამოიკვეთა. **გიგი გაბელაია**: „გადავწყვიტე, დამედგინა, თუ რა მიზეზით მოხდა ავტოკატასტროფა და დავიწყე დამოუკიდებლად გამოძიება. დიმა ცანავამ ავტოკატასტროფის პროვოცირება გამოიწვია და მას, როგორც დამნაშავეს, უნდა ეგო სასამართლოს წინაშე პასუხი. მეტსაც გეტყვით, სწორედ ცანავას მანქანამ არ მისცა ჩემი შვილის ავტომობილს გზა. როცა წამოეწია, მან აიძულა დათო გზის უკიდურეს მარცხენა, ღორღიან მხარეს გადასულიყო. იქ კი მანქანა მოუცურდა და არხში გადაიჩეხა. სხვათა შორის, ეს მოწმეებმაც დაადასტურეს.

— **იქნებ გამომძიებელმა დავით ჯანაშიამ არაფერი იცოდა ამის შესახებ?**

— იცოდა, მაგრამ დავალებული ჰქონდა დანაშაულში ცანავას მონაწილეობის დამალვა.

ადვოკატი **როლანდ შონია**: — საქმე ის არის, რომ დიმა ცანავა აბაშის მაშინდელი პროკურორის, ვალერი ურუმაშვილის ცოლისძმა გახლავთ. რადგან მოწმეებმაც დაადასტურეს ცანავას მონაწილეობა ავტოკატასტროფის პროვოცირებაში, აბაშის პროკურორმა საქმის აცილება ითხოვა და მოტივად ეჭვმიტანილთან ნათესაობა დაასახელა. საოლქო პროკურატურამ საქმის გამოძიება სენაკის პროკურატურას დაავალა. აქაც ღრმად დაიმარხა ძაღლის თავი. ვალერი ურუმაშვილს, სენაკის, (ახლა უკვე მარტვილის) რაიონის პროკურორთან, ვახტანგ სართანიასთან ნათელმირონი აკავშირებს. ურუმაშვილმა სართანიას სთხოვა, მისი ცოლისძმა დანაშაულში არ ემხილებინა და საერთოდ, BMW-ს მონაწილეობა ავტოავარიაში დაემალა. თავის მხრივ, სართანიამ თავის გამომძიებელს შესაბამისი ინსტრუქციები მისცა და ჩვენ ამის დამამტკიცებელი დოკუმენტებიც გვაქვს.

— **კერძოდ, რა ინსტრუქციები მიიღო სენაკის რაიონის პროკურატურის ყოფილმა გამომძიებელმა, დავით ჯანაშიამ პროკურორისგან და რა საბუთები გააყალბა მან?**

— დავალება ალბათ იგივე იყო, — რომ არ დაფიქსირებულიყო ვალერი ურუმაშვილის ცოლისძმის დანაშაული ავტოკატასტროფაში. არადა, ეს ძნელი გასაკეთებელი იყო. არსებობდნენ სამი არასრულწლოვანი გარდაცვლილი

# „ღობე-ყორეს ედება, რომ სიმართლე არ თქვას“

## პროკურატურის გამომძიებელს ქარმა მოწმეთა ახსნა-განმარტებები მოსტაცა(?!)





„მერსედესის“ საბურავების კვალის ფოტო, რომელიც საქმიდან დაიკარგა

და მათი ჭირისუფლები. ადგილზე იყვნენ ავარიის თვითმხილველები და უამრავი მოწმე, რომლებიც მიუთითებდნენ შავი ფერის BMW-ს დანაშაულზე. საჭირო იყო ამ ხალხის გაჩუმება და ცანავამ თავისი სიძის დახმარებით მოწმეების დაშინება მოახერხა. ბევრმა ცანავას წინააღმდეგ ჩვენება არ მისცა, მაგრამ აღმოჩნდა ერთი მოწმე, გარდაცვლილი დათო გაბელაიას თანაკლასელი რუსუდან ხურცილავა, რომელმაც ჩვენება არ შეცვალა. ასევე მოიქცა მეორე გოგონა, ხათუნა ცომაიაც. მათი ახსნა-განმარტებები საქმეში ეწყო და დავით ჯანაშიასა და მის უფროსს, ვახტანგ სართანიას ხელს უშლიდა. გამოსავალი უცბად მოინახა. დავით ჯანაშიამ რუსუდან ხურცილავას ახსნა-განმარტება გააქრო და მის ნაცვლად საქმეში თავისივე შედგენილი ახსნა-განმარტება აღმოჩნდა, რომელიც შინაარსობრივად ძალიან განსხვავდებოდა ნამდვილისაგან. ასევე უკვალოდ აორთქლდა საქმიდან ხათუნა ცომაიას ჩვენება... ჩვენ გავესაუბრეთ უზენაეს სასამართლოში მიწვეულ უკლებლივ ყველა მოწმეს, რომლებმაც ერთხმად დაადასტურეს, რომ გამოძიება მათზე ზეწოლას ახდენდა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მათ მიერ დაწერილი ახსნა-განმარტებები უკვალოდ ქრებოდა და მათ ნაცვლად, საქმეში ყალბი ჩვენებები ჩნდებოდა.

ასევე დაკარგულია საქმიდან ავტოავარიის ნაკვალევის ამსახველი ფოტოები.

ჩვენ დავუკავშირდით სენაკის რაიონის პროკურატურის ყოფილ გამომძიებელს, **დავით ჯანაშიას**, რომელმაც განაცხადა: „პროკურატურის ორგანოებში 12 წელი ვიმუშავე. იქ გაუსაძლისი პირობებია. პრაქტიკული საქმიანობა შესაბამისობაში არ მოდის კანონმდებლობასთან. კვირაში 4-5 საქმის გამოძიება და საბრალდებო დასკვნის დაწერა მიწევდა. ერთი უმნიშვნელო საქმის გამოძიება გამომძიებელს მინიმუმ 200 ლარი უჯდება. ამ თანხას გამომძიებელი იხდის. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ხშირად ექსპერტიზის განყოფილებას მასალის ლაბორატორიული გამოკვლევისათვის საჭირო რეაქტივები არ გააჩნია და ესეც გამომძიებლის საყიდელია.

— **რამ გაიძულათ, რომ ავტოკატასტროფის გამოძიების მასალები, კერძოდ, მოწმეების ახსნა-განმარტებები გაგეყალბებინათ?**

— კი, დამნაშავე ვარ, ვაღიარებ დანაშაულს, მეტი რა ვქნა?! ზოგიერთი მოწმის ახსნა-განმარტება მაშინ დავკარგე, როდესაც ერთხელ შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად გავედი. ქარი იყო და როდესაც საბუთების ჩავიხედე, ქარმა მოწმეების ახსნა-განმარტებები მომტაცა(?!). ამიტომ მე თვითონ დავწერე და ჩავდე საქმეში. მოწმეებს ხელმოწერილ იმიტომ არ ჩამოვართვი ახსნა-განმარტება, რომ დრო არ მყოფნიდა გამოძიების დასამთავრებლად(?!). — **იქნებ ვახტანგ სართანიამ ან ვალერი ურუმაშვილმა გთხოვეს ახსნა-განმარტებები დაგეკარგათ?**

— არავის არაფერი უთხოვია. ურუმაშვილი არც მინახავს კარგა ხანია, ხოლო ვახტანგ სართანიასთან დღეს ცუდი დამოკიდებულება მაქვს. მართალია დანაშაული ჩავიდინე, მაგრამ სინდის-ნამუსზე ხელი არ ამიღია. უნამუსობა და უსირცხვილო საქციელი კი ზოგიერთ პროკურატურის თანამშრომელს არ შერჩება (ჩვენი დიდი მცდელობის მიუხედავად, დავით ჯანაშიამ არ დაასახელა, ვის გულისხმობდა. — ზ. ჩ.). რა დასამალია, რომ ზოგჯერ პროკურორი გამომძიებელს სთხოვს გამოძიების ჩიხში შეყვანას. ასეთი რამ ჩემთვისაც უთხოვიათ და არაერთხელ მიკამათია ამაზე. პირდაპირ კი არ გთხოვს პროკურორი, მხოლოდ მიგანიშნებს. მე რომ ახლა გითხრათ, სართანიამ ან ურუმაშვილმა მთხოვეს ამ ავტოავარიის საქმის შესახებ-მეთქი, თავს სასაცილო მდგომარეობაში ჩავიგდებ(?!). რატომ არ უშვებთ იმ ვერსიას, რომ შეიძლება მართლაც არ დამიკარგავს მოწმეთა ახსნა-განმარტება და ისინი საქმიდან ამომაცალეს...

ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ ჯანაშიას ადვოკატს, **ვილერი წოწორიას**. მისი განცხადებით: „ხვდებით ალბათ, რომ ჯანაშიამ პროკურორ ვახტანგ სართანიას თხოვნა გაითვალისწინა და საქმე გააყალბა. ამას საჯაროდ ვერ იტყვის ჯანაშია. პროკურორები რომ ჩაუშვას, სამუდამოდ გამოეთხოვება პროკურატურაში ან სხვა საგამოძიებო სტრუქტურაში მუშაობის დაწყების პერსპექტივას“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა აწ უკვე იმერეთის საოლქო პროკურატურის საპროცესო განყოფილების გამგის, **ვალერი ურუმაშვილის** განცხადება: — სრულიად არ ვიცნობ ჯანაშიას ბრალდების საქმეს და თქვენთან ამ საქმის ირგვლივ საუბრის არავითარი სურვილიც არ მაქვს.

— **თქვენ ავტოკატასტროფის საქმის აცილების შესახებ მოხსენებითი ბარათი დაწერეთ, იგი დააკმაყოფილეს და ავტოავარიის საქმის მასალები საოლქო პროკურატურიდან მიიტანეთ სენაკის პროკურატურაში. იქნებ თარიღი გაიხსენოთ?**

— მართალია, მასალები მე მივიტანე სენაკის პროკურატურაში და ვახტანგ სართანიას პირადად გადავეცი — კურიერის მოვალეობა შევასრულე მხოლოდ. როდის გადავეცი სართანიას მასალები, არ მახსოვს...

ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ სენაკის რაიონის ყოფილ პროკურორს, ამჟამად კი მარტვილის პროკურატურის ხელმძღვანელს, **ვახტანგ სართანიასაც**:

— **რატომ არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ავტოავარიის შემდეგ? მით უმეტეს, რომ სამი არასრულწლოვანი დაიღუპა.**

— როდესაც გარდაცვლილების მშობლებთან მივედით და ვთხოვეთ გვამების ექსპერტიზაზე წარდგენა, მშობლებმა სასტიკი უარი განაცხადეს. როდესაც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და გარდაცვალების მიზეზის დადგენა ვერ ხერხდება, კანონით ნება გვაქვს, საქმე არ აღვძრათ(?!).

— **რა საჭირო იყო ექსპერტიზა, ისედაც ყველამ კარგად იცოდა, რის გამო დაიღუპნენ ახალგაზრდები.**

— კანონის მოთხოვნა ასეთია და რა ვქნა?! ისე, მე აქტიურად ვმონაწილეობდი გამოძიების პროცესში. ხშირად ჩამიყვანია სენაკიდან აბაშაში გამომძიებელი ჯანაშია და არაფერი შემიმჩნევია. ეგ კაცი ერთ-ერთ საუკეთესო გამომძიებლად ითვლებოდა რაიონში და რატომ მოუვიდა ასეთი შეცდომა, ვერ გამიგია. მე მისთვის არაფერი მითხოვია...

სტატიას ისევ ადვოკატ **როლანდ შონიას** განცხადებით დავამთავრებთ: „დავით ჯანაშია, როგორც ხედავთ, ღობე-ყორეს ედება — ხან ქარს აბრალებს მოწმეების ახსნა-განმარტებების დაკარგვას, ხან კი ამბობს, რომ მოწმეთა ჩვენებები თითქოს საქმიდან ამოაცალეს. ერთი სიტყვით, ურთიერთ გამომრიცხავი არგუმენტები მოჰყავს, რათა სიმართლე არ თქვას და პროკურორების დანაშაული დამალოს, რაც შეეხება დიმა ცანავას, რომლის მიზეზითაც ავტოკატასტროფა მოხდა და სამი ოჯახი გაუბედურდა, ასეთი შემთხვევა მისთვის პირველი არ არის. იგი სიამაყით აცხადებს, რომ უყვარს ავტომაგისტრალეზე ავტომანქანებთან გაჯიბრება. ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაციით, მან ამ ავტოკატასტროფამდე კიდევ ორი კაცი დაასახიჩრა, მაგრამ პასუხი არ უგია და დღესაც ხელშეუხებელ პირად ითვლება აბაშისა და არა მარტო აბაშის რაიონში. მაგრამ ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ დიმა ცანავას საქმე ცალკე გამოიყო. ყველა დამნაშავეს საკადრისად უნდა მიეზღოს. უზენაეს სასამართლოში კი შევეცდებით, დავამტკიცოთ აბაშისა და სენაკის ყოფილი პროკურორების უკანონო ქმედებები გამოძიების დროს“.

P. S. იმედს ვიტოვებთ, რომ პროკურატურა კეთილს ინებებს და კანონი ყველასათვის იკანონებს.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

ესთეტიკური ქირურგია და კოსმეტოლოგია



ტუჩების კორექცია
ნაოჭების გასწორება
მკერდის კორექცია
ლიპოსაქცია
კონტურული მაკიაჟი
მეზოთერაპია
ეპილაცია
ტელ: 212-312, 364-464

NEW!
სუპერ ლიზინ+ – გამოვუცხადოთ დაუმორჩილებლობა ვირუსებს ! ! !
ჰერპესი. ჰერპეს ზოსტერი. ჰერპეს სიმპლექსი

ჰერპესის ინფექციისაგან სრულიად განკურნება მსოფლიოს მედიკოსთა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. როდესაც ჰერპესი კლინიკურად ვლინდება, მას თან ახლავს ზოგადი სისუსტე, მადის დაქვეითება, გამონაყარი, ტემპერატურის მატება, ტანში ტეხის შეგრძნება, აღგზნებადობა და უძილობა.



ჰერპესის წინააღმდეგ საბრძოლველად კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ საუკეთესო მცენარეულ პრეპარატს "სუპერ ლიზინი+", რომელიც აძლიერებს იმუნურ სისტემას, ხოლო ძლიერი იმუნური სისტემა დაგიცავთ ამ ვირუსისაგან.

„სუპერ ლიზინი+“ წარმოდგენილია აბების, კრემისა და ტუჩის საცხის სახით, რაც აადვილებს როგორც ვირუსის აქტივობის დაქვეითებას სისხლში, ასევე ადგილობრივ მკურნალობას.

„სუპერ ლიზინი+“ გაგიძლიერებთ იმუნურ სისტემას, დაგიცავთ ვირუსებისა და შემაწუხებელი ჰერპესისაგან.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE
მის: დავით აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
www.shopge.com

ასლგადამღები აპარატები
1. იჯარა - ლიზინგი
უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი
შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“
JBCo. Company LTD
აღმაშენებლის №99/1 ☎96-32-89

„ალუპლასტის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 ზ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 13 დეკემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1450 |
| ევრო | 2,6263 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,7514 |
| რუსული რუბლი | 0,0729 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,4932 |

# თანამედროვე სამსახურებრივი რომანი

(იუმორესკა)

პრესტიჟული დაწესებულების რიგით ეკონომისტს ტარიელ ამურიძეს მაინცდამაინც თავისი ხელმძღვანელი, ყველასაგან პატივცემული, ქალბატონი ნანული შეუყვარდა, რის გამოც მთელი დღე გამოთაყვანებული იჯდა სამუშაო ოთახში და საწარმოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გზების ნაცვლად, სატრფოსთან დაახლოების საშუალებებს ეძებდა...

ერთ-ერთი ასეთი „ნაყოფიერი“ დღის ბოლოს კი... ევრიკაო! — აღფრთოვანებულმა შეჰყვირა და თავქუდმოგლეჯილი სადღაც გავარდა...



საღამოს უკვე ტელევიზორს უჯდა და გაფაციცებით ადევნებდა თვალს ახალშეძენილ ვიდეოფილმს სახელწოდებით „სამსახურებრივი რომანი“...

მოგეხსენებათ, ამ პოპულარულ რუსულ ფილმში მსგავს სიტუაციაში რიგითი მუშაკი წარმატებით ახერხებს ხელმძღვანელი ქალის გულის მონადირებას...

— ესე იგი, ყვავილებით უნდა დავიწყო!.. — კმაყოფილმა მოიფშვნიტა ხელები, ფილმი რომ ჩათავდა...

ის ღამე ოცნებებში გაატარა, დილით კი კაბინეტში შესულ ქალბატონ ნანულის ლარნაკში კოხტად ჩაწყობილი უმშვენიერესი ვარდები დახვდა...

ასე გააგრძელდა მთელი კვირა... მერე კი (ფილმის მიხედვით) სიყვარულის გამხელის დრო დადგა და ტარიელიც საგანგებოდ ჩაცმულ-დახურული მიადგა სათაყვანებელი არსების სამუშაო ოთახს. ოღონდ, კარის გამოღებისას ღიმილი პირზე შეეყინა — დირექტორი არსად ჩანდა, იქ შეყრილი თანამშრომლები კი მის მოულოდნელ გადადგომაზე ვიშვიშებდნენ...

— ვერ გაუძლო ფარულ ზეწოლას! — იცრემლებოდა პირადი მდივანი, — ყოველდღე ამ „რევოლუციური ვარდებით“ უხეთქავდნენ გულს...

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

# ახალი ამბები

## ქიმიის სასწაული ქართულ პოლიტიკაში



ბოტანიკური სენსაციის — ნოემბრის ვარდის უნიკალური ჯიშის გამოყვანის შემდეგ, რომლის ეფექტი მსოფლიომ დაინახა, ახალი ხელისუფლება ქიმიაში სენსაციური ნახტომისთვის ემზადება და ამტკიცებს, რომ ჩაატარებს ქიმიურ რეაქციას, რომელიც ისეთ მყარ სხეულებს, როგორიცაა ოქრო, ბრილიანტი, ბინა, აგარაკი, მანქანა, ფული და სხვა, მძაფრი სუნის მქონე სითხედ — ძმრად გადააქცევს...

***ავთო რთველაძე, თბილისი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

მიხო ეუბნება მიტოს:

— ეეჰ, ადრე დავიდგამდი ხოლმე ერთ ვედრო ღვინოსა, ჩავყოფდი შიგ თავს და ბოლომდე გამოვცლიდი...

— ახლა რატო ვეღარა სვამ, ჯანი ხო არ გაგიუარესდა?

— რა ჯანი, რი ჯანი, ვედროში თავი აღარ მეტევა!

***გოგი ვასაძე, ოზურგეთი***



დაბნეული ახალი რაჭველები თავიანთი სახლის წინ დგანან:

— მოხდა რამე? — ეკითხება მეზობელი.

— გარაჟის გასაღები სახლში დაგვრჩა, სახლის გასაღები — მანქანაში, მანქანა კი გარაჟშია!.. — „აუხსნეს“ გულშემატკივარს.

***ჯანსუღ ბოჭორიშვილი, ქუთაისი***





შევარდნაძე და ჯორბენაძე სანადიროდ არიან. უცებ კურდღელი გამოხტა ბუჩქებიდან. შევარდნაძემ დაუმიზნა, ესროლა და ააცდინა. კურდღელი გაიქცა.

— ბატონო პრეზიდენტო, — ეუბნება ჯორბენაძე, — ამ ხნის კაცი ვარ და პირველად ვნახე სასწაული, — მოკლული კურდღელი გარბის!..

***სანდრო, თბილისი***

# გრიფით "არასაიდუმლო"

დღეიდან „კვირის პალიტრას“ კიდევ ერთი მხიარული ტონი შეემატება, რომელიც სხვა თვალით დაგვანახვებს ცნობილი ადამიანების ცხოვრებას...

თქვენმა მონა-მორჩილმა მათი ბიოგრაფობა იკისრა და პირველ რესპონდენტად პარლამენტის „საბიუჯეტო“ ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე აირჩია...

# ბიოგრაფიული დეტალები

კრეისერ „ავრორას“ ისტორიული გასროლიდან ზუსტად 39-ე 7 ნოემბრის ღამით, გალის რაიონის მკვიდრმა, ვინმე რაჟდენ გოცირიძემ თოფის გასროლით ამცნო ქვეყნიერებას XX საუკუნის საქართველოს №1 ეკონომისტის დაბადება. ოჯახის პირველ მოსწრებას რომანი დაარქვეს. „მე რომ დავიბადე, — თვალზე ცრემლით იგონებს ბატონი რომანი — მამაჩემმა გოჭი დაკლა. საწყალი, რა მისი ბრალი იყო!..“



***ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი***

კორუფცია მას შემდეგ შეძულდა, რაც ახალშობილმა საკუთარი თვალით ნახა, რომ ბავშვის პირველ დაბადების დღეს, მამამისმა ფული მის ნაცვლად ექიმს აჩუქა. ოჯახი მდიდრულად არ ცხოვრობდა, მაგრამ ძალიან ცუდი მჭამელი ბავშვისთვის კარაქი და ცხიმიანი ფაფები რომ დაეძალებინათ და პირის გასაღებად 20 კაპიკითაც „მოექრთამათ“, ამდენის საშუალება ყოველთვის ჰქონდათ. ასე რომ, „კორუმპირებულობის“ ეტაპიც ბავშვობიდანვე მოილია. მერე სპორტით დაინტერესდა და სლავა მეტრეველით მოხიბლულმა ჯერ სკოლის, მერე კი რაიონის საფეხბურთო ნაკრებში ამოჰყო თავი; მაისურზე „9“ ნომერი მიიწერა და კარგადაც ართმევდა თავს ამ ამპლუას, მაგრამ იმდენად გამხდარი და მსუბუქი იყო, რომ გოლები მხოლოდ ქარის მიმართულებით გაჰქონდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ენგურის ტალღებს მისცა თავი, მშვიდობით მოაღწია მეორე ნაპირამდე და გეზი დედაქალაქისკენ აიღო. ძალიან უნდოდა, ფილოლოგიურზე ან ფილოსოფიურზე ჩაებარებინა, მაგრამ „უცხო ენებიდან“ მეგრული იცოდა ყველაზე კარგად, რაც ნაკლებად გამოადგებოდა და ჩაჭრის შემთხვევაში, ჯარში რომ არ წაეყვანათ, ეკონომიურზე ჩააბარა. სამ თვეში საბუთები უკან გამოიტანა, რომ ნატვრა აესრულებინა, მაგრამ უცხო ენა ისევ აქილევსის ქუსლად რჩებოდა, ამიტომ კომისარიატს იმით დაემალა, რომ ისევ ეკონომიურზე ჩააბარა. 1-ელ სექტემბერს, აუდიტორიაში შემოსულმა დეკანმა იცნო და სტუდენტებს განუცხადა — ეს ბიჭი მთლად ნორმალური არ გეგონოთ, აი, ნახავთ, თუ ორიოდე თვეში არ მიგატოვოთო... ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც იმ დეკანის ნათქვამი ახდა: კომისარიატმა დეზერტირობისთვის ინსტიტუტი მიატოვებინა და ორწლიან სამხედრო სამსახურში, ციმბირს გააცილა. იქიდან დაბრუნებული კი უკვე მესამედ დაჯდა პირველ კურსზე.

მოგეხსენებათ, სამჯერ ჭიკარტზე რომ დაჯდე, იმასაც მიეჩვევი კაცი. ჰოდა, ჩვენი გმირიც შეეჩვია მომავალი ეკონომისტის მერხს და ამით საქართველოს გენიოსი ფილოსოფოსი დაუკარგა...

მერე ასპირანტურაში ჩააბარა, დისერტაციაც დაიცვა და შიშველი კალკულატორით ეკონომიკური რეფორმების მამამთავრად გადაეშვა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში.

ერთხელ, პრეზიდენტ გამსახურდიას ოპოზიციაში ყოფნისას, „კარვის ქალების“ ალყაში მოხვდა და გასაწიწკნად განწირულმა ბავშვობაში ნასწავლი მეგრულის წყალობით იხსნა თავი. ისიც უთხრა „თავდამსხმელებს“, რომ ეს ულამაზესი ენა სწორედ პრეზიდენტის სიყვარულით ისწავლა და ისე მოხიბლა ქალები, რომ დაოჯახებაც შესთავაზეს: — ჩვენს კარავში სამი უკვე დავაქორწინეთ და მეოთხე შენ იქნებიო... მაგრამ ბატონი რომანი მიხვდა, რომ კარავში დაქორწინებულს, თაფლობის თვის გატარებაც ქვაფენილზე მოუწევდა და კარზე მომდგარ ბედს ზურგი აქცია.

კომუნისტების „მეორედმოსვლის“ შემდეგ, კუპონიზაციის ცნობილი ბატალიები დაიწყო, რომლის ერთ-ერთ „მამად“ ბატონი რომანიც მოიხსენიებოდა მეტსახელით „მისტერ კუპონი“ და როგორც ამბობდნენ, კუპონის ყველაზე მსხვილ კუპიურაზე მისი პროფილის დახატვასაც აპირებდნენ, მაგრამ ჩვენმა მტერმა გაძლო ისე, როგორც კუპონმა გაძლო: სასადილოში 100-კუპონიანი ხარჩოს საჭმელად შესულ კაცს ჭამის შემდეგ უკვე 100.000 უნდა გადაეხადა. შემდეგ ბატონმა რომანმა უარი თქვა ვიცე-პრემიერის თანამდებობაზე და ეამაყება, რომ ისე სუფთად დატოვა პოსტი, რომ 20 ლიტრი ბენზინის ფულიც არ ჰქონია ჯიბეში. ამიტომ მხოლოდ 10 ლიტრი ჩაასხა და დაღმართებში გათიშვით მიაგორა მანქანა სახლამდე...

ასე დაკარგა თანამდებობა, მაგრამ შეიძინა ბედნიერება — ქალბატონი მანანა შარაშიძე, რომელიც ცოლად არაფრით მიჰყვებოდა, სანამ ჩინოვნიკი იყო. რამდენიმე წელი მეუღლის ოჯახში ცხოვრობდა სამ ფსიქიატრთან ერთად (მეუღლე, სიმამრი და სიდედრი), რამაც, ხუმრობით რომ ვთქვათ, „წარუშლელი“ შთაბეჭდილება დატოვა მასზე... ჰყავს ორი შვილი და ერთი კატა, რომელიც სრულუფლებიანი წევრია ოჯახისა, რადგან პედაგოგიური აღზრდისათვის უყიდეს 5 წლის ანას. მაგრამ სპარსული ჯიშის კატამ ძველისტორიული სპარსული ვანდალიზმი გამოიჩინა „რა ხდებას“ სტუდიაში და კოკა ყანდიაშვილს პირდაპირ ეთერში შეუჭამა „შპარგალკად“ დადებული ფურცლები.

ამჟამად, ბატონი რომანი გახლავთ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსი, თბილისის საკრებულოს წევრი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი და თავს საერთო ოჯახური ბიუჯეტის წყალობით, საშუალო ფინანსური შესაძლებლობის ადამიანად მიიჩნევს...

### ავტორისეული ანეკდოტი

სამი ფსიქიატრის ოჯახში მცხოვრებ საყვარელ სიძეს დაბადების დღეზე ცოლმა, სიდედრმა და სიმამრმა მამაკაცის საოჯახო ზოლებიანი პიჟამა აჩუქეს...

— ხომ არ გაგიჟდით! — აღშფოთდა ბატონი რომანი — ბარემ ნომერიც მომაკერეთ და პაციენტად გამაფორმეთ!..

P.S. რუბრიკა გრიფით „არასაიდუმლო“ კიდევ მრავალი ცნობილი ადამიანის ბიოგრაფიას გაგაცნობთ...

***ავთო მარგველაშვილი***

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.**

**მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.**

## მილოცვა



**ანა ანთიძეს!**

გილოცავ წმინდა ბარბარეს დღესასწაულს და 8 წლის შესრულებას. გაიზარდე ჯანმრთელი და ბედნიერი.

ღმერთი იყოს შენი მფარველი.

*ლია ბებო, ჯემალი ბაბუა*

## მადლობა

2002 წლის 16 ოქტომბერს დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურთან სატვირთო ავტომობილი შეეჯახა ფეხით მოსიარულე მგზავრებს, რომელთაგან ერთი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მეორემ სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო. მძღოლმა დახმარების გარეშე მიატოვა დაზარალებულები, ცოტა მოშორებით – ავტომობილიც და მიიმალა.

მე, ავტოავარიაში გარდაცვლილი ნელი ალთუნაშვილის მეუღლე, ქ. თბილისიდან ფასანაურში, თანასოფლელებთან ერთად მიკროავტობუსით მიმავალი, იმ საბედისწერო დღეს პირველი მივადექი შემთხვევის ადგილს და ყოველივე ჩემი თვალით ვნახე. იქ არსებული სიტუაციიდან და მოწმის ჩვენებიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ გამოძიებას არ უნდა გასჭირვებოდა ჭეშმარიტების დადგენა, თუმცა საქმე შეჩერებულ იქნა, დამნაშავე პირის დაუდგენლობის მოტივით და არც რაიონის პროკურორის მიერ გაგრძელებულ საგამოძიებო ვადას მოუცია რაიმე შედეგი.

იძულებული შევიქენი, დახმარება მცხეთა-მთიანეთის ოლქის პროკურორისათვის – ბატონ გია გიორგობიანისთვის მეთხოვა. ბატონმა გიამ და მისმა მოადგილემ, ბატონმა ნუგზარ ჭინჭარაულმა ყურადღებით მოისმინეს ჩემი გულისტკივილი და იმედი მომცეს, რომ სიმართლეს დაადგენდნენ და დამნაშავეს სათანადო ადგილს მიუჩენდნენ, რაც მართლაც ასე მოხდა.

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გადავუხადო ბატონებს: **გია გიორგობიანს და ნუგზარ ჭინჭარაულს**, მცხეთა-მთიანეთის მხარის საგამოძიებო განყოფილების უფროსს ბატონ **თემურ წიქარიძეს**, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ დანაშაული გახსნილიყო და ჭეშმარიტებას ეზეიმა; ასევე დიდი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით, მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო ამ საქმის უშუალო გამომძიებელს – ბატონ **ზაზა მარიდაშვილს**, ნამდვილ პროფესიონალს და გულისხმიერ ადამიანს. ვუსურვო მას პირადი ბედნიერება და სამსახურებრივი წინსვლა, ხოლო ჩვენს საგამოძიებო სისტემას კი – მისნაირი ახალგაზრდა კადრების სიმრავლე.

*პატივისცემით, დაზარალებული შ. წიკლაური*

სიკეთის წილ სამადლობელი სიტყვები მინდა ვუთხრა შპს კარდიოლოგიური კლინიკის ფუნქციური დიაგნოსტიკის განყოფილების გამგეს – ბატონ **სერგო ორჯონიკიძეს** და მის კოლექტივს, იმ დიდი თანადგომისა და გულისხმიერებისათვის, რასაც ისინი იჩენენ თავიანთი პაციენტების, მათ შორის, ჩემ მიმართ.

ღმერთო, გვიმრავლე ქართველ ერს თქვენებრ სათნო ადამიანები.

*პატივისცემით, მადლიერი პაციენტი, დევნილი გაგრიდან, ენგული იობაძე*

დიდ მადლობას ვუხდი ლაგოდეხის რ-ში, შპს „კლეოპატრის“ დირექტორს **გია ლობჟანიძეს**, ქირურგს **გია ნოზაძეს**, მკურნალ ექიმს **მიშიკო ბოჟაძეს** და მთელ მედპერსონალს, გამოჩენილი ყურადღებისათვის.

*ხრიშუ ვანო ოჯახით*

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 37-86-15; 893 33-18-86

გვესაჭიროება თერაპევტი, ონკოლოგი, კარდიოლოგი, ენდოკრინოლოგი, პედიატრი სამედიცინო კონსულტანტის თანამდებობაზე. ჩაწერა გასაუბრებით. ტელ: 64-63-40; 893 28-25-59

ფირმას ესაჭიროება პასუხისმგებელი პირი, ხელმძღვანელის თანამდებობაზე, ოფისში სამუშაოდ, უ/გ, 35-40 წლამდე. ჩაწერა გასაუბრებით. ტელ: 96-00-76

## ვეძებ სამუშაოს

ვარ პროფესიონალი მძღოლი ყველა კატეგორიით, თბილისელი, 35 წლის. ვიმუშავებ პირად მძღოლად ან მიკროავტობუსზე. მაქვს საკმარისი გამოცდილება. ტელ: 70-25-11; 899 28-90-88. ბესო

## მომსახურება

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი“, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით), გააკეთეთ სწორი არჩევანი და თქვენი სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია: 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, IX კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ვაწარმოებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სამეულების გადაკვრა-დარბილებას, სკამების მატრასების გადაკვრა-გაახლებას. ვღებავ ტყავის სამეულებს. ტელ: 95-97-12

## მკურნალობა

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი“. ტელ: 91-18-33; 877 41-50-30

ჰიპერტონია, არითმია, სახსრები, მარილები, ნევროზი, დეპრესია, შიშები, უძილობა, ვარიკოზი, თრომბოზი, სისხლძარღვების შევიწროება, ფსორიაზი, კანის სხვადასხვა დაავადება, პროსტატიტი, ცისტიტი, პრობლემური კლიმაქსი. მკურნალობა აკადემიკოს ლიხაროვის მეთოდებით. ტელ: 99-75-90; 899 22-63-90

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს: უნებლიე შარდვას, ყურებში შუილს, პროსტატიტს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, თმის ცვენას, ფსორიაზს, ჰეპატოქოლეცისტიტს, ორგანიზმში დაგროვილ სითხეს, აშორებს მეჭეჭებს; სექსუალური დარღვევა; ელექტროკარდიოგრამა; ექოსკოპია; სქესის დადგენა. მის: ალმაშენებლის გამზ. №93 (მ. „მარჯანიშვილთან“). ტელ: 96-38-27

მაქსიმალურად გარანტირებული, უსწრაფესი შედეგებით ვმკურნალობთ ოსტეოქონდროზს, დისკოზს (დისკის ამოვარდნა), ნერვის ანთებას, რადიკულიტს, პლექსიტს, სახსრების დაავადებებს (ანთება, მარილების დაგროვება). კონსულტაცია-გასინჯვა უფასოა! მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან“, ც. დადიანის №87), კაბ. №11. საათები – შეთანხმებით. ტ: 61-02-97; 39-39-97; 899 57-16-99. ექიმი ალექსიშვილი

ქართული ფლორის მცენარეებით და აპითერაპიის (ფუტკრის) პროდუქტებით გთავაზობთ ბავშვთა და მოზრდილთა ყველა სისტემის კომპლექსურ მკურნალობას (ახალი მეთოდით). აქვე ტარდება უზუსტესი კომპიუტერული დიაგნოსტიკა. მიღება – ტელეფონზე წინასწარი ჩაწერით. მის: ალმაშენებლის №109 (ეზოში, მარცხნივ, ნაცრისფერგისოსებიანი ოფისი), ფიტოთერაპიული კაბინეტი „კოლხი მედეა“. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტელ: 96-35-92 (სახ); 899-74-23-69 (10-17 სთ, კვირის გარდა)

ალერგია! გთავაზობთ ევროპაში მიღებული გერმანული და ფრანგული ალერგენებით შემდეგი დაავადებების მკურნალობას: ბრონქული ასთმა, პოლინოზი, რინიტი, ჭინჭრის ციება, კვინკეს ტიპის შეშუპება, ალერგიული დერმატიტი, საუკეთესო შედეგებით. მის: რკინიგზის საავადმყოფო (ვაგზალთან), V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება (11-14 სთ). ექიმი ჯულიეტა. ტელ: 899 22-26-37

ნატურალური პროდუქტებით გთავაზობთ შემდეგი დაავადებების მკურნალობას: დიაბეტი, პრობლემური კლიმაქსი, წითელი ქარი, ჰეპატიტი, შარდის შეუკავებლობა, ანემია, ჰაიმორიტი, ფიბრომა, მიომა, კოლიტი, პროსტატიტი, რადიკულიტი. ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 29-17-72 (საღამოს)

პირველად საქართველოში! აკადემიკოს ვ.ა. ლიხარიოვის მეთოდით: ნევროზი, უძილობა, შიშები, თავის ტკივილები, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, სახსრების მარილოვანი დაავადებები, ასთმა, ალერგია, ჩიყვი, ენურეზი, სოკო, ფსორიაზი, პრობლემური კლიმაქსი, დიაბეტი, კუჭის წყლული. ტელ. 99-75-90 (დილით); 899 21-13-66. ლალი

გთავაზობთ რადიკულიტის, იშიაზის, სხვა ნერვის ანთების მკურნალობას მალამო „რადიშით“. რეცეპტი – მცენარეულ-ფარმაკოლოგიური შემადგენლობის, პროვიზორ კუკური ჭანტურიასი (პატენტი 585). დამზადებულია ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში. გაყიდვაშია PSP აფთიაქებში, უზნაძის ქ. №76-ში. ტელ: 96-06-93; 893 93-53-21

გასტრიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ბუასილი, კოლიტი. ტელ: 99-75-90. მაია (12-18 სთ)

ყურადღება! ჯანმრთელობის მარგალიტებით ვკურნავ შემდეგ დაავადებებს: ოსტეოქონდროზი, მარილები, რადიკულიტი, ართრიტი, ართროზი, სახსრების ანთება, ქრ. ქოლეცისტიტი, ქრ. გასტრიტი, ასთმა, ჩიყვი, ალერგია, ქრ. ბრონქიტი, წყლულოვანი დაავადებები, თმის ცვენა, ფსორიაზი, სოკო. ტელ: 99-75-90; 893 97-74-62. მარიკო

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

სწრაფად შეგასწავლით საოფისე პროგრამებს (ვინდოუსი, ვორდი, ექსელი) ინდივიდუალურად. ფასი 60 ლარი. ტელ: 34-32-79; 899 91-86-81

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

## იყიდება

განაშენიანებული მიწის ნაკვეთი 2200 კვმ, მუდმივი წყლით და დენით, დიღმის სასწავლო მეურნეობაში. ნაკვეთი შემოღობილია კაპიტალურად. ტელ: 59-51-55; 899 55-43-17; 899 71-55-30

ჩინური ტრაქტორები XINTAL 180, XINTAL 120. კომპლექტში შედის გუთანი, მისაბმელი და ფრეზი. 899 53-01-03; 899 72-45-77

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (10-12სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი“, 12-16 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

ნებისმიერი კვეთის „ბარაბნებზე“ დახვეულ ფოლადის მრავალძარღვიან „პს“ მარკის ახალ ელექტროსადენებს. ტელ: 899 14-28-16

## სხვადასხვა

გამოვიდა „კვირის პალიტრის“ რუბრიკა „მამულ-დედულის“ ავტორის, **ნიკოლოზ იოსებიძის** საბავშვო ლექსების კრებული. წიგნში მოთავსებულ მხიარულ ლექსებს კიდევ უფრო ახალისებს ზაალ სულაკაურის ნახატები. კრებულის შეძენა შეგიძლიათ წიგნის მაღაზიებში.





# რას გადაიხდით საკუთარ წარმატებაში?

# გრანდიოზული ფასდაკლება!



## რეკლამა „სიტყვა და საქმეში“

5 გამოქვეყნება -20%

10 გამოქვეყნება -25%

15 გამოქვეყნება -30%

20 გამოქვეყნება -35%

25 გამოქვეყნება -40%

30 გამოქვეყნება -45%

35 გამოქვეყნება -50% + უფასო დამზადება

☎ 33-78-07

## გაზარდეთ თქვენი შესაძლებლობები!

## შ.პ.ს „ელვასერვისი“ ქ. თბილისის მაცხოვრებლებს და ორგანიზაციებს გთავაზობთ საახალწლო საჩუქარს



მკითხველი, რომელიც 31 დეკემბრამდე გამოიწერს ჩვენ მიერ შემოთავაზებული გამოცემებიდან ნებისმიერ გაზეთს ან ჟურნალს მინიმუმ 6 თვით, საკუთარი სურვილისამებრ საჩუქრად მიიღებს ვაჟა გავაშელის კრიმინალურ მოთხრობათა წიგნს — „ვერსია“ ან ქართული და უცხოური ზღაპრების აუდიოკასეტას.

ნებისმიერი ორი გამოცემის მინიმუმ 6 თვით გამოწერის შემთხვევაში, თქვენ დასაჩუქრდებით როგორც წიგნით, ასევე კასეტით, ხოლო სამ და მეტ ჟურნალზე ან გაზეთზე ხელმოწერის გაფორმებისას კი აღნიშნულ წიგნსა და კასეტასთან ერთად. თქვენ მიიღებთ 2004 წლის კედლის მოსახევ კალენდარს, რომელიც თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ შეარჩიოთ „კვირის პალიტრის“ მიერ გამოცემულ 4 სახის („კვირის პალიტრის“, ქალთა, სამედიცინო და ბავშვთა) კალენდართაგან.

### გამოცემები, რომლებიც მონაწილეობენ „ელვასერვისის“ აქციაში:

| | | |
|---|---|---|
| 1. „კვირის პალიტრა“ - 13.0 | 4. „ოჯახის მკურნალი“ - 9.1 | 7. „კარუსელი“ - 26.0 |
| 2. „სიტყვა და საქმე“ - 39.0 | 5. „ბომონდი“ - 26.0 | 8. „ეტალონი“ - 9.1 |
| 3. „გზა“ - 15.6 | 6. „რეიტინგი“ - 15.6 | 9. „მსოფლიო სპორტი“ - 36.4 |

(ჩამონათვალში მითითებულია 6-თვიანი გამოწერის ფასები ლარებში)

*დაგვირეკეთ ან შეავსეთ ქვითარი და გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით და ჩვენი წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ თქვენთვის სასურველ ნებისმიერ მისამართზე.*

*მოხარული ვიქნებით თქვენთან თანამშრომლობით.*

*ჩვენი ტელეფონებია: 332673; 331003.* www.elvaservice.com

### გამოწერის ბარათი

მსურს გამოვიწერო ________ ________

მსურს მივიღო საჩუქრად ________

მისამართი ________

________ ტელეფონი ________

## გურამ ნადირაშვილის გახსენება



გურამ, ძვირფასო, 13 დეკემბერი შენი დაბადების დღეა და თანაც მწარედ მოსაგონარი 28 დეკემბერი, რომელმაც სამუდამოდ წაგვართვა შენი თავი. დაბადების დღის მერე დათვლილი ყოფილა შენი დღეები, რადგან გაშლილ სუფრასთან შენ და შენი ძმა, ხელიხელგადახვეულები ტიროდით. ალბათ გული ცუდს გიგრძნობდათ და ასეც მოხდა.

ნათქვამია, — დრო მკურნალიაო. არა, ძვირფასო, არ ყოფილა დრო მკურნალი. უფრო გვიყვარხარ, გვენატრები და მუდამ დიდი სიყვარულით გიგონებთ.

ნათელში გამყოფოს ღმერთმა და ილოცე შენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის.

*შენი მეუღლე როზა ნოზაძე*

## ზურაბ დემურიას გახსენება



ოთხი წლის წინ მოულოდნელად შეწყდა შენი გულისცემა. უხმოდ, ძილში დატოვე წუთისოფელი, ფოთის გემთსაშენი ქარხნის გენერალურმა დირექტორმა.

შვილო ზურაბ, მაშინ შეწყდა შენი გულისცემა, როცა სჭირდებოდი შენს ცოლ-შვილს. შენი მარიკა უკვე სტუდენტია, დათოც მალე დადგება ფეხზე. ნინო არაფერს აკლებს შენს შვილებს და უნდა, ისეთები გამოვიდნენ, როგორიც შენ იყავი.

შვილო ზურაბ, შენი ცოლ-შვილი იქიდან დაიცავი, მე კი შენთან წამიყვანე. მინდა ჩაგეხუტო. მენატრები. ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

*შენი დამწუხრებული დედა*

## ზურა დემურიას ხსოვნას!

17 დეკემბერი — დღე, რომელმაც სამუდამო დაღი დაასვა ჩემს ცხოვრებას და საუკუნოდ დაიკავა ადგილი ჩემს გულში. ამ დღეს დავშორდით, მამა, ერთმანეთს. ძალიან მიჭირს ამ დღის გახსენება, თვალცრემლიანი ვიხსენებ იმ წამებს, როცა ზეცამ შენი თავი წამართვა. მე კი, მხოლოდ ის დამრჩენია, რომ ღმერთს შევავედრო შენი სული. ეს ლექსი ჩემი გულისნადებია, შენი მონატრება, რომელიც ფურცელს გავუზიარე:

*„ძალიან მენატრები, სადა ხარ ნეტავ?*
*ღამეს უშენოდ ვხვდები გულბოროტს,*
*ეს ხომ ის არის, რამაც უეცრად,*
*შენი სიცოცხლე გამგლიჯა ხელით.*
*ნეტავ სადა ხარ, ალბათ იქ, მაღლა,*
*სადაც დროთა სვლა აღარ არსებობს,*
*ალბა იქ, სადაც მუდამ მზე არის*
*და ჯოჯოხეთი არ არის ახლოს.*
*რატომ და რისთვის? როგორ და ვისთვის?*
*დამემშვიდობე, არ მახსოვს სრულად.*
*მე შენთან მინდა, რომ ვიყო მარად,*
*მაგრამ ეს ახლა მხოლოდ ბოდვაა.*
*გავლენ კვლავ წლები და ჩვენ ისევე*
*ერთად ვიქნებით ღვთის საუფლოში.*
*მართალი არის, როცა ამბობენ —*
*ღმერთსაც კი კარგი უნდა თავისთვის.*

## ლექსო მთვარელიძის მონატრება



ჩვენო ლექსო, 20 დეკემბერი შენი დაბადების დღეა. გილოცავთ. 24 წელი შეგისრულდებოდა, ეს ხომ შენი წლოვანება. თავზარდამცემი იყო შენი ნაადრევი წასვლა. მოუშუშებელი ტკივილი დაუტოვე შენს უბედურ მშობლებს, ძმას, ნათესავებს, მაგრამ გვჯერა, რომ სამოთხეში ხარ, შენი სპეტაკი სულის გამო. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავზე და სანთლები ავანთოთ.

*ნათლიის ოჯახი*

## დაბადების დღეს გილოცავთ, ნინო!



17 დეკემბერს შენი დაბადების დღეა. ბედნიერ ვხედავდით უშენოდ ამ დღეს, ჩვენი ლამაზო, სულით მდიდარო, სათნო, საყვარელო ნინო. შენ ხომ ჩვენს ცხოვრებაში ნათელი იყავი.

*რა საჭიროა მოთქმა, ტირილი,*
*ქარის ფილტვებით სუნთქვა,*
*იყოს ყვავილი მხოლოდ ყვავილი,*
*იყოს ცრემლიც სუფთა.*

*№18 ბავშვთა პოლიკლინიკის მეგობრები*

## დავით ყაჩაურის გახსენება



უკვე სამი წელია, უშენოდ ვხვდებით 19 დეკემბერს. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ხათუნა და ზაზა*

## თათია მაქაცარიას მონატრება



მძიმეა, თათული, ეს ერთი წელი ჩვენთვის, შენი მამიდის და მამიდაშვილებისთვის — უშენოდ და სოფიოსთვის. ჩვენი უსაყვარლესი და პატარა ანგელოზი, რომ არა ის უბედური დღე, რა ბედნიერები ვიყავით — [illegible] ლენინგრადიდან. ახლა კი გახსენებაც კი გვიჭირს, ჩვენი სახლის ის ლამაზი ნაწილი. გვენატრები... უფრო გვიყვარხარ... შენ მარილა ვარსკვლავებს მოსწყდი — არ მოგვკვდარხარ... შენ, 10 წლის პატარა გოგონა, ქრისტეს სიხლოვეს და ხორცით ნაზიარები — [illegible] იმ უბედურ დღეს, რომელსაც საუფლოში ჰქვია.

მუდამ ვილოცებთ შენთვის.

*შენი მამიდაშვილები: უჩა და სოფო ალანიები*

## ალიკა ბერიძის მონატრება



როგორ მოგვენატრე, ბიჭო ალიკა — ან გულჩახვეულო ყველასთვის, როცა ჩვენს ოჯახში მოსვლას დააპირებდი. ნეტავ ისევ გელოდებოდეთ, ჩვენი პატარა ძმაო. შენ ხომ ჩვენი მეორე ძმა იყავი, გვესიხარული შენი მამიდაშვილობა.

რა თავზარდამცემი იყო ის ტელეფონის ზარი, საიდანაც შევიტყეთ შენი დაღუპვა ავტოავარიაში. წამებში ჩვენს და თან გაიყოლა უამრავი ოცნება. შენი გახსენებისას ცრემლები გვახრჩობს. რა აუტანელია ეს მწარე სინამდვილე.

სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებულს, სიკეთითა და სიყვარულით სავსეს, მუდამ მოხდენილი ღიმილი დაგთამაშებდა სახეზე.

დედისერთა ლამაზი ბიჭი, ლაღად იზრდებოდი შენს საყვარელ ხაშურში. ამიტომაც გქონდა ლამაზი ბუნება და ყველას დიდი სიყვარული, რითიც ადამიანებს იპყრობდი.

მწარეა იმ სიმღერების მოსმენა, რომლებსაც ასე ლამაზად გვიმღეროდი.

შენი სახით, უზადო გარეგნობის, იუმორით სავსე, ღიმილიანი ბიჭი დააკლდა ჩვენ სანათესავოს.

რამდენი ტკბილად მოსაგონარი სიტყვა გვაგონდება, ჩვენო ალიკა. ისე ლამაზად განვლე 23 წელი, რომ შენს ახლობლებს და სამეგობროს გაუნელებელი ტკივილი დაგვიტოვე, რომელიც ვერასოდეს განელდება. შენ მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა ბედისწერამ, ჩვენ კი — შენი დაკარგვით გამოწვეული დიდი ტკივილი და მონატრება.

რაც დრო გადის, უფრო გვენატრები, უფრო მტკივნეულია შენთან განშორება, მაგრამ ნუგეში ერთია: ღმერთმა თავისთან გიხმო ცათა სასუფეველში, ღმერთსაც ხომ რჩეულები უყვარს... გეფერებით, გვიყვარხარ, გვენატრები. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სპეტაკი სული. ჩვენ მუდამ ვილოცებთ შენი ლამაზი წმინდა სულისთვის.

4 დეკემბერი ხომ შენი დაბადების დღეა. გილოცავთ.

*იზო ბიცოლა, მზია, ნუკრი, ანა და თამუნა ლაბაძეები*

## მანანა უზნაძე-ჩიქვინიძის ხსოვნას!



ჩემო მანანა! რა უეცრად, წამიერად გამომეცალე ხელიდან, ჩემო უძვირფასესო ადამიანო, საზრიანო და ჭკვიანო, კეთილო და საამაყო ქალო, ჩემო უხვო და ბარაქიანო, რომანტიკულო და მეოცნებევ!

ძალიან მომენატრე! არ მემეტები იმქვეყნიური ცხოვრებისათვის!

ვერ ვეგუები უშენობას! ჩვენ ხომ ყოველდღიურად, საათობით ერთად ვიყავით, ვიცოდით ერთმანეთის ავი და კარგი!

ო, როგორ მაკლიხარ!

შენ ხომ სულით ხორცამდე ჩასწვდებოდი ადამიანს ბოლომდე, როგორი სიღრმისეული, მართალი, გულიანი და დამფასებელი იყავი ყველასი და ყველაფრის ამქვეყნად!

მენატრები უზომოდ, დიდი სიცარიელეა უშენოდ, ჩემო მანანა!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული!

გიხსენებთ მუდამდღე, დიდი სიყვარულითა და ცრემლით.

*შენი ნანა ზაქარიაძის ოჯახი*

## ზაზა გურაშვილის მონატრება



13 დეკემბერს შენი დაბადების დღეა. ახლობლები ერთმანეთს ვეკითხებით, — ამ დღეს როგორ შევხვდეთ? 34 წლის მანძილზე, 13 დეკემბერს სიხარულით, ერთად აღვნიშნავდით, ახლა კი დღესასწაული გლოვის დღედ გვექცა, ერთმანეთს დაბნეულები შევყურებთ.

13 დეკემბერს დაბადების დღეს ახლობელთა ცრემლები მოგილოცავს. დამძიმებული, ნაღვლიანი წლები დაგვიტოვე გასავლელი. მიდის ცხოვრება და შენი დარდიანი მშობლები და ძვირფასი მეუღლე მძიმე ნაბიჯებით მიჰყვებიან. იმ საშინელ დღეს თითქოს ცაც ჩამოიქცა, აცრემლდნენ შენი ახლობელ-მეგობრები, ნაცნობ-უცნობები. შენმა პატარა ვაჟკაცებმა ზვიადმა და გიორგიმ იგრძნეს თავს დამტყდარი უბედურება. ეგონათ, პასუხს გასცემდი და მოეფერებოდი ორივეს.

ზაზა, ვერ შევეჩვიეთ უშენობას. სევდას, ტკივილსა და მწუხარებას შენი სახელი ჰქვია. უსასრულო მონატრებასაც შენი სახელი დავარქვით.

ამბობენ, ღმერთს რჩეულები თავისთან მიჰყავსო, ჰოდა, შენც ხომ იმ რჩეულთაგანი ხარ. ეს არის ჩვენი იმედი, ჩვენო საყვარელო ზაზა. ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ, ჩვენი ლოცვითა და კურთხევით დაგიმკვიდროთ მარადიული სასუფეველი იმ უკიდეგანო, შეუცნობელ სამყაროში. გვჯერა — ილოცებ შენს ოჯახზე და ყველა ის სიკეთე შენი გავლილი კაცური ცხოვრებიდან იფეთქებს და აკაშკაშდება შენი ზვიადისა და გიორგის გენებში.

*ამიერიდან მუდამ შენთვის მლოცველი ბიძაშვილები*

## ნუნუ ჯიბლაძის ხსოვნას!



ცრემლითა და მოგონებით გაილია 40 დღე, რაც ჩვენთან აღარ ხართ, ქალბატონო ნუნუ. ყველას დაგვაკლდა თქვენი სითბო, სიკეთე. ქრისტიანმა ქართველმა ქალმა, მთელი თქვენი ცოდნა მიუძღვენით ხულოს რაიონის სოფელ რაქვთის ახალგაზრდობას. იმ დროისთვის გმიროპის ტოლფასი საქმე დაგიფასეს და დამსახურებული პედაგოგის წოდება მოგანიჭეს. ოჯახიც იქ შექმენით. 5 შვილის დედა დაუღალავად აზიარებდით ქართულ ენასა და ლიტერატურას სოფელს.

სიკვდილის წინ, სადაც დაიბადეთ, იქ ითხოვეთ წასვლა, მაგრამ თქვენზე შეყვარებულმა სოფელმა ქრისტიანული წესით აჭარის მიწას მიგაბარათ. გულდაწყვეტილნი, მაგრამ მხრებში ამაყად გაშლილნი, დაგემშვიდობნენ: შვილები — ლიო, გიგლა, თამილა, დალი და მანანა; რძალი, სიძეები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, აღმზრდელები, სანათესავო, მხრებგაშლილნი, რადგანაც მათ ხომ ცხოვრების ლამაზი გზა დაუტოვეთ. პოეზიაზე შეყვარებულს გიძღვნით ლექსს:

*გულმოწყალებაში გვავდე*
*გულმოდგინებაში გვავდე,*
*გულგაშლილობაში გვავდე,*
*გულსწავლულობაში გვავდე,*
*მინდა, სიკვდილშიაც გვავდე,*
*მინდა, აღდგომაშიც გვავდე!*
*მინდა გვავდე!*
*მინდა გვავდე!*

მსუბუქი იყოს თქვენთვის ქართული მიწა.

*დისშვილები და ძმისშვილები*

## ჯემალ დუნდუას გახსენება



ჩვენო უსაყვარლესო და გაუსაძლისო ტკივილო, ძმისშვილო ჯემალ, 17 დეკემბერს — ბარბარობას 30 წელი შეგისრულდებოდა, რომ არა ტრაგიკული შემთხვევა. შენ კი მუდამ 16 წლის მზეჭაბუკად დარჩი ჩვენს გულებში.

რა ბედნიერები ვიყავით მაშინ, როდესაც შენ მოევლინე ამ ქვეყანას შენი ბიძის, ჩვენი 21 წლის ძმის მაგივრად. ისიც ხომ ტრაგიკული შემთხვევის მსხვერპლი იყო. მისი მოსახელე, მეორე ჯემალი...

რა უბედურები ვართ ახლა.

თქვენ დავიწყება არ გიწერიათ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სულები.

*ლაურა და გულიკო დუნდუები*

## ზაურ კორახაშვილის ხსოვნა-მონატრება



10 წელი გავიდა იმ საშინელი დღიდან. 1993 წლის 10 დეკემბერს შენმა მოულოდნელმა სიკვდილმა ასტრახანის მიწაზე, შემზარავი მეხი დამცა. ჩვენი ბედნიერება ზამთრის იმ ერთმა დღემ მოიტაცა და იმ ქალად მაქცია, რომელიც დღემდე მოგონებებით ცოცხლობს, იმ ბედნიერი მოგონებებით, დედოფალივით რომ მაცხოვრე 8 წელი.

საამაყო მეუღლე და მამა იყავი. შენ ჩვენთვის მოუშუშებელ ტკივილად დარჩი. მინდა, ერთ დღეს ბედნიერმა გავიღვიძო, აღარ ვიგრძნო მძიმე ტვირთი, გულზე რომ მაწევს. გვიჭირს ცხოვრება შენი ლამაზი სიყვარულის გარეშე. შენს ფესვებზე ძლიერი ყლორტი იზრდება გიორგის სახით.

ვშიშობ, დარდმა არ წამლეკოს, არ დამჯაბნოს, გამუდმებით ვებრძვი საკუთარ თავს, რათა არ დავეცე და შენსავით შუა გზაზე არ მივატოვო გიორგი, რომელიც უკვე სტუდენტია და ახლა სჭირდება მამის სითბო და სიამაყე.

ზაურ! 19 იანვარს 54 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ სიკვდილი დაუნდობელია. შენს ოჯახს შენი დატოვებული სითბო და სიყვარული არასდროს გაუნელდება. შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ნათელში იყოს შენი სული, ჩემო ზაურ. ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*მეუღლე ნათელა ბახტურიძე*

## მერიკო არევაძის მონატრება



20 დეკემბერი მოვიდა, დედი, შენი დაბადების დღე, უჩვეულოდ ტკივილიანი, სევდიანი. დღეს 22 წლის გახდი.

გვენატრები უსაშველოდ. შევტირით, ვეჩურჩულებით შენს სურათებს და მძიმე სევდით გულდამეხილი ზღვადქცეული ცრემლით ვალბობთ შენს სამუდამო სამყოფელს.

მხოლოდ იმისთვის ვცოცხლობთ, რომ გავზარდოთ ღვთის ნაბოძები შენი პატარა დაიკო მარიამი, რომელიც შენ მხოლოდ სურათებით გიცნობს და გეფერება.

ცრემლიანი სიყვარულით დაგინთებთ სანთლებს და ვილოცებთ შენი წმინდა სულისთვის.

*შენზე გამწარებული მშობლები და დაიკო მარიამი*

## შვილო აჩიკო!



მეათე წელია, უშენოდ ვხვდები შენს დაბადების დღეს, შვილო. 24 წლის ვაჟკაცი მეყოლებოდი ახლა... შეუშრობელი ცრემლი დამიტოვე მე, მარტოსულ დედას, მეზობლებს და ახლობლებს. ძალიან ცოტა ხანს იცოცხლე და მარად ყმაწვილი დარჩი. 15 წლის შესრულებას ერთი თვე დაგაკლდა და 17 ნოემბერს შენი უმანკო სული ცად აიტაცა განგებამ...

სულით მდიდარი იყავი, შვილო, ჯერ ისევ ბავშვი უხვად გასცემდი სითბოსა და სიყვარულს, სანაცვლოდ კი არაფერს ითხოვდი. ყველას დაგვაკლდა შენი ხმა, ლამაზი ღიმილი, ოცნებები.

უზომოდ მენატრები, ჩემო ანგელოზო შვილო. დამრჩა მხოლოდ მოგონებები, დარდი, ნაღველი და მწველი სურვილი — მალე მოვიდე შენთან.

ჩემო ლამაზო შვილო აჩიკო, უფალს შევავედრებ შენს ლამაზ სულს მარადიული სასუფევლისთვის. დღეს კი, უშენოდ აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს — 18 დეკემბერს. 24 წელი გისრულდება, ჩემო მარად ყმაწვილო და ვაჟკაცო ბიჭო.

*შენი მარტოსული და გაუბედურებული დედა ლუიზა*

## თეიმურაზ (ტემსი) რობერტის ძე ქარელიძის გახსენება



2 ტკივილიანი და დარდით სავსე წელი გავიდა უშენოდ, ჩვენო ლამაზო ბიჭო, მაგრამ ამ წლებმა ვერაფერი დააკლო შენს ხსოვნას. დარდით და სევდით მივდევთ ცხოვრებას, შენს ობლებს ხომ პატრონობა უნდა.

როგორი მამა, როგორი მეუღლე, როგორი მოსიყვარულე ძმა და ბიძა, როგორი დიდი სიყვარული იყავი ყველა ჩვენგანისთვის.

ენატრები შენს ნათესავებს, მეზობლებს, მეგობრებს. მარტო ოჯახს კი არა, ქუჩასაც ახმიანებდი, თითქოს ასწრებდი, შენი სიკეთე დაგეთესა შენი მეგობრებისა და ამხანაგების გულებში, სამუდამოდ დაგემახსოვრებინა მათთვის მხიარული ტემსი.

შენს სახელს დავიწყება არ უწერია, შვილო. შენს საფლავს ცრემლი და სანთლები არ მოჰკლებია. შენს გულდამწვარ დედას შენი საფლავისთვის ცრემლი არ დაუკლია. ყოველ კვირას შენთანაა, გესაუბრება, შენი შვილებისა და ახლობლების ამბავს გიამბობს, ლოცულობს და უფალს ევედრება, რომ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული ზეციურ სასუფეველში. შენი საფლავის ქვაზე ანთებული სანთლები გზას გაგინათებენ წმინდა სამუდამო სასუფეველში.

*შენი გულდამწვარი მშობლები*

მეუღლე ლუბა კილტავა; შვილები: თამუნა, კოკა ლილუაშვილები; რძალი მაია ოკუჯავა; შვილიშვილები; დისშვილები: რუსუდან, დარეჯან ნიკოლაძეები; დეიდაშვილი შოთა მეფარიძე; ბიძაშვილი ავთანდილ ლილუაშვილი; ცოლისდა მერი ბაბუნაშვილი; მძახლები: ზიზი, ვაჟა ოკუჯავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნოდარ კონსტანტინეს ძე ლილუაშვილი**

*პანაშვიდი:* 14, 15 დეკემბერს, 17 საათზე;
*დაკრძალვა:* 16 დეკემბერს, 14 საათზე.
*მისამართი:* ღოსებიძის ქ. №74.

ქეთევან, მარინა, ნატო და ლია ახობაძეები ოჯახებით, მწუხარებას გამოთქვამენ *ინგა ადამიას* მამის

**მურმან ადამიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

შვილები: ლუიზა, იზო, ქეთინო; შვილიშვილები: სოფო, მაკა, ოთარი, ალექსანდრე; სიძეები: ბორისი, დავითი; შვილთაშვილი დეა; ძმისშვილები, მაზლისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან ანტონის ასული შერმადინ-მღებრიშვილი.**

*პანაშვიდი:* 14-15 დეკემბერს;
*გამოსვენება:* 16 დეკემბერს, 14 საათზე.
*მისამართი:* ახალგორი, თ. ჭყონიას №6.

## „ვინ ხარ შენ, კურსანტო კუპრაძე?!“



2003 წლის 2 ნოემბერს ვიქტორ კუპრაძეს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღთან დაკავშირებით გთავაზობთ მისი ცხოვრების ერთ საინტერესო ეპიზოდს:

ჩემი სტუდენტობისას და შემდგომ პერიოდშიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართული მათემატიკური სკოლა.

ამ დარგში ყველასაგან გამოირჩეოდა ბატონი ვიქტორ კუპრაძე. მას ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი იცნობდა, იცოდნენ თუ რა დიდი წარმატებით კითხულობდა ლექციებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში. დიდი ავტორიტეტი ჰქონდა აგრეთვე რუსეთშიც. იქ უყვარდათ კიდეც.

აი, რას წერს პროფესორი (გეოლოგი) გიორგი ზარიძე თავისი მოგონებების წიგნში ვიქტორ კუპრაძეზე, რომელთანაც მას ახლო მეგობრობა აკავშირებდა:

„ლენინგრადის მათემატიკური ინსტიტუტი მაშინდელ რუსეთში ყველაზე დიდი მეცნიერული ცენტრი იყო და სწორედ აქ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ვიქტორ კუპრაძემ 1935 წელს. აქედან მოყოლებული ამ ინსტიტუტში მეცნიერის მაღალი იმიჯი დაიმსახურა და იქვე დაინიშნა სწავლულ მდივნად.

1936 წელს ნიკო მუსხელიშვილის თხოვნით ვიქტორ კუპრაძე თბილისში დაბრუნდა და მისთვის ჩვეული თავდადებით მუშაობა დაიწყო მათემატიკის ინსტიტუტში.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვიქტორ კუპრაძეს რიგითი ჯარისკაცის ფარაჯა ჩააცვეს და ჯარში გაიწვიეს.

მომავალ გეოლოგებს უნივერსიტეტში, სამხედრო კათედრაზე არტილერისტებად გვამზადებდნენ. პოლკოვნიკმა ცირეკიძემ, ერთ-ერთ ლექციაზე, ვიქტორ კუპრაძის შესახებ საინტერესო ამბავი მოგვითხრო:

ომის დაწყებისას საბჭოთა არმიის წარუმატებლობაში ლომის წილი არტილერიასაც მიუძღოდა. მისი გაუმჯობესების მიზნით ჩვენთვის ლექციები უნდა წაეკითხათ გამოცდილ მაღალჩინოსან გენერლებს.

აი, ორმოცდაათი მსმენელი, ჩინოსანი არტილერისტები და არმიაში ახალგაწვეული კურსანტები დიდ აუდიტორიაში ველოდებით ლექციის დაწყებას. ცალ მხარეს ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი ახალბედა კურსანტები სხედან, მეორე მხარეს — ჩვენ. ყველას წინ ტრაფარეტია მოთავსებული შესაბამისი გვარებით, რათა გენერალს შესძლებოდა გაეგო, ვინ იდგა მის წინ, თუ ვინმე კითხვას დასვამდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, გენერალი პირველ ლექციაზე ზოგადი მიმოხილვით შემოიფარგლა. საუბრობდა ჩვენი არმიის წარუმატებლობაზე და ცხადია, არტილერიასაც შეეხო.

მეორე ლექციაზე შემოიტანეს დიდი დაფა, რომელიც რატომღაც ორად იყო გაყოფილი შავი ზოლით. გენერალმა ცარცი აიღო და თეორიული ნაწილის ახსნა დაიწყო მათემატიკური ფორმულებით. ჩვენთვის, არტილერისტებისათვის ყველაფერი ნაცნობი გახლდათ, კურსანტებისთვის კი სიახლე იყო, დაძაბულები უსმენდნენ.

ლექციის მეორე ნახევარში წინა რიგში კურსანტმა გვერდით მჯდომს რაღაც გადაულაპარაკა და დაფაზე თვალით ანიშნა.

გენერალს არ გამოჰპარვია ეს და მაშინვე წესრიგისკენ მოუწოდა. კურსანტი სწრაფად წამოდგა, არ მოერიდა გენერლის ჩინს და გამართული რუსულით უთხრა: „ამხანაგო გენერალო, თქვენ განტოლება არასწორად ამოხსენით და პასუხიც არასწორი მიიღეთ. შეგიძლიათ, კატალოგში შეამოწმოთ“. გაოცებული გენერალი იძულებული შეიქნა, პასუხი კატალოგში ენახა. კურსანტი მართალი აღმოჩნდა და იგი დაფასთან გამოიძახა, რომ გაეგო, სად დაუშვა შეცდომა.

კურსანტმა დაფის მეორე მხარეს იგივე განტოლება სხვა ხერხით ამოხსნა და მიიღო სასურველი შედეგი. უფრო გაოცებულ გენერალს ისღა დარჩენოდა ეკითხა: „ვინ ხარ შენ, კურსანტო კუპრაძე?“ კუპრაძემ უპასუხა, ვინც იყო. გაოცებული გენერალი უყურებდა დაფასთან ცარცით ხელში მდგომს, რომ მის წინაშე კურსანტი კუპრაძე კი არ იდგა, არამედ მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. გენერალმა თავი გადაიქნია და დასძინა: „მერედა, ვინ „ჭკვიანმა“ გამოგაგზავნათ ჯარში?“ კუპრაძეს პასუხი არ გაუცია. ამის შემდეგ სამი დღე არც გენერალი გამოჩენილა და არც ვიქტორ კუპრაძე. მეოთხე დღეს გენერალი კურსანტის ადგილზე იჯდა და ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი ვიქტორ კუპრაძე კი გვიკითხავდა ლექციებს თეორიულ ნაწილში.

ეს „ბედნიერება“ ჩვენთვისთვისაც და კუპრაძისთვისაც სამი თვე გაგრძელდა. შემდეგ, არტილერისტები გაგვზავნეს ფრონტის სხვადასხვა უბანზე, ბატონი ვიქტორი კი ქერჩში, სასაკლაოზე გაისტუმრეს“.

ქერჩში ვიქტორ კუპრაძის მოღვაწეობასთან დაკავშირებით ისევ გიორგი ზარიძე გვაწვდის საინტერესო ცნობებს. ვიქტორ კუპრაძე იქ ანტიჰიტლერული გერმანულენოვანი გაზეთის რედაქტორად დანიშნეს. ქერჩის დაცემის შემდეგ იგი სასწაულით გადაურჩა ფაშისტების ტყვეობას და სიკვდილს. გაჭირვებით თბილისში დაბრუნდა პარტიული ბილეთის გარეშე, რის გამოც პარტიის რიგებიდან გარიცხეს“, ჯარიდან დაბრუნებული „უპარტიო“ ვიქტორ კუპრაძე 1944 წელს ქართველმა ხალხმა განათლების მინისტრად აირჩია. ის ათი წლის განმავლობაში საოცარი კეთილსინდისიერებით უძღვებოდა ამ საპატიო საქმეს. 1954 წელს კი შეცვალა მასავით პოპულარული უნივერსიტეტის რექტორი ნიკო კეცხოველი და თავისი განუმეორებელი ნიჭის წყალობით საქართველოს სახელმწიფო პრემიაც დაიმსახურა.

*დავით ყანდაშვილი*

# მფარველ ანგელოზად ქცეული ბაბუის სული..

ბატონი რევაზი ბაბუამ გაზარდა.

— ჩემი მშობლები 37 წლის რეპრესიებში მოჰყვნენ. 4 წლის ბიჭი ბაბუამ, დედის მამამ, შემიფარა. ბებია დედაჩემზე მშობიარობას გადაჰყოლია. ბაბუას ისე ჰყვარებია ბებია, მეორე ცოლი აღარ შეურთავს... ნებივრად გაუზრდია დედაჩემი, მაგრამ საქმეს დაყვავებით და ალერსით შეაჩვია თურმე, უმაღლესი განათლებაც მიაღებინა, კარგ კაცსაც ჩააბარა. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩააგდებდა ერთადერთი ქალიშვილისა და სიძის უბედურება...

გვიჭირდა სოფელში, განსაკუთრებით ომის პერიოდში, მაგრამ ჩემი წილი მჭადი ყოველთვის ჰქონდა ბაბუას. სკოლაც დამამთავრებინა, ინსტიტუტშიც მიპირებდა გაგზავნას, მაგრამ ხიდან ჩამოვარდა ადესის კრეფის დროს და ისე ჩაუწყდა გულ-მუცელში რაღაცა, ვერ ვუშველეთ, სამი დღის ტანჯვაწვალების შემდეგ დალია სული. სიკვდილის წინ თვალცრემლიანმა მითხრა: — არ შეგეშინდეს, ბაბუ, იცოდე სიკვდილიც ვერ დამაკავებს და საიქიოდანაც მოგწვდები დასახმარებლადო.

სოფელს ვეცოდებოდი და გვერდით ამომიდგა — ბაბუაშენისგან იმდენი სიკეთე გვახსოვს, ვალდებული ვართ მისი სულის წინაშეო.

1953 წელს საშინელი ზამთარი დაიჭირა, აღარ დაადგა საშველი მის დასრულებას. შუა მარტში შეშა შემომელია და იძულებული გავხდი, ტყეში წავსულიყავი, გაყოლაც ვერ ვთხოვე ვინმეს, მომერიდა. შეშა კი მოვჭერი, როგორც იყო და ურემზეც დავალაგე, მაგრამ დრო ველარ მოვზომე და დამაღამდა. მერე გზა ამებნა. დილამდე უნდა მეცადა. ჩავეხუტე ჩემს ხარს და ხმამაღლა ავტირდი 19 წლის კაცი. სწორედ ამ დროს ზეციდან სინათლის სვეტი დაეშვა და წინ გამიჩერდა. შემეშინდა, მაგრამ იმავე წუთს ბაბუა გამახსენდა და ხმამაღლა დავიძახე: „ბაბუ, შენა ხარ-მეთქი?!.“ შეძახილზე სხივი სახეზე მომელამუნა და სითბომ დამიარა სხეულში, თითქოს თაკარა მზემ დამანათა. მერე სხივი ამოძრავდა და წინ წასრიალდა. მივხვდი, გზას მიჩვენებდა. ხარი გზაზე დავაყენე და სხივს გავყევი, რომელმაც შინამდე მიმაცილა და გაქრა...

...შოფრობა ვისწავლე და 20 წლის ბიჭს კოლმეურნეობის სატვირთო მანქანა ჩამაბარეს.

1955 წლის ზამთარში ქუთაისიდან ტვირთი მომქონდა და მაშინაც დამაღამდა. არადა არც ნაცნობ-ნათესავი მყავდა ქალაქში, დარჩენა რომ მეფიქრა, ამიტომ ღამე დავადექი მოლიპულ-ატალახებულ გზას. მანქანა გამართული კი მყავდა, მაგრამ უცებ მოტორი ჩაქრა და უკაცრიელ ადგილზე გავჩერდი. ხან აქედან ვუტრიალე ძრავას, ხან იქიდან. ერთი შეხედვით ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრამ მაინც არ ჩაირთო... უცებ გააპო სიბნელე ზეციდან ჩამომავალმა მწვანე სხივმა და მივხვდი, ბაბუის სული მაფრთხილებდა საფრთხეზე და გზის გაგრძელება აღარ უნდა მეცადა. ჩავჯექი კაბინაში და იმ სხივს მივაჩერდი, საოცარ სიმშვიდეს ვგრძნობდი. ამ დროს უკნიდან მეორე მანქანა მომადგა და იმისი ფარების შუქზე მწვანე სხივი გაქრა. გააჩერა მძღოლმა — რა გაგჭირვებიაო? უნებურად ვუპასუხე: — არაფერი, მაგრამ წინ ისეთი გრუხუნის ხმა იყო, ვერ გავბედე წასვლა და შენც გირჩევ თავის შეკავებას-მეთქი.

დამიჯერა. ცოტა ხანში კი მართლაც საშინელმა გრიალმა შეძრა მდინარის ხეობა...

ნახევარი კილომეტრის სიგრძეზე ჩამოწვა მეწყერი და ჩაიტანა გზის ნაწილი. რომ არა ბაბუის სულის გამოცხადება, მეც დავიღუპებოდი და... ჩემი მომავალი ცოლისძმაც — ჩემ უკან რომ მანქანა ჩამოდგა, იმისმა შოფერმა — უეჭველ სიკვდილს გადამარჩინე, ძმა ხარ ჩემიო, დავახლოვდით, მისი ოჯახიც გავიცანი და მისი დაც შემიყვარდა. მესამედ სწორედ ცოლი გადამირჩინა განგების ნებამ და ბაბუაჩემის ნათელმა სულმა.

ნათელა დღე-დღეზე ელოდებოდა მოლოგინებას და აღარ ვტოვებდი მარტო, მაგრამ მოულოდნელად მომიწია საქმეზე გამგზავრება. დაგვაგვიანდა და ჩემმა თანამგზავრებმა აღარ ინებეს წამოსვლა. დარდმა კარგა ხანს არ დამაძინა და გამთენიისას ჩამთვლიმა. ბაბუაც გამომეცხადა: — თუ ნათელას არ მიუსწარი, პირმშო დაგეღუპება, ქალმა გონი დაკარგა... გზად ექიმს შეუარე და წაიყვანეო!...

წამოვხტი, ჩავჯექი მანქანაში და გზას დავადექი. გავუარე ექიმს და მართლაც გულწასულ ნათელას მივადექით. მშობიარობის დაწყებასთან ერთად წნევასაც აეწია მისთვის და მეზობლისთვის რომ ეხმო საშველად, ფეხზე ველარ წამომდგარა... კიდევ ნახევარი საათიც რომ დამეგვიანებინა, ვერც ბავშვს გადავარჩენდით და ნათელაც დაიღუპებოდა ალბათ...

70 წლის გავხდები საცაა და წელიწადი არ გავა, სიზმარში არ გამომეცხადოს ბაბუა — ხან მაფრთხილებს, ხან მიწყრება ან მეფერება და საერთოდ, სულ ვგრძნობ, რომ მართლაც წუთითაც არ დავუტოვებივარ მარტო... საოცარია სამყარო, ბაბუას მაგალითმა სიკვდილის შიშიც გამიქრო, — დაასრულა ბატონმა რევაზმა.

***ინგა ჯაყელი***

**ჩვენ გვწერენ**

# უბედურების მაცნის უკანასკნელი სტუმრობა

— ბაბუაჩემი იმერეთის ერთ მაღალმთიან სოფელში, ტყის პირას ცხოვრობდა. ახლომახლო მოსახლის ჭაჭანება არ იყო. სახლი კენტად დარჩა მას მერე, რაც ნახევარი სოფელი აიყარა და ქალაქში გაიქცა სარჩოს საძებნელად. სულ გვიკვირდა, როგორ ძლებდნენ ასეთ მიყრუებულ ალაგას ბებია და ბაბუა, მაგრამ წამოსვლას ვერ უხსენებდი, მაინც იქ ერჩივნათ ყოფნა.

ბებია რომ გარდაიცვალა, ბაბუა გულჩათხრობილი გახდა. ხშირად ოხრავდა: — ვიცოდი, ამას რომ მოვესწრებოდიო. ვაკითხავდით, ვამხნევებდით...



ერთ დღეს ნაცნობმა დაგვირეკა, — ბაბუა გიბარებთ, ცუდად არისო. გულგახეთქილები ავცვივდით სოფელში. ის ბუხართან იჯდა, ზედმეტად ფერმკრთალი იყო, თორემ სხვა არაფერი ეტყობოდა ავადმყოფობისა. გვითხრა, — მე ალბათ ორსამ დღეში მოვკვდები და ამიტომ შეგაწუხეთო.

დავაიმედეთ, — სასიკვდილო არაფერი გჭირს, შენ რა მოგერევა, ნუ გეშინიაო. თავი გააქნია, — ვიცი, ასე იქნება, ორ-სამ დღეში მოვკვდებიო.

იმ ღამით კართან უცნაური ხმაური გაისმა. წამოვხტი, ფანჯარას ვეცი... ვხედავ, ეზოში უჩვეულო, მოზრდილი ცხოველი დადის. ვერაფრით მივხვდი, რას ჰგავდა... მსგავსი არსად არაფერი მინახავს. ძაღლივით იჯდა, უკანა ფეხები მოხრილი ჰქონდა, წინა — გაჭიმული. მოელვარე თვალებით ჩემკენ იყურებოდა. ვიკივლე. ბაბუა გაჩნდა ჩემთან: — ნუ გეშინია, ბაბუ, ეგ ჩემი უბედურების მაცნეა, არაფერს დაგიშავებსო.

რას ამბობ-მეთქი, — შევხედე გაოცებულმა. ის კი მშვიდად განაგრძობდა: — ეგ ჩვენი გვარის ხალხს არ ერჩის. მთელი სოფელი რომ გადაჭამოს, ჩვენსას არც ქათამს შეჭამს, არც თხას... მოდის მაშინ, როცა უბედურება უნდა მოხდეს, დაჯდება და მიყურებს. ასე იყო ბებიაშენის სიკვდილის წინ, ის კი არა და, ბებიაჩემისა და ბაბუაჩემის სიკვდილის წინაცო.

თუ არ გავგიჟდებოდი, არ მეგონა. თავი სათავგადასავლო ფილმში წარმოვიდგინე. მაინც არ დავიჯერე მოხუცის ნათქვამი. გამთენიისას, ბაბუამ მშვიდად დალია სული. გარეთ გამოვცვივდით ყვირილით (საკმაოდ შორს მცხოვრები მეზობლებისთვის გვინდოდა მიგვეწვდინა ხმა). ამ დროს საბძლის მხრიდან რაღაც ცხოველი გადახტა. ეზო ელვის უსწრაფესად გადაჭრა და ტყეში გაუჩინარდა.

მას შემდეგ შიში დამჩემდა. ღამით ავდგები და გარეთ ვიყურები. თბილისის ერთ-ერთ მასივში ვცხოვრობთ, აქ ნადირს და ცხოველს რა უნდა, მაგრამ...

თუ მართლა არსებობს უბედურების მაცნე და თუ ჩვენი გვარის ხალხს მართლა ყოველთვის წინასწარ აგებინებს მოსალოდნელ საშინელებას, რა მნიშვნელობა აქვს, სად ვიცხოვრებ, ყველგან მომძებნის...

***ლეილა ჩიჯავაძე. თბილისი***

**„საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები**

**I. აბა, გამოიცანი:**
1) — ა); 2) — ბ); 3) — დ); 4) — დ);
5) — გ); 6) — ა); 7) — გ) 8) — ა.

**II.** მე-6 კურდღლის

**III.** არწივი.





# სტალინის ქვევრი

## 21 დეკემბერი სტალინის დაბადების დღეა

იოსებ ნონეშვილი დიდხანს იყო მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე საქართველოში. თითქმის მთელი მსოფლიო ჰქონდა შემოვლილი. ხშირად ამბობდა — ქვეყნიერება ორ ნაწილად არის გაყოფილი: ერთმა ნაწილმა იცის საქართველო, მეორემ არაო.

მე სტალინზე ვაპირებ წერილის დაწერას და იოსებ ნონეშვილისა არ იყოს, მსოფლიო არ ვიცი, მაგრამ საქართველოც ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთ ნაწილს უყვარს სტალინი, მეორეს — არა (მარტო ამაში რომ ვეწინააღმდეგებოდეთ ერთმანეთს, კიდევ რა გვიჭირს. — დ.ყ.).

ახლა ერთ ქართლელ გლეხზე მინდა გიამბოთ, რომელსაც უყვარდა სტალინი და მისდამი სიყვარული ასე გამოხატა:

გორის რაიონის სოფელ ატენში ცხოვრობს თამაზ შატაკიშვილი. მამამისი, დავით შატაკიშვილი იცნობდა სტალინს, რადგან ბავშვობაში მათ ოჯახს ხშირად სტუმრობდა სოსო.

დავითი მეორე მსოფლიო ომში 50 წლისა (თანაც 8 შვილის მამა იყო) გაიწვიეს. მთელი ომის განმავლობაში მტრის პირისპირ იბრძოდა, მაგრამ ტყვია არ ეკარებოდა და საღსალამათი დაუბრუნდა თავის კერას სტალინის მადლობებით. დაბრუნდა, მაგრამ გლეხკაცმა არ იცოდა, რით დაეპურებინა ოჯახი, სახლიც ასაშენებელი ჰქონდა. როგორც იტყვიან, სანთელ-საკმეველმა გზა არ დაკარგა... 1948 წელს დავითმა მიიღო სტალინის წერილი და ფული. გლეხკაცმა სახლიც ააშენა, შვილებიც დააბინავა, მაგრამ დღედაღამ იმის ფიქრში იყო, რით გადაეხადა სამაგიერო სტალინისათვის.

და აი, როცა ახალ ღვინის მარანს აშენებდა, სხვა ქვევრებთან ერთად სპეციალურად გაკეთებულმა ქვევრმაც დაიდო ბინა, რომელსაც აწერია „სტალინის ქვევრი“.

დავითი ყოველი წლის 21 დეკემბერს მოხდიდა 100-ლიტრიან სტალინის ქვევრს და მის სადღეგრძელოს სვამდა მეზობლებთან ერთად. შვილს კი ანდერძად დაუტოვა — გაეგრძელებინა ეს ტრადიცია. მამის დანაბარევს თამაზი მართლაც ასრულებს და თავის მხრივ შვილებს გადასცემს ანდერძად.

წლევანდელ 21 დეკემბერსაც აუცილებლად დაილევა ატენში ტრადიციული სადღეგრძელო.

***დავით ყანდაშვილი***

# „გაყრა“ მე-60 წლისთავზე



„გაყრა“ — ხულიო იგლესიასის ახალი ალბომის ასეთმა დასათაურებამ ჟურნალისტების ცხოველი ინტერესი გამოიწვია, თუმცა სულ ამაოდ. მომღერალს არც უფიქრია საზოგადოების დაინტრიგება. იგი ხომ ფორმალურად არცაა დაქორწინებული. ასე რომ, რიგით 77-ე დისკის სახელწოდებას იგლესიასის პირად ცხოვრებასთან კავშირი არ აქვს. დისკის გამოსვლისთანავე, მან ჟურნალისტები დაარწმუნა: „ახლა, როგორც არასდროს, ისე კარგად ვმღერი და საერთოდ, მე-20 საუკუნის საუკეთესო ლათინურამერიკელი მომღერალი ვარ“. საუკეთესო ვარო, რომ თქვა, იხუმრა. თუმცა ხუმრობაში ყოველთვის არის სიმართლის მარცვალი და ამ შემთხვევაში, არცთუ პატარა — ხულიო იგლესიასის დისკები მსოფლიოში 250 მილიონი ტირაჟით არის გავრცელებული, მის პირად კოლექციაში კი 2 650 ოქროს და პლატინის დისკი ინახება. მათ შორისაა, ასევე, გინესის რეკორდების წიგნში შეტანილი ერთადერთი ბრილიანტის დისკი.

***ელ მუნდო***

# როდიდან შემოვიდა ხმარებაში...

**საათი**. ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები იყენებდნენ მზის საათს. მექანიკური – XIII საუკუნეში გამოიგონეს, ხოლო 100 წლის შემდეგ ევროპის ბევრ ქალაქში აშენდა კურანტებიანი კოშკები. ეგრეთ წოდებული „პირადი“ საათები XVI საუკუნეში შემოიღეს, მაგრამ ამ საათებს თითქმის არავინ ატარებდა. კიდევ 3 ასწლეული დასჭირდა იმას, რომ ადამიანს საათის სარგებლიანობა და კომფორტულობა სათანადოდ დაეფასებინა.

**აბაზანა**. ევროპელები უზარმაზარ კათხებში ბანაობდნენ, თუმცა ძალიან იშვიათად. XVII-XVIII საუკუნეებში აბაზანას არავინ იღებდა. 1750 წელს პარიზის შენობების მხოლოდ 6%-ში იყო აბაზანა. ხალხი თვლიდა, რომ ხშირი დაბანა ჯანმრთელობას აზიანებდა — სუფთა კანზე მიკრობები ადვილად სხდებიან და ფორების გახსნის შემდეგ შედიან ორგანიზმშიო. იმ დროის ექიმები იმასაც კი ამტკიცებენ, რომ ჭუჭყისაგან სხეულის გასასუფთავებლად სულაც არ იყო საჭირო დაბანა. საკმარისია თეთრეულის გამოცვლა, რადგან ნაჭერი იწოვს ოფლს, მტვერს, ჭუჭყსო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პერანგებს მხოლოდ მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები იცვამდნენ. საპონი ძალიან ძვირი ღირდა და, რა თქმა უნდა, არავის უფიქრია გასარეცხად მისი გამოყენება. სარეცხი ირეცხებოდა მხოლოდ წყალსა და შარდში, ტანსაცმელს ლაქებს აშორებდნენ ლიმონის წვენით, მცენარეული ზეთით და შარდით. სარეცხი მანქანები მხოლოდ 200 წლის წინ გამოიგონეს.



**შუშის ფანჯრები**. ჯერ კიდევ ძველი რომაელები სარგებლობდნენ მინით, ევროპაში კი, მხოლოდ XIV საუკუნეში გავრცელდა. უფრო ადრე ფანჯრებზე აკრავდნენ ქაღალდს ან ქსოვილის ნაჭერს. XIX საუკუნეში გლეხი ფანჯარაზე აჭედებდა ფიცარს. მინებიანი ფანჯრები ფუფუნების საგნად ითვლებოდა საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში და თანაც იბეგრებოდა...

**ოთახის რბილი ჩუსტი** აღმოსავლეთში გაჩნდა ერთ-ერთი სულთნის ჰარემში. მაშინ ჩუსტი ითვლებოდა ტყვეობის სიმბოლოდ, ვინაიდან ასეთი სახის ფეხსაცმლით ვერც ერთი ქალი შორს ვერ გაიქცეოდა. შემდეგ სულთნებმა აღმოაჩინეს, რომ ჩუსტი ძალიან მოხერხებული სატარებელი იყო და თავადაც მოირგეს. ეს ფეხსამოსი ჯვაროსნებმა შუა საუკუნის ევროპაში შეიტანეს. XVI საუკუნეში იგი უკვე ცოლქმრული ერთგულების სიმბოლოდ იქცა.

ჩუსტები ძალზე პოპულარული იყო XVIII საუკუნის საფრანგეთში. ბუდუარის დახვეწილობას და იდუმალებას შეეფერებოდა მოოქრული, გედის ბუმბულით გაწყობილი, უზარმაზარი პომპონებით მორთული და ოდნავ ცხვირაბზეკილი კოხტა ფეხსაცმელი.

XIX საუკუნეში ჩუსტების ისტორიის რომანტიკული პერიოდი დასრულდა. იგი იქცა საყოფაცხოვრებო ნივთად, კომფორტისა და სტაბილურობის სახედ. დღეს ჩუსტები არ არის მხოლოდ ოჯახური კომფორტის სიმბოლო, ის პატრონის სახეცაა. თუ ჩუსტს არც ერთი ნაოჭი არა აქვს, მისი პატრონი არის პედანტი და უგერგილო. თუ შინ აცვია მასაჟის ჩუსტი, ე.ი. არ ეძებს იოლ გამოსავალსა და გზას, ვისაც ვიეტნამური ჩუსტი (სლანტი) მოსწონს, მას მსუბუქი ხასიათი აქვს, ბოჰემური ადამიანი ამჯობინებს სათამაშო ჩუსტებს, ანუ იმ ჩუსტებს, რომლებსაც აქვს კატის, ძაღლის, დათუნიას, ბაჭიის ფორმა. ერთ-ერთი ყველაზე პრაქტიკული და ეფექტურია ბრტყელი, ტყავის ჩუსტი, რომლის პატრონს ყოველთვის აქვს ფული ჯიბეში.

***ჯენტე***

# „ვაჟკაცური“ დიზაინი

„დიზაინი“ — თუ ერთიმეორის მიყოლებით რამდენჯერმე გაიმეორებთ ამ სიტყვას და ამასთან სხვადასხვა ინტონაციით, უცნაური გრძნობა დაგეუფლებათ — თითქოს ჯადოსნური სიტყვა გეპოვოთ... სიტყვა, რომლის წარმოთქმისთანავე ნებისმიერი სურვილი აგისრულდებათ... ოღონდ კი ფული გქონდეთ. ასეთებს რა დალევს, ორჯერ მეტნი კი დიზაინერები არიან. რა დარჩა დიზაინგაუკეთებელი — თითქოს აღარაფერი, გაიფიქრებს მავანი, მაგრამ ასე არ არის. ყოვლისშემძლე და ყოვლისდამნახავი დიზაინერების თვალს არაფერი გამოეპარება. აი, მაგალითად, რომ ამბობენ, ნაიარევი მამაკაცს ვაჟკაცურ იერს აძლევსო, რატომ არ შეიძლება ამ ხალხური გამონათქვამის განვითარება ეპოქისდა შესაფერისად. სწორედ ამ შეხედულებისანი არიან ამერიკის ფირმა „იუს ეს აუტოტრენდსის“ თანამშრომლები და მძღოლებს ავტომობილების „გავაჟკაცებას“ სთავაზობენ. ამიერიდან მსურველს შეუძლია ავტომანქანას ნატყვიარის გამოსახულებიანი ეტიკეტები მიაკრას. ასორტიმენტში სხვადასხვა — 22-დან 50-მდე კალიბრი შედის.



როგორც ყველა სიახლეს, ამასაც თავისი მოწინააღმდეგე თუ მხარდამჭერი ჰყავს. ვიღაცას მიაჩნია, რომ „ნატყვიარები“ ახალგაზრდებს ცუდ მიდრეკილებებს გაუძლიერებს. 21 წლის დენიელ მორტონმა კი თავისი „ჰონდა“ ერთიანად ააჭრელა — „მინდა ყველასაგან გამორჩეული ვიყო და ეს სულ რამდენიმე დოლარი დამიჯდა“, — ამბობს „ვაჟკაცური იერის“ მქონე ავტომანქანის პატრონი.

***ნიუზუიქი***

# რა გამოაქვეყნა ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა“



ჟურნალის ცნობით, ელვის პრესლი დღემდე როკ-ენ-როლის მეფეა. პრესლი მესამე წელია, პირველ ადგილზეა ნუსხაში, რომელშიც შეყვანილია ყველაზე ძვირად ღირებული ვარსკვლავები, რომელთა შემოსავალი მათი სიკვდილის შემდეგაც ძალიან დიდია — წელიწადში 40 მლნ დოლარზე მეტი. ამ ნუსხის ათეულში მოხვდნენ ლეგენდარული ლივერპულელი ოთხეულის „ბითლზის“ ორი წევრი — ჯონ ლენონი და ჯორჯ ჰარისონი, რომელთაც სულ ცოტათი ჩამორჩება ბობ მარლი.

2002 წელს კომპანია BMG-მ გამოსცა ელვის პრესლის ჰიტების კრებული, რომელიც 8-მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. ამან განაპირობა „როკ-ენ-როლის მეფის“ ამხელა წარმატება. პრესლის გარდაცვალებიდან ამდენმა წელმა გაიარა და ბრწყინვალება არ მოჰკლებია მის სახელს. ახალი კრებულით დაინტერესდნენ როგორც მომღერლის თაყვანისმცემლები, ასევე თანამედროვე ახალგაზრდებიც, რომლებმაც ძალიან შეიყვარეს მისი შემოქმედება იმის შემდეგ, რაც კარგად გაიცნეს იგი. ეს კი განაპირობა ჰიტების კრებულის გამოცემამ. მომღერლის საუკეთესო სიმღერების მეორე ნაწილი, რომელიც ახლახან გამოვიდა, ჟურნალ BILLBORD-ის ტოპ-ათეულში აღმოჩნდა.

***ჯენტე***

# მავნე ველოსიპედი



ორმოცი წლის კალიფორნიელი ჟურნალისტი და მწერალი ჯეიმს დუგანი ენდო რეკლამას და ველოსიპედი შეიძინა. მწარმოებელი კომპანიის რწმუნებით, ეს ველოსიპედი კომფორტული, უსაფრთხო და სანდო იყო. ნახევარი წლის შემდეგ დუგანმა საჩივრით მიმართა სასამართლოს და განაცხადა, — ველოსიპედმა პოტენცია დამიქვეითა და ჩემმა საყვარლებმა — მსახიობმა ჯეინ მორისმა, მანეკენმა დოლი უაიტმა და სტიუარდესა სარა ჰიუსტონმა მიმატოვესო.

უროლოგებისა და სექსოლოგების მიერ ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ჯეიმს დუგანის პოტენციის დაქვეითებაში დამნაშავე ყოფილა ამ ახალი მოდელის ველოსიპედის უცნაური ფორმის სავარძელი.

სხვათა შორის, დუგანი ერთადერთი მომჩივანი არ ყოფილა — სხვებიც ბევრნი გამოჩნდნენ. სასამართლომ ამ საჩივრების საფუძველზე დაადგინა, რომ მავნე ველოსიპედების მწარმოებელმა კომპანიამ თითოეულ მომჩივანს, მორალური და ფიზიკური ზიანის საკომპენსაციოდ უნდა გადაუხადოს ას-ასი ათასი დოლარი.

***ინტერპოლ-ექსპრესი №45***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ციცერონის სიტყვებს ამოიკითხავთ.




**ი.** მდინარე, სადაც იესო ქრისტე მოინათლა; **კ.** ვულკანის ჩაღრმავებული ნაწილი, საიდანაც ლავა გადმოედინება; **ი.** სისხლის აღრევა; **თ.** მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ხ.** ბარაქა, სიუხვე; **ე.** ჩარლი ჩაპლინის ეროვნება; **თ.** ფელამუში; **მ.** ინგლისელი მწერალი, „მთვარე და ექვსპენსიანის“ ავტორი; **ხ.** პურის მცხობელი; **ო.** ინგლისელი მსახიობი, ჰენრიხ -ის როლის შემსრულებელი ფილმში „ლომი ზამთარში“; **ლ.** მზის სადიდებელი სვანური სიმღერა; **ო.** საათების იაპონური ფირმა; **დ.** ზღაპრული ურჩხული; **კ.** მალარიის გადამტანი მწერი; **ვ.** გერმანიის რესპუბლიკის სახელწოდება 1918-1933 წლებში; **ი.** მონღოლების საცხოვრებელი კარავი; **რ.** რისამე მარაგი; **ი.** ჰომეროსის ნაწარმოები; **ს.** ჩამონათვალი; **პ.** ჩიკაგოს „ბულზის“ კალათბურთელი; **ა.** სამცხის მმართველთა ტიტული; **ლ.** ბალტიისპირეთის ერთ-ერთი სახელმწიფო; **ი.** ქართული ხალხური შეჯიბრი ცხენოსნობაში; **ტ.** სამიკიტნო, ტრაქტირი იტალიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში; **რ.** აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; **ა.** თეორემა, რომელსაც დამტკიცება არ სჭირდება.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დუბნო; **ა.** არიადნე; **ი.** იალალი; **ს.** საწმისი; **ვ.** ვითა; **ე.** ეტალონი; **ნ.** ნირვანა; **ე.** ერშოვი; **თ.** თვალი; **ჩ.** ჩივაძე; **ვ.** ვიერი; **ე.** ესკიმო; **ნ.** ნევადა; **თ.** თარაზო; **ა.** აკიდო; **ნ.** ნაზუქი; **ე.** ეპარქია; **რ.** რივალდო; **თ.** თეირანი; **ა.** ასთმა; **დ.** დიანა.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ბილწთ არ შავეკვრი ზავითა.**

# თხების მიერ აღმოჩენილი ბალზამი... თუ ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკი

## ჭკვიანი თხები

ადამიანებმა ყავა სამი ათასი წლის წინ აღმოაჩინეს. მაგრამ სულ სხვა სახით იყენებდნენ: მწვანე მარცვლების ნახარშით ღებავდნენ მატყლს, მოგვიანებით ყავის ექსტრაქტს მედიკამენტების სახით იყენებდნენ (პირველი წერილობითი ცნობები ყავის შესახებ სწორედ აღმოსავლური მედიცინის ტრაქტატებში მოიპოვება). მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანებმა ცხოვრების პატარ-პატარა სიამოვნებებით ტკბობა ისწავლეს, ყავა „სულის მაცოცხლებელ“ სასმელად იქცა.

ლეგენდის თანახმად, ყველაფერი თხებისგან დაიწყო... ამ ლეგენდის მიხედვით, პირველად ყავის მარცვალსა და ფოთოლს სწორედ ამ ცხოველებმა გაუსინჯეს გემო და მანამდე საკმაოდ ფლეგმატური თხები სასწაულ ტემპერამენტსა და ენერგიას ავლენდნენ. ამან მათი მწყემსის გაკვირვება გამოიწვია. მწყემსს ეს ამბავი ახლომახლო მცხოვრებ სასულიერო პირთათვის მოუყოლია და მათაც დაუყოვნებლივ ისარგებლეს თხების გამოცდილებით: ღამის ლოცვებისას ყავის ფოთლებისა და მწიფე ნაყოფის ნახარშს ძალების მოსაკრებად იყენებდნენ. ეს ყველაფერი X საუკუნეში, კაფაში — ეთიოპიის სამხრეთ-დასავლეთის მთიანეთში მოხდარა. სწორედ აქედან მოდის დღევანდელი კაცობრიობის ერთ-ერთი უმთავრესი პროდუქტის სახელწოდება.

ფოთლებისა და ნაყოფის ნახარშის მოხალული მარცვლებისგან დამზადებული სასმლით შეცვლაც შემთხვევით მომხდარა: თურმე ბერებს ყავის ხის ტოტები კოცონის დასანთებად გამოუყენებიათ. შემდეგ კი, რომელიღაცას ნაცარი გაუქექავს და იქ უპოვია „ექსპრომტად მოხალული“ რამდენიმე მარცვალი...

## რამდენიმე საუკუნე დედამიწის გარშემო

ეთიოპიიდან ყავა წითელი ზღვის გავლით არაბეთის ნახევარკუნძულზე მოხვდა და სწრაფადაც გავრცელდა. ამ კულტურისთვის ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები იემენში, ქალაქ მოხასთან აღმოჩნდა (მაშინ მას მოკოს უწოდებდნენ. ეს სახელი დღესაც გამოიყენება საუკეთესო ხარისხის ყავის აღსანიშნავად). ორი საუკუნის განმავლობაში იემენი ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელიც ყავის ექსპორტს ეწეოდა. არაბმა ვაჭრებმა საუკეთესო სარეკლამო ხრიკს მიმართეს: მოისყიდეს რამდენიმე სასულიერო პირი და განაცხადებინეს, რომ ის, ვინც ყავას სვამდა, აუცილებლად სამოთხეში მოხვდებოდა. ამ კამპანიას დიდი წარმატება ხვდა წილად...

თუმცა, ყავისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული იყო. მუსლიმანური სამყაროს მმართველების დამოკიდებულება მაშინ შეიცვალა, როცა შეატყვეს, რომ ხალხი ყავახანებში უფრო მეტი ხალისით დადიოდა, ვიდრე — მეჩეთებში. ამის შემდეგ ყავას ყოველგვარ ცოდვასა და მანკიერებას აბრალებდნენ, თქვენ წარმოიდგინეთ, ყავას სიკვდილიც კი მიუსაჯეს.

XV საუკუნის დასაწყისში მექის მბრძანებელმა ჰაირ-ბეიმ ყავა ისეთსავე უწმინდურ სასმელად გამოაცხადა, როგორადაც ღვინო მიაჩნდათ და ყავის მთელი მარაგის განადგურება ბრძანა. მათ კი, ვინც გაბედავდა ბრძანების უგულებელყოფას, ყავის ტომრებში სვამდნენ და ზღვაში აგდებდნენ.

შეიხი აბსუუდი ჰაირ-ბეიზე მეტად ბრძენი აღმოჩნდა. მას მიაჩნდა, რომ ყავა ისლამთან არანაირ წინააღმდეგობაში არ მოდიოდა, თანაც თვითონაც ძალიან მოსწონდა ეს სასმელი. შედეგად, ყავაზე აკრძალვა მოიხსნა და მას შემდეგ მუჰამედის მიმდევარნი წარმატებით ახდენენ ღვინის კომპენსაციას ყავისა და ჰაშიშიანი ყალიონის საშუალებით.

ყავა ევროპაში მისიონერებისა და მუსლიმი დიპლომატების საშუალებით გავრცელდა. ევროპელი მოგზაურები მეტად მოიხიბლნენ აღმოსავლური დროის ტარებით. იმისთვის, რომ სამშობლოშიც ჰქონოდათ რიგიანი საბაბი იმისა, მთელი დღის მანძილზე არაფერი ეკეთებინათ, ყავა ევროპაში ჩამოიტანეს.

ოფიციალურად დადასტურებული ცნობებით, პირველი ევროპული ყავახანა 1652 წელს ინგლისში გაიხსნა. შესვლისა და ჭიქა ყავის საფასურს ერთი პენი შეადგენდა. სწორედ აქედან მოდის პირველი ბრიტანული კაფეების სახელწოდება — „პენი-უნივერსიტეტი“. ამის მიუხედავად, ყავის მირთმევის ცერემონიის „ევროპეიზაციაში“ პირველობას ავსტრიელები იჩემებენ. თუ მათ დავუჯერებთ, 1529 წელს, როდესაც თურქებს ქალაქ ვენისთვის ალყა მოუხსნიათ, კედელთან ყავის მარცვლებით სავსე ტომარა დარჩენიათ, სწორედ ეს ყავა მიურთმევიათ პირველად ვენაში...

იმავე წყაროებიდან არის ცნობილი, რომ პირველი ყავახანა ვენაში გლახტიჩ კოლჩიცკიმ გახსნა. ის წარმოშობით პოლონელი ან უკრაინელი იყო. ავსტრიელები მას ხელს უშლიდნენ ბიზნესის განვითარებაში იმ მიზეზით, რომ სასმელს „თურქული“ სახელწოდება ჰქონდა. ავსტრიელებს კი კარგად ახსოვდათ, თუ რა უბედურება დაატრიალეს თურქებმა მათ სამშობლოში. იმისთვის, რომ ყავისადმი ვენელების დამოკიდებულება შეცვლილიყო, კოლჩიცკიმ გამოიგონა „ყავა ვენურად“ (ათქვეფილი ნაღები დაუმატა), მისაყოლებლად კი ნახევარმთვარის ფორმის ფუნთუშები დაამზადა, რათა თურქების მიერ გამწარებულ ვენის მოქალაქეებს სამაგიერო ამ ფუნთუშებისთვის მიეზღოთ...

XV საუკუნის დასაწყისში ჰოლანდიელებმა კუნძულ იავასა და ბატავიაზე ყავის პლანტაციები გააშენეს. კიდევ ერთი ლეგენდის თანახმად, ფრანგმა კაპიტანმა დე კილემ ჰოლანდიელებს ყავის რამდენიმე მარცვალი მოჰპარა. პარიზის ბოტანიკურ ბაღში ამ მარცვლებისგან მშვენიერი ხეები გაახარეს, რომლებმაც შემდგომში საფუძველი ჩაუყარა ყავის პლანტაციებს მარტინიკაზე. მოგვიანებით, ფრანგებმა კუნძულზე ჩატარებული ინვენტარიზაციის შემდეგ რეესტრში შეიტანეს სხვადასხვა სახეობის 16 მილიონი ყავის ხე. რა თქმა უნდა, მათ არ დაივიწყეს მარჯვე კაპიტანი, რომელსაც მადლიერების ნიშნად კუნძულზე ძეგლი დაუდგეს. ამის შემდეგ ყავა კუნძულებზე გვადელუპასა



და სან-დომინგოზეც (ახლანდელი ჰაიტი) მოხვდა. მოგვიანებით ყავა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებშიც შეიტანეს: კოლუმბიაში, ვენესუელასა და კუნძულ კუბაზე ის დაახლოებით 1720-1725 წლებში გავრცელდა. ბრაზილიაში ყავა დაახლოებით 1727 წელს მოხვდა. ამის შემდეგ მცენარემ წყნარი ოკეანეც დაიპყრო და ფილიპინებზე გადაინაცვლა.

1830 წლისთვის ევროპა ძირითადად ზემოთ ხსენებული ჰოლანდიური პლანტაციებიდან (იავასა და სუმატრაზე) მარაგდებოდა. ეს წარმატება ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ ჰოლანდიელების პლანტაციებზე მონები მუშაობდნენ და პროდუქტის თვითღირებულება ძალიან დაბალი იყო. მათ პორტუგალიელებმაც მიჰბაძეს და ბრაზილიაში აფრიკიდან მონების შეყვანა დაიწყეს. ბაზარზე კონკურენცია გაჩაღდა. ინგლისი გაშმაგებული ცდილობდა, ინდოეთისა და ცეილონის პლანტაციებით ჩართულიყო პაექრობაში, მაგრამ არც მათ და არც ჰოლანდიელებს არ გაუმართლათ: XX საუკუნის მეორე ნახევარში აზიურ ყავის პლანტაციებს სოკოვანი დაავადება Hemileia vastatrix-ი შეეყარა და რამდენიმე წლის განმავლობაში მთელი მოსავალი გაანადგურა. სწორედ მაშინ წამოიწია მოწინავე პოზიციებზე ბრაზილიამ, რომელიც დღესაც წარმატებით ინარჩუნებს პირველობას ყავის ექსპორტიორებს შორის. უნდა აღინიშნოს, მონათმფლობელობა რომ არ არსებულიყო, ბრაზილია ვერასოდეს მიაღწევდა ასეთ შედეგს. მარტო 1840-1850 წლებში ბრაზილიაში უკანონოდ შეიყვანეს 370.000 მონა. ესპანურენოვან სამყაროში მონათმფლობელობა 50-იან წლებში გააუქმეს, მაგრამ ბრაზილიაში ის 1888 წლამდე არსებობდა.

XX საუკუნის დასაწყისში ყავა აღმოსავლეთ აფრიკაში, ინგლისურ და გერმანულ პროტექტორატებში — კენიასა და ტანზანიაში „ჩავიდა“. ყავა კენიასა და კილიმანჯაროს მთის ფერდობებზე გაახარეს, რომლებიც ეთიოპიისგან რამდენიმე ასეული კილომეტრითაა დაშორებული. ამით დასრულდა ამ მცენარის მოგზაურობა დედამიწის გარშემო. სხვათა შორის, მაღალმთიანი კენიური ყავის ჯიშებს ექსპერტები ძალიან მაღალ შეფასებას აძლევენ, მაგრამ მცირე რაოდენობის გამო ის ფართო მასებში პოპულარული არ არის.

## როგორ ხვდებოდნენ მსოფლიოში

გერმანიაში ყავა დიდი აღფრთოვანებით არ მიუღიათ. მას ლუდისა და ელის გამყიდველების სასტიკი წინააღმდეგობა შეხვდა. მათ მიერ მოსყიდული ჟურნალისტები ყველანაირად ცდილობდნენ, მოსახლეობისთვის მცდარი აზრი შეექმნათ სასმელზე. ხშირად „ჭვარტლიან სიროფს“, „თურქების შავ სისხლს“ ან „ძველი ჩექმების საზიზღარ ნახარშსაც“ უწოდებდნენ.

ყავის მდევნელნი დაბეჯითებით არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ კოფეინი — საშინელი საწამლავია და მისი მოხმარება სასიკვდილოა ადამიანისთვის. კამათი ამ სასმლის მავნე თუ უსარგებლო თვისებებზე რამდენიმე ასწლეული გრძელდებოდა. არაერთგზის უცდიათ დისკუსიები მეცნიერული გამოკვლევის კალაპოტშიც გადაეყვანათ.

ერთ-ერთი ასეთ მოყვარულ-ექსპერიმენტატორთა შორის იყო შვედეთის მეფე გუსტავ . მან პრაქტიკული გზით სცადა დაედგინა, რა უფრო მავნეა ადამიანისთვის — ყავა თუ ჩაი.



თავისი ექსპერიმენტი კი სიკვდილმისჯილ ორ ტყუპ ძმაზე ჩაატარა. ერთს ასმევდნენ მხოლოდ ყავას, მეორეს კი — ჩაის. ექსპერიმენტმა ჭეშმარიტება ვერ დაადგინა, რადგან ჯერ მეთვალყურე ექიმები დაიხოცნენ, შემდეგ მეფემ განუტევა სული. ბოლოს პირველი მაინც ჩაის მსმელი ძმა გარდაიცვალა, ოღონდ 86(!) წლის ასაკში.

## გამოხმაურების წიგნი

ცნობილი ფრანგი მწერალი ონორე დე ბალზაკი წერდა: „ჭიქა ყავის შემდეგ ყველაფერი ნათდება, აზრი აზრს მიჰყვება, როგორც დიადი ჯარის ლეგიონები ბრძოლის ველზე“. აქედან გამომდინარე, დღის ბოლოს, როცა მის მიერ დალეული ყავის ჭიქათა რაოდენობა ჩვეულებრივ 50-60-ს აღწევდა, ალბათ ბალზაკის თავში საშინელი ორომტრიალი იყო.

ყავის დიდი მოტრფიალე ყოფილა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორეც. „მას ერთი გირვანქა მარცვლისგან ხუთ ჭიქა ყავას უდუღებდნენ, — წერს ისტორიკოსი პილაევი, — მის მიერ დანალევ ჭიქაში ლაქიები წყალს ამატებდნენ და ისე მიირთმევდნენ, ხოლო მათ შემდეგ კი ფარეშები ხელახლა ადუღებდნენ...“. ყავისადმი მიდრეკილებას ეკატერინეს ჯანმრთელობაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია. მან სიბერემდე შეინარჩუნა გამჭრიახი გონება. იმპერატრიცა მამაკაცის ყაიდაზე აჭენებდა ცხენს, სიამოვნებით ნებივრობდა რუსულ აბანოში და იმავე პილაევის ცნობით, 60 წლისას ყველა კბილი ჯერ კიდევ საღი ჰქონდა.

## ყველაფერს ზომიერება წყვეტს

კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც მოქმედებს ყავის სასარგებლოდ, არის ის ფაქტი, რომ დღეს კოფეინი მრავალ სამკურნალო პრეპარატში გამოიყენება. ის ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების სტიმულირებას ახდენს და ეხმარება ქმედუნარიანობის შენარჩუნებაში. კოფეინის სამკურნალო თვისებები განპირობებულია მისი შემადგენლობით: 30-ზე მეტი ორგანული მჟავა, B ჯგუფის რვა ვიტამინი, რკინა, კალიუმი და ნატრიუმი, კალციუმი და ფოსფორი, აზოტი და გოგირდი.

იაპონელმა მედიკოსებმა დაამტკიცეს, რომ ყავა სისხლში კეთილთვისებიანი ქოლესტერინის შემცველობას ზრდის, რაც წინააღმდეგობას უწევს სისხლძარღვების კედლების გამკვრივებას. ამან მეცნიერები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ყავა საუკეთესო საშუალებაა ათეროსკლეროზთან საბრძოლველად.

ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერები კი მოულოდნელად საოცარ აღმოჩენამდე მივიდნენ: ყავა შეიძლება გამოიყენონ, როგორც ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებაც! ყოველ შემთხვევაში, 3.010 პაციენტის გამოკვლევის შემდეგ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყავის დიდი რაოდენობით მოხმარება 80 პროცენტით უზრუნველყოფს არასასურველი ორსულობის თავიდან აცილებას ერთი წლის მანძილზე...

გაჭიანურებული კამათი იმის შესახებ, ყავა საშინელი საწამლავია თუ საოცარი სამკურნალო საშუალება, შეგვიძლია გადავწყვიტოთ ცნობილი სიტყვებით: „ყველაფერს ზომიერება წყვეტს“. ვფიქრობთ, აღნიშვნა არ სჭირდება იმას, რომ მხოლოდ ნატურალურ ყავაზე გვაქვს ლაპარაკი.

## ვინ როგორ მიირთმევს?!

ყავის სმის ტრადიციები, ისევე, როგორც გემოვნებითი მიდრეკილებები, ამა თუ იმ ქვეყანაში სხვადასხვაგვარად ყალიბდებოდა. თუკი აღმოსავლეთში კაფე ტრადიციულად ფუფუნებით გამორჩეული მამაკაცთა კლუბია, ევროპაში კაფეს აბსოლუტურად სხვა დანიშნულება აქვს. თუმცა თავად ევროპაშიც მრავალ სახეობას ვხვდებით.

ფრანგების 92 პროცენტი პირველ ფინჯან ყავას საწოლშივე მიირთმევს, როცა აღმოსავლეთევროპელები ამჯობინებენ, ყავა შუადღისას დალიონ. პირველნი ყავას ტრადიციულად ხრაშუნა კრუასანებს აყოლებენ, მეორენი კი — შოკოლადს.

გერმანიაში მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ტრადიციად იქცა კაფეში სამხარის — Kaffeklatsch-ის მირთმევა.

სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ყავაში ათქვეფილ კვერცხს ურევენ, სამხრეთ ევროპაში კი — ხილის წვენს ამატებენ.

რძით ან ნაღებით შეზავებულ ყავას ინგლისში „თეთრ ყავას“ უწოდებენ, პოლონურ ყავახანებში — „მულატკას“, პარიზში — „ყავაკრემს“, იტალიაში კი — „კაპუჩინოს“ (იტალიელებმა ღია ყავისფერი სითხე კაპუცინების კაპიუშონებს მიამსგავსეს).

ესპანურ ყავახანებში კეთილგანწყობილი ოჯახური ატმოსფეროა გაბატონებული.

ფრანგული კაფე თავისი არსით საბჭოურ კომუნალურ სამზარეულოს წააგავს, სადაც შესაძლებელია საათობით ისაუბრო ნებისმიერ თემაზე.

ჩვენში ყველაფერი სხვაგვარადაა, იმიტომ, რომ თბილისის კაფეებში უმეტესად, ხინკალსა და პელმენს უკეთესად ამზადებენ, ვიდრე ყავას. ეს არც არის გასაკვირი, იმიტომ რომ ჩვენში ამ სასმელს ძირითადად შინ ან სამსახურებში მიირთმევენ. არჩევანის გაკეთებაც სუპერმარკეტებში ან ბაზრობაზე მოგიწევთ. დაგვეთანხმებით, რომ ჩვეულებრივი ამბავია, როცა ქეიფისა და დროის ტარების ბოლოს, სტუმართმოყვარე დიასახლისი კითხულობს — ყავა ვის გნებავთო. ამას უმალ სუფრაზე ტკბილეულის ჩამატება მოსდევს, რაც იმის ნიშანია: ყავასაც ჩაგაცეცხლებთ და მერე დაახვიეთ აქედან, თორემ სერიალი იწყება და თქვენი ქეიფის გულისთვის ვერ გავაცდენო.

ლიტრა-ლიტრანახევარი ღვინისა და სხვადასხვაგვარი ცივი და ცხელი „ზაკუსკის“ შემდეგ კი ყავა გინდ საუკეთესო ხარისხის კენიური მარცვლებისგან იყოს დამზადებული და გინდაც რკოსგან — უკვე სულერთია...

**მოამზადა გიორგი ჟორჟოლიანმა**



# მერაბ ჟორდანიას გაათავისუფლებენ?!

## „ჩვენ მზად ვართ, ეს თანხა ჩავრიცხოთ ბიუჯეტში“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

**— სუბიექტურ მიზეზებში რას გულისხმობთ?**

— ალბათ იყო რაღაც... ეს საქმეები ფაქტობრივად დასრულებული იყო, ჩატარებული იყო ექსპერტიზაც და ყველანაირი მტკიცებულება არსებობდა, მაგრამ ალბათ წინა ხელისუფლებაში არ არსებობდა ნება, რომ ეს საქმე ბოლომდე მისულიყო.

**— რა მოხდება, თუ ჟორდანია გადაიხდის ამ თანხას?**

— მერაბ ჟორდანიას ციხეში გამოკეტვა არავისი თვითმიზანი არ არის. თუ გადაიხდის ამ გადასახადს, მე ვაძლევ იმის გარანტიას, რომ მას არავინ დააკავებს და დევნას არ დაუწყებენ.

ჟორდანიას დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოითქვა ვარაუდი, რომ მერაბ ჟორდანია თავს აარიდებდა საქართველოში დაბრუნებას გერმანიიდან, სადაც ის მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრის ცერემონიალზე დასასწრებად იმყოფებოდა... მიუხედავად ამისა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად წინასწარ დაგეგმილი გრაფიკით ჩამოფრინდა თბილისში და მეორე დღესვე პრესკონფერენცია გამართა.

ჟორდანიამ პრესკონფერენცია სამართალდამცავების პრეტენზიების კომენტარით დაიწყო: „ამბობენ, თითქოს თანხებია მითვისებული იმდროინდელი „დინამოს“ ხელმძღვანელობის მიერ, როცა პრეზიდენტი მე ვიყავი. ვიტყვი, რომ ეს ასე არაა. საუბარია ბიუჯეტთან დავალიანებაზე, რომელიც უნდა გადაეხადა იმ მეპატრონეს, რომელიც შემდეგ მოვიდა გუნდში. ისინი მზად იყვნენ ამისთვის, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ გუნდი ადრინდელ მეპატრონეებს წაართვა და თავი „დინამოს“ სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა. ასეთ დროს კი მან უნდა გადაიხადოს როგორც საგარეო, ასევე საშინაო დავალიანება. საგარეო ვალები გადაიხადეს, რატომღაც არ გადაუხდიათ საშინაო ვალები, ეს საკითხი უნდა გაირკვეს არა ფეხბურთის ფედერაციაში, არამედ თბილისის „დინამოში“.

ჟორდანიას დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი და საქართველოს პროფესიონალური ფეხბურთის ლიგა საქართველოს პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს უგზავნის მიმართვას, სადაც დაფიქსირებულია თხოვნა, რომ მერაბ ჟორდანიას თავისუფლების აღკვეთა არ მიესაჯოს.

„ამჟამად მერაბ ჟორდანია პირადადაა დაკავებული ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტით, რაც საქართველოს ეროვნული ნაკრების სათავეში მსოფლიო სახელის მქონე უცხოელი მწვრთნელის დანიშვნას შეეხება. მხოლოდ მაღალკვალიფიცირებულ მწვრთნელს ძალუძს უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ნაკრების წარმატებული გამოსვლა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებში. მოლაპარაკებათა წარმართვა შედის უშუალოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის კომპეტენციაში. მოლაპარაკებათა და ასევე საერთაშორისო დახმარებათა პროგრამების — „ჰეთ-თრიკის“ და „გოლის“ ჩაშლა მიაყენებს გამოუსწორებელ ზიანს ქართული ფეხბურთის იმიჯს მსოფლიო არენაზე.“

მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში გამართულ პროცესზე სამართალდამცავების მხრიდან წარმოდგენილი გახლდათ პირობა, რომ მერაბ ჟორდანიას თავდებში გამოშვებისთვის გადახდილიყო 240 ათასი ლარი, — იმ თანხის მესამედი, რომლის გადახდასაც აკისრებს გამოძიება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჟორდანიას მოთხოვნა, მხოლოდ 150.000 ლარი გადაეხადა და აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

რაიონული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საოლქო სასამართლოში, რომლის სხდომა ორშაბათს გაიმართება, მანამდე კი კიდევ ერთხელ შეიკრიბა საფეხბურთო საზოგადოება.

**მურთაზ ხურცილავა:** „ჩვენ მხარში ვუდგავართ მერაბ ჟორდანიას, რასაკვირველია, ეს თანხა გადასახდელია, ამისთვის ჩვენ მზად ვართ. ველოდებით ორშაბათს, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ ყველამ უნდა გადადგას ნაბიჯი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მერაბ ჟორდანია მაქსიმალურად დაეხმარება გამოძიებას სიმართლის დადგენაში, მანამდე კი აუცილებელია, რომ ის გათავისუფლდეს. ამას ითხოვს ქართული ფეხბურთის ინტერესები.“

**ვალერი ჩოლარია** (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი): „მას შემდეგ, რაც რაიონულმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება გამოიტანა, კიდევ ერთხედ დავაფიქსირეთ, რომ ჩვენ მზად ვართ გადავიხადოთ ის თანხა, რასაც მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო ითხოვს გირაოდ მერაბ ჟორდანიას თავისუფლების სანაცვლოდ — საუბარია 240 ათას ლარზე. ჩვენ მზად ვართ, ეს თანხა ორშაბათსვე ჩავრიცხოთ ბიუჯეტში.“

საზოგადოების აზრი ერთსულოვანია: ბიუჯეტში თანხა გადასახდელია, მტყუან-მართალს კი სასამართლო გაარკვევს, ის კი ფაქტია, რომ ეს ისტორია სასიკეთოდ ვერ წაადგება ქართული ფეხბურთის ისედაც შელახულ ავტორიტეტს.

თუ ჟორდანია ამ დღეებში გაათავისუფლეს (რაც საკმაოდ რეალურია), კვლავ დღის წესრიგში დადგება ნაკრებისათვის მწვრთნელის სასწრაფოდ დანიშვნის საკითხი. დაპატიმრებამდე გამართულ პრესკონფერენციაზე **მერაბ ჟორდანიამ** განაცხადა:

„მინდა ბოდიში მოგიხადოთ იმასთან დაკავშირებით, რომ ეს საკითხი ასე გაჯანჯლდა და გთხოვთ, წლის ბოლომდე, მაქსიმუმ 10 იანვრამდე მაცალოთ. მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკება და რამდენიმე დღეში ყველაფერი იქნება ცნობილი. ახლა არ მინდა გვარების დაკონკრეტება. ვიტყვი, რომ ორი-სამი კანდიდატურა დარჩა. სწორედ 10 იანვრამდე გაირკვევა, თუ ვის მივანიჭებთ უპირატესობას.“

# „ბოკა ხუნიორსი“ მსოფლიოში უძლიერესია

კვირას, ტოკიოში გაიმართა საკონტინენტთაშორისო თასის ფინალური მატჩი, სადაც ტრადიციულად ევროპისა და სამხრეთ ამერიკის უძლიერესი კლუბები ხვდებიან ერთმანეთს პლანეტის საკლუბო ჩემპიონის გამოსავლენად. „მილანისა“ და არგენტინის „ბოკა ხუნიორსის“ შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ 1:1 დასრულდა. იონ დალ ტომასონის მიერ პირველ ტაიმში გატანილ გოლს პირველივე ტაიმში უპასუხა არგენტინელმა დონეტიმ. გამარჯვებული ვერც დამატებითმა დრომ გამოავლინა, პენალტები კი არგენტინელებმა უკეთ შეასრულეს — 4:2 „ბოკა ხუნიორსის“ სასარგებლოდ, ასეთია მატჩის საბოლოო შედეგი. კახი კალაძეს ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

# ისევ რეალი—ბაიერნი!

## ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ორი ქართველი ითამაშებს

დასრულდა ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების ჯგუფური ეტაპი. ბოლო ტურში საკმაოდ მნიშვნელოვანი და დაძაბული ბრძოლები გაიმართა. განსაკუთრებით რთული და გაურკვეველი სიტუაცია იყო B ჯგუფში, სადაც ოთხივე გუნდი ინარჩუნებდა მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს. მოსკოვის „ლოკომოტივი“ ლონდონში „ჰაიბერიზე“ „არსენალს“ ხვდებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, „მეთოფეებმა“ არ გაუშვეს ხელიდან შანსი და ეჭვქვეშ არ დააყენეს მომდევნო ეტაპზე გასვლის საკითხი. მათ საკმაოდ იოლად სძლიეს სიომინის შეგირდებს, აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ პირველ ტაიმში „ლოკომოტივის“ აფრიკელი ლეგიონერი ლეკხეტო გააძევეს მოედნიდან, რამაც კიდევ უფრო გაურთულა მდგომარეობა აშვეთიასა და კომპანიას. სიომინი იძულებული გახდა მეორე ტაიმისას სათამაშო სქემა შეეცვალა და გუნდის ქართველი თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია მოედნიდან გაეყვანა. მიუხედავად ამ ცვლილებისა, ლონდონელებმა პირველ ტაიმში გატანილ ერთ გოლს მეორე ტაიმში მეორე ბურთიც დაუმატეს და ამ მოგებით გაინაღდეს მერვედფინალში გასვლა.

„ლოკომოტივის“ ბედი კი კიევში მიმდინარე მატჩს უნდა გადაეწყვიტა. თუკი კიევის „დინამო“ და „ინტერი“ ფრედ დაასრულებდნენ შეხვედრას, მაშინ „არსენალთან“ ერთად მერვედფინალში მოსკოვის „ლოკომოტივი“ გავიდოდა. კიევში თამაშის დასრულებას ბევრი არაფერი აკლდა, რომ „ინტერი“ იგებდა მატჩს, თუმცა კიეველებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. მეტის გაკეთებისთვის კი უბრალოდ დრო აღარ დარჩა. ასე რომ, კიევის „დინამომ“ მერვედფინალის საგზური „ლოკომოტივს“ მოუტანა.

მას შემდეგ, რაც შტუტგარტში განცდილი მარცხის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლის შანსი დაკარგა გლაზგოს „რეინჯერსმა“, მას საკმაოდ რეალური შესაძლებლობები ჰქონდა იმისათვის, რომ ჯგუფში მესამე ადგილი დაეკავებინა და როგორც მესამეადგილოსანს, უეფას თასის გათამაშებაში გაეგრძელებინა მონაწილეობა. ამისთვის საჭირო იყო, რომ „რეინჯერსს“ შინ არ წაეგო „პანათინაიკოსთან“.

თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო და ჩვენებურების გუნდი დაწინაურდა კიდეც, თუმცა, შემდეგ მოულოდნელად სამი ბურთი გაუშვა და უეფას თასის საგზურიც „პანათინაიკოსს“ გადაულოცა.

ამ შეხვედრაში ტრავმის გამო არ თამაშობდა შოთა არველაძე, რაც შეეხება ზურა ხიზანიშვილს, ის სასტარტო შემადგენლობაში იყო, თუმცა ტრავმა მიიღო და ახლა რამდენიმე კვირით დაისვენებს.

გაურკვეველი სიტუაცია იყო პირველ ჯგუფში, სადაც „ბაიერნმა“ და „ლიონმა“ შეძლეს ბოლო ტურის მატჩებში წარმატების მიღწევა და გავიდნენ მერვედფინალში.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ჩელსიმ“ თურქების ჯავრი იყარა. საკუთარ მოედანზე აბრამოვიჩის გუნდმა პირველ წრეში სენსაციური მარცხი იწვნია, გასვლაზე კი მათ სხვა არაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ საკუთარი რეპუტაცია კარგი თამაშითა და რაც მთავარია, სასურველი შედეგით აღედგინათ. „ჩელსიმ“ შეძლო დასახული მიზნის მიღწევა და გაიმარჯვა 2:0.

მოვლენათა ასეთი განვითარება ორივე გუნდისთვის მისაღები იყო, რადგანაც თუკი „სპარტა“ „ლაციოსთან“ თამაშს ფრედ დაასრულებდა, მომდევნო ეტაპზე „ბეშიქთაში“ და „ჩელსი“ გადიოდნენ, თუმცა, „სპარტამ“ ბოლოს მაინც იძალა და მეოთხე დამატებით წუთზე, კინჩლის მიერ თავით გატანილი გოლის წყალობით შეძლო მერვედფინალის საგზურის დაბევება.

საკმაოდ პრინციპული იყო „გალათასარაისა“ და „სოსიედადის“ დაპირისპირება. თურქებს, რომელთაც ბასკებთან პირველი წრის მატჩი წაგებული ჰქონდათ, ახლა მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს. თავიდან დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ შემდეგ „სოსიედადმა“ ანგარიში გაათანაბრა და ამ ფრის წყალობით, დენუეის „სოსიედადი“ გააგრძელებს ბრძოლას ჩემპიონთა თასისათვის.


სოსიედადი-გალათასარაი 1:1

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში, წლევანდელი სალიგო დებიუტი ჰქონდა კახა კალაძეს, რომლის „მილანმაც“ უმოტივაციო შეხვედრა დათმო „სელტასთან“.

**A ჯგუფი**

ბაიერნი - ანდერლეხტი 1:0
ლიონი - სელტიკი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-8 | 10 |
| ბაიერნი | 6 | 2 | 3 | 1 | 6-5 | 9 |
| სელტიკი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-7 | 7 |
| ანდერლეხტი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-6 | 7 |

**B ჯგუფი**

არსენალი - ლოკომოტივი 2:0
დინამო - ინტერი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-6 | 10 |
| ლოკომოტივი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| ინტერი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-11 | 8 |
| დინამო | 6 | 2 | 1 | 3 | 8-8 | 7 |

**C ჯგუფი**

აეკი - მონაკო 0:0
ეინდჰოვენი - დეპორტივო 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 6 | 3 | 2 | 1 | 15-6 | 11 |
| დეპორტივო | 6 | 3 | 1 | 2 | 12-12 | 10 |
| ეინდჰოვენი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 10 |
| აეკი | 6 | 0 | 2 | 4 | 1-11 | 2 |

**D ჯგუფი**

იუვენტუსი - ოლიმპიაკოსი 7:0
სოსიედადი - გალათასარაი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 6 | 4 | 1 | 1 | 15-6 | 13 |
| სოსიედადი | 6 | 2 | 3 | 1 | 8-8 | 9 |
| გალათასარაი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 7 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-13 | 4 |

**E ჯგუფი**

რეინჯერსი - პანათინაიკოსი 1:3
მანჩესტერი - შტუტგარტი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 6 | 5 | 0 | 1 | 13-2 | 15 |
| შტუტგარტი | 6 | 4 | 0 | 2 | 9-6 | 12 |
| პანათინაიკოსი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-13 | 4 |
| რეინჯერსი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-10 | 4 |

**F ჯგუფი**

პარტიზანი - მარსელი 1:1
რეალი - პორტუ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 6 | 4 | 2 | 0 | 11-5 | 14 |
| პორტუ | 6 | 3 | 2 | 1 | 9-8 | 11 |
| მარსელი | 6 | 1 | 1 | 4 | 9-11 | 4 |
| პარტიზანი | 6 | 0 | 3 | 3 | 3-8 | 3 |

**G ჯგუფი**

სპარტა - ლაციო 1:0
ბეშიქთაში - ჩელსი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 6 | 4 | 1 | 1 | 9-3 | 13 |
| სპარტა | 6 | 2 | 2 | 2 | 5-5 | 8 |
| ბეშიქთაში | 6 | 2 | 1 | 3 | 5-7 | 7 |
| ლაციო | 6 | 1 | 2 | 3 | 6-10 | 5 |

**H ჯგუფი**

ბრიუგე - აიაქსი 2:1
მილანი - სელტა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 3 | 1 | 2 | 4-3 | 10 |
| სელტა | 6 | 2 | 3 | 1 | 7-6 | 9 |
| ბრიუგე | 6 | 2 | 2 | 2 | 5-6 | 8 |
| აიაქსი | 6 | 2 | 0 | 4 | 6-7 | 6 |

**გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის წილისყრა. ჯგუფიდან გასული თექვსმეტი საუკეთესო გუნდი ასე დაწყვილდა:**

**პორტო — მანჩესტერი**
**სოსიედადი — ლიონი**
**სელტა — არსენალი**
**ლოკომოტივი — მონაკო**
**დეპორტივო — იუვენტუსი**
**შტუტგარტი — ჩელსი**
**სპარტა — მილანი**
**ბაიერნი — რეალი**

*პირველი მატჩები გაიმართება 24-25 თებერვალს პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე, საპასუხო — 9-10 მარტს.*

*გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა*

# ნედვედი საუკეთესოა


პაველ ნედვედი

ცნობილმა საფეხბურთო გამოცემამ „ვორლდ სოკერმა“ ფეხბურთის გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად დაასახელა 2002—2003 წლის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი, მწვრთნელი და გუნდი.

გამოკითხულთა უმრავლესობამ პირველ ნომრად ჩეხეთის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ნახევარმცველი პაველ ნედვედი დაასახელა, მეორე ადგილი ერგო „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჰოლანდიელ ლეგიონერს რუუდ ვან ნისტელროის, მესამე კი — ესპანეთის ნაკრებისა და „რეალის“ თავდამსხმელს, რაულს. წლის საუკეთესო გუნდად „მილანი“ დასახელდა, საუკეთესო მწვრთნელად კი „მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი.

გთავაზობთ სამივე ნომინაციაში გამარჯვებულთა პირველ ათეულს:

**წლის საუკეთესო ფეხბურთელი**

1. პაველ ნედვედი — ჩეხეთი, „იუვენტუსი“
2. რუუდ ვან ნისტელროი — ჰოლანდია, „მანჩესტერ იუნაიტედი“
3. რაული — ესპანეთი, „რეალი“
4. პაოლო მალდინი — იტალია, „მილანი“
5. ტიერი ანრი — საფრანგეთი, „არსენალი“
6. რონალდო — ბრაზილია, „რეალი“
7. როი მაკაი — ჰოლანდია, „დეპორტივო“, „ბაიერნი“
8. ანდრეი შევჩენკო — უკრაინა, „მილანი“
9. რობერტო კარლოსი — ბრაზილია, „რეალი“
10. დევიდ ბექჰემი — ინგლისი, „მანჩესტერი“, „რეალი“

**წლის საუკეთესო მწვრთნელი**

1. კარლო ანჩელოტი — „მილანი“
2. მარჩელო ლიპი — „იუვენტუსი“
3. ჟოზე მაურინიო — „პორტუ“
4. ალექს ფერგიუსონი — „მანჩესტერ იუნაიტედი“
5. მარტინ ონილი — „სელტიკი“
6. კარლოს ბიანკი — „ბოკა ხუნიორსი“
7. რეინალ დანუეი — „რეალ სოსიედადი“
8. ვისენტე დელ ბოსკე — „რეალი“
9. ჟაკ სანტინი — საფრანგეთის ნაკრები
10. ფელიქს მაგათი — „შტუტგარტი“

**წლის საუკეთესო გუნდი:**

1. „მილანი“
2. „იუვენტუსი“
3. „რეალი“
4. „ბოკა ხუნიორსი“
5. „პორტუ“
6. ჩეხეთის ნაკრები
7. საფრანგეთის ნაკრები
8. „რეალ სოსიედადი“
9. „სელტიკი“
10. „შტუტგარტი“

## №49 (375) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 533 მკითხველი გამოეხმაურა. 12 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 205-მა ქალმა და 316-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რა არის ქვეყნის პირველი პირისთვის ყველაზე აუცილებელი და მნიშვნელოვანი?“**

მკითხველთა 55%-ის აზრით, ქვეყნის პრეზიდენტი პირველ რიგში პატრიოტი უნდა იყოს. **7,83** საშუალო ქულით „პატრიოტიზმი“ პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე „პატიოსნებაა“, საშუალო ქულაა 7,14. რესპონდენტთა 19%-მა შეაფასა ეს თვისება მაქსიმალური — 9 ქულით.

ჩვენი მკითხველების აზრით, ქვეყნის პირველი პირისათვის ასევე აუცილებელია განათლება. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცოტა რაოდენობის მინიმალური ქულა სწორედ „განათლებას“ ხვდა წილად — მხოლოდ ორმა მკითხველმა (0,4%) დაუწერა 1 ქულა. საშუალო ქულაა 6,23.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ინტელექტი და პრინციპულობა თითქმის ერთნაირი ხარისხით სჭირდება პრეზიდენტს. რეიტინგში ყველაზე დაბალი მაჩვენებლით „სასიამოვნო გარეგნობა“ გამოირჩევა — მკითხველთა 61%-მა შეაფასა ეს გრაფა მინიმალური ქულით. ყველაზე მცირე რაოდენობის მაქსიმალური ქულა (0,8%) კი „შრომისმოყვარეობამ“ დაიმსახურა.




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული თბილისელი, 27 წლის **ნიკოლოზ კალაძეა.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 17 დეკემბერს, 17 საათზე.

## №50 (376) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და **მკითხველის პრემიას.**

**№50 (376) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 17 დეკემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 18 დეკემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №50 (376) — პოსტრევოლუციური სკანდალები საქართველოში

**თქვენი აზრით, რომელია ყველაზე სკანდალური მოვლენა** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№50(376) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | სკანდალი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ბორის ბერეზოვსკის ვიზიტი | |
| 2 | მერაბ ჟორდანიას დაკავება | |
| 3 | სისხლის სამართლის საქმე ლევან მამალაძის წინააღმდეგ | |
| 4 | რუსეთის მიერ სავიზო რეჟიმის გამარტივება აჭარასთან | |
| 5 | გენპროკურატურა კონტროლის პალატის თანამშრომელთა წინააღმდეგ | |
| 6 | სატელეფონო ტერორიზმი თბილისში | |
| 7 | თამაზ მაღლაკელიძის გატაცება | |
| 8 | შს მინისტრი ნარკომანი თანამშრომლების წინააღმდეგ | |

**დამატებითი კითხვა**

**აპირებთ თუ არა 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას?**

| დიახ | არა | ჯერ არ გადამიწყვეტია |
|---|---|---|
| | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

## მკითხველის შეფასების შედეგები

მკითხველებს სხარტი გამონათქვამებით, ანდაზებით უნდა შეეფასებინათ დღევანდელი ცხოვრება. რესპონდენტთა უმრავლესობამ ასეთი ფრაზები მიუსადაგა ჩვენს ყოფას —

| | | |
|---|---|---|
| 1. | რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო | 8,2% |
| 2. | ვაის გავეყარე, უის შევეყარე | 7,1% |
| 3. | აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია | 2,7% |
| 4–5. | უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენ | 2,5% |
| 4–5. | ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო | 2,5% |
| 6–7. | იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა | 2,2% |
| 6–7. | კაცი იმედით ცხოვრობს | 2,2% |
| 8. | ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო | 1,9% |
| 9–11. | სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი | 1,6% |
| 9–11. | ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელია | 1,6% |
| 9–11. | რასაც დასთეს, იმას მოიმკიო | 1,6% |

## შეაფასეთ ჩვენი დღევანდელი ყოფა სხარტი გამონათქვამით (ანდაზით, აფორიზმით...)

**ეს რაც შეეხება დაწინაურებულ ათეულს. არ შეგვეძლო უყურადღებოდ დაგვეტოვებინა დანარჩენი მკითხველების, ჩვენი აზრით, საგულისხმო შეფასებები — „რა ყვავი ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია“, „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“, „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონნენო“, „აურზაური სალხინეთში“, „აცე, ვირო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა მოვაო“, „კარგი რამ გვჭირდეს, გვიკვირდეს...“ „თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო“, „ზოგი ასე უბერავს, ზოგი ისე უბერავს“, „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!“, „დათვი რომ მოგერევა, ბაბა დაუძახეო,“ „ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია“, „არ გათეთეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“, „ხალხის და ყმაწვილის მოტყუება ადვილია — ორივე დაპირებებით ტყუვდება“, „ავსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“, „ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოატანს ქვიშასო“, „მოგენდო, ისიც მაშინებს, და არ მოგენდო — ისიცა“.**

**სხვანი ასე აფასებენ დღევანდელ სიტუაციას — „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“, „კმარა ვარდნა!“, „ერია თუ ბერია, ყველა დასაჭერია!“, „ნეტა, ქორწილში არ დაგვპაიჟებენ?“, „ეს ცხოვრება კიბე არის, ზოგი ადის, ზოგი ჩადის“.**

**ზოგი ილიასეული სევდანარევი ირონიით გვეხმიანება — „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?“ მაგრამ არის იმედიც — „იმედით მაქვს სავსე გული, მიუხედავად იმისა, რომ არ მაქვს ფული“, „სამართალმა პური ჭამა“, „გაუმარჯოს მიშას, იმედები გვიშვა“...**

***მკითხველის რეიტინგს 367 რესპონდენტი გამოეხმაურა***

## • ფოტოპალიტრა • გამოიცანით ვინ არის ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

______________________

______________________

______________________

______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________

ქალაქი (რაიონი) ______________



ანზორ ბალუაშვილი, ლევან მამალაძე

**ამ პატარას ბიჭუნას ისეთი მეოცნებე თვალები აქვს, მაშინვე ეტყობოდა, დიდი ხელოვანი რომ გახდებოდა. ცხოვრებაში ბევრი რამ იცვლება და ჩვენი გმირიც დიდი კინოდან დიდ პოლიტიკაში გადასახლდა, უბრალო მინდვრის ყვავილების სიყვარული კი მართალია ეკლიანმა, მაგრამ მეფური — ვარდების სიყვარულმა შეცვალა.**

**დიახ, თქვენ წინაშეა ელდარ შენგელაიას ბავშვობის ფოტო.**

**მკითხველთა დაახლოებით 63%-მა სწორად ამოიცნო მისი ვინაობა. 26%-მა კი გადაწყვიტა, რომ ეს პატარა ბიჭუნა მიხეილ სააკაშვილია. როგორც ჩანს, ეს მკითხველები მინიშნებამ შეიყვანა შეცდომაში — დღეს ხომ ვარდების ხსენება მიხეილ სააკაშვილის ასოციაციას იწვევს.**

**დასახელდნენ ასევე — იგორ გიორგაძე, ვალერი ხაბურძანია, ასლან აბაშიძე და... მაია ნადირაძე.**





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



ელდარ შენგელაია, ორი წლის






ფეხბურთის ნაკრების მოთამაშეები დაბადების დღეს ულოცავენ მწვრთნელს. მწვრთნელი პასუხობს:
— ჩემთვის საუკეთესო საჩუქარი იქნება თქვენი გამარჯვებები.
— გვიანია... ჩვენ უკვე გიყიდეთ ჰალსტუხი...

**15/XII**
**სავსე მთვარე**
**მაგნიტური დღეებია:**
**15/XII 04-დან 07 საათამდე**
**19/XII 14-დან 16 საათამდე**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. გომბეშო; 4. ტალანტი; 6. ქარვა; 7. ფრაზა; 8. რხევა; 9. იპონი; 10. იადონი; 13. ბრანდო; 16. პრიმა; 18. კანტატა; 19. ბულიმია; 20. ირინე; 22. ამიმია; 23. ბესიკი; 25. მაუდი; 27. ფეტვი; 28. რიალა; 29. ძვირი; 30. აპოკოპე; 31. ავსტრია.

**შვეულად:** 1. გორგასალი; 2. ოქსფორდი; 3. არმაგედონი; 4. ტარაკანი; 5. ინკოგნიტო; 11. დანდი; 12. ნიავი; 14. რილკე; 15. ნემსი; 16. პაი; 17. აბე; 21. ილუსტრაცია; 22. აუდიტორია; 24. ინკუბაცია; 25. მეფარიძე; 26. იმიტაცია.



**თარაზულად:** 1. წლის ბოლოს დაჯამებული შემოსავალ-გასავლის შეფარდებითი ჯამი; 4. მასტოდონტსა და სპილოს შორის; 6. რეიგანი — ნენსი, ელცინი — ?; 7. გეოლოგიური პერიოდის ნაწილი; 8. ველური წინაპრის კულტურული შთამომავალი; 9. ქართული სახლებისათვის დამახასიათებელი ღია, მიშენებული, მოაჯირიანი ნაწილი; 12. არასრული სამედიცინო განათლების მქონე, ცნობილი იტალიელი მოდელიერი. 15. კომედიისგან და ტრაგედიისგან განსხვავებული; 17 მოხსენების მოკლე შინაარსი; 18. სისხლის აღების ადათი სარდინიასა და კორსიკაზე; 19. ირლანდიელი მწერლის ჯეიმს ჯოისის რომანი; 21. ძველებური ბერძნული სიგრძის ერთეული, დისტანცია, რომელშიც გაიმარჯვა პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა (776 წ. ჩვ. წ.აღ-მდე); 22. მეცნიერება, რომელშიც ნობელის პრემიის ლაურეატის მეუღლეს გააჩნია განსაკუთრებული პატივი ბანკეტზე იჯდეს შვედეთის მეფის გვერდით; 26. ქართლის ერისმთავარი VII-ს მეორე ნახევარში, ატენის სიონის ერთ-ერთი არქიტექტორთაგანი; 27. უფასო, უსასყიდლო, უშრომელი; 28. ქალაქი გერმანიაში, კარლ-მარქსის დაბადების ადგილი; 29. ფრინველი საახალწლო საცივისათვის; 30. ნათურის საჩრდილობელი.

**შვეულად:** 1. ჭურვის მოძრაობის შემსწავლელი მეცნიერება; 2. საუბარი კორესპონდენტთან; 3. ბეჭდვა სპეციალური ქვის ზედაპირიდან, რომელზედაც წინასწარ ხატავენ; 4. რაიმე სასიამოვნო საქმის აღსანიშნავად გამართული მასპინძლობა, პურმარილი — წესი დამკვიდრებული არაბებისგან. 5. ძველი ეგვიპტური დამწერლობის ნიშანი; 10. დენთითა და ტყვიით გატენილი მასრა; 11. ახალი ამბავი (ინგლისურად) 13. საასპარეზო მოედანი მოკრივეთათვის; 14. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 15. კორეული კორპორაცია; 16. „გიხაროდეს, მარიამ“ — „...მარია“. 20. საქონელს, ხელსაწყოს დართული მოხმარების წესი. 21. მოულოდნელი, სასიამოვნო ამბავი; 23. მეთაურთან დანიშნული ოფიცერი, სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად. 24. ნობელის მთავარი გამოგონება; 25. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება უმაღლეს ინსტანციაში.

**შეადგინა რამაზ ალანიამ**







ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

(50) **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

**სიტყვა და საქმე**

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№50 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 18 დეკემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში:* მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

**„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი ბუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი ©1518
„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „პალიტრაში“.